

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტი

ვალერიან კვანტრიშვილი

ლექსიკური სინონიმია ძველ ქართულში
(ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
დოქტორის (Ph. D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლელი ბარამიძე



2009

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I – ლექსიკური სინონიმის არსი.....8

1. 1.	საკითხის ისტორიისათვის.....8
1. 2.	პრობლემის არსი.....11
1. 3.	ლექსიკურ სინონიმთა კლასიფიკაცია.....16
1. 3. 1.	აბსოლუტური სინონიმის საკითხი.....18
1. 4.	სიტყვათველი და სინონიმური რიგის სტრუქტურა.....22
1. 5.	ლექსიკური სინონიმის საკითხი ძველ ქართულ ში.....25

თავი II – სინონიმთა წარმოქმნის წყაროები ძველ ქართულ ში
(ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით)27

2. 1.	პოლისემია და სინონიმია (პოლისემიურ ლექსემათა სინონიმური მწკრივები).....30
2. 2.	სიტყვათწარმოებით მიღებული ლექსიკურ სინონიმთა ჯგუფები.....43
2. 2. 1.	აბსტრაქტული სახელებით გადმოცემული სინონიმური სიტყვები.....44
2. 2. 2.	სინონიმური მნიშვნელობის მქონე ქონების სახელები.....53
2. 2. 3.	სინონიმური მნიშვნელობის მქონე ხელობის სახელები.....59
2. 2. 4.	სინონიმური მნიშვნელობის მქონე დანიშნულების

სახელები.....	61
2. 3. მიმღეობით გადმოცემული ლექსიკური სინონიმები.....	63
2. 3. 1. სინონიმური მნიშვნელობის მოქმედებითი გვარის მიმღეობები.....	64
2. 3. 2. სინონიმური მნიშვნელობის ვნებითი გვარის მიმღეობები.....	66
2. 4. სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტური ლექსიკა.....	73
2. 4. 1. ქართული წარმომავლობის კომპოზიტთა შემცველი სინონიმური რიგები.....	74
2. 4. 2. ბერძნულ-ქართულ კომპოზიტთა შემცველი სინონიმური წყვილები.....	80
2. 4. 3. სომხურ-ქართულ კომპოზიტთა შემცველი სინონიმური წყვილები.....	82
 თავი III – ნასესხები ლექსიკა ოთხთავის სინონიმურ სისტემაში	86
 3. 1. ბერძნული ლექსიკის შემცველი სინონიმური მწერივები.....	87
3. 2. ირანული ლექსიკის შემცველი სინონიმური მწერივები.....	93
3. 3. ებრაული ლექსიკის შემცველი სინონიმური მწერივები.....	96
3. 4. სომხური ლექსიკის შემცველი სინონიმური მწერივები.....	100
 თავი IV – ზმნური სინონიმური რიგები ოთხთავში.....	106
 4. 1. მოძრაობის სემანტიკის მქონე სინონიმურ ზმნათა რიგები.....	107
4. 2. მდგომარეობის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	131
4. 3. სიტყვის ტაბუ და სინონიმია. სიცოცხლის შეწყვეტის	

	სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	134
4. 4.	შიშის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	139
4. 5.	ცემის სემანტიკის აღმნიშვნელი სინონიმური ზმნები.....	143
4. 6.	დაძახების, ხმობის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	145
4. 7.	მოტაცების, მოპარვის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	148
4. 8.	ხილვის, გამოცხადების სემანტიკის გამომხატველი სინონიმური ზმნები.....	149
4. 9.	დაცინვის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.....	152
4. 10.	გატეხის, დამტვრევის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები	154
4. 11.	შეპყრობის, ციხეში ჩასმის სემანტიკის შემცველი სინონიმური ზმნები	157
4. 12.	დაბნევის სემანტიკის გამომხატველი სინონიმური ზმნები.....	158
4. 13.	სინონიმური პარალელიზმი ოთხთავის ტექსტში.....	161
4. 14.	სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებული სინონიმური რიგის ზმნები.....	171
	დასკვნითი დებულებები.....	176
	გამოყენებული ლიტერატურა.....	181

შესავალი

ძველი ქართული ენის ლექსიკა მრავალმხრივ საინტერესოა. განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია იგი სინონიმებით, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას და კვლევას საჭიროებს, რადგან „ლექსიკური სინონიმიკა ძირითადი საშენი მასალაა იმ მრავალსაუკუნოვანი შენობისა, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა ეწოდება“ (56, 59).

ლექსიკური სინონიმის შესწავლა უადრესად აქტუალურია ლინგვისტური ოვალსაზრისით, რადგანაც სინონიმები სამართლიანად ითვლება ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების წყაროდ. „სინონიმთა მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერის ცოდნა, მათი სწორი გამოყენება, მეტყველებას უდიდეს გამომხატველობით ძალას ანიჭებს და შესაძლებლობას ქმნის ზუსტად და ნათლად გამოიხატოს აზრისა და გრძნობის უმცირესი ნიუანსები“ (9, 21).

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში სინონიმის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები ვრცლად და სისტემურად არის განხილული ჯ. სილაგაძის მონოგრაფიაში „ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკა“ (56). არსებობს აგრეთვე ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა და პ. ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“ (ახლად გამოცემული). აღნიშნულ ნაშრომებში წარმოდგენილია ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული სინონიმური ლექსიკა.

ძველი ქართული ენის სინონიმთა სისტემა დღეისათვის ნაკლებად შესწავლილია. სინონიმის ცალკეულ საკითხებს ეხებიან ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, შ. ძიძიგური, ც. კიკვიძე, პ. ფოჩხუა, პ. დანელია, ზ. ჭუმბურიძე, ნ. ჭუმბურიძე, თ. ბოლქვაძე და სხვა ავტორები. ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ სინონიმთა მეცნიერულ შესწავლას უწყობს ხელს იღ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დამოწმებული სინონიმური ლექსიკა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ლექსიკური სინონიმია ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მასალის საფუძველზე; მაშასადამე, სინონიმის შესწავლა ძველი ქართული ენის ლექსიკის საფუძველზე ხორციელდება.

საყოველთაოდ ცნობილია ოთხთავის უძველესი რედაქციების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. ოთხთავი წარმოადგენს ქართული ენის ისტორიის უძველეს წერილობით წყაროს, რომელშიც დაცულია როგორც საერთოქართველური ენიდან მომდინარე არქაული ლექსიკა, ისე საუკუნეთა განმავლობაში წარმოქმნილი და შეთვისებული ენობრივი ერთეულები.

ჩვენი ამოცანაა ოთხთავის ტექსტში არსებული სინონიმური ლექსიკის წარმოჩინება და შეძლებისდაგვარად მათი სისტემური სახით განხილვა.

ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა სინონიმის თეორიულ საკითხებს. ნაჩვენებია, თუ რა გზებით ხდება სინონიმთა წარმოქმნა და თემატურ-სტრუქტურული თვალსაზრისით გამოყოფილია სხვადასხვა სახის სინონიმური ჯგუფები.

ნაშრომში განხილულია პოლისემიისა და სინონიმის ურთიერთმიმართვების საკითხი; ყურადღება გამახვილებულია სინონიმთა წარმოშობის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა: სიტყვათწარმოება, სიტყვათა სესხება, სიტყვის ტაბუ და ევფემიზმი.

წარმოჩენილი და გაანალიზებულია პოლისემიურ ლექსემათა ცალკეული სინონიმური რიგები.

ოთხთავის მასალაზე დაყრდნობით თანმიმდევრულად განხილულია სიტყვათწარმოების გზით მიღებული ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. კერძოდ, სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხელობის სახელები, სხვადასხვა სახის მიმღეობა და კომპოზიციით წარმოქმნილი სინონიმური ერთეულები.

ოთხთავის სინონიმთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნასესხებ ლექსიკას. ცალკეა მსჯელობა ბერძნული, ებრაული, სომხური, ირანული ენებიდან შემოსული სიტყვებისა და მათი შესატყვისი ქართული ექვივალენტების შესახებ.

ვასეპით სინონიმთა წარმოქმნის ისეთ გზას, როგორიცაა სიტყვის ტაბუ და ევფემიზმი. მიმოვინარებული ტაბუირებულ სიტყვებს და მათთან სინონიმურად მონაცელე ევფემისტურ ერთეულებს.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ზმნური სინონიმები, რომლებიც განაწილებულია სხვადასხვა სახის სემანტიკურ ჯგუფებში. რადგან მასალის სიუხვე მათი სრულად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ

ნაშრომში წარმოჩენილია მხოლოდ ნაწილი იმ მასალისა, რომელშიც ერთიანდება ამა თუ იმ სინონიმური რიგის ზმნები.

ცალკე განვიხილავთ სახარების ტექსტის თითოეულ რედაქციაში სინონიმების პარალელურად ხმარების შემთხვევებს. გამოვლენილია ისეთი სინონიმური წყვილები, რომლებიც ერთი კონტექსტის ფარგლებში იხმარებიან და მრავალმხრივ წარმოაჩენენ სიტყვის მნიშვნელობას.

საილუსტრაციო მასალას ძირითადად ვიმოწმებთ ქართული ოთხთავის ძველი რედაქციებიდან (ჯრუჭ-პარხლის – **DE** და ადიშის – **C**), რომელსაც შევუდარეთ ოთხთავის ორი ბოლო (ექვთიმე მთაწმიდლის – **FG**; გოორგი მთაწმიდლის – **HIK**) რედაქცია და ხანმეტი სახარების ფრაგმენტები. გარკვეული მსჯელობა არის აგრეთვე აღნიშნულ რედაქციებში არსებული განსხვავებული სინონიმური ლექსიკის შესახებ.

წარმოჩენილი მასალა შეპირისპირებულია ბერძნულ ტექსტთან და გამოვლენილია ის ბერძნული აქვთალენტები, რომლებიც ქართულ ლექსემებს ესადაგებიან.

მასალა შემდეგი პრინციპითაა შერჩეული: დაძებნილია თითოეული სინონიმური ერთეულის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევა და გამოვლენილია ისეთი წყვილები, სადაც რედაქციათა (ჯრუჭ-პარხლის – **DE** და ადიშის – **C**) შეპირისპირებისას სინონიმური მიმართება დასტურდება. აგრეთვე გათვალისწინებულია თითოეულ რედაქციაში სინონიმურ ოდენობათა ხმარების შემთხვევები. მასალის სიუხვის გამო გამოვლენილი სინონიმურ სიტყვათა შემცველი მაგალითებიდან მოგვყავს მხოლოდ თითო ნიმუში, იშვიათად ორი, ანალოგიურ ფორმებს წარმოვადგენთ მხოლოდ ადგილის (თავისა და მუხლის) მითითებით.

თავი I

ლექსიკური სინონიმის არსი

1.1. საგითხის ისტორიისათვის. სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომლის არსი მნიშვნელობათა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს. სინონიმური მიმართებები ენის მთელ ლექსიკურ სისტემას გასდევს. „განვითარებული სალიტერატურო ენა წარმოადგენს იმ მეტ-ნაკლებად სინონიმური მწკრივების გამოხატვის საკმაოდ რთულ სისტემას, რომლებიც ასე თუ ისე ურთიერთკავშირში არიან“ (167, 121).

მოძღვრება ლექსიკური სინონიმის შესახებ დიდი ხნის წინ წარმოიშვა. იგი სხვადასხვაგვარ ლინგვისტურ კვლევათა საგანს წარმოადგენს.

სინონიმებით, მათი ურთიერთჩანაცვლებით ფილოსოფოსები და მეცნიერ-ლინგვისტები ჯერ კიდევ მანამ იყვნენ დაინტერესებულნი, სანამ სინონიმია ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იქცეოდა. კერძოდ, სინონიმები პირველად ნახსენები აქვს სოფისტ პროდიკოსს (დაახლ. 24 ს.-ის წინ), პროტაგორას მოსწავლესა და სოკრატეს მასწავლებელს. მისი ჩვენამდე მოუღწეველი ტრაქტატი ფრაგმენტულად აღდგება პლატონის, სტოიკოსების მითითებების, აგრეთვე გვიანი ანტიკური პერიოდისა და ბიზანტიის ლექსიკოგრაფთა ტრაქტატებისა და ლექსიკონების მიხედვით.

სწორედ ძველმა ბერძნებმა დაარქეს სახელი ამ მოვლენას (ბერძნ. *synonymia* – თანამოსახელეობა). ისინი თვლიდნენ, რომ სინონიმებშია ენის სიმდიდრე, სიტყვებით გადმოცემული აზრის სიუხვე და მრავალფეროვნება.

ძველი რომაელი მეცნიერები მიუთითებდნენ სინონიმებს შორის არა მარტო მსგავსებაზე, არამედ განსხვავებაზეც (სინონიმების შესახებ ანტიკურ ავტორთა მსჯელობანი იხ. წიგნში „Античные теории языка и стиля“ 1930, 33, 77, 177, 206, 215 და სხვ.).

არის ცნობები აზიურ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სინონიმთა ლექსიკონების არსებობის შესახებ. მაგალითად, ჩინეთში ასეთი ლექსიკონი I ს.-ში ჰქონდათ, ინდოეთში – XI-XII ს.ს.-იდან.

სინონიმის კვლევა ლინგვისტური თვალსაზრისით საფრანგეთში დაიწყო. 1718 წელს გამოვიდა აბატ ჟირარის შრომა „ფრანგული ენის მართლწერა სხვადასხვა სიტყვით, რომლებიც მიიჩნევიან სინონიმებად“ (130, 4). XVIII საუკუნის ბოლოს სინონიმურ ლექსიკონთა შედგენა რუსმა ენათმეცნიერებმაც დაიწყეს. 1783 წელს გამოიცა დ. ი. ფონგიზინის ნაშრომი „Опыт российского сословника“, რომელშიც ავტორმა სინონიმთა 32 ჯგუფი გამოყო. 1840 წელს გამოვიდა გალიჩის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც სინონიმთა 226 ჯგუფს აერთიანებდა (130, 8).

დღეისათვის რუსულ ლინგვისტიკაში სინონიმის თეორიული საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი. მას მრავალი თეორიული სტატია მიეძღვნა, სინონიმები დეტალურად არის აღწერილი ასობით ლექსიკონში (იხ. მაგ., ვრცელი ბიბლიოგრაფია მხოლოდ რუსული ენის სინონიმიკის შესახებ კრებულებში: „Очерки по синонимике современного русского литературного языка“, 1966; „Синонимы русского языка и их особенности“, 1972). უფრო გვიანდეული პრაქტიკული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ი. აპრესიანის საერთო რედაქციით გამოქვეყნებული „Новый объяснительный словарь синонимов русского языка“, 1997.

ქართულ ენათმეცნიერებაში სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ არის პირველი ცდა სიტყვების სინონიმებად დაჯგუფებისა და ქართულ სინონიმთა შესწავლაც ამ დიდი ლექსიკოგრაფის ნაშრომით იღებს სათავეს (56, 9). საბას ლექსიკონში სიტყვები გაერთიანებულია გარკვეული ნიშნის მიხედვით. იგი თავს უყრის საერთო სემანტიკური ველის, თემატური ჯგუფის ან სინონიმური რიგის სიტყვებს. „ასეთი კლასიფიკაცია ნაკარნახევია ლექსიკოგრაფის ენობრივი ალდოთი და არა რომელიმე ლინგვისტურ მოძღვრებაზე დაყრდნობით, ან მისი გავლენით“ (13, 30). სინონიმური რიგის თავში გამოიყოფა დომინანტი ერთეული, რომელიც საბასთვის ზოგადაბსტრაქტული, მთელი სინონიმური რიგისათვის საერთო მნიშვნელობით, ემოციური და სტილისტური ელფერის ნეიტრალურობით, გამოყენების მეტი სიხშირით ხასიათდება (56, 8). „სიტყვის კონაში“ სინონიმური რიგების გარდა წყვილებიც არის წარმოდგენილი, რომლებსაც ქმნის ან სალიტერატურო ენაში არსებული ორი სიტყვა, ან სალიტერატურო სიტყვა და სხვა ენიდან ნასესხები ერთეული, ან კიდევ ორი სხვადასხვა დიალექტური ოდენობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბას ლექსიკურ სინონიმთა შესახებ რაიმე

სპეციალური თეორიული დებულება არ ჩამოუყალიბებია. ლექსიკონში წარმოდგენილი სინონიმური წყვილები მხოლოდ პრაქტიკული მიზნით გამოიყენება და სალექსიკონო ერთეულების განმარტება-დაზუსტებას ემსახურება (56, 8).

სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებზე პირველი დაკვირვება 6. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მანვე მიუთითა სინონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროზე, რომელსაც ქმნის განსხვავება სალიტერატურო ენასა და დიალექტურ მეტყველებას შორის: „ტიტველი და შიშველი არიან სინონიმი... ტიტველი იხმარება საუბრის ენასა შინა, ხოლო შიშველი – წერასა შინა“ (92, 22; 99).

ქართულ სინონიმთა სემანტიკურ ბუნებაზე პირველი დაკვირვებანი ხდება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. ამ მხრივ საინტერესოა პ. კვიცარიძის მოსაზრება ქართულ სინონიმთა რელატიურ ბუნებაზე (36), ასევე, ს. ხუნდაძის მსჯელობა (102), თუმცა დღევანდელი ლინგვისტური შეხედულებებით მცდარი, მაგრამ იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესული.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ენათმეცნიერებაში სინონიმის ცალკეული საკითხები გამოვლენილი და გაშუქებულია ნ. მარის, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას შრომებში.

ლექსიკური სინონიმის თეორიული საკითხების მეცნიერულად შესწავლას ეძღვნება შ. ძიძიგურის შრომები: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“ (94) და „სიტყვის სესხება“ (95). ამ ნაშრომებში საგანგებო მსჯელობაა სინონიმთა წარმოქმნის გზებსა და მეთოდებზე. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც სინონიმურ წყვილებს ქმნიან მსესხებელი ენის ერთეულებთან მიმართებაში.

1951 წელს კი გამოიცა ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, რომელსაც მოჰყვა 1961 წელს მეორე და 1978 წელს მესამე გამოცემა. ლექსიკონის აგების პრინციპს მრავალი ხარვეზი და არაერთგვაროვნება ახლდა თან, რაც არაერთხელ აღინიშნა: (37; 206-209; 38, 195-197; 106, 253-263). ლექსიკონის შესავალ ნაწილში მსჯელობაა ენაში სინონიმთა წარმოშობის გზებზე, სინონიმებთან დაკავშირებულ ცალკეულ თეორიულ საკითხებზე და კლასიფიკაციის პრინციპებზე. წინასიტყვაობაში ფაქტობრივად განსაზღვრულია ის სტრუქტურული თავისებურებანი, რაც ლექსიკონის აგების პრინციპს უდევს საფუძვლად. ლექსიკონში სიტყვები დაჯგუფებულია აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმებად,

მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, არ ჩანს სემანტიკურ მოცულობათა როგორი ტოლობა ან ნიუანსობრივი სხვაობა არის საკმარისი მათ განსასხვავებლად (56, 22).

შემდგომი პერიოდის ქართულ მეცნიერებაში სინონიმის საკითხებისადმი ინტერესი თანდათან დვივდება. სინონიმის პრობლემებს მიეძღვნა ბ. ფოჩხუას, ალ. დლონგის, ზ. ჭუმბურიძის, ელ. ბაბუნაშვილის, რ. ლამბაშიძის, ბ. ჯორბენაძის, ც. კიკვიძის, კ. დანელიას, კ. ჯორჯანელის, შ. აფრიდონიძის, მ. აბალაკის, თ. ბოლქვაძის, რ. გერსამიას და სხვათა შრომები.

სალიტერატურო ენაში ლექსიკური სინონიმის საკითხებია გაანალიზებული ჯ. სილაგაძის მონოგრაფიაში „ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკა“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს სინონიმის საკვანძო საკითხებს მველი და ახალი ქართული ენის ძეგლებიდან მოხმობილ საილუსტრაციო მასალებზე დაყრდნობით.

ამ უკანასკნელ პერიოდში გამოიცა კ. ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“, რომლის შესავალ ნაწილში გარკვეული ადგილი ეთმობა სინონიმთა თეორიულ საკითხებზე მსჯელობას. კრიტიკულადაა შეფასებული აბსოლუტური სინონიმის პრობლემა. ლექსიკონში ვრცლად არის წარმოდგენილი ახალ ქართულ ენაში არსებული სინონიმური სიტყვები (107).

მველი ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში სინონიმთა გამოვლენის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელშიაც ფაქტობრივად თავმოყრილია პარალელური რედაქციებიდან დამოწმებული განმარტებისათვის მოხმობილი დოკუმენტაცია. უმრავლეს შემთხვევაში განსამარტავი სიტყვის მნიშვნელობა პარალელურ რედაქციათა სინონიმური ლექსიკითაა დადგენილი. რადგან განსამარტავი სიტყვისათვის ავტორი ჩვეულებრივ მასალას მრავალი წყაროდან იმოწმებს, ხოლო თითოეული წყარო უმეტესად რამდენიმე რედაქციითაა წარმოდგენილი, ამიტომ განსამარტავი სიტყვის გვერდით ხშირად თავს იყრის რამდენიმე სიტყვა. მათგან ზოგი განსამარტავი სიტყვის სინონიმია (6, 06).

12. პრობლემის არსი. უველა ენობრივი მოვლენა, როგორც ცნობილია, ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს (157, 106; 120, 206; 85, 96; 90, 226; 114, 61...) და მისი შემადგენელი ელემენტების მოწესრიგებულობით ხასიათდება.

ენის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თვისებად ითვლება იერარქიულობა, რომელიც მთელ ენობრივ სისტემას მოიცავს (156, 62; 134, 73). იერარქიულობა კი გულისხმობს ენობრივი სისტემის ქვესისტემებად დაყოფას. ერთ-ერთი ასეთი სისტემაა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა (123, 186). ლექსიკურ-სემანტიკური სისტემაც, თავის მხრივ, დამოუკიდებელ ქვესისტემებად ნაწევრდება და მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სინონიმური ქვესისტემა წარმოადგენს (1, 54) სინონიმები ხასიათდება ერთი კატეგორიის ნიშნებს შორის ურთიერთმიმართებით, რომელიც გულისხმობს ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ერთზე მეტი ერთეულით გამოხატვის შესაძლებლობას და „წარმოქმნის მეტ-ნაკლებად ერთმანეთზე დამოკიდებული ენობრივი გამოხატულების სინონიმურ საშუალებათა რთულ სისტემას“ (167, 121).

სინონიმია ყველა ენაში არსებობს, ამდენად, იგი უნივერსალურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება.

სინონიმია ენობრივ ნიშანთან კავშირში განიხილება. ენობრივ ნიშანს კი ახასიათებს ასიმეტრიული დუალიზმი, ანუ ნიშნისა და მნიშვნელობის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა (რაც ომონიმია) და ერთი მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ნიშნით (ეს სინონიმია). მაშასადამე, ომონიმის შემთხვევაში განმსაზღვრელია გამოხატულება, ხოლო სინონიმის შემთხვევაში კი შინაარსი (15, 366). სინონიმია აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის არსებული მიმართების ერთ-ერთი სახეა (47, 31) და არა საგანსა და სახელს შორის მიმართებისა, რადგანაც „ენობრივი ნიშანი აერთიანებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და მის აკუსტიკურ ხატს“ (157, 99)¹.

სინონიმის შესწავლის ისტორია ორ საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს, მაგრამ ენათმეცნიერებს მაინც არ აქვთ შემუშავებული სინონიმთა განსაზღვრების ერთიანი მეთოდი. მათი დებულებები ძირითადად განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ „ლექსიკური ერთეულების რა ნიშანთა შედარებაა აღებული კრიტერიუმად

¹ მარტივია ვითარება, როცა ერთ აღსანიშნეს ერთი აღმნიშვნელი ეფარდება, ამგვარი „ცალსახა მიმართება“ იდეალურად ითვლება, რადგან ხშირად სხვადასხვა აღმნიშვნელით ერთი და იგივე მნიშვნელობა გამოიხატება, ან პირიქით, სხვადასხვა მნიშვნელობას ერთი აღმნიშვნელი აქვს. პირველი „სინონიმის“ სახელით არის ცნობილი, მეორე - „ომონიმის“.

სინონიმების დასადგენად“ (56, 23). თანამედროვე ლინგვისტთა განსაზღვრებები სინონიმების შესახებ სხვადასხვაგვარია და ერთგვაროვნებით არ ხასიათდება. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

1. სინონიმები იდენტური ან მხგავსი ცნების აღმნიშვნელი სიტყვებია (ო. ახმანოვა, ვ. ვინოგრაძოვი, ა. გრიგორიევა, ა. ევგენიევა...).
2. სინონიმები სინამდვილის ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშნავენ, ან გამოყოფებასახელებული საგნის სხვადასხვა მხარეს (ა. რეფორმატსკი, ნ. შანსკი...).
3. სინონიმების სახელწოდებას ატარებენ სიტყვები, რომელთაც შეხერხვთ უნარი აზრობრივად დაახლოებულ კონტექსტებში შეცვალონ ერთმანეთი შესამჩნევი განსხვავების გარეშე (ა. ბულახოვსკი, ლ. კლიუევა და სხვ.).
4. სინონიმების განსაზღვრების მთავარ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს სემანტიკური სიახლოებები და ურთიერთმონაცვლებები, რომელიც განახვავების მას ენის სისტემის სხვა ლექსიკური მოვლენებისაგან (გ. გალავანოვა).
5. სინონიმები იმგვარი სიტყვებია, რომლებიც ენაცვლებიან მინიმალურ დისტრიბუციულ მოდელში (ე. ი. სინტაქტიკი, უმოკლეს შესიტყვებაში) (ვ. ზვეგინცევი, ი. აპრესიანი...).
6. ლექსიკური სინონიმები ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსებია, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობებს საკმარისად დიდი საერთო ნაწილი აქვთ; ისინი მხგავსი ან იდენტური სემანტებით აღიწერება (ო. გამყრელიძე).
7. სინონიმები ისეთი სიტყვებია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან რეფერენციალური მნიშვნელობებით, მაგრამ განსხვავდებიან დიფერენციალური მნიშვნელობებით, ე. ი. კონცეპტუალური თვალსაზრისით (გ. ნებიერიძე).

ზემოდასახელებულ განმარტებათაგან პირველ ორ შემთხვევაში სინონიმის განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია საგნობრივ-ცნებითი ფაქტორი. მაგრამ პრაქტიკულად მისი რეალიზაცია რთულდება იმით, რომ „ცნება, შედის რა ენობრივი სტრუქტურის შემადგენელ ელემენტია სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში, უკვე ადარ წარმოადგენს ლოგიკურ კატეგორიას და იქცევა ლინგვისტურ მოვლენად“ (131, 343). ამდენად, სიტყვის მნიშვნელობა და ცნება იგივეობრივი არ არის. ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს შესაბამის სიტყვებს, არ ამოწურავს სიტყვის მნიშვნელობის შინაარსს (2, 16). მ. აბალაკის თვალსაზრისით, ბებერი და დაჩაჩანაკუბული სინონიმებად ვერ ჩაითვლებიან, რადგანაც ამ სიტყვებს

საფუძვლად სხვადასხვა ცნებები უდევს. ბეჭერი ასაკზე მიუთითებს, დაჩაჩანაკებული კი ფიზიკურ მდგომარეობაზე (2, 16-18).

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ სიტყვათა სინონიმურობის დასადგენად მარტო საგნობრივ-ცნებითი ფაქტორი არ კმარა. შესადარებლად აღებული ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვები მსგავსი უნდა იყოს ნომინაციური ფუნქციით, ანუ დენოტატიური მნიშვნელობის მიხედვით (110, 85). ამიტომაც იმ სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობის ასახსნელად და დასაზუსტებლად, რომელიც იდენტურ სიტყვებში არსებობს, ხშირად მიმართავენ კონტექსტს და მკვლევართა ერთი ნაწილი მას სინონიმურობის დადგენის ერთ-ერთ სანდო კრიტერიუმად მიიჩნევს (ა. ბულახოვსკი, ლ. კლიუევა...). ლინგვისტიკაში ამგვარ მეთოდს „სუბსტიტუციურს“ უწოდებენ.² ბ. ფოჩხუა შენიშნავს: კონტექსტი მხოლოდ ლექსიკური სინტაგმატიკის ფაქტია და „ლექსიკური სინტაგმატიკის რესურსებით სინონიმიის საკითხები ვერ წყდება“ (67, 32).

² ენათმეცნიერები ამ მეთოდით გამოყოფილ სინონიმებს აღნიშნავენ შემდეგი სახელწოდებებით: „თემატური სინონიმები“ (149, 65), „კონტექსტუალური სინონიმები“ (137, 5), „სტილისტიკური სინონიმები“ (119, 53). შანსკი აღნიშნავს, რომ კონტექსტუალური სინონიმები ამა თუ იმ სიტყვის ინდივიდუალურ-სტილისტიკურ გამოყენებას გულისხმობს (163, 67). ვ. ბოგუსლავსკი კონტექსტუალურ სინონიმებში ვრცლად განიხილავს სახე-გვაროვნულ სიტყვებს, ოკაზიონალურ სინონიმებს, ლოგიკურად შეპირობებულ კონტექსტუალურად მონაცვლე ერთეულებს, მუდმივ მეტაფორებს და აცხადებს: „არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ამგვარი სიტყვები განვიხილოთ როგორც სინონიმურნი“ (118, 154-183) ა. ევგენევას მითითებით, ზემოხამოთვლილი ტერმინების ქვეშ მოიაზრება არა სინონიმები, არამედ ვარიაციები (130, 12). ელიზე რიზელი მთელ პარაგრაფს უთმობს „კონტექსტუალურ სინონიმებს“, მაგრამ იგი ხაზს უსვამს ამ ტერმინის პირობითობას და მას წინწლებში ხმარობს (106, 262). კონტექსტუალური სინონიმების დაშვება რომ გამართლებული იყოს, პირველ რიგში ასეთებად ნაცვალსახელები უნდა მივიჩნიოთ. ნაცვალსახელები ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა. იგი მხოლოდ პირს, რიცხვს (და ზოგჯერ სქესს) აღნიშნავს და ენაცვლება ყველა შესაბამის პირს, რიცხვს და სქესს, ამიტომ ბულახოვსკის იგი საბაბს ამლევს მას „უნივერსალური სინონიმური სიტყვა“ უწოდოს (14, 45).

სინონიმები ერთმანეთისაგან განირჩევიან სტილისტიკურ-ექსპრესიული ელფერის მიხედვითაც; კონტექსტში ჩანაცვლების კრიტერიუმი აქ შეიძლება იქნას გამოყენებული ლექსემათა სინონიმურობის დასადგენად: მაგრამ ქართულში ტირის, იცრემლება, ჭვითინებს, სლუკუნებს სიტყვები, მიუხედავად მათი საგნობრივი ერთიანობისა, კონტექსტში „ანტონიმურიც“ კი შეიძლება აღმოჩნდეს (41, 108). გასათვალისწინებელია ი. აპრესიანის თვალსაზრისიც სინონიმთა კონტექსტში ჩანაცვლების შეზღუდულობაზე. იგი მიუთითებს, რომ „ურთიერთმონაცვლეობა არ წარმოადგენს საბოლოო კრიტერიუმს“ (111, 220). მკვლევარი უფრო რეალურად მიიჩნევს კონტექსტში სინონიმთა ნაწილობრივ ჩანაცვლებას და აცხადებს, რომ „ნაწილობრივი ურთიერთმონაცვლეობა ითვლება სინონიმების აუცილებელ თვისებად“ (111, 219).

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი სიტყვათა სინონიმურობის დადგენის ერთ-ერთ კრიტერიუმად ლექსიკურ ერთეულთა დისტრიბუციული მოდელების შედარებას მიიჩნევს.³ დისტრიბუციულ მოდელში სინონიმურ წყვილს შეიძლება ბევრი საერთო ლექსემა აღმოაჩნდეს, მაგრამ ბევრიც ამ მოდელის მიღმა დარჩება, რადგან შესაძლოა მან ვერ შეძლოს შესიტყვება წყვილთაგან რომელიმესთან. ქართულში შიშველი და ტიტველი სინონიმებია, რომელთაც ესიტყვება ახალგაზრდა, ბავშვი, კანი... მაგრამ როგორიცაა ისეთი სიტყვები: აზრი, იდეა, ფანტაზია, ხმალი უკავშირდება მხოლოდ „შიშველს“. „ტიტველი“ კი მსგავს ცნებებს ვერ ესიტყვება (56, 29). ამდენად, მხოლოდ დისტრიბუციულ მეთოდზე დაყრდნობით სინონიმურობის განმარტება ისევ ცალმხრივი რჩება. დისტრიბუცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სიტყვის მნიშვნელობა და სინონიმია, ამიტომ აღნიშნული მეთოდით კვლევა სცილდება სემასიოლოგიის ფარგლებს და სიტყვათა შორის მორფოლოგიურ და სინტაქსურ დამოკიდებულებათა სფეროში გადადის (56, 29).

გ. ნებიერიძე სვამს საკითხს, თუ სად გვხვდება სინონიმია, რეფერენციალურ თუ დიფერენციალურ მნიშვნელობათა დონეზე, მაგალითად: ატუნი და „ბაგჟ“ ერთ

³ ენობრივი თვალსაზრისით დისტრიბუცია ნიშნავს მოცემული ელემენტების პოზიციების მიმართებას სხვა ელემენტებთან. ეს კი გულისხმობს ყველა იმ პოზიციის გათვალისწინებას და ანალიზს, სადაც ეს ერთეულები სიტყვათშეერთებაში არიან მოცემული (56, 28).

რეფერენტს მიემართებიან, მაგრამ განსხვავდებიან დიფერენციალური მნიშვნელობით, სემანტიკური კომპონენტებით, სინტაგმაში არათანაბარი აზრობრივი შეკავშირებით, ფაქტობრივად დისტრიბუციული მოდელით. დასაშვებია „დოქტორული“, „ბაგჟა“ – ჩანაცვლება კი შეუძლებელია. დიფერენციალური მნიშვნელობა რეფერენტის სხვადასხვაგვარ დახასიათებას გულისხმობს (47, 226-227), „თვით რეფერენტის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა“ (5, 283).

სინონიმის კვლევის ზემოგანხილული მეთოდებიდან გამომდინარე და ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე მივიჩნევთ: სინონიმებად ითვლება მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთგულები ან მათი ეკვივალენტური მყარი შესიტყვებები, რომლებიც მიემართებიან ერთ ცნებას და აქვთ კონტაქტებში ნაწილობრივი ან სრული ურთიერთმონაცვლეობის უნარი. სინონიმების გამოყოფა კვუძნება დიფერენციალურ ნიშნებსაც, რომლებიც განარჩევს მათ ერთმანეთისაგან აზრობრივი (ინტელექტუალური), სტილისტური (ფორმალური), თუ ექსპრესიულ-გმოციური ნიშნის მიხედვით.

1.3. ლექსიკურ სინონიმთა კლასიფიკაცია. ლინგვისტურ ლიტერატურაში სინონიმ-თა სხვადასხვაგვრი კლასიფიკაცია არის წარმოდგენილი (ს. ბერეჟანი, რ. ბუდაგოვი, ლ. კლიუევა, მ. პალევსკაია და სხვ.). სემანტიკური ხასიათისა და სტილისტური ელფერის საფუძველზე ხდება სინონიმთა კლასიფიკაცია. გამოიყოფა შედარებით ზოგადი სამი ჯგუფი: 1. ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი (ცნებითი, იდეოგრაფიული) სინონიმები; 2. ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ი სინონიმები; 3. ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ – ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ი სინონიმები.

1. **სემანტიკური სინონიმები** სტილისტურად ნეიტრალური სინონიმებია, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთი და იმავე მნიშვნელობის ნიუანსთა დიფერენციაციასთან, (123, 69). სემანტიკური სინონიმები ერთმანეთისაგან ჰიპოსემებით განსხვავდება. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს განსხვავება აღსანიშნი ცნების მოცულობაში, თვისების გამოვლენის ხარისხში და სხვ. (15, 366). 2. **სტილისტური სინონიმები** ისეთი სიტყვებია, რომლებიც მნიშვნელობით იგივეობრივი არიან და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონტაციით – დადებითი ან უარყოფითი შეფასებით, ექსპრესიულ-ემოციური შინაარსით ან სტილისტური ელფერით (15, 336). 3. **სემანტიკურ-სტილისტური სინონიმები** – ეს არის სინონიმები,

რომლებიც ობიექტური სინამდვილის ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ და განსხვავდებიან არა მარტო სტილისტური ელფერით, არამედ თითოეული მათგანისათვის საერთო მნიშვნელობის ნიუანსებითაც. „ადამიანის აზრი ყოველთვის მერყეობს ლოგიკურ აღქმასა და ემოციებს შორის. ჩვენ ან შევიმუცნებთ ან შევიგრძნობთ. ყველაზე ხშირად ჩვენი აზრი ყალიბდება ერთდროულად ლოგიკური იდეისაგან და გრძნობისაგან... ეს თრი ელემენტი შეიძლება სრულიად განსხვავებული პროპორციებით გაერთიანდეს...“ (113, 182). შ. ბალის ამ გამონათქვამით აიხსნება სემანტიკურ-სტილისტური სინონიმების ბუნება.

მნიშვნელობათა სიახლოვის მიხედვით ქართველი ენათმეცნიერები სინონიმების ორ სახეობას გამოყოფენ: აბსოლუტურ და რელატიურს (ალ. ნეიმანი, ალ. ღლონტი) ან დუბლეტებს და კვაზისინონიმებს (ბ. ფოჩხუა, შ. აფრიდონიძე). რუსი მკვლევრები მათ სხვადასხვაგვარი სახელწოდებებით იხსენიებენ: სრული-ნაწილობრივი (ს. ბერეჟანი, რ. ბუდაგოვი), ჰუსტო, არაზუსტი სინონიმები, კვაზისინონიმები (ი. აპრესიანი) და ა. შ.

ქართულ სინონიმთა რელატიურ ბუნებაზე თავდაპირველად პ. პვიცარიძემ გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა: „თვითეულს სხვადასხვა ელფერი აქვს“ (36, 51). ამგვარ სინონიმთა აღსანიშნავად ბ. ფოჩხუა „კვაზისინონიმებს“ ხმარობს და მიუთითებს, რომ „მათი მნიშვნელობები ერთმანეთს არ ფარავს“ (67, 292). მკვლევარი სინონიმებად მიიჩნევს მნიშვნელობით იგივეობრივ ისეთ სიტყვებს, რომლებიც განსხვავდებიან ჭონოტაციის მიხედვით; ამაში იგულისხმება გრძნობითი ელფერი, მეტ-ნაკლები ექსპრესიულობა, გამოყენების სფერო (ფუნქციური სტილი) და ა. შ. (68, 293).

ექსპრესიულ-ემოციური მომენტი საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის გარეთ არსებობს (132, 167; 110, 66). არნ. ჩიქობავას მითითებით, ის „სუბიექტური დანართია ობიექტური მომენტისა, რომელსაც მნიშვნელობა წარმოადგენს, დანართი და არა შემადგენელი ნაწილი“ (90, 219). ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ექსპრესიულ-ემოციური ელემენტი ლექსიკურ მნიშვნელობაში მუდმივად შედის. ალ. ნეიმანი ემოციას სინონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმადაც კი თვლის (49, V). ექსპრესია-ემოცია, ანუ გრძნობითი იერი, მეტყველის საგნისადმი დამოკიდებულებით წარმოიშობა, ე. ი. სუბიექტური მომენტია, მნიშვნელობა კი საგნობრივ-ლოგიკურ შინაარსს გულისხმობს და ობიექტურია. ზვეგინცევის

მითითებით, სწორედ საგნობრივ-ლოგიკური მომენტი არის ამოსავალი სიტყვათა სინონიმებად მიჩნევისა, ხოლო ექსპრესიულ-ემოციური ელემენტი მეორეულია (131, 175).

ს. ბერეჯანი აღნიშნავს, რომ კვაზისინონიმთა (მისი ტერმინით: ნაწილობრივ სინონიმთა) არსებობის საფუძველია ის განსხვავებები, რომელიც მათ სემანტიკურ მოცულობაში არსებობს (115, 55) ასეთი სხვაობები საფუძვლად უდევს სინონიმური რიგების აგებას. თვით სემანტიკურ მოცულობათა დადგენა კი შესაძლებელია მხოლოდ სემანტიკური ანალიზის – ლექსემების სემებად დაშლის საფუძველზე. ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომელიც სინონიმთა განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად, მათი მნიშვნელობის მსგავსებასთან ერთად, განსხვავებებს არ მიიჩნევს, რადგან საკითხის ამგვარი დასმა აბსოლუტური სინონიმების უარყოფამდე მიღის (9, 20). იბადება კითხვა: არის თუ არა ენაში ლექსიკური დუბლეტები, ანუ ე.წ. „აბსოლუტური სინონიმები“?

1.3.1. აბსოლუტური სინონიმის საკითხი. „აბსოლუტურ სინონიმებთან“ მიმართებით ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მოვიყვანთ „აბსოლუტური სინონიმის“ რამდენიმე განმარტებას: „სემანტიკურად იდენტური ლექსემები, რომლებიც თავისი არსით ნომინატიურია და განეკუთვნებიან მკაცრად განსაზღვრულ სტილს, აბსოლუტური სინონიმებია“ (138, 121); „იმგვარ სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონტექსტუალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინონიმებს ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან. აქ სინონიმურ წყვილთა მნიშვნელობა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს ანუ ნულოვანი ოპოზიცია ახასიათებს“ (74, 37).

რუსულ ლინგვისტიკაში „აბსოლუტური სინონიმების“ გვერდით გვხდება ტერმინები: „იგივეობრივი“, „სრული“, „ზუსტი ექვივალენტი“... ქართულ ენათმეცნიერებაში აბსოლუტური სინონიმები ჯერ კიდევ ს. ხუნდაძემ გამოყო და აღნიშნა, რომ ამგვარ სინონიმებს შორის „მნიშვნელობით სრულიად არავითარი განსხვავება არ არის“ (102, 178). მათ არსებობას იზიარებს ე. ბაბუნაშვილი (9, 20). ალ. დლონტის მითითებით, იგი მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობს ენაში (76, 293). ბ. ფოჩხუას თვალსაზრისით, „კვაზისინონიმიასა და აბსოლუტურ სინონიმიას შორის თავსდება სიტყვათა სინონიმური გამოყენების ყველა შემთხვევა“ (68, 293). რ. ლამბაშიძის აზრით, აბსოლუტური შეიძლება იყოს მხოლოდ ლექსიკური

დუბლეტები – ტერმინებში არსებული სინონიმური მიმართება, ვინაიდან ისინი იდენტურ მნიშვნელობებს აღნიშნავენ (74, 37).

ენაში აბსოლუტური სინონიმების არსებობას უარყოფდნენ ჯერ კიდევ ბერძენი სწავლულები. მაგალითად, კვინტილიანე ამბობდა: „ერთი და იმავე საგნისათვის ჩვენ სხვადასხვა სახელწოდებას ვხმარობთ, მაგრამ ლრმა გამოკვლევის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ყოველ ამ სახელწოდებას თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს“⁴. აღნიშნული თვალსაზრისის მომხრეა XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებელი დალამბერი, რომლის თვალსაზრისით: ენაში არ არის ორი სიტყვა, რომლებიც შეიძლება სინონიმებად ჩავთვალოთ ამ ცნების სრული გაგებით, ე. ი. ისეთები, რომელთა ურთიერთმონაცვლეობა ყველა შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სიტყვის მნიშვნელობის შეუცვლელად (153, 149); ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ციცერონიც: „თუმცა ისე გვეჩვენება, თოთქოს სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ როგორც საგნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისე მათი სახელებიც განირჩევიან“ (149, 19).

ზემოგამოთქმული თვალსაზრისის მომხრეა არნ. ჩიქობავაც, რომელიც მიუთითებს, რომ ენაში სავსებით მსგავსი სიტყვები არ არსებობენ: „ან აღსანიშნი საგნის სხვადასხვა მომენტია, სინონიმებს რომ განასხვავებს, ანდა თვალსაზრისი, რომელიც მოლაპარაკის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი ახასიათებს, ანდა გრძნობითი იერი, რომელსაც სინონიმური სიტყვა იწვევს, ანდა კიდევ დიალექტური სხვაობა სინონიმური სიტყვებისა“ (89, 183).

რუს ენათმეცნიერთა შორის აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებენ პალევსკაია, რეფორმატსკი, ზვეგინცევი, პავლოვ-შიგინი და სხვ. პავლოვ-შიგინი წერს: „ენაში არ არის ორი ან რამდენიმე სიტყვა, რომელიც სრულიად ერთსა და იმავეს აღნიშნავენ“ (147, 1).

ფ. დე სოსიურის მოძღვრებით, თუ ენობრივი ნიშნის არსი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ერთიანობით განისაზღვრება, იმავე ნიშნის „დირებულება“ სისტემის სხვა წევრებთან მიმართებით კლასიფიცირდება (157, 147-148). „ენა ნიშანთა სისტემაა“ და ამ სისტემაში ელემენტები ამყარებენ ერთმანეთთან მიმართებას: ლექსიკური ლექსემების ანალიზი უნდა მოხდეს სხვა ლექსემებთან მიმართებაში.

⁴ ციტატას ვიმოწმებთ კ. ჯორჯანელის სტატიიდან „სინონიმთა საკითხისათვის“ (106, 253).

სემანტიკურ იგივეობაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, თუ ისინი ექვივალენტურნი აღმოჩნდებიან ფუნქციონალურ დონეზეც. ფუნქციონალურ მიმართებათა დასადგენად კი აუცილებელია სინტაგმაში აზრობრივი შეკავშირებისა და დერივაციული რიგის გათვალისწინება (161, 79).

აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, გ. მაჭავარიანი სალიტერატურო ქართულში პაპა/ბაბუას აბსოლუტურ სინონიმებად არ მიიჩნევს, რადგან ისინი სინტაგმატური და კომბინატორული ანალიზის დონეზე ექვივალენტურნი არ არიან; დასაშვებია: მამა-პაპა, პაპანაქება სიცხვა, მაგრამ დასახელებულ კომბინაციაში პაპა-ბაბუა ამ სიტყვათა ჩანაცვლება შეუძლებელია. მეორე მხრივ, მიღებულია ბაბუაწვერა (44, 127). მკვლევარი ითვალისწინებს სინონიმთა დიალექტურ წარმომავლობასაც და მათ შორის განმასხვავებლად მიიჩნევს გარეენობრივ (ექსტრალინგვისტურ) კონტაქტებსაც (44, 127)⁵.

ენაში აბსოლუტური სინონიმების არსებობას უჯველეშ აყენებს კ. ჯორჯანელიც. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს აბსოლუტურ სინონიმებად მიჩნეულ უცხოურ ტერმინებსა და მათ შესატყვის ქართულ ოდენობებზე, ისეთებზე როგორიცაა: ცდა-ექსპერიმენტი, ნაკლი-დეფექტი, ტრანსპორტი-გადაზიდვა... და მიუთითებს, რომ აღნიშნული უცხოური სიტყვები უპირატესად იხმარება სამწერლობო ენაში, ანდა გვხვდება სპეციალურ ტერმინებსა და ინტელიგენტების მეტყველებაში. ამდენად, სინონიმურ სიტყვებს შორის განსხვავება სტილისტურია: ცდა უფრო სასაუბრო მეტყველებაში იხმარება. სტილისტურ კურიოზს მივიღებთ, თუ ვიტყვით „ექსპერიმენტი ბედის მონახვერეა“. ავტორს მიაჩნია, რომ „სინონიმურ სიტყვათქმებს შორის მუდამ არსებობს მეტ-ნაკლები სხვაობა, სწორედ ეს განსხვავება ანიჭებს სინონიმური მწერივის ყოველ სიტყვას ინდივიდუალურობას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ორიგინალურობას“ (106, 255-259).

ზემოგამოთქმული თვალსაზრისის მომხრეა შ. აფრიდონიძეც. იგი მიუთითებს, რომ ტერმინთა ჩანაცვლება შეიძლება გამოდგეს აბსოლუტური სინონიმის

⁵ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ სინონიმთა განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშან-თვისებას ხმარების მეტ-ნაკლები სიხშირე წარმოადგენს (67, 268). ამიტომ შესაძლოა რომელიმე აღმოსავლურ, მაგალითად, კახურ დიალექტზე მეტყველმა მეტი სიხშირით გამოიყენოს „პაპა“, ვიდრე „ბაბუა“.

დასადგენად, მაგრამ იგი არასაკმარისია, რადგან სხვაობა თავს იჩენს სიტყვათა შეკავშირებისას (5, 285). სინონიმურ წყვილში შემავალი წევრები განსხვავდება დერივაციითაც (161, 285).

დიალექტური სინონიმური წყვილების განხილვის შედეგად რ. გერსამია მიუთითებს, რომ მეგრულში დიალექტურ საფუძველზე შექმნილ ზოგიერთ სინონიმურ ერთეულს მოტივად უდევს სხვადასხვა სახელდების პრინციპი. მაგალითად: დანდარა-კიდაჭი „ბაღლინჯო“. კიდაჭი, რომელიც სენაკური დიალექტის კუთვნილებაა, ეტიმოლოგიურად „კედლის ჭიას“ უკავშირდება, ხოლო დანდარა ლექსემის ამოსავლად მიჩნეულია დანდა „ღობე“. ეს ლექსემა ზუგდიდურ დიალექტში გვხვდება (16, 16). ამდენად, კ. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ გასამიჯნავად აღნიშნული მეთოდიც გასათვალისწინებელია, როცა ტერიტორიულ დუბლეტებს განვიხილავთ.

ზ. ჭუმბურიძეს მოჰყავს სინონიმური მნიშვნელობის ტოლ-შერწყმული კომპოზიტები, როგორიცაა: სინდის-ნამუსი, დარიბ-ლატაკი, ადათ-წესი, სვე-ბედი, ბედ-იდბალი... და მეცნიერი აღნიშნავს, რომ ისინი თავისუფლად ერთმანეთს ვერ ენაცვლებიან: „ჭკუას ვასწავლი“ შესიტყვებაში „ჭკუის“ „გონებით“ შეცვლა მიუღებელია (99, 152).

ბ. ჯორბეგნაძის მითითებით, ხვეწნა-მუდარა, ზიზლი-სიძულვილი, მხევი-ნადირი და ა. შ. ერთმანეთის მიმართ სინონიმურია, მაგრამ აბსოლუტურ სინონიმებს არ წარმოადგენენ, რადგან მათგან ნაწარმოები ზმნები სემანტიკურად განირჩევიან ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც, ზოგჯერ დაპირისპირებულიც კი არიან (104, 200-218).

ამდენად, აბსოლუტური სინონიმები შეიძლება გაიმიჯნოს შემდეგი კრიტერიუმებით: 1. სინონიმებად აღებული წყვილის წევრები ნომინატიური უნდა იყვნენ მნიშვნელობით და პოლისემიურობით არ უნდა ხასიათდებოდნენ; 2. ისინი არ უნდა განსხვავდებოდნენ აზრობრივი ნიუანსებით, მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერით; 3. არ უნდა იყვნენ შეფერილნი ემოციური ნიშნით; 4. უნდა განეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ფუნქციურ სტილს; 5. მათ უნდა შესწევდეთ სიტყვებთან შესამების თანაბარი შესაძლებლობა, ანუ დისტრიბუციის უნარი; 6. უნდა გააჩნდეთ თანაბარი სადერივაციო შესაძლებლობები და რომელიმე მათგანი არ უნდა ავლენდეს სადერივაციო (საწარმოქმნო) ხარვეზს; 7. განსხვავებამ არ უნდა იჩინოს თავი

მსგავს ლექსემათა სახელდების პრინციპში... თუ ზემოდასახელებულ კრიტერიუმებს მოვიმარჯვებთ სინონიმთა განსასხვავებლად, ჩვენი მასალის გათვალისწინებით, აბსოლუტური სინონიმის საკითხი ძველ ქართულ ენაში ეჭვება დადგება, ან საერთოდ მოიხსნება.

1.4. სიტყვათველი და სინონიმური რიგის სტრუქტურა. ლექსიკურ-სემანტიკური კავშირების ბუნების შესახებ მეცნიერთა მრავალგვარი მოსაზრება არსებობს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ტრირის „სემანტიკური ველის“ თეორია. ამ თეორიის მიხედვით ენობრივ ნიშანთა სფერო შინაგანად ორგანიზებული სისტემური ბუნებისაა და მათი სეგმენტაცია ანუ დანაწევრება ხდება მრავალ განზომილებაში, ხოლო თითოეული მათგანი ცალკეულ სტრუქტურას – ველს ქმნის. „სემანტიკური ველი“ გამოეყოფა ენის მთელ ლექსიკას და თავის მხრივ იყოფა სიტყვებად. მაშასადამე, ავტორი იერარქიულ დაყოფას უშვებს: სიტყვათველი – მთელი ლექსიკა (171, 430). ამდენად, ლექსიკურ-სემანტიკურ ველს ახასიათებს მასში შემავალ ელემენტთა იერარქია და მისი თავდაპირველი პლავა მხოლოდ სინქრონიული მოცულობით შემოიფარგლება (93, 12).

„სემანტიკური ველის“ მეორე თეორეტიკოსი ლ. ვაისგენბერგი მიიჩნევს, რომ ყოველი ენა, დედა ენა (mutter-sprache) შეიძლება გაიგივდეს სოსიურის ლანგუაჟთან. დედა ენაში სრულად ჩანს ენისა და ენობრივი კოლექტივის კავშირი. ენის სემანტიკური კვლევისას მთელი სიგრძე-სიგანით უნდა იქნას გათვალისწინებული სტრუქტურულობისა და იმანენტურობის პოსტულატები. იმანენტურობის არსი გულისხმობს არა ექსტრალინგვისტური, გარეუნობრივი, არამედ ენობრივი კრიტერიუმების გამოყენებას (13, 30).

მაშასადამე, ენის შინაარსეული სფერო შედგება არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამისაგან, არამედ დანაწევრებული ურთიერთდამოკიდებულებისაგან.

ქართულ სინამდვილეში საგანთა წვდომის ამ წესს, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა, ინტუიციით მიაგნო სულხან-საბა ორბელიანმა (51, 62-64). სულხან-საბა ლექსიკონში თავს უყრის საერთო სემანტიკური ველის, სინონიმური რიგის ან ერთი თემატური ჯგუფის სიტყვებს და ამგვარი კლასიფიკაცია ლექსიკოგრაფის ენობრივი ალლოთია ნაკარნახევი და არა რომელიმე ლინგვისტურ მოძღვრებაზე დაყრდნობით ან გავლენით (13, 30).

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის მქონე სიტყვებს ხან ველს, ხან თემატურ ჯგუფს, ხანაც სინონიმურ რიგს უწოდებენ. რეალურად კი ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათვის საერთო ისაა, რომ თითოეული ჯგუფი მთლიანია და ადვილად გამოიყოფა ენის დანარჩენი ლექსიკისაგან, ხოლო მასში შემავალ ელემენტებს აერთიანებს საერთო საგნობრივ-ცნებობრივი თანაფარდობა (93, 178). ველი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სინონიმური რიგი. სინონიმური რიგით აღინიშნება „ლინეალური სტრუქტურის ერთხაზოვანი ვარიანტი, რომელშიც მიმართება სიტყვა – იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ყველა ელემენტს შორის სინონიმურია“ (93, 132-136). მაშასადამე, სინონიმურ რიგში შემავალ ერთეულთა თავმოყრის საფუძველია, როგორც იდენტური, ასევე დიფერენციალური ნიშნები, რომლებიც ლექსემათა მნიშვნელობის სეგმენტაციის დროს მიიღება.⁶ ეს ნიშნები ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურით არის განპირობებული (122, 29).

ლექსემათა დიფერენციალურ ნიშნებად⁷ დაშლა კომპონენტური ანუ სემანტიკური ანალიზის პრინციპს ეყრდნობა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია სინონიმური რიგის თითოეული სიტყვის მნიშვნელობა განვიხილოთ, როგორც მინიმალური სემანტიკური კომპონენტის ერთიანობა (160, 6). დიფერენციალურ ნიშანს ქმნის მნიშვნელობათა ელფერები, ექსპრესიულობა, სტილისტური ელფერი, სიტყვათწარმოების განსხვავებული უნარი, სიტყვის წარმოშობის ისტორია და სხვ. მაშასადამე, დიფერენციალური ნიშანი ანუ სინონიმთა დიფერენციალური კომპონენტი, ეს არის სინონიმთა შედარების შედეგად მიღებული ნაშთი.

6. ლინგვისტურ ლიტერატურაში მნიშვნელობის სეგმენტაციის შედეგად მიღებული ნიშნის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი იხმარება: დიფერენციალური ნიშანი (დ. შმელევი), მნიშვნელობის დიფერენციალური ელემენტი (კ. სმოლინა), სინონიმების დიფერენციალური კომპონენტი (სდგ) (მ. აბალაკი), სემები (ე. შენდელსი), კომპონენტური მნიშვნელობა (ვ. ჩერნიაკი) და სხვ. ჩვენს ნაშრომში უპირატესად ვიყენებთ ორ ტერმინს: დიფერენციალური ნიშანი; სინონიმების დიფერენციალური კომპონენტი.

7. ფ. დე სოსიურის მოძღვრების მიხედვით, ენის მთელი მექანიზმი ემყარება იდენტიფიკაციასა და დიფერენციაციას (147, 141).

დიფერენციალურ ნიშნებზე დამყარებით არის შესაძლებელი სიტყვის ინდივიდუალური კავშირის დადგენა, რომელიც სინონიმური რიგის შიგნით არსებობს. ლინგვისტიკაში ვხვდებით საწინააღმდეგო თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვითაც, „სინონიმების განსაზღვრებისას განსხვავებიდან ამოსვლა, ან თუნდაც იმის აღნიშვნა რომ სინონიმების მნიშვნელობათა განსხვავებები ისევე არსებითია, როგორც მათი მსგავსება, არ უნდა იყოს მართალი“ (9, 20-21). ჩვენი თვალსაზრისით, სწორედ დიფერენციალური ნიშნები ანიჭებს სინონიმური რიგის თითოეულ წევრს იმ ინდივიდუალურობას, რაც მათი ენაში არსებობის ერთადერთი და აუცილებელი პირობაა.

ლექსიკურ ერთეულთა იდენტიფიკაცია, მათი გაერთიანება ერთ სინონიმურ რიგში „ინტეგრალური სემანტიკური კომპონენტების“ საფუძველზე ხდება (160, 7). ეს ინტეგრალური კომპონენტი არის ფაქტობრივად ცნების ძირითადი ნიშანი, რომელიც სინონიმური რიგის ყველა წევრს მოეპოვება. მაშასადამე, სინონიმურ რიგში გამოიყოფა დომინანტური წევრი, რომელიც არ არის მარკირებული სტილისტურად, არ ახლავს რაიმე დამატებითი ემოციურ-ექსპრესიული ნიშანი და ეს ლექსემა განსაზღვრავს რიგში შემავალი თითოეული ლექსიკური ერთეულის ძირითად ხასიათს (152, 29; 139, VII).

სინონიმური რიგის სტრუქტურა შეიძლება დანაწევრდეს მის შიგნით მცირე ურთიერთგადამკვეთ მიკროსტრუქტურებად, რის შედეგადაც მიიღება მცირე კვაზისინონიმური რიგები, რომელთა ჩართვა, თავის მხრივ, დიდ ჯგუფში შეიძლება. არსებითად იქმნება თავისებური ბუნების იერარქიული ხე. იგი განსაკუთრებით ახასიათებს კვაზისინონიმთა ისეთ კლასს, რომელიც შეიცავს ნებისმიერი იერარქიული დონის გვაროვნულ ტერმინებს. მიკროსტრუქტურის გამოყოფის საფუძველია საერთო სახის განსაზღვრული დიფერენციალური ნიშნები. ყოველი ახალი სიტყვა სემათა დამატებით ან კლებით მიიღება, და შესაძლოა პარადიგმაში კიდურა წევრებს შორის მიმართება ანტონიმურიც კი აღმოჩნდეს (69, 20).

ბ. ფოჩხუა სინონიმური რიგის წევრების განხილვა-დახასიათებას მიზანშეწონილად თვლის სინონიმური წყვილების სახით⁸. მკვლევარი მიუთითებს, რომ მხოლოდ

⁸ კ. დანელიას მითითებით, „სინონიმური წყვილი“ გულისხმობს შემდეგს: შეიძლება, რომელიმე საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად რამდენიმე სინონიმური ერთეული იყოს

წყვილის წევრებს შორის შეიძლება დადასტურდეს ერთი ნიშნის ქონა-უქონლობა, „ამიტომაა მიზანშეწონილი სინონიმთა ჯგუფი განხილულ-დახასიათებულ იქნას არა ერთიანად, არამედ წყვილებად“ (67, 267).

წარმოდგენილ ნაშრომში სინონიმთა გამოყოფასა და განხილვას საფუძვლად უდევს სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპი (წყვილებად განხილვა), რომლის გამოყენება განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩენს სინონიმური რიგის თითოეული წევრის ინდივიდუალურ ბუნებას.

15. ლექსიკური სინონიმის საკითხი ძველ ქართულში. სალიტერატურო ენები ევოლუციას განიცდიან, ხოლო ქართული ენა ამ თვალსაზრისით კონსერვატიული ხასიათისაა, რადგან მას არ განუცდია ენათა შერევა, უცხოური ენის გავლენა იმ დონეზე, რომ ძირფესვიანად შეცვლილიყო სიტყვა-გამოთქმები (56, 52). მიუხედავად ამისა, ძველი ქართული და ახალი ქართული იმდენად განსხვავებული ენობრივი ოდენობებია, რომ მტკიცე საფუძველი მოგვეპოვება ისინი სალიტერატურო ენის საფეხურებად, განვითარების ეტაპებად მივიჩნიოთ (97, 47-50). ამ ეტაპების გამოყოფა უპირატესად ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ მარაგში მომხდარ ცვლილებებს ეფუძნება. მიუხედავად ამისა, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის განვითარების ისტორიაში გარკვეული პერიოდების გამოყოფა და ძველი ქართული ლექსიკურ-სინონიმური სისტემის არსებობა მხოლოდ პირობით შეიძლება დავუშვათ (56, 52), რადგანაც ძველი ქართული ლექსიკის უდიდესი ნაწილი დღესაც ცოცხალია და განაგრძობს არსებობას. ამ თვალსაზრისით, ქართული სამწერლობო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში ძნელდება რაიმე მიჯნის დადება.

მეორე მხრივ, სინონიმიას, როგორც ენობრივ მოვლენას, ლინგვისტური თვალსაზრისით განიხილავენ სინქრონიულ ასპექტში. ძველი ქართული ენა განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ამიტომ ძნელი გასარგვევია

გამოყენებული და ეს ერთეულები სხვადასხვა ადგილას იყოს ნახმარი. მათი აღნუსხვა და კლასიფიკაცია სხვა, ცალკე საკითხია. ხოლო სინონიმურ წყვილთა ცალები იხმარება ერთად და ერთ გარკვეულ კონტექსტში და, ჩვეულებრივ სტრიქონის (ტაქტის) ფარგლებს არ სცილდება (20, 472). ჩვენს შემთხვევაში „სინონიმურ წყვილებს“ განვიხილავთ როგორც მთლიან ტექსტში, აგრეთვე ერთი წინადაღების, ერთი კონტექსტის ფარგლებში.

სინონიმურ სიტყვათაგან რომელიმე მათგანი დროის რა მონაკვეთში იხმარება. იხმარებიან ისინი ერთი ეპოქის ფარგლებში თუ არა, როდის იწყება და როდის მთავრდება სინონიმურ სიტყვათა თანამშრომლობა (56, 54). ამდენად, სინონიმური რიგი არ არის მყარი ერთეული. ცვალებადობის პროცესები, როგორიცაა ენაში ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულთა დაკარგვა, მნიშვნელობის გადაწევა, ახალი მნიშვნელობის შეძენა, სიტყვის სესხება და ა. შ., გავლენას ახდენს საერთოდ სინონიმთა სისტემაზე და, ცხადია, სინონიმური რიგის სტრუქტურაზეც; ამიტომაც მიუთითებენ, რომ თოთოეულ ეპოქას სინონიმურ საშუალებათა განსაზღვრული სისტემა შეესაბამება (148, 99). მაშასადამე, ქართული ენის განვითარების ისეთ ორ საფეხურზე, როგორიც არის ძველი და ახალი ქართული, სინონიმური ლექსიკის განხილვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე (38, 194).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ძველ ქართულ ენაში ლექსიკურ სინონიმიასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მასალის საფუძველზე.

თავი II

სინონიმთა წარმოქმნის წყაროები ძველ ქართულში
(ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით)

როგორც ცნობილია, ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციას შეიცავს სამი ხელნაწერი, რომლებიც შატბერდის მონასტრიდან არიან გამოსულნი. არსებითად გვაქვს ორი რედაქცია, ერთი ადიშის—C (897 წ.), ხოლო მეორე ჯრუჭისა—D (936 წ.) და პარხლის—E (973 წ.). ამ ხელნაწერებში „საქმე გვაქვს ორ გარკვეულად განსხვავებულ რედაქციასთან, როგორც ლექსიკის თვალსაზრისით, ისე ფრაზის აგების მხრივ“ (80, 08). ჯრუჭ-პარხლის ტექსტი საფუძვლად დასდებია ჯერ ექვთიმე მთაწმიდლის, ხოლო შემდეგ გიორგი მთაწმიდლის მერმინდელ რედაქციებს. ამ უკანასკნელმა საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და იქცა ქართულ გულგატად. თავად ჯრუჭ-პარხლის ტექსტი წარმოადგენს პროტოგულგატას, რომელსაც მხარს უჭერს როგორც ადრინდელი ტექსტები: (სანმეტი ლექციონარი (VII ს.), ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი ნაწყვეტების ნაწილი, და ჰაემეტი ლექციონარის ნაწყვეტები), ისე მერმინდელი რედაქციები: ოპიზისა (913 წ.); ტბეთისა (988 წ.) და სხვ. (80, 09).

ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერები ერთ ტექსტს წარმოადგენენ, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებანიც მოიპოვება. ზოგ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი C-სთან არის: ხან D და ხან E, მაგრამ მოიპოვება ადგილებიც, სადაც სამივე შატბერდული ხელნაწერი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან; ეს კი მოწმობს, რომ ერთი იმ პუნქტთაგანი, სადაც ქართული ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი ყოფილა (80, 011). ა. შანიძე აღნიშნავს, რომ შატბერდული ოთხთავის ტექსტები, მართალია, IX-X საუკუნის ძეგლებს წარმოადგენენ, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით IV-V საუკუნის ძეგლებს განეკუთვნებიან, თუმცა კი ზოგიერთი რამ გასწორებულია მერმინდელი ნორმების მიხედვით. ეს ცვლილება ხანმეტობასა და ჰაემეტობას შექმნებია, ძირითადი მარაგი, უძველესი მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნების და არქაული ლექსიკისა ძეგლში კარგად არის დაცული. ამიტომ ქართული ენის ძეგლებს შორის ამ ქართულ ოთხთავებს უეჭველად უჭირავს „უპირველესი ადგილთაგანი“ (80, 012).

რაც შეეხება საკუთრივ ადიშის რედაქციას, იგი სრულიად ცალკე მდგომ ტექსტს წარმოადგენს. ივ. იმნაიშვილის აზრით, იგი შედგება „ძირითადი“ ტექსტისგან, რომელიც საკუთრივ ადიშის ტექსტს წარმოადგენს და „ჩანართი“ ნაწილისგან. საკუთრივ ადიშის ტექსტს სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს ძველ ოთხთავებს შორის, ხოლო „ჩანართი“ ნაწილი კ. წ. პროტოვულგატას მისდევს. (30, 219-232). მკვლევარს მოჰყავს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ადიშის ტექსტში დასტურდება და სხვა რედაქციებში არ გვხვდება ასეთებია: ფიზ., გხერძობენ, მედორენი, საყურძენი, მიმოდასტუანვიდა, მეოხეოთა, მივტონტმანებდი და სხვ. ადიშის ნუსხას ახასიათებს აგრეთვე სიტყვის ფორმათა ხმარების უფრო კონკრეტულობა, ხოლო ჯრუჭ-პარხლის ტექსტის ლექსიკა უფრო ზოგადი შინაარსის შემცველია. ასე, მაგალითად: საზეთო//ჭურჭელი; მწყემსი//მეღორე; ყრმა//წული და სხვ. (30, 194-205). ადიშის რედაქცია ხასიათდება მთელი რიგი ლექსიკური თავისებურებებით, რაც განარჩევს მას ჯრუჭ-პარხლის ტექსტისაგან და საერთოდ სახარების სხვა რედაქციებისაგან.

ადიშის ოთხთავის ბერძნულთან მიმართების საკითხს საგანგებოდ შეეხო ს. ყაუხეჩიშვილი. მან მიუთითა, რომ ადიშის ოთხთავში, რომელიც სახარების უძველეს ქართულ თარგმანს წარმოადგენს, შეიმჩნევა ტენდენცია ბერძნული ენისა და ელინური სამყაროს გავლენისა მთარგმნელზე (77, 93). მკვლევარს ამის დასტურად მოჰყავს სხვადასხვა არგუმენტი. ადიშის ტექსტში მოიპოვება რიგი ბერძნული ლექსემებისა: სანდალი, ლანკლა, პინაკი, კლიტა და ა. შ., რომლებიც უდავოდ მოწმობენ, რომ ადიშის ოთხთავის მთარგმნელი ბერძნული დედნის გავლენას განიცდიდა (77, 109). მკვლევარი მიუთითებს, რომ ადიშის რედაქციის ავტორს თვალწინ პქონდა ძირითადად ბერძნული დედანი (და არა რომელიმე სხვა). ამ ნიადაგზე აიხსნება ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც ქართულ თარგმანს ახასიათებს. მეორე მხრივ, როცა ადიშის ნუსხაში ნახმარია ისეთი გამოთქმა, რომელიც ოთხთავის სხვა ტექსტში არ იხმარება, ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი ბერძნული სიტყვა ან გამოთქმა გვიან საუკუნეებში უკვე აღარ ესმოდათ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ძველ საუკუნეებში პქონდა. მაშასადამე, „გვიანი საუკუნეების მთარგმნელებმა და რედაქტორებმა კარგად იცოდნენ ბერძნული სალიტერატურო ენა, ხოლო ცოცხალი ბერძნული სალაპარაკო ენა, მისი ძველი იდიომატიზმებით მათთვის უცნობი იყო. ადიშის რედაქციის ავტორი კი,

თვითონ უფრო ძველ საუკუნეში მცხოვრები და ხალხური ენის მცოდნე, უკეთ ერკვევა ამა თუ იმ სიტყვის სპეციფიკურ მნიშვნელობაში მოცემულ ადგილას და მის სხვა მნიშვნელობაში სხვა ადგილას“ (77, 111).

ელ. დოჩანაშვილმა გამოყო ადიშის ტექსტსა და სომხურ ხელნაწერებს შორის ტექსტობრივად შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვები. მეცნიერის მიერ დასახულებული ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსემები არა მხოლოდ ადიშის ხელნაწერში გვხვდება, არამედ სხვა წინარეათონურ და გიორგი მთაწმიდლის რედაქციებშიც დასტურდება. სომხურ ლექსიკურ ერთეულთა უდიდესი ნაწილი ქართულში ზეპირი გზით უნდა იყოს შემოსული და არა მწიგნობრულით.

ადიშის ოთხთავში გამოიყოფა ასევე ფენა, რომელიც მისი არქეტიპის შემდგომ რედაქტორს სომხურ ოთხთავთან შედარებით უნდა ჩაესწორებინა. სწორედ აქ გამოიყოფა არმენიზმები, რომლის საფუძველზეც მკვლევრები მიიჩნევენ ადიშის ოთხთავს სომხურიდან მომდინარედ. ელ. დოჩანაშვილი კი მიუთითებს, რომ ადიშის ნუსხაში წარმოდგენილი „არმენიზმები“ მხოლოდ ლექსიკური ჩასწორების შედეგია და არა რედაქციული ხასიათისა (25, 206).

ლექსიკური სახის სხვაობები, რომლებიც ვლინდება ოთხთავის პარალელურ ვერსიათა (DE – C) შეპირისპირებისას, „დაახლოებით 1000-ზე მეტია“ (25, 183). რედაქციათა დაპირისპირების დროს გამოვლენილი ლექსიკური წყვილების უმეტესი ნაწილი სინონიმურ მიმართებაში იმყოფება ერთმანეთთან. რადგან ადიშის რედაქციის მთარგმნელი უფრო უკეთ ერკვევა ამა თუ იმ სიტყვის სპეციფიკურ მნიშვნელობაში მოცემულ ადგილას, ამიტომ მასში გამოვლენილ სინონიმურ ლექსემებში უფრო მეტად იკვეთება სემანტიკური და სტილისტური დატვირთვის მქონე დიფერენციალური ნიშნები.

პარალელური ვერსიების მიხედვით გამოყოფილი სინონიმური რიგის სიტყვათა უმეტესი ნაწილი სხვა რედაქციებშიც იხმარება და ისინი ერთი რედაქციის ფარგლებშიც სინონიმებად ითვლებიან.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი ტექსტის ფარგლებში გვხვდება სინონიმურ წყვილთა ცალები სხვადასხვა ადგილზე და ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცალკეულ რედაქციებში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხმარება ლექსემები სინონიმური პარალელიზმის სახით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება საფუძველს იძლევა სახარების ტექსტში ყურადღება გავამახვილოთ სინონიმისა და პოლისემის ურთიერთმიმართების საკითხზე; სინონიმთა წარმოქმნის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა: სიტყვათწარმოება, სიტყვის სესხება, ტაბუ და უფლიშმი და სხვ.

2.1. პოლისემია და სინონიმია (პოლისემიურ ლექსემათა სინონიმური მწარივები).

სინონიმია და პოლისემია ორი სემანტიკური უნივერსალიაა, ანუ მსოფლიოს ყველა ენისათვის დამახასიათებელი და თითოეული ენის ფუნქციურ სტრუქტურაში ღრმად ფესვგადგმული კატეგორიებია (158, 267). ეს ორი ენობრივი მოვლენა, რომლებიც „მანამდე წარმოიქმნა, ვიდრე შეიქმნებოდა მეცნიერება სემასიოლოგია“ (159, 31), საპირისპიროა თავისი არსით. თუ სინონიმია გულისხმობს ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ნიშნით გამოხატვას, პოლისემის შემთხვევაში ერთი და იმავე ნიშნით სხვადასხვა მნიშვნელობები გადმოიცემა, ანუ „პოლისემიასთან მაშინ გვაქს საქმე, როდესაც ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენიმე კლასთან“ (66, 102).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სინონიმური კავშირები დამახასიათებელია პოლისემიური ლექსემებისათვის. ერთი მხრივ, პოლისემიურ ლექსემათა ცალკეულ მნიშვნელობათა გამიჯვნა ხდება სინონიმებთან შედარების გზით, მეორე მხრივ კი, ცალკეულ სინონიმურ რიგში ლექსიკურ ერთეულთა თავმოყრა დამოკიდებულია პოლისემიური ლექსემის ცალკეულ მნიშვნელობათა გამიჯვნაზე (160, 17). პოლისემიური სიტყვა ერთი მნიშვნელობით შეიძლება იყოს ერთ რიგში შესული სიტყვის სინონიმი, სხვა მნიშვნელობით კი იგი სხვა რიგში შესული სიტყვის სინონიმი აღმოჩნდება, ანუ პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობებიდან შეიძლება სხვადასხვა რიგის სინონიმები წარმოიქმნას. შედეგად ვიღებთ რთულ გადაჯაჭვულ კავშირებს, რომლებიც სიტყვათა დიდ რაოდენობას მოიცავს (1, 54-60; 69, 16-19; 129, 22).

მაშასადამე, სინონიმების შეპირისპირებისას მხედველობაში მიიღება დამთხვევა ან ნაწილობრივი დამთხვევა არა მთლიანად სიტყვათა მნიშვნელობებისა, არამედ „მათი აზრობრივი სტრუქტურის ელემენტებისა“ (116, 87; 126, 10-11; 121, 98; 122, 22; 150, 159), ანუ **ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტებისა** (ლსვ), რომლებიც შინაგანად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ქმნიან გარკვეულ სემანტიკურ მთლიანობას. ეს სემანტიკური მთლიანობა არის სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა,

რომელიც ლსვ-ების ნაკრებისაგან შედგება. ამრიგად, სინონიმების სემანტიკური სიახლოვე ვლინდება „მათი აზრობრივი შინაარსის დამთხვევაში“ (114, 225). ამიტომ, ნაშრომში სემანტიკური შეპირისპირების ერთეულად მიჩნეულია სიტყვის ცალკეული ლექსიკური მნიშვნელობა და სიტყვების სინონიმურობაც დაშვებულია მხოლოდ მათი ცალკეული მნიშვნელობების მსგავსების შემთხვევაში.

ქუეყანა – სოფელი:

განტდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა, გ. 9, 26 DEC.

ჰამბავი განტდა მისთვის ყოველსა მას გარემო ს ო ფ ლ ე ბ ს ა, ლ. 4, 14 DEC.

წარვიდა მიერ ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ერთსა, რომელ მახლობელ იყო უდაბნოსა ქალაქსა, ი. 11, 54 C;

წარვიდა მიერ ს ო ფ ე ლ ს ა, მახლობელად უდაბნოსა ქალაქსა, DE.


ქუეყანა პოლისემიური ლექსემაა, რომელიც რამდენიმე მნიშვნელობას, ანუ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს შეიცავს⁹: 1. „ქუეყანა ერთი არს ოთხთა კავშირთაგანი, წმელი და გრილი, მძიმე და უძრავი, არამყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებული ღმრთისაგან“, ანუ იგივე „მიწა, მიწა-წყალი“; 2. „მხარე“; 3. „ადგილ-მამული“; 4. „ნიადაგი, მიწის ზედაპირი“; 5. „ხმელეთი, ნაპირი“ (54; 92; 6; 33). **ქუეყანა** წარმოადგენს ყველა სიტყვის თარგმანს, რომელიც ზემოჩამოთვლილ მნიშვნელობებს შეიცავს ბერძნულ შიც (145; 168; 127). წარმოდგენილი 5 მნიშვნელობიდან სახარების ტექსტის მიხედვით 4 მათგანს მოეპოვება სინონიმი.

სოფ-ელი ბერძნული κόσμος ლექსემის თარგმანს წარმოადგენს, რომელიც აგრეთვე პოლისემიურია და რამდენიმე ლსვ-ს შეიცავს: 1. „ცა და ქუეყანა და სავსება მათი“, ე. ი. მთელი სამყარო; 2. „ზღუა და წმელი, სფერა ანუ სიმრგულე ქუეყნისა, იგივე „მიწა, დედამიწა“; 3. „ხალხი, კაცობრიობა“; 4. „მხარე, კუთხე“; 5. „ხმელეთი“; 6. „მინდორი“; 7. „დაბა, სოფელი, მცირე შენობა“ (54; 92; 33). მიუხედავად იმისა, რომ ლექსემა სოფელი თავისი სემანტიკური სტრუქტურით გაცილებით ფართოა **ქუეყანაზე**, მას ოთხთავის ტექსტში მხოლოდ ორი მნიშვნელობით მოეპოვება სინონიმური მეწყვილე. კერძოდ, თუ **ქუეყანის** ცალკეულ

⁹ შემდეგში ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის ნაცვლად ვიხმართ შემოკლებულ ფორმას – (ლსვ).

მნიშვნელობებს მიემართება მიწა, ქვიშა, ჭმელი, აგარაკი, სოფელის უკავშირდება მხოლოდ დაბა და მამული.

მოხმობილ მაგალითებში მ. 9, 26; ლ. 4, 14; ი. 11, 54 ქუეყანა და სოფელი „მხარის, კუთხის“ მნიშვნელობით მიემართებიან ერთმანეთს, ხოლო სხვა მნიშვნელობებით, როგორც აღინიშნა, მათ სხვა ერთეულები ეფარდებათ. ამ სიტყვათა – ქუეყანა/სოფელი – სემანტიკურ სტრუქტურებს ვიზუალურად თუ წარმოვიდგენთ, ისინი მხოლოდ ერთ წერტილში გადაიკვეთებიან.



ქუეყანა – მიწა:

სხუად დავარდა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, მ. 13, 8 DEC.

სხუად დავარდა კლდოვანსა, სადა არა იყო მიწა და ფრიად, მ. 13, 5 DEC.
იხ. აგრეთვე: მრ. 4, 5; ლ. 8. 6.

მიწა განიმარტება, როგორც „ქუეყანის ნაწილი, ერთი ოთხთა კავშირთაგანი, ხმელი და გრილი, უმძიმესი წყლისა“; „ნიადაგი“ (53; 92; 6). ამდენად, მიწა სამყაროს ოთხ სტიქიათა შორის (ჰაერი, ცეცხლი, მიწა, წყალი) ერთ-ერთია, ხოლო იგი ქვეყანის ნაწილს იმ გაგებით წარმოადგენს, რომ ქვეყანა (იგივე დედამიწა) გარდა მიწისა, წყალსაც შეიცავს. მოხმობილ მაგალითში (მ. 13, 5) მიწა „ნიადაგის, მიწის ზედაპირის“ მნიშვნელობით უკავშირდება ქუეყანას.

ქუეყანა – ჭმელი:

გამოითრევდა ბადესა მას ქ უ ე ყ ა ნ ა დ, ი. 21, 11 DE;

გამოზიდვიდა სათრომელსა მას კ მ ე ლ ა დ, C.

ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყვნეს ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა, ი. 21, 8 DE;

სხუანი იგი მოწაფენი მოვიდოდეს ნავითა, რამეთუ არა შორს იყვნეს კ მ ე ლ ა დ, C.

ვითარცა გამოკდეს ქ უ ე ყ ა ნ ა დ, იხილეს ნაკუერცხალი მდებარე, ი. 21, 9 DE;

ვითარცა გამოვიდეს ქ მ ე ლ ა დ, პხედვენ: ნაკუერცხალი იდვა, C.

ჭმ-ელ-ი საერთოქართველური *ჭამ/-ჭმ- ძირიდან მომდინარეობს (65) და ნიშნავს: „ხმელეთს, მშრალ, უნოტიო, წყლით დაუფარავ ადგილს“ (54; 92; 6); „ხმელეთს, ნაპირს“ (33). აღნიშნული სიტყვა ხუთჯერ გვხვდება ოთხთავის ტექსტში. აქედან სამ შემთხვევაში დასტურდება ადიშის რედაქციაში (ი. 21, 8; 9; 11). ჭმელს ოთხთავის სხვა რედაქციებში ჭამანა მიემართება და ი. მოლითორი მას ძველი სირიული თარგმანის გავლენად მიიჩნევდა, რადგან მკვლევრის მითითებით, დასახელებულ ადგილებში terra (მიწის) მაგიერ arida (ჭმელი) დასტურდება (170, 62). ჭმელი აღნიშნულ შემთხვევებში კანონზომიერად არის გამოყენებული, რადგან აქ საუბარია ნაპირიდან დაშორების შესახებ, მაშინ როცა მოწაფეებმა ნავი შეაცურეს წყალში. ოუმცა სამივე მუხლში წინარეათონური და გიორგისგული რედაქციის ნუსხებში ჭამანა გვხვდება, რაც ბერძნული χτί-ს თარგმანია, მაგრამ ადიშური ჭმელი არ ითვლება სირიულ თარგმანზე დამოკიდებულად, რადგან „ჭმელი შინაარსს უფრო ზუსტად გამოხატავს დასახელებულ მუხლებში, ვიდრე ჭამანა“ (63, 67).

ამდენად, მიწა და ჭმელი სახარების ტექსტში ერთი მნიშვნელობით არიან წარმოდგენილი და უკავშირდებიან ლექსემა ჭამანის მეოთხე მნიშვნელობას „ნიადაგს, მიწის ზედაპირს“. ჭმელი კი სინონიმურია ჭამანის მეხუთე მნიშვნელობისა („ნაპირი“), რომელიც ასევე ერთ მნიშვნელობას შეიცავს. მაშასადამე, აღნიშნული სიტყვები თითო ლსვ-ით არიან წარმოდგენილი და გარდა ჭამანისა სინონიმურად სხვა ლექსემას არ უკავშირდებიან. ამრიგად, ჭამანა სიტყვის სემანტიკა მთლიანად ფარავს მიწა, ჭმელი სიტყვათა სემანტიკას.

ჭუეყანა – აგარაკი:


კაცმან რაო დასთესის თესლი ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა, მრ. 4. 26 DEC.

რომელმან დასთესა თესლი კეთილი ა გ ა რ ა კ ს ა თვსსა, მ. 13, 24 DEC.

რომელმან დაუტევოს... ქ უ ე ყ ა ნ ა ვ სახელისა ჩემისათვს, მ. 19, 29 DE;

რომელსა დაეტევოს... ა გ ა რ ა კ ე ბ ი ჩემისა სახელისათვს, C.

აგარაკი ბერძნული ἄγρος სიტყვის ფარდი ლექსემაა, რომელიც ქართულში ნასესხებია სომხურიდან (169, 65). აგარაკი რამდენიმე ლსვ-ით არის წარმოდგენილი: 1. „მიწა, სახნავ-სათესი ადგილი“; 2. „მინდორი“; 3. „დასახლებული ადგილი, სოფელი, დაბა“; 4. „ადგილ-მამული“ (145; 127; 53; 92; 6; 33). მოხმობილ კონტექსტებში ლექსემა აგარაკი ქუეყანას უკავშირდება ორი მნიშვნელობით. კერძოდ, მრ. 4, 26; მ. 13, 24 მაგალითებში აღნიშნული სინონიმური წყვილი შეიცავს „სახნავ-სათესი ადგილის“ ანუ დამუშავებული „მიწის“ მნიშვნელობას, ხოლო მ. 19, 29 მაგალითში ისინი (ქუეყანა//აგარაკი) „ადგილ-მამულის“ მნიშვნელობას გადმოსცემენ. ასეთ შემთხვევაში ქუეყანა და აგარაკი ორი ლსვ-ის მიხედვით დაემთხვევა და მათი სემანტიკურ სტრუქტურათა მოცულობების ნაწილობრივი გადაკვეთა გვექნება:



აგარაკი, ერთი მხრივ, შედის „ქუეყანა“ სიტყვის სინონიმურ მწყრივში ერთ-ერთ წევრად, ხოლო მეორე მხრივ, მის ცალკეულ მნიშვნელობებს სინონიმურად უკავშირდება დაბა, ყანა, ვალი, მტილი ლექსემები.

აგარაკი – ყანა:

მსგავს არს სასუფეველი ცათა საუნჯესა დაფარულსა ყ ა ნ ა ს ა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მისთვის წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაცა აქუნდა, და მოიყიდა ა გ ა რ ა კ ი იგი, მ. 13, 44 DEC.

აგარაკი – დაბა:

მედორენი იგი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და ა გ ა რ ა კ ე ბ ს ა, მრ. 5, 14 C;

მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დ ა ბ ნ ე ბ ს ა, DE.

დაბ-ა//ყან-ა: დაბა სიტყვის *დაბ/დაბ-დობ-დაბ ფუქტე საერთოა ქართველური ენებისათვის (65). დაბა განიმარტება, როგორც „მომცრო ქალაქი, მოზღუდვილი; სოფელი მომცრო, რამეთუ სოფელი ეწოდების სრულიად საწუთროსა, ხოლო დაბა – ერთსა შენობათაგანსა კაცრიელთა“ (53; 92); „სოფელი; ყანა“ (6; 32).

დაბ-ა მოხსელი, დამუშავებული მიწის მნიშვნელობით შეინარჩუნა სვანურმა (**დაბ-ყანა**). ქართულ-ზანურის დონეზე **დაბის** სინონიმია **ყანა-ყონა-ოონა** (65). აღნიშნული **დაბ-ყან** ფუძეების სემანტიკური გარკვევისათვის ივარაუდება შემდეგი: **ყანა-ს** თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო გაუდიფერენცირებელი „მიწა, ველი, ანუ კმელი“. მნიშვნელობათა მარკირებისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი სახის ლექსიკური პარადიგმა: **ყანა-მიწა;** **დაბა-დაუმუშავებელი** მიწა. სავარაუდოა, რომ **ყანის** მნიშვნელობა შემდეგ დავიწროვდა, რამაც გამოიწვია **ყანის** სემის გადაწევა „მოხსელი, დამუშავებული მიწისაკენ“, რამაც თავის მხრივ გამოიწვია **დაბის** სემის გადაწევა „სახლის“ მნიშვნელობისაკენ (98, 299).

აღნიშნული ფუძეების წინარებერმნულ-ქართველურ დონეზე დაკავშირებისათვის რ. გორდეზიანი იმოწმებს ფურნეეს: **ბატა-ბატა** – „დასახლება“, „ქალაქი“ (19, 99).

დაბა ჩვენს შემთხვევაში (მრ. 5, 14) „დასახლებული ადგილის, სოფლის“ მნიშვნელობით მიემართება **აგარაკს**, რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება კამუ „სოფელი, დასახლებული ადგილი...“ (145; 168; 127). **ყანა** კი „სახნავ-სათესი მიწის“ ანუ **დამუშავებული** ნიადაგის მნიშვნელობით ესადაგება **აგარაკს**. მოხმობილი სინონიმური წყვილი **აგარაკი//დაბა** ერთი წინადაღების ფარგლებში იხმარება (მ. 13, 44), რომლებიც ბერძნულში ერთი და იმავე **ἄγρος** ლექსემით გადმოიცემა. ამ შემთხვევაში ტექსტის მთარგმნელი მიმართავს სინონიმთა სუბსტიტუციურ, ურთიერთშენაცვლების ხერხს, რითაც თავიდან იცილებს ერთი და იმავე ლექსემის უხერხულ გამეორებას და აღწევს კონტექსტის სასურველ სტილისტურ-ექსპრესიულ გაფორმებას (56, 99).

აგარაკი – ველი:

შეიპყრეს ვინმე სიმონ კარინელი, რომელი მოვიდოდა ო გ ა რ ა კ ი თ, ლ. 23, 26 C;

შეიპყრეს სჯმონ ვინმე კარინელი, მომავალი ვ ე ლ ი თ, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 24, 40; მრ. 15, 21; ლ. 15, 25.

ველი სინონიმია **აგარაკის** მე-2 მნიშვნელობისა, რომელიც ნიშნავს „მინდორს“ (53; 92; 6; 33), ანუ **დაუმუშავებელ** „მიწას, ნიადაგს“. თუ **ყანა** „დამუშავებული მიწის“ მნიშვნელობით უკავშირდება **აგარაკს**, **ველი** „დაუმუშავებელი“ ანუ

აუთვისებელი ნიადაგის მნიშვნელობით ემიჯნება მას. სწორედ ეს ნიუანსები ანიჭებენ მათ (ყანა/ველი) იმ განმასხვავებელ თვისებას, რითაც ისინი განირჩევიან სინონიმური რიგის სხვა წევრებისაგან.

აგარაკი – მტილი:

მსგავს არს სასუფეველი ცათავ მარცუალსა მდობასასა, რომელ მოიღო კაცმან და დასთესა ა გ ა რ ა კ ს ა თვსსა, მ. 13, 31 C;

მსგავს არს სასუფეველი ცათავ მარცუალსა მდობასასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა მ ტ ი ლ ს ა თვსსა, DE.

მტილი ზოგადქართველური ძირის მქონე სიტყვაა, რომელსაც მეგრულში შეესატყვისება „ორტვილი“/„ორტვინი“, ხოლო სვანურში ალერტამ, რაც „სამტილეს, ბოსტანს“ აღნიშნავს (103, 111). **მტილი** ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება აგრეთვე, როგორც „ბოსტანი“ (53; 92); „ბალი“ (33). ი. ჯავახიშვილის მითითებით კი „ბოსტან-ბალის აღმნიშვნელი სახელი ქართველ ტომებს საერთო პქონია“ (103, 111). ბერძნულში **მტილის** ფარდია ლექსემა κῆπος „ბალი, ბოსტანი“ (145; 168; 127).

მაშასადამე, **მტილი** „ბალ-ბოსტანისათვის“ განკუთვნილი ნიადაგის მნიშვნელობით მიემართება აგარაკს.

სოფელი – დაბა:

მიმორბილეს ყოველსა მას ს ო ფ ლ ე ბ ს ა და იწყეს მოღებად ცხედართა ყოველთა სნეულთა, მრ. 6, 55 DE;

მირბილეს ყოველსა გარემოს დ ა ბ ნ ე ბ ს ა მას და იწყეს ცხედრებითა სნეულებისა მიმოდაღებად, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 6, 6; 8, 27.

სოფელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, რამდენიმე მნიშვნელობის შემცველია, რომელთა შორისაა დღეგანდელი „სოფლის“ მნიშვნელობა, ანუ „დასახლებული ადგილისა“. სწორედ აღნიშნული მნიშვნელობის გამომხატველია სინონიმური წყვილი **სოფელი/დაბა** მოხმობილ კონტექსტებში (მრ. 6, 55; 6; 6), რომელთაც ბერძნულში ესადაგება ლექსემა κώμη „სოფელი, დასახლებული ადგილი...“ (145; 168; 127).

სოფელი – მამული:

მოვიდა ს ო ფ ლ ა დ თკსა და ასწავებდა მათ შესაკრებელთა მათთა, გ. 13, 54 C;

მოვიდა მ ა მ უ ლ ს ა თკსა და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, DE.

მამული განიმარტება, როგორც „მამისეული“ (53); „სამშობლო ქვეყანა, მამა-პაპისაგან დანაშოენი უძრავი ქონება“ (92; 33). მოხმობილ მაგალითში (გ. 13, 54) **მამული სოფელს** მიემართება სწორედ „მხარის, კუთხის“, უფრო კონკრეტულად მშობლიური, მამა-პაპისეული ადგილის მნიშვნელობით, რომელთაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა πατρίς „მამისეული, მამული“ (145; 127).

როგორც ვხედავთ, თუ სიტყვები პოლისემიურია, სინონიმია უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მათ ცალკეულ მნიშვნელობებს ეხება, რადგან ერთი სიტყვის მნიშვნელობები მთლიანად არ ემთხვევა სხვა სიტყვის მნიშვნელობებს. ეს კი ნიშნავს, რომ სინონიმის დადგენისას კრიტერიუმი „მნიშვნელობის ნაწილობრივი დამთხვევა“ მთელ სიტყვაზე არ ვრცელდება. სწორედ ამიტომ გამართლებულია შეპირისპირება ცალკეული მნიშვნელობების, ანუ ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების მიხედვით.

ზოგადად, თუ რომელიმე **N** სიტყვას აქვს **a, b, c** და ა. შ. მნიშვნელობები, მაშინ **a** მნიშვნელობით ის შეიძლება შევიდეს **A** სინონიმურ მწკრივში, **b** მნიშვნელობით – **B** მწკრივში, **c** მნიშვნელობით – **C** მწკრივში და ა. შ. ამასთანავე, სხვა სიტყვებს, რომლებიც ქმნიან სინონიმურ **B, C** მწკრივებს, შეიძლება ჰქონდეთ რამდენიმე მნიშვნელობა და, თავის მხრივ შედიოდნენ ახალ სინონიმურ მწკრივებში, რომლებშიც ასევე პოლისემიური სიტყვები იქნება და ა. შ. ამრიგად, ენაში იქმნება ასოციაციათა უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც მოიცავს დიდ ნაწილს სიტყვებისა მის სინქრონიულ მდგომარეობაში (110, 85).

სასწაული – მცნება:

ხოლო მიმცემელმან მან მისმან მისცა მათ ს ა ს წ ა უ ლ ი და ჰრქუა: რომელსაცა ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყარო იგი, გ. 26, 48 C;

ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა მ ც ნ ე ბ ა ვ და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყარო იგი, DE.

სა-სწ-ა-ულ-ი//სა-სწ-აგ-ულ-ი პოლისემიური ლექსემაა. იგი ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით σῆμειον, რომელიც შეიცავს შემდეგ მნიშვნელობებს, ანუ ლსგ-ებს: 1. „ნიშანი, კვალი იარა“; 2. „საკვირველება, სასწაული“; 3. „სასვენი ნიშნები: პატარა ასო, წერტილი, მძიმე, ხაზი“ (145; 168; 127; 92; 33). წარმოდგენილი 3 ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტიდან ოთხთავის ტექსტში სამივე მათგანს მოეპოვება სინონიმი.

მცნება ლექსემაც პოლისემანტიკური მნიშვნელობის მქონეა, რომელიც შეიცავს შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს: 1. „დარიგებას, მცნებას“; 2. „ბრძანებას, აკრძალვას“; 3. „მოძღვრებას“; 4. „ნიშანს“ (6; 33). მაშასადამე, **მცნება** მე-4 მნიშვნელობით უკავშირდება სასწაულის პირველ მნიშვნელობას, ანუ მოხმობილი წყვილი კონკრეტულად გულისხმობს „ნიშნის“ მიცემას, რასაც იუდას მიერ ქრისტეს გაცემა მოჰყვა. **მცნება** დანარჩენი მნიშვნელობებით კი სხვა სინონიმურ რიგში შედის.

სასწაული – ნიში:

პრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი და ნ ი შ ე ბ ი, არა გრწმენეს, ი. 4, 48 DEC.

იხ. აგრეთვე: მ. 24, 24; მრ. 13, 22.

ნიში საშ. სპარსული **niš//nišak** ფორმებიდან მომდინარეობს. „ნიში და ნიშანი ერთი და იგივე საშ. სპარსული სიტყვაა: **niš-** უფრო ადრინდელი, **nišān** მოგვიანო, გავრცობილი **-ān** სუფიქსით“. აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობებია „ნესტარი საჩხვლეტი; ნიშანი, ლაქა, ხატი; სიგნალი, დროშა, ალამი“ (4, 349-350). მოხმობილ მაგალითებში (ი. 4, 48...) **ნიში** მიემართება სასწაულის მე-2 მნიშვნელობას „საკვირველებას, სასწაულს“. სასწაული//ნიში ტექსტში ერთმანეთის გეერდიგეერდ პარალელურად იხმარება, სადაც წყვილთაგან პირველი წევრი საპუთრივ ქართული წარმოშობისაა, ხოლო მეორე საშ. სპარსულიდან ნასესხები.

სასწაული – საკვირველება:

იხილეს მღდელთ-მოძღვართა მათ და მწიგნობართა, რომელი იგი ქმნა იესუ ს ა ს წ ა უ ლ ნ ი, მ. 21, 15, DE;

იხილეს რაღ მღდელთ მოძღვართა მათ და მწიგნობართა ს ა კ კ რ კ ე ლ კ-ბ ა ნ ი იგი, C.

სა-კურვ-ელ-ებ-ა ბერძნული თაუმასთა ლექსემის ფარდია, რაც ნიშნავს „გაოცებას, განცვიფრებას“ (145, 127; 6; 33). **საკურველება** სწორედ აღნიშნული მნიშვნელობით მიემართება **სასწაულს**, სადაც მ. 21. 15 მაგალითში აღნიშნული წევილი იესოს მიერ ჩადენილ სასწაულებს გულისხმობს, რაც იწვევდა მდგდელობოდგართა და მწიგნობართა „გაოცებას, გაკვირვებას“.

სასწაული – სახე:

არა თუ ვიხილო ჭელთა მისთა ს ა ს წ ა უ ლ ი სამსჯუალთავ მათ, ი. 20, 25 C;

უკუთუ არა ვიხილო ჭელთა მისთა ს ა ხ ც იგი სამშტუალთავ, DE.

სახე ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით **τύπος** „ნიმუში, მაგალითი; ნიშანი, კვალი, იარა“ (145; 127; 6; 33). **სახე** უკავშირდება **სასწაულის** პირველ მნიშვნელობას მისი მე-2 (ნიშანი, კვალი იარა) მნიშვნელობით, სადაც იგი ქრისტეს ლურსმნებით ნაჭრილობებ სხეულზე დარჩენილ „კვალს, იარას“ აღნიშნავს.

სასწავული – მოხატული – იოტა – რქა:

უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვად, ვიდრე არა შჯულისაგან ერთი ს ა ს წ ა ვ უ ლ ი დავრდომად, ლ. 16, 17 C;

უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვად, ვიდრე-და შჯულისაგანი ერთი მ ო ხ ა ტ ა უ ლ ი დაგრდომად, DE.

ვიდრე წარსლვადმდე ცისა და ქუეყანისა ი ო ტ ა ერთი ანუ ს ა ს წ ა უ - ლ ი არა წარგდეს, მ. 5, 18 C;

ცანი და ქუეყანავ წარგდენ და ი ო ტ ა ოდენი ერთი რ ქ ა ვ არა წარგდეს, DE.

მო-ხატ-ულ-ი//იოტა//რქა ლექსემები მიემართებიან სინონიმებად **სასწაულის** მე-3 მნიშვნელობას „სასვენი ნიშნები: პატარა ასო, წერტილი, მძიმე, ხაზი“ (92; 33). მათ ეფარდება ბერძნულში ლექსემა **κεραία** რაც აღნიშნულ მნიშვნელობებს შეიცავს (145; 127). დასახელებულ სინონიმებს შორის მცირე სხვაობები მაინც შეინიშნება. **მოხატული** ყოველგვარ „სასვენ ნიშანს“ (33) გულისხმობს და უფრო ზოგადი შინაარსის მქონეა. **იოტა** და **რქა** კი საბას მიხედვით განიმარტება შემდეგნაირად: „მართ ჩამოზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტა ეწოდების,

ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა მას მგურდლ და გურდივ რქა“ (53; 54). დასახელებული სინონიმები მოხატული//რქა//იოტა მოხმობილ მაგალითებში იხმარებიან სიმცირის აღსანიშნავად.

ნათესავი – თესლი:

მნატრიდენ მე ყოველნი ნ ა თ ე ს ა გ ნ ი, ლ. 1, 48 DE;

მნატრიდენ მე ყოველი თ ე ს ლ ე ბ ი ქუეყანისანი, C.

წიგნი იტყვან, ვითარმედ ნ ა თ ე ს ა გ ი ს ა გ ა ნ დავითისი... მოსლვად არს ქრისტე, ი. 7, 42 C;

არა წიგნი იტყვსა, ვითარმედ თ ე ს ლ ი ს ა გ ა ნ დავითისა... ქრისტე მოვიდეს, DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 1, 50.

ნა-თეს-ავ-ი პოლისემიური სიტყვაა, რომელიც სახარების ტექსტში 6 ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტით არის წარმოდგენილი: 1. „თაობა, მოდგმა, შთამომავლობა“ 2. „ხალხი, ერი“; 3. „ნათესავი“ დღევანდელი მნიშვნელობით; 4. „თესლი, ტომი“; 5. „გვარი“; 6. „ჯარისკაცთა რაზმი“ (92; 6; 33). დასახელებული ლსვ-იდან 4 მათგანს მოეპოვება სინონიმი.

თეს-ლ-ი აგრეთვე პოლისემიური ერთეულია. იგი აღნიშნავს: „ნათესავს, შთამომავლობას, თაობას; ტომს, მოდგმას...“ (92, 6). **თესლი** მოხმობილ მაგალითებში (ლ. 1, 48; ი. 7, 42; ლ. 1, 50) სინონიმია ნათესავის პირველი მნიშვნელობისა, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა *γηνέα*, რაც ნიშნავს „თაობას, მოდგმას, შთამომავლობას“ (145; 127).

ნათესავი – ტომი:

იყო იგ(ი) სახლისაგან და ნ ა თ ე ს ა გ ი ს ა დავითისი, ლ. 2, 4 C;

იყო იგი სახლისაგან და ტ ო მ ი ს ა დავითისა, DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 2, 36; გ. 24, 30.

ტომ-ი ფალაური *tōhm* სიტყვიდან ნასესხებად არის მიჩნეული და „თაობას, მოდგმას, გვარს“ აღნიშნავს (4, 380), რომელსაც ბერძნულში ეფარდება *φῦλη* „ტომი, მოდგმა“ და *πατρία* „წარმომავლობა მამის ხაზით; ნათესაური შტო“ (145; 127). მოხმობილ მასალაში (ლ. 2, 4...) **ტომი** ნათესავს უკავშირდება იმავე

მნიშვნელობით რითაც თესლი, მხოლოდ თესლი საკუთრივ ქართული სიტყვაა, ხოლო ტომი ფალაურიდან ნასესხები.

ნათესავი – წარმართი:

იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისად ყოველსა სოფელსა, საწამებელად ყოველთა ნ ა თ ე ს ა ვ თ ა, მ. 24, 14 C;

იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისად ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წ ა რ მ ა რ თ თ ა, DE.

იყვნეს ვინმე წ ა რ მ ა რ თ ნ ი ც ა აღმოსრულთა მათგანი, ი. 12, 20 DEC.

წარმართი შეიცავს შემდეგ მნიშვნელობებს: „წარმართი, ხალხი; ბერძენი, ელინი“ (33). მოხმობილ მაგალითში (მ. 24, 14; ი. 12, 20) წარმართი მიემართება ნათესავის მეორე მნიშვნელობას „ხალხს“, რომელიც დამატებით შეიცავს სემანტიკურ-დიფერენციალურ კომპონენტს. კონკრეტულად იგი „კერპომსახურს“, ანუ „ჭეშმარიტი დვთის ცნობისაგან განშორებულ“ ხალხს გულისხმობს (92), რომელსაც ბერძნულში ეფარდება ლექსემა ჟ „საზოგადოება, ჯგუფი, ბრძო“ (145; 127).

ნათესავი – ერი – ერისაგანი:

შეკრბენ წინაშე მისა ყოველი ნ ა თ ე ს ა ვ ი, მ. 25, 32 DEC.

შეკრბებოდა მისა ე რ ი მრავალი, ლ. 14, 25 DEC.

მაშინ ე რ ი ს ა გ ა ნ თ ა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნ ა თ ე ს ა ვ ე ბ ი იგი ყოველი, მ. 27, 27 DEC.

რაჟამს იხილოთ გარე-მოდგომილი იერუსალიმი ე რ ი ს ა გ ა ნ, მაშინ გულისკმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოვწრება მისი, ლ. 21, 20 DEC.

ერი//ერისაგან ორ მნიშვნელობას შეიცავს. იგი აღნიშნავს 1. „ხალხს“; 2. „ჯარს“ (53; 33; 6). ერი და ნათესავი „ხალხის“ მნიშვნელობით ერთმანეთს უკავშირდებიან მ. 25, 32; ლ. 14, 25 კონტექსტებში, რომელთაც ბერძნულში ეფარდება ლექსემა ጀχλος „ხალხი“ (127, 145), ხოლო მ. 27, 27; ლ. 21, 20 მაგალითებში ისინი „ჯარის, ჯარისკაცთა რაზმის“ მნიშვნელობით უკავშირდებიან ერთმანეთს და ბერძნულში გადმოიცემიან ლექსემით σπέιρα „ჯარი“ (127; 145).

ერი – გუნდი:

იუდა წარიყვანა ე ო ი მღდელთ მოძღუართაგან და ფარისეველთა მსახურნი, ი. 18, 3 DE;

იუდა წარიყვანა მის თანა გ უ ნ დ ი ერთი და მღდელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთაგანი მსახურნი, C.

გუნდი პართულიდან ნასესხები სიტყვაა gund, რომლის ამოსავალი სემანტიკა უკავშირდება „სიმრავლეს, ბრძოს“, ხოლო „ჯარი, არმია...“ შემდგომ განვითარებული მნიშვნელობებია (4). ი. 18, 3 მაგალითში გუნდი და ერი სინონიმურნია „ჯარის“ მნიშვნელობით, რომელთა ფარდია ბერძნულში σπέιρα „ჯარი“ (127; 145).

გუნდი – კრებული:

ხოლო გ უ ნ დ მ ა ნ მან და ათასისთავმან მან და მსახურთა მათ ჰურიათა შეიპყრეს იესუ და შეკრეს, ი. 18, 12 C;

ხოლო კ რ ე ბ უ ლ მ ა ნ მან და ათასისთავმან და მსახურთა ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს, DE.

კრებული პოლისემიური მნიშვნელობის მქონე ლექსემაა. იგი ნიშნავს: 1. „გროვას, ჯგუფს“ 2. „ჯარისკაცთა რაზმს“; 3. „საკრებულო სახლს“; 4. „ხალხს“. მოხმობილ მაგალითში (ი. 18, 12) კრებული//გუნდი „ჯარისკაცთა რაზმის“ მნიშვნელობით უკავშირდებიან ერთმანეთს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ძირთა წარმომავლობაშია. კრებული საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვაა, გუნდი კი ნასესხები.

გუნდი – დასი:

წარმომიდგინოს მე აქა უმრავლეს ათორმეტთა გ უ ნ დ თ ა ანგელოზთა, მ. 26, 53 DE;

დამიდგინოს მე აქა უფროს ათორმეტი და ს ი ანგელოზთა, C.

ხოლო იყო... ზაქარია, და ს ი ს ა მისგან აბიასი, ლ. 1, 5 C.

დასი შეიცავს მნიშვნელობებს: 1. „გვარი, მოდგმა“ 2. „ჯარისკაცთა რაზმი“. პირველ მაგალითში, მ. 26, 53, გუნდი//დასი „რაზმის“ მნიშვნელობით უკავშირდებიან ერთმანეთს, ოღონდ მითითებულ კონტექსტში იგულისხმება არა „ჯარისკაცთა რაზმი“, არამედ ზოგადად სიმრავლე, ანგელოზთა „კრებული“.

პოლისემიური ლექსემები ოთხთაგში მხოლოდ დასახელებული სინონიმური ერთეულებით არ ამოიწურება. ისინი განაწილებულია სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში, რაზედაც გზადაგზა გავამახვილებთ ყურადღებას. სანიმუშოდ აღებული განხილული მასალა კი მოწმობს, რომ პოლისემიური სიტყვები ეს არის ცალკეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების კონა და ამგვარი კონის თითოეულ ლეროს აქვს თავისი მნიშვნელობები, რომლებიც ერთიანდებიან რა საერთო მნიშვნელობით, ქმნიან სინონიმურ წყვილებსა თუ მწკრივებს. მაშასადამე, პოლისემიური სიტყვები სინონიმური ხდებიან ერთ-ერთი მნიშვნელობით, მეორით კი შეიძლება განსხვავდებოდნენ, რაც ქმნის ახალი სინონიმური მწკრივის მიღების საფუძველს. ყველა ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ სინონიმებს ენაში არსებობა შეუძლიათ, როგორც რეფორმატსკი აღნიშნავს, შემდეგი ფორმულით: „იგივეა და არც მთლად იგივე“, ანუ ორი სიტყვა, რომელიც ერთი მნიშვნელობით ემთხვევა ერთმანეთს, მეორით – გაემიჯნება (149, 69-70).

2.2. სიტყვათწარმოებით მიღებული ლექსიკურ სინონიმთა ჯგუფები

სიტყვათწარმოება ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. იგი პირდაპირ კაგშირშია როგორც ენის გრამატიკულ წყობასთან, ისე მის ლექსიკურ მარაგთან. სიტყვათწარმოებისა და ლექსიკოლოგიის მჭიდრო კაგშირი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს სინონიმურ მაწარმოებლებთან (67, 135). ვ. ვინოგრადოვი მიუთითებს, რომ სიტყვათწარმოების ყოველი შემთხვევის ახსნა წმინდა მორფოლოგიური ცნებებით და კატეგორიებით არ ხერხდება. თავისთავად იგულისხმება, რომ გრამატიკის მიღმა რჩება სიტყვათწარმოებითი სინონიმის საკითხები (124, 198). მეცნიერი იძლევა სიტყვათწარმოების ასეთ კლასიფიკაციას: მორფოლოგიური, სინტაქსურ-მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-მორფოლოგიური. ამ კლასიფიკაციის გათვალისწინებით სინონიმთა წარმოება ამ უკანასკნელს, ლექსიკურ-მორფოლოგიურ სახეობას მიეკუთვნება.

რ. როგორნიკოვის მიხედვით, სიტყვათწარმოების გზით მიღებული ახალი ლექსემები ხასიათდებიან „არა მარტო მორფოლოგიური სტრუქტურის თავისებურებით, არამედ აქვთ ახალი ლექსიკური მნიშვნელობა, რომელსაც

ატარებენ სუფიქსები და თავსართები“ (150, 153). მაშასადამე, სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები ლექსიკური სინონიმის საზღვრებში შედიან (133, 139).

ოთხთავის ტექსტში წარმოქმნილი ლექსიკური სინონიმების მრავალი შემთხვევა გვხვდება. სინონიმური მნიშვნელობის დერივაციული მაწარმოებლები ერთვიან მსგავსი სემანტიკის მქონე ფუძეებს, რომლებთანაც დაკავშირებულია ამოსავალი ლექსემის საგნობრივი მნიშვნელობა და ვიდებთ სხვადასხვა სახის სინონიმური მნიშვნელობის სემანტიკურ ჯგუფებს. სახარების ტექსტში გამოიყოვა სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, ხელობის, დანიშნულების... სახელები; მსგავსი მნიშვნელობის მქონე ყველა გვარისა და დროის მიმღეობური ლექსიკა; კომპოზიციით წარმოქმნილი სინონიმური რიგები და სხვ.

2.2.1. აბსტრაქტული სახელებით გადმოცემული სინონიმური სიტყვები

სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტულ სახელთაგან ვხვდებით სხვადასხვა აფიქსებით ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს. ჩვენი მასალის მიხედვით პროდუქტულია სუფიქსები -ება, -ობა; კონფიქსები: სი-, სი-, -ო. აღნიშნული მაწარმოებლები ფუძედ იყენებენ მსგავსი სემანტიკის შემცველ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და ვიდებთ აბსტრაქტულ სახელთა სინონიმურ რიგებს. აბსტრაქტულ სახელებს ზოგჯერ სინონიმებად მიემართებიან სხვა სახის სიტყვებიც (საწყისი, მიმღეობა, ზმნა, კომპოზიტი და ა. შ).

სნეულება – უძლურება – არაძლება – გუემულება – სალმობა – მწურვალება – სიცხე

სნეულება – უძლურება – არაძლება:

განკურნებდენ ყოველთა ს ნ ე უ ლ ე ბ ა თ ა და უ ბ ლ უ რ ე ბ ა თ ა,
ა. 10, 1 DEC.

ვითარცა ესმა იესუს, თქუა: იგი ს ნ ე უ ლ ე ბ ა თ ა რა არ ა რს სასიკუდინე, ი.
11, 4 C;

ვითარცა ესმა იესუს, თქუა: ესე უ ბ ლ უ რ ე ბ ა თ ა რა არ ა რს სასიკუდინს,
DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 13, 11; ი. 5, 5.

განპკურნებდა ყოველთა ს ხ ე ჟ ლ ე ბ ა თ ა და ყოველთა ა რ ა ძ ლ ე-
ბ ა თ ა ერისათა, მ. 4, 23 DEC.

სწორება: სენი ნიშნავს „რაიც(ა) ავადობა დაესენების ცხო(ვ)ელსა, ანუ
გარდედების; სენად ვიტყვით ყო(ვ)ელთა ქცეულებათა ბუნებისასა“ (54). სწორება კი
განიმარტება, როგორც „სენის მქონებელი“ (54); „უძლები, ავადმყოფი“ (92; 6; 33). ამ
ზედსართავი სახელისაგან (სწორება) მიღებული აბსტრაქტული ლექსემა სწორება
კი განიმარტება, როგორც „სენთ დართვა, სენი სატკივარი“ (92); „ავადმყოფობა“
(33). სწორება წარმოადგენს მოხმობილი სინონიმური რიგის დომინანტ ლექსემას,
რომლის მნიშვნელობას, „ავადმყოფობას“ შეიცავს მისი მეწყვილე ყვალა ერთეული,
ხოლო მწკრივის ცალკეული წევრები სხვადასხვა დიფერენციალური ნიშნებით
განირჩევიან დომინანტისაგან, რომლებიც მიუთითებენ ავადმყოფობის გამომწვევ
მიზეზებზე.

უძლეურება//არაძლება: უძლეური ძალ-/ძლ- ძირზე დართული უურ
უქონლობის სახელთა კონფიქსით იწარმოება და განიმარტება, როგორც
„შეუძლებელი, გინა სწორები“ (53; 92); „დაუძლეურებული, ავადმყოფი, უძლეური“ (6,
33). უძლეურება//არაძლება კი ნიშნავს იმავე „შეუძლებლობას, ავადმყოფობას,
სწორებას“ (92, 33). ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს
სხვადასხვაგვარი და მათ შორის ფიზიკურად „დაუძლეურება“, ძალის არქონა.
სწორედ ამ აზრობრივი ნიუანსით ემიჯნება უძლეურება//არაძლება ლექსემები
სინონიმური რიგის ძირითად წევრს – სწორებას.

სინონიმური პარალელიზმი დასტურდება სწორება//უძლეურება სწორება//
არაძლება წყვილებს შორის მ. 10, 1; მ. 4, 23 მაგალითებში, რასაც ბერძნულში
ეფარდება ლექსემები νόσος, μαλακία „ავადმყოფობა, უძლეურება“ (127). წყვილთაგან
მეორე წევრები უძლეურება//არაძლება მეტი კონკრეტულობით გამოირჩევიან. მათში
იკვეთება ის მიზეზი (ფიზიკურად დაუძლეურება), რაც ავადმყოფობის გამომწვევად
შეიძლება ჩაითვალოს.

გუემულება:

ვითარცა შეახო, მეყვეულად განკმა წყაროდ იგი წიდოვნებისა მისისად, და
ცნა ჭორცობაგან, რამეთუ განიკურნა გ უ ე მ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ, მრ. 5, 29 DE.

გუემ-ულ-ებ-ა: გუემა ნიშნავს „ცემას, ტანჯვას“ (33, 92). გუემული, კი შესაბამისად „ნაცემს, ნატანჯს“ წარმოადგენს (33, 92). აღნიშნული მიმღეობიდან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი გუემულება, რომელსაც გადმოსცემს ბერძნულში ლექსემა μάστιξ = „ავადმყოფობას, ტანჯვას“ (127, 33).

სნეულება – სალმობა:

განკურნნა იესუ მრავალნი ს ნ ე უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ მათისა და ს ა ლ მ თ ბ ი ს ა გ ა ნ, ლ. 7, 21 DEC.

რამეთუ ესე ყოველი დასაბამი ს ა ლ მ თ ბ ა თ ა არს, მ. 24, 8 DEC.

რაოდენთა აქუნდა ს ა ლ მ თ ბ ა ვ და შეეხნეს, განიკურნებოდეს, მრ. 3, 10 DE.

სალმობა ლმობა ფუმიდან მიღებული აბსტრაქტული სახელია, რაც ნიშნავს „ტკივილს, ავადმყოფობას, სატკივარს“ (53; 33). მოხმობილ კონტექსტებში სალმობა, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს იგივე μάστιξ სიტყვა, ტკივილისაგან გამოწვეულ „ავადმყოფობას“ აღნიშნავს. იგი ლ. 7, 21 მაგალითში სნეულებას მოსდევს წინადადებაში და სინონიმური პარალელიზმი იქმნება მათ შორის. სალმობა დასახელებულ შემთხვევაში უფრო აზუსტებს წინამავალი სიტყვის სნეულების შინაარსს და აკონკრეტებს, რომ ავადმყოფობა შეიძლება გამოწვეული იყოს ხორციელი ტკივილის შედეგად.

გვურვალება – სიცხე:

უპყრა ჭელი და აღადგინა იგი; და დაუტევა იგი მ ჭ უ რ ვ ა ლ ე ბ ა მ ა ნ, მრ. 1, 31 DE;

უპყრა ჭელი და აღადგინა; და დაუტევა იგი ს ი ც ხ ე ბ ა ნ მან, C.

იხ. აგრეთვე: მ. 8, 14; 8, 15; მრ. 1, 30.

მ-ტურვ-ალ-ებ-ა//სიცხე-ე: ამ ლექსემებს ორი მნიშვნელობა აქვთ: 1. „გაცხელება, სიცხარე, სიმხურვალე“; 2. „სენი სიცხისა, გაცურვება სისხლისა სნეულებისგან, ციებ-ცხელება, ავადმყოფობა“ (53; 92; 6; 33). აღნიშნული აბსტრაქტული სახელები მოხმობილ მაგალითებში (მრ. 1, 31...) მე-2 მნიშვნელობას, „სნეულებას, ციებ-ცხელებას“ გამოხატავენ, ხოლო პირველი მნიშვნელობით ისინი სხვა სინონიმთა რიგში შედიან. მაშასადამე, სინონიმური წყვილი მკურვალება//სიცხე ტემპერატურის აწევის შედეგად გამოწვეულ ავადმყოფობას გულისხმობს,

რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა „πυρέτος „სიცხიანი ყოფნა, ციებცხელება“ (145; 127).

ამდენად, განხილული სინონიმური აბსტრაქტივების საყრდენ, დომინანტურ ლექსემას წარმოადგენს სნეჟლება, რაც „ავადმყოფობას“ ნიშნავს. ეს სემანტიკური ნიშანი „ავად ყოფნა“ აერთიანებს მწკრივში შემავალ ყველა სინონიმურ ერთეულს, ხოლო მათ შორის განსხვავებას ახდენენ ის დიფერენციალური ნიშნები, ანუ სინონიმთა დიფერენციალური კომპონენტები, რომლებიც ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზზე მიუთითებენ.

სწავლა/სწავება – მცნება – მოძღურება – ქადაგება

მცნება – მოძღურება – სწავლა:

დაგიტევებიეს მ ც ნ ე ბ ა ღ ღ დმრთისავ და გიპერიეს მ ო ძ ღ უ რ ე ბ ა ღ კაცთავ, მრ. 7, 8 DE;

დაგიტევებიეს მ ც ნ ე ბ ა ღ ღ დმრთისავ და გიპერიეს ს წ ა ვ ლ ა ღ კაცთავ, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 7, 9.

მოძღურება – სწავება:

იყო მ ო ძ ღ უ რ ე ბ ა ღ და მათა ვითარ ჭელმწიფე, მრ. 1, 22 C;

ა ს წ ა ვ ე ბ დ ა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ ჭელმწიფებავ, DE.

სწავლა/სწავება დასახელებული სინონიმური რიგის დომინანტ ერთეულად მიიჩნევა, რომელიც სემანტიკური და ექსპრესიული ნიშნით ნეიტრალური ლექსემაა. სწავლა 1. „არს რავ(ც) არა იცოდეს, უთხრას და სწავლოს“; 2. „სწავლა არს ქადაგება“; 3. „ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება, ვითარცა წერილ არს 2, 12 ფსალმ., 23, 16-22 ლუგა: „გსწავლო ეგა და განუტეო“ (64; 92; 6; 33). სწავლას ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა მიმართ „სწავლა; დარიგება, ჭკუის სწავლება; ქადაგება“ (127; 145).

მცნება ქართველური *მცენ-/მცნ- ძირიდან მომდინარეობს, რომლის ამოსავალი სემანტიკა არის „დაბარება; შეტყობინება“ (65). მცნება რამდენიმე მნიშვნელობას (ლსგ-ს) შეიცავს: 1. „მცნება, საკუთრად: ათნი საუფლონი მცნებანი, ღუთისა მიერ მიცემულნი მოსესადმი“; 2. „ბრძანება, აკრძალვა“; 3. „ნიშანი“... მცნება დასახელებულ კონტექსტებში (მრ. 7, 8; 7, 9) უფლის მიერ დანაბარებ „ათ მცნებას“

აღნიშნავს, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა εντολή „მცნება, ბრძანება; შეტყობინება“ (145; 168; 127).

მო-ძღვ-რ-ებ-ა საერთოქართველური *ძეღუ-ძღუ- მირიდან მომდინარეობს. „ქართულ ძეღუ-ძღუ- მირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჯღვ-ჯღვ-, ლაზური ნჯღ- და სვანური ჭღუ-ჭღუ-ჭოღუ-ჭოღ-“ (65). ძეღუ-ძღუ- მირის ამოსავალი სემანტიკაა „გაგზავნა; მიძღვნა, გასწრება“. მოძღვარის თავდაპირველი მნიშვნელობა „წინამდღოლს“ უკავშირდება, ხოლო შემდეგ მიიღო „დამრიგებლის, მასწავლებლის“ მნიშვნელობა. მოძღვრება განიმარტება, როგორც „სწავლება, დარიგება“ (92), რომელსაც ბერძნულში ეფარდება მიმარტი „სწავლა, დარიგება, ქადაგება, მოძღვრება“ (145; 168; 127). მცნება და მოძღვრება განირჩევა შემდეგი დიფერენციალური ნიუანსებით. ოუ მცნება დვთის მიერ დანაბარებ მცნებას აღნიშნავს, მოძღვრება ადამიანის – მოძღვრის, მასწავლებლის „დარიგებას, სწავლებას“ გულისხმობს.

სწავლა – ქადაგება:

რაჟამს დაასრულნა იქსუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თვესთა, წარვიდა მიერ ქადაგება და გადა და სწავლა და ქალაქებსა მისსა, მ. 11, 1 DEC.

მიერითგან იწყო იქსუ ქადაგება და და სიტყვად, მ. 4, 17 DEC.

მერმე კუალად იწყო სწავლა და ზღვს კიდესა ზედა, მრ. 1, 4 DEC.

ქადაგება ნიშნავს: 1. „მაღლის ხმით სწავლება“; 2. „განთქმა, ხმის დაგდება“ (54; 92). **ქადაგება** მოხმობილ კონტექსტებში პირველ მნიშვნელობას „სწავლას“ შეიცავს. მ. 11, 1 მაგალითში ლექსემები **ქადაგება//სწავლა** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება, სადაც **ქადაგება** სტილისტური თვალსაზრისით ემიჯნება სწავლას, რადგან მასში გამოიყოფა ექსპრესიული კომპონენტი, რაც მაღლი ხმით „სწავლებას, მოძღვრებას“ გულისხმობს. სწორედ აღნიშნული სემანტიკური ნიშანი განარჩევს **ქადაგება** ლექსემას სინონიმური მწკრივის სხვა წევრებისაგან.

**სიხარული – მხიარულება – მხიარულ-ყოფა – შუება – განცხრომა –
სახიობა – პარით მღერა**

მოხმობილი სინონიმური რიგის ლექსემებს აერთიანებს ძირითადი სემანტიკური ნიშანი, რაც ყოველგვარი სულიერი და ხორციელი სიამოვნების მიღებას, „დასვენებას, გართობას“ უკავშირდება.

მხიარულება – მხიარულ-ყოფა – სიხარული:

იყოს შენ თანა სიხარული და მხიარულება, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ, ლ. 1, 14 DEC;

იხ. აგრეთვე: ლ. 1, 28.

ინებეთ ჟამ ერთ მხიარულ – ყოფა ნათელსა მისსა, ი. 5, 35 C;

ინებეთ ჟამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა, DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 6, 23.

სიხარული ხარ-ძირზე დართული სიულ საწყისის მაწარმოებელი კონფიქსით მიიღება. სიხარული არის „ყოვლის ჭმუნვისაგან თავისუფლება“; „ლხინი, წვეულება“ (54; 92; 6). აღნიშნული ლექსემა შეიცავს ორივე მნიშვნელობას, როგორც სულიერი, ასევე ხორციელი მწუხარებისაგან გათავისუფლებას. სიხარული მოხმობილი სინონიმური რიგის დომინანტ ერთეულად ითვლება, რომელსაც რიგში შემავალი ლექსემები სხვადასხვა დიფერენციალური კომპონენტებით ემიჯნებიან.

მხიარულება საერთოქართველური *ხი- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ ხი- ძირს შესატყვისება მეგრული ხი- და სვანური ხი-“. შესატყვისობები დასტურდება მათ სემანტიკაშიც (65). აბსტრაქტული სახელი მხიარულება მიღებულია მოქმედებითი გვარის მიმღეობისაგან მხიარული, რაც ნიშნავს „გონებით გახარებულს“ (53). მხიარულება კი განიმარტება, როგორც „გრძნობა სულიერისა განსვენებისა“ (92); „სიმხიარულე“ (6). ამდენად, მხიარულება ლექსემის სემანტიკა, „სულიერ“ დასვენებას უკავშირდება.

მხიარულება – სიხარული – შუება:

აწ მხიარულება და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმავ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, ლ. 15, 32 DE;

შუება და და სიხარულე და დ ჯერ არს, რამეთუ ძმავ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, C.

შუება განიმარტება, როგორც „მოშვება; გინა ნებიერად ყოფნა“ (54); „განცხომა, ლხენა, ლხინება, ლხინი“ (92; 33). ნებიერად ყოფნას, ნებას საბას

განმარტებით, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მათ შორის არის „ერთი რომელი იგი ნაყროვანებისა, განსვენებისა და გემოთმოყვარების“ (53) მნიშვნელობას შეიცავს. მაშასადამე, შუება „ნაყროვანებით“, იმავე სმა-ჭამით და მოლხენით მიღებულ სიამოვნებას აღნიშნავს.

მხიარულება/სიხარული და შუება/სიხარული ლ. 15, 32 მაგალითში სინონიმური პარალელიზმის¹⁰ სახით დასტურდება. მათ შორის განსხვავება, როგორც აღინიშნა, შემდეგია: მხიარულება „სულიერ“, ხოლო შუება „ხორციელ“ დასვენებას გულისხმობს. სიხარული კი ამ ორივე კომპონენტს შეიცავს.. აღნიშნულ წყვილებს ბერძნულში შეესატყვისება ლექსემები უფრაინა, χαίρω, „სიხარული, მხიარულება, სიამოვნების მიღება, ზეიმობა“ (145; 168; 127).

შუება – განცხომა:

ამ ჩემი მომკუდარ იყო და ცხომდა, წარწყმედულ იყო და იპოვა, და იწყეს ჟ უ ე ბ ა დ, ლ. 15, 24 C.

ამ ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და იპოვა. და იწყეს გ ა ნ ც ხ რ თ მ ა დ, DE.

გან-ცხრ-ომ-ა მხიარულებისა და დასვენების ერთ-ერთი სახეა, რაც ნიშნავს: „თამაშობას, ხუმრობას, ლხინს, გართობას, შექცევას“ (53; 92; 6). შუება/განცხრომა ერთეულებს ც. კიკიძე ნუკავა ლექსემის სინონიმურ რიგში განიხილავს, რომელიც ყოველგვარ „ჯორციელ განსვენებას“ (39, 262-275) აღნიშნავს. მაგრამ მათ შორის აზრობრივი სხვაობა მაინც შეიმჩნევა. შუება „ნაყროვანებით, გემოთმოყვარებით“ მიღებულ ხორციელ სიამოვნებას უკავშირდება, ხოლო განცხრომა „თამაშობით, ხუმრობით, გართობით“ მიღებული ხორციელი სიამოვნებაა.

სიხარული – სახიობა – განცხრომა – პარით მდერა:

¹⁰ ერთი სტრიქონის ფარგლებში დადასტურებული სინონიმური მნიშვნელობის ლექსემები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში „სინონიმური პარალელიზმის“ სახით მოიხსენიება (94, 692), ხშირად ვლინდება ოთხთავში. ცალკეული რედაქციის ერთ კონტექსტში გამოვლენილ სინონიმურ წყვილებს ქვემოთ ცალკე თავი ეძღვნება და მასში განვიხილავთ. მაგრამ ზოგჯერ მათი ამა თუ იმ სინონიმური რიგიდან გამოცალკევება არ ხერხდება და ზოგიერთ პარალელურ წყვილზე გზადაგზა გვექნება მსჯელობა.

ესმოდა ქმა ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ა ვ და გ ა ნ ც ხ რ თ მ ი ს ა ვ, ლ.
15, 25 DE;

ესმა ქმავ ს ა ხ ი ბ ი ს ა ვ და პ ა რ ი თ მ ე მ დ ე რ თ ა ვ, C.

სა-ხი-ობ-ა ასევე გართობისა და დასვენების ნაირსახეობაა. იგი ქართველური *ხე-/ხი- ძირიდან მომდინარეობს, რომლის ამოსავალი სემანტიკა, ი. აბულაძის მიხედვით, ბერვა-ცემის შედეგად რაიმე ინსტრუმენტის ხმის გამოცემას აღნიშნავს (8, 218-219). ლექსიკონთა მიხედვით **სახიობა** „ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთანი და მოანება ტკბილი, გალობა თუ სიმღერა“ (54; 92); „მუსიკა, სიმღერა, გალობა“ (33).

პარიო მდერა. ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება **სიხსარულის** სინონიმად მოიაზრება. **პარი** საბას განმარტებით, ნიშნავს „ლინს“, ხოლო **ლინი** კი არის „რვალის საჩხარუნებელი დიდი“ (53); „მათეს თავის თარგმანი: მეორდანეთა, მენესტვეთა, ქნარითა და ლინითა მეტყველთა, პირად-პირადითა სიღოდითა მემღერთა“ (53); „მოცემავე“ (33). მაშასადამე, **პარი** „რვალის საჩხარუნებელს“ ნიშნავს, ხოლო **პარიო მემღერი** ამ საჩხარუნებლის ხმაზე ან სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოცემულ ხმაზე მოცემავეს გულისხმობს.

სახიობა და **პარიო მდერა**, აგრეთვე სინონიმური პარალელიზმის სახიობ გვხვდება მოხმობილ მაგალითებში, რომელთაც მიემართება ასევე პარალელურად **სიხსარული** და **განცხომა**. მათ ბერძნულში შეესატყვისება **χορός** „გუნდი, ხორო, ფერხული; ხოროს სიმღერა“ (168; 145; 127).

ამდენად, **სიხსარული** სულიერ და ხორციელ „დასვენებას, გართობას“ ნიშნავს, ხოლო მასთან სინონიმურ მიმართებაში მყოფი ლექსემები, გართობის სხვადასხვაგვარი ნაირსახეობებია.

ზაკუვა – ზაკულება – ორგულება – უპეოურება – სიბოროტე

ზაკუვა – ზაკულება – ორგულება:

შინაგან სავსე ხართ ზ ა კ უ გ ი თ ა და უშჯულოებითა, მ. 23, 28 C;

შინაგან ხართ სავსე ო რ გ უ ლ ე ბ ი თ ა და უშჯულოებითა, DE.

უწყოდა ზ ა კ უ ლ ე ბ ა ვ იგი მათი, მრ. 12, 15 C;

თავადმან იცოდა ო რ გ უ ლ ე ბ ა ვ მათი, DE.

ზაკუ-ებ-ა//ზაკუ-ლ-ებ-ა საერთოქართველური ***ზაკუ-** ძირიდან მომდინარეობს (65). „ზაკუა არს პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს. მზაკვარი ეშმაკი არს“ (53; 92); „ვერაგობა, ღალატი“ (6); „ცბიერება, მანქანება, ხერხი“ (33). საწყისის ფორმით გადმოცემული **ზაკულება** ლექსემა და მისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **ზაკულება** შეიცავს ადამიანის მიერ გულში ჩადებულ ყოველგვარ ბოროტ განზრახვას. დასახელებულ მწკრივში შემავალ სინონიმურ ლექსემებს აერთიანებს სწორედ აღნიშნული სემანტიკური ნიშანი, რომელსაც ისინი სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ.

ორ-გულ-ებ-ა კომპოზიტური შედგენილობის სიტყვაა. **ორგული,** საბას განმარტებით, ნიშნავს „ერთს პირზე დაუდგრომელს“ (53), ხოლო აბსტრაქტული სახელი **ორგულება** კი აღნიშნავს „დაუნდობლობას, ეჭვიანობას, ცბიერებას, პირმოთნეობას, ორპირობას, თვალთმაქცობას, უწრფელობას, ღალატს“ (92; 6; 33). **ორგულება** ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით **უπόκριსის „მოტყუება,** თვალთმაქცობა, ფარისევლობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა“ (145; 168; 127).

ზაკულება – უკეთურება:

გულისკმა-ყო იესუ ზ ა კ უ ლ ე ბ ა ვ იგი მათი, მ. 22, 18 DE;

გულისკმა-ყო იესუ უ კ ე თ უ რ ე ბ ა ვ იგი მათი, C.

შინაგან გულისაგან კაცთავსა გამოვლენ... უ კ ე თ უ რ ე ბ ა ნ ი, მრ. 7, 22 DEC.

ჰ-კეთ-ურ-ებ-ა ქართველური ***კეთ-** ზმნური ძირიდან მომდინარეობს (65). **ჰკეთური** „ესე არს მჩემებელი კეთილისა და მოქმედი ბოროტებისა“ (54); „კეთილობის გარეგანი, ავი კაცი, ცუდი კაცი,“ (92); „ცუდი, ბოროტი, ცბიერი, ვერაგი“ (33). აღნიშნულ თვისებებს წარმოაჩენს განზოგადებულად აბსტრაქტული სახელი **ჰკეთურება,** რაც ნიშნავს „ბოროტებას, ცბიერებას, ვერაგობას“ (33). მაშასადამე, **ზაკულება** ლექსემას იგი მიემართება „ცბიერების, ვერაგობის“ მნიშვნელობით.

სიბოროტე:

კმა არს დღისად მის ს ი ბ თ რ ო ტ ს იგი, მ. 6, 34 DEC.

სი-ბორ-ოტ-ე ძველ ქართულში სომხურის მეშვეობით ნასესხები სიტყვაა, რომელსაც აჭარიანი უკავშირებს საშ. სპარსულ **bōr** ძირს (4, 82). **ბორ-** ძირზე

დართული „ოტ“ არის სომხური მაწარმოებელი და მთლიანი გამოთქმა პოროტი ნიშნავს „კეთროვანს“. ქართულში მას „უკეთურის“ მნიშვნელობა აქვს“ (59; 189). პოროტი განიმარტება, როგორც „ავის მოქმედი და ავი; ვნების მომცემი“ (53; 92). ამ ზედსართავიდან მიღებული აბსტრაქტული სახელი სიბოროტე „პოროტებას, სიავეს, უკეთურებას“ (6) ნიშნავს. მაშასადამე, უკეთურება და სიბოროტე ერთი და იმავე მნიშვნელობის შემცველია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ძირთა წარმომავლობაშია. პირველი საკუთრივ ქართული კოტ- ძირის მქონეა, ხოლო მეორე – საშ. სპარსული **bər** ძირიდან სომხურის მეშვეობით ნასესხები.

ამრიგად, სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტულ სახელებს მეტწილად საფუძვლად უდევთ რაიმე თვისების აღმნიშვნელი სიტყვა (ზედსართავი, მიმღეობა და ა. შ.), ხოლო მათგან ნაწარმოები განყენებული სახელები მეორეულია. აბსტრაქტულ სახელთა თითოეულ სინონიმურ რიგში გამოიყოფა მთავარი, დომინანტური ლექსემა, რომელიც ცალკეულ წევრთა საერთო მნიშვნელობას შეიცავს, ხოლო თავად სინონიმურ მწერივში შემავალი სხვადასხვა წევრები (საწყისი, მიმღეობა, კომპოზიტი; ფრაზეოლოგიური შესიტყვება) თავისუფლად ენაცვლებიან მათ მსგავს კონტექსტებში და ემიჯნებიან სხვადასხვა დიფერენციალური ნიშნებით, დიფერენციალური კომპონენტებით.

2.2.2. სინონიმური მნიშვნელობის მქონე ქონების სახელები

სინონიმური მნიშვნელობის ქონების სახელებში ერთმანეთს მიემართებიან -იერ, -ოვან, -ოსან სუფიქსებით ნაწარმოები ლექსემები. სინონიმური მონაცვლეობა დასტურდება ასევე ქონების სახელებსა და სხვა სახის სიტყვებს შორისაც (მიმღეობები, კომპოზიტები...)

მდიდარი – ფასიერი – ნაყოფიერი

ქონების სახელებით გადმოცემულ მოხმობილი სინონიმური მწერივის წევრებს აერთიანებს სიმდიდრის მფლობელი სუბიექტის საერთო სემანტიკური მნიშვნელობა. აღნიშნულ მნიშვნელობას ყველაზე ნათლად გადმოსცემს ლექსემა მდიდარი, ამიტომ იგი მწერივის დომინანტა წევრია.

მდიდარი – ფასიერი:

მ დ ო დ ო რ ო მნიად შევიდეს სასუფეველსა დმრთისასა, მ. 19, 23 DEC.

მნელ არს ფ ა ს ი ე რ თ ა ვ შესულად სასუფეველსა დმრთისასა, მრ. 10,
23 DEC.

წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი მ დ ი დ ა რ ფრიად, მ. 19, 22 DE;

წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი ფ ა ს ი ე რ ფრიად, C.

მდიდარი – ნაყოფიერი

ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე იქმნა, რამეთუ იყო იგი მ დ ი დ ა რ
ფრიად, ლ. 18, 23 DEC.

ხოლო იგი შეწუხნა სიტყუასა მას ზედა და წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო
იგი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ფრიად, მრ. 10, 22 C;

მ-დიდ-არ ნაწარმოებია ზედსართავი სახელისაგან დიდი, რომელიც
საერთოქართველური ***დიდ-** ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ დიდ- ძირს
კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული დიდ- და ლაზური დიდ-“. შეესატყვისობები
გლინდება მათ სემანტიკაშიც (65). დიდ- ძირზე დართული მ-არ კონფიქსი
მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი ფორმანტია (81; 60). **მდიდარი**
განიმარტება, როგორც „მრავლის მქონებელი“ (53; 92); „უხვი, ქონებიანი“ (6).
მდიდარს ბერძნულში შეესატყვისება κτηματιλός „ფასიანი, ქონებიანი, მდიდარი...“
(145; 168; 127).

ფას-იერ მიღებულია არსებითი სახელის ფას- ძირისაგან ქონების სახელთა
მაწარმოებელი -იერ სუფიქსის დართვით. ფასი ძველ ქართულში ნასესხები
სიტყვაა. მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, იგი მოდის ძველი ალანური ***faes (fas)**
ფორმიდან (4, 112-113). ფასის თავდაპირველი მნიშვნელობა უკავშირდება
„წვრილფეხა საქონელს, საშუალო ზომის ცხვარს“, როგორც ვაჭრობის ერთეულს,
ხოლო ქონების, სიმდიდრის მნიშვნელობა მან შემდგომში შეიძინა. ფასიერი
ნიშნავს „ქონების პატრონს, ქონებიანს, მდიდარს“ (6; 33).

ნაყოფ-იერ: ნაყოფი ყოფ- ზმნური ფუძიდან მიღებული წარსული დროის
ვნებითი გვარის მიმღეობაა და ზედსართაული აბსტრაქტივის (ნაყოფიერი)
ამოსავლად სწორედ იგი მოიაზრება. ნაყოფი განიმარტება, როგორც „მისგან
გამონალები, გინა ხილი, გინა ნაქმარი“. ნაყოფიერი კი ძირითადად ნიშნავს
„ნაყოფის მომცემს, ნაყოფის მომტანს, ნაყოფიანს, მსხმოიარეს“ (53; 92; 6), ხოლო
„ქონებიანის, მდიდრის“ (33) მნიშვნელობა მეორეულია.

განხილული სინონიმური რიგის ქონების სახელებს მდიდარი//ფასიერი// ნაყოფიერი აერთიანებს, როგორც ზემოთ ითქვა, „სიმდიდრის, ქონების“ მფლობელი სუბიექტის მნიშვნელობა. ისინი მხოლოდ ძირთა წარმოების თვალსაზრისით განირჩევიან ერთმანეთისაგან. მდიდარი მიღებულია ზედსართავი სახელისაგან დიდი, ფასიერი იწარმოება ნასესხები არსებითი სახელისაგან ფასი, ხოლო ნაყოფიერი იწარმოება ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობისაგან ნაყოფი, რაც თავის მხრივ ყოველი ზმნური ფუძიდან მიიღება.

ბრძენი – გონიერი – მეცნიერი – სწავლული – განსწავლული

დასახელებული სინონიმური მწკრივის ლექსემები აღნიშნავენ „ნასწავლ, მცოდნე“ პიროვნებას, რაც სხვადასხვა სახის ნაწარმოები სიტყვებით გადმოიცემა. დომინანტად კი შეიძლება გამოიყოს ქონების სახელი მეცნიერი, რომელიც საერთო მნიშვნელობის შემცველია და სემანტიკურად უფრო ნეიტრალურობით გამოირჩევა, თუმცა სინონიმური ერთეულები ბრძენს მეტად უწყვილდებიან.

ბრძენი – გონიერი:

ვინმე არს სარწმუნო იგი მონავ და ბ რ ძ ე ნ ი, მ. 24, 45 DE;

ვინმე უკუე არს სარწმუნო იგი მონავ და გ თ ნ ი ე რ ი, C.

ემსგავსოს იგი კაცსა ბ რ ძ ე ნ ს ა, მ. 7, 24 C;

ემსგავსოს იგი კაცსა მას გ თ ნ ი ე რ ს ა, DE.

ბრძენი, მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან **frazānak** „ბრძენი, მეცნიერი“ (4, 296). **ბრძენი** განიმარტება, როგორც „დიდად ჭავიანი“ (53); „ფრიად გონიერი, მეცნიერი“ (92; 6). **ბრძენს** ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა **ფრόντის** „გონიერი, კეთილგონიერი, ბრძენი, ჭავიანი“ (145; 168; 127).

გონიერი საერთოქართველური ***გონ-** ზმნური ძირიდან მომდინარეობს, რომლის ამოსაგალი მნიშვნელობაა „მიხვედრა, გაგებინება“ (65). **გონიერი** განიმარტება შემდეგნაირად: „გონებიანი, გულისჯმიერი“ (53), „ჭკუიანი, მცოდნე“ (6). **გონებას** კი საბა შემდეგნაირად განმარტავს „გონება სამ სახედ ითქმის: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონება ჩვენი“ (53). ჩვენი მასალის მიხედვით, **გონიერი** „ჭკვიანს, მცოდნეს, გულისხმიერს (მიმხვედრი), გამგებს“ აღნიშნავს, რასაც ბერძნულში გადმოსცემს იგივე **ფრόნტის** ლექსემა

ბრძნი – მეცნიერი:

დაჭვარე ესე ბ რ ძ ე ნ თ ა გ ა ნ და მ ე ც ნ ი ე რ თ ა და
გამოუცხადე ესე ჩჩლთა, მ. 11, 25 DEC.

იხ. აგრეთვე: ლ. 10, 21.

არღა მ ე ც ნ ი ე რ იყო წიგნთა, ვითარმედ ჯერ-არს მისა მკუდრეთით
ადდგომად, ი. 20, 9 C.

იყვნით ოქუენ მ ე ც ნ ი ე რ, ვითარცა გუელნი, მ. 10, 16 DEC.

მეცნიერი ქართველური *ცან-ცნ- მირისაგან მომდინარეობს. ქართულ ცნ-
ცნ- მირს შეესატვისება მეგრ. ჩინ- და ლაზ. ჩინ-. შეესატყვისობები დასტურდება
მათ სემანტიკაშიც (65). **მეცნიერის** მნიშვნელობებია „მცნობელი“ (53). „სწავლული,
გამოცდილი სწავლათა შინა// ნაცნობი“ (92). ჩვენი მასალის მიხედვით **მეცნიერი**
„მცოდნებს, სწავლულს“ ნიშნავს. მ. 11, 25 მაგალითში ლექსემები **ბრძნი//მეცნიერი**
სინონიმური პარალელიზმის სახით არის წარმოდგენილი, რომელთაც ბერძნულში
ერთი ლექსემა ფრისი „გონიერი, ბრძნი, ჭკვიანი“ (127; 145) ეფარდება. წყვილის
წევრთაგან პირველი ნასესხებია საშ. სპარსულიდან, ხოლო მეორე საკუთრივ
ქართული წარმოშობის მქონეა.

სწავლული – განსწავლული:

წერილ არს წინაწარმეტყუელთა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი დმრთით ს წ ა გ-
ლ უ ლ, ი. 6, 45 DE;

წერილ არს წინაწარმეტყუელთა: და იყვნენ ყოველნი გ ა ნ ს წ ა გ ლ უ ლ
დმრთისა მიერ, C.

სწავლული//გან-სწავლული წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობათა
ფორმებია და განიმარტება, როგორც „გაწრთვნილი, მცოდნე, მეცნიერი“ (6).
მაშასადამე, დასახელებული ლექსემები **მეცნიერს** მიემართებიან სინონიმებად,
მხოლოდ ისინი სწავლაში „გაწრთვნილ“ პიროვნებებს გულისხმობენ.

ამდენად, განხილული სინონიმური მწერივის სიტყვები **ბრძნი//გონიერი//**
მეცნიერი//სწავლული//განსწავლული აღნიშნავენ „მცოდნე, ნასწავლ“ პიროვნებას.
დომინანტ ერთეულად შეიძლება მივიჩნიოთ **მეცნიერი**, რომელიც შეიცავს საერთო
მნიშვნელობას და სემანტიკური ნიშნით შედარებით ნეიტრალურია. მწერივში
შემავალი წევრები კი მას შემდეგი დიფერენციალური კომპონენტებით ემიჯნებიან:

ბრძენი შეიცავს სინონიმურ-დიფერენციალურ კომპონენტს – (სდპ-ს), რომელიც მიუთითებს თვისების ყველაზე მაღალ ხარისხზე: „დიდად ჭკვიანი“; გონიერი გულისგმიერს“, ანუ შინაგანად „მიმხვედრს“ ნიშნავს;; სწავლული//განსწავლული კი სწავლაში „გაწვრთნილ“ პიროვნებას წარმოადგენს.

სახიერი – ქველის-მოქმედი – კეთილი

სახიერი – ქველის-მოქმედი:

მოძღვარო ს ა ხ ი ე რ ო, რამე კეთილი ვქმნე, რათა მაქუნდეს ცხორებავ საუკუნო, მ. 19, 16 DE;

მოძღვარ ქ ვ ე ლ ი ს მ თ ქ მ ე დ, რავ კეთილი ვქმნე, რათა მაქუნდეს ცხორებავ საუკუნო, C.

რომელთა ჭელმწიფებავ აქუს მათ ზედა, ქ ვ ე ლ ი ს მ თ ქ მ ე დ ჰრქან, ლ. 22, 25 DEC.

იხ. აგრეთვე; მ. 19 17; მრ. 10, 18.

სახიერი იწარმოება არსებითი სახელისაგან სახე, რომელიც პოლისემიურია: სახე ნიშნავს „სახეს, შესახედაობას, გარეგან შესახედავს; მაგალითს, მსგავსებას; გამოხატულებას; გვარს; მიზეზს...“ (54; 92; 33). ქონების სახელი სახიერი ეფუძნება მის ერთ-ერთ მნიშვნელობას „სახეს, შესახედაობას, გარეგნობას“. სახიერი, იგივე სახიერი ნიშნავს „ლამაზს“, ანუ ისეთს „რომელსა ყოველი სახე განწყობილი ჰქონდეს და საქმითაც კეთილისმოქმედი იყოს“ (64). მაშასადამე, სახიერის ძირითადი მნიშვნელობაა „კეთილსანახავი, მშვიდობიანი სახისა“ (92), ხოლო „კეთილი, კეთილის მოქმედი“ (6; 33) შემდეგ განვითარებულია. სახიერს ეფარდება ბერძნულში აγαθόს „კარგი, ჩინებული, კეთილი; გულუხვი, ხელგაშლილი; კეთილი, მოწყალე“ (145; 168; 127).

ქველის-მოქმედი: ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ქველი ნიშნავს „მოწყალეს, გინა კეთილს“, ქველის-მოქმედი კი „მოწყალების მოქმედს“ (54); „კეთილისმყოფელს“ (92; 6; 33). ქონების სახელით გადმოცემულ ლექსემას სახიერი მოხსობილ მაგალითებში მიემართება მისი მსგავსი მნიშვნელობის შემცველი კომპოზიტი ქველის-მოქმედი, რაც საკუთრივ ქართული წარმოშობის მქონეა, რადგან ბერძნულში მას ეფარდება მარტივი სიტყვა აგაθის.

სახიერი – კეთილი:

გულითა პ ე თ ი ლ ი თ ა და ს ა ხ ი რ ი თ ა ისმინიან სიტყუავ და შეიკრძალიან, ლ. 8, 15 DEC.

კეთილი საერთოქართველური *კეთ- ძირიდან მომდინარეობს (65), რაც ნიშნავს „სახიერს, ტკბილს“ (92) „კარგს, საამოს“ (6; 33). მოხმობილ მაგალითებში (ლ. 19, 17; 8, 15) **სახიერი** და **კეთილი** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება. ამ შემთხვევაში ტექსტის მთარგმნელი, ბერძნულში არსებული ერთი სიტყვის (*ἀγαθός*) ფარდად იყენებს მისი მნიშვნელობის მქონე სინონიმურად მონაცვლე ერთეულებს, რითაც წინადადებას მხატვრული ელფერი ემატება.

პატიოსანი – შუენიერი – სარწმუნო:

პატიოსანი – შუენიერი:

მოვიდა იოსეფ არიმათიელი, პ ა ტ ი თ ს ა ნ ი მზრახვალი, მრ. 15, 43 C;

მოვიდა იოსებ არიმათიელი, შ უ ე ნ ი ე რ ი მზრახვალი, DE.

პატიოსანი ფალაური ***pativ** ფორმისაგან მომდინარეობს (4, 264)¹¹, რაც ნიშნავს „კეთილის მიპყრობას სიტყვითა და საქმით“ (54). **პატივი** ფორმისაგან ნაწარმოები ქონების სახელი **პატიოსანი** რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: 1. „პატივცემული, საპატიო, ცნობილი“; 2. „ნამდვილი, უზადო, შეურეველი“; 3. „ძვირფასი; 4. „შეფასებული“ (6; 33). **პატიოსანი** დასახელებული სინონიმური რიგის საყრდენ ლექსემას წარმოადგენს, რომლის ცალკეულ მნიშვნელობებს უკავშირდება სინონიმური ერთეულები.

შეენიერი განიმარტება, როგორც „შეფერებული“ (54); „შნოიანი, კეთილსახილველი“ (92); „ლამაზი, მშვენიერი; ცნობილი, სახელგანთქმული“ (6; 33). **შუენიერი** ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით *εύτχήνως* „პატივცემული; ცნობილი, გავლენიანი, სახელგანთქმული; კეთილშობილი გარეგნობის, ღირსეული“ (145; 127). მაშასადამე, იგი უკავშირდება სინონიმად **პატიოსანის** პირველ მნიშვნელობას.

პატიოსანი – სარწმუნო:

¹¹ ნასესხები ლექსიკის შემცველ სინონიმურ რიგებზე ქვემოთ ცალკე გვექნება საგანგებო მსჯელობა. ამჯერად კი მხოლოდ იმ ერთეულებს განვიხილავთ, რომლებიც ნაწარმოები ლექსიკის სინონიმურ რიგებში შედიან.

რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი ნარდიონი პატიოსანი, მრ. 14, 3 C;

აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარტყებულებელი, DE.

სარტყმუნო: „დასაჯერებელი“ (54); „უძველეს მისანდო, შეუორგულებელი, ანუ ჭეშმარიტი, ნამდჟლი“ (92); „სანდო, საიმედო; შეურეველი, უზადო“ (6; 33). **სარტყმუნო** მიემართება სინონიმად პატიოსნის მე-2 მნიშვნელობას, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა πιστικῆς „სარტყმუნო, ნამდვილი, წმინდა“ (145; 127).

2.2.3. სინონიმური მნიშვნელობის მქონე ხელობის სახელები

ხელობის სახელთა საწარმოებლად გამოიყოფა აფიქსები: მ-ე-შ, მ-ა-რ, მ-ე-უ-რ, მ-ე-უ-ლ... აღნიშნული მაწარმოებლები ერთგიან მსგავსი შინაარსის მქონე სხვადასხვა ფუძეებს და ვიღებთ სინონიმური მნიშვნელობის მქონე ხელობის სახელებს.

მეთევზური – მესათხევლე – მთხევარ

დასახელებულ სინონიმურ მწკრივში შემავალ ხელობის სახელებს აერთიანებს „მებადურის“, ანუ თევზის დამჭერი სუბიექტის სემანტიკური მნიშვნელობა. მწკრივის დომინანტ წევრად შეიძლება გამოიყოს მეთევზური, რომელიც მესათხევლე/მთხევარ ერთეულებთან შედარებით სემანტიკურად უფრო ნეიტრალურია. აღნიშნული სინონიმური ერთეულები ბერძნული სიტყვის ἄλιεύσ--ის = „თევზის დამჭერი, მებადური, მეთევზე“ (145; 168; 127) თარმნანს წარმოადგენენ.

მესათხევლე – მეთევზური:

ითხევლიდეს რად სათხევლითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მეთხევლე, მეთხევლე, მ. 4, 18 DE;

ისათხევლიდეს რად ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს იგინი მეთხევლე, მ. 4, 3 ზე, C.

მეთევზური: თევზი ყოველნაირ წყლის ბინადარს ჰქვია (53; 92). თევზისგან ნაწარმოები ქონების სახელი მეთევზური კი განიმარტება, როგორც „თევზის მონადირე, მეთევზე“ (53; 92); „თევზის მჭერელი, მებადური“ (6; 33). მეთევზური, როგორც ითქვა, სინონიმური მწკრივის მთავარი წევრია, ხოლო მესათხევლე//

მთხევარ ერთეულებში ძირითად მნიშვნელობასთან ერთად ცალკეული აზრობრივად განმასხვავებელი, დიფერენციალური ნიშნები იკვეთება.

მესათხევლე – მთხევარ:

ითხევლიდეს რად იგინი ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს იგინი მ ე ს ა თ ხ ე ვ - ლ ე, მრ. 1, 16 DE;

ისათხევლიდეს სათხეველითა ზღუასა, რამეთუ მ თ ხ ე ვ ა რ იყვნეს, C.

მ ე ს ა თ ხ ე ვ ლ ე ნ ი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განპრცხიდეს ბადესა, ლ. 5, 2 DEC.

მესათხევლე/მთხევარ ქართველური ***თხევა-** ძირიდან მომდინარეობს. ქართველი **თხევა-** ძირის ამოსავალი სემანტიკა „ნადირობას, თევზაობას“ უკავშირდება. მას შეესატყვისება სვანურში **თხევ/თხევ-**, რომლის მნიშვნელობაც „ძებნას“, „ნადირობას“ შეიცავს. **სათხეველი** ნიშნავს „სასროლ ბადეს“ (54), ხოლო **მესათხევლე/მთხევარი** „მეოვზეს, მებადურს“ (6; 33). მოხმობილი სინონიმური წყვილი სემანტიკურად ერთი და იმავე მნიშვნელობის შემცველია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ წარმოების თვალსაზრისით შეიმჩნევა. **მესათხევლე** მე- კონფიქსით ნაწარმოები ხელობის სახელია, ხოლო **მთხევარი** მ-არ კონფიქსით მიღებულ მოქმედებითი გვარის მიმღეობას წარმოადგენს.

მესათხევლე/მთხევარი სინონიმური წყვილი უშუალოდ მიუთითებს, რომ სუბიექტი თევზის შესაპყრობად იყენებს სათხეველს, ანუ „სასროლ ბადეს“, ანუ მასში იკვეთება ის ინსტრუმენტი, ხელსაწყო, რითაც ხდება თევზის დაჭერა. აღნიშნული დიფერენციალური კომპონენტით გამოირჩევიან ისინი მწკრივის მთავარი წევრისაგან.

მწყემსი – მეღორე:

მ წ ყ ე მ ს ნ ი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა, მრ. 5, 14 DE;

მ ე ღ ო რ ე ნ ი იგი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა, C.

მწყემსი ქართველი ***მწყეს-** ძირისაგან მომდინარეობს, რომელსაც შეესატყვისება მეგრ. **ჰყებ-ჰყიშ-** და ლაზ. **ჰჲებ-ჰჲიშ-**. შესატყვისობები ვლინდება მათ სემანტიკაშიც (65) **მწყემსი** განიმარტება, როგორც „მეცხვარე; მწყემსი, მღდელი; მწყემსი არს მეცხვარე, ხოლო კაცთა მწყემსი – მღდელი“ (53);

„მაძოვებელი ხვასტაგთა, ვითარ მეცხუარე, მენახირე, მედორე, მეჯოგე და სხვ., მწყემსი კაცთა ე. ი. მღუდელი“ (92); „მენახირე“ (6). აღნიშნულ მნიშვნელობათაგან მწყემსი ჩვენს შემთხვევაში დორების მეთვალყურეს ნიშნავს.

მე-დორ-ე აგრეთვე ქართული ***დორ-** ძირის მქონე ლექსემაა, რომლის შესატყვისია მეგრ. **დოჭ-** და **ლაზ.** **დოჭ-**. აღნიშნული ძირების მსგავსება დასტურდება სემანტიკურადაც (65). **მე-ე** კონფიქსით მიღებული ხელობის სახელი მედორე არის „მწყემსი, მაძოვებელი დორთა“ (92).

მწყემსი//მედორე სინონიმურ წყვილთაგან, ი. იმნაიშვილის თქმით, **მედორე** უფრო კონკრეტულობით გამოირჩევა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ადიშის ტექსტისათვის (29, 192). აღნიშნულ სინონიმურ ერთეულებს ბერძნულში ეფარდება **βόσκω „მწყემსი“** (145; 168; 127).

2.2.4. სინონიმური მნიშვნელობის მქონე დანიშნულების სახელები

დანიშნულების სახელებში გვხვდება **სა-ე**, **სა-ელ**, **სა-ულ** მაწარმოებლებით მიღებული სინონიმური მნიშვნელობის ლექსემები. დანიშნულების სახელებს მიემართებიან სინონიმებად სხვა სახის სიტყვებიც.

ბადე – სათრომელი – სათხეველი

მოხმობილი სინონიმური მწკრივის წევრთა საერთო მნიშვნელობაა „თევზის საჭერი“ ხელსაწყო. მწკრივის დომინანტაა სემანტიკური ნიშნით ნეიტრალური ლექსემა **ბადე**, რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება ბίκτυო „ბადე, სათხეველი“ (145; 127), ხოლო **სათრომელი** და **სათხეველი**, რომლებიც ლექსემა **σαγήνη-ს** („დასაჭერი, სათრევი ბადე“ 145; 168; 127) თარგმანს წარმოადგენენ, ძირითად მნიშვნელობასთან ერთად შეიცავენ დიფერენციალურ კომპონენტებსაც, რაც განარჩევს მათ მწკრივის მთავარი წევრისაგან.

ბადე – სათრომელი:

ჰსდევით ბ ა დ ჲ ეგე მარჯუენით კერძო, ი. 21, 6 DE;

სდევით-და მარჯულ კერძო ნავისა მაგის ს ა თ რ ო მ ე ლ ი ეგე, C.

გამოითრევდეს ბ ა დ ე ს ა მას თევზითა სავსესა, ი. 21, 8 DEC.

იხ. აგრეთვე: ი. 21, 11; მრ. 1, 19.

ბად-ე საერთოქართველური ***ბად-** ძირიდან მომდინარეობს. ეს სიტყვა იხმარება „ბადის“, აგრეთვე, „ობობას ქსელის“ მნიშვნელობით. სემანტიკური

შესატყვისობებია ქართულ ბად- და სვან. ბად- ძირებს შორის (65). ბადე შემდეგნაირად განიმარტება „ბადე სახელი არს ყოელთა მკედთა თვალედად ნასკულთა...; ბადე არს თევზთა შესაპყრობელი: სათხეველი, ხოლისი, ღრიპონი, ჩიჩქინური, მასე, ზეღმა, ხელბადე და ეგევითარნი“ (53; 92); „სანადირო ბადე“ (6).

დასახელებული სინონიმური რიგის ერთეულები თევზსაჭერი ბადის სემანტიკით უკავშირდებიან ერთმანეთს.

სა-თრ-ომ-ელ-ი თრ- ძირზე დართული სა-ელ დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსით არის მიღებული. „სათრომელი ესე ბადე გრძელი და შორს მოსაყარი სათევზედ; დიდი ბადე“ (54); „სათრომელი, ანუ სათრეველი, სათხეველი ბადე, გრძელი და შორსაგდები“ (92); „სათრევი ბადე“ (33).

ბადე – სათხეველი:

მათ მეყსეულად დაუტევეს ბ ა დ ც მათი მ. 4, 20 DE;

მათ მეყსეულად დაუტევეს ს ა თ ხ ე ვ ე ლ ნ ი მათი, C.

სა-თხევ-ელ-ი საერთოქართველური *თხევ- ძირიდან მომდინარეობს, რაც „თევზის დაჭერის“ სემანტიკას შეიცავს (65), ხოლო მასზე დართული სა-ელ დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსია. სათხეველი ეწოდება „სასროლ ბადეს“ (54; 92; 33).

მაშასადამე, სათრომელი და სათხეველი, რომელიც მხოლოდ C რედაქციისათვის არის დამახასიათებელი, ძირითად მნიშვნელობასთან ერთად შეიცავენ დიფერენციალურ ნიშნებს, კერძოდ: სათრომელი – „გრძელი, სათრევი“ ბადე; სათხეველი – „სასროლი“ ბადე, როთაც აზუსტებენ თევსაჭერი ხელსაწყოს მნიშვნელობას.

სასხდომელი – საჯდომელი – სავრძელი

მოხმობილი სინონიმური მწკრივის დანიშნულების სახელები ბერძნული ლექსემა καθέδρα-ს თარგმანს წარმოადგენენ, რაც ნიშნავს „სკამს“ (127), ანუ ადამიანისათვის განკუთვნილ დასაჯდომ საგანს. „სკამის“ საერთო მნიშვნელობა მოკლევება მწკრივის ყველა წევრს, რომლებიც ასევე შეიცავენ განმასხვავებელ დიფერენციალურ ნიშნებსაც.

სასხდომელი – საჯდომელი:

ს ა ს ხ დ ო მ ე ლ ი იგი მსყიდელთავ მათ ტრედისათავ დაუმჯუა, მ. 21, 12 DE;

თესლის მოფარდულთავ დაუმჯუა და ს ა ჯ დ ო მ ე ლ ე ბ ი, რომელი ყიდდეს ტრედებსა, C.

სა-ჯდ-ომ-ელ-ი//სა-სხდ-ომ-ელ-ი რიცხვში მონაცელე ზი-//ჯდ- და სხდ- ძირებიდან არის მიღებული სა-ელ დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსით (81; 60, 144-145). **საჯდომელი//სასხდომელი** განიმარტება, როგორც „დასაჯდომელი“ (92); „სკამი, სავარძელი“ (6); „გრძელი სკამი, სკამები“ (33). **საჯდომელსა** და **სასხდომელს** შორის მათი ძირების მიხედვით არის მხოლოდ სხვაობა. **საჯდომელი** ერთი პიროვნებისთვის განკუთვნილ „სკამს“ ნიშნავს, ხოლო **სასხდომელი** მრავალის „დასაჯდომს“ გულისხმობს.

სასხდომელი – სავრძელი:

ს ა ს ხ დ ო მ ე ლ ე ბ ი იგი მსყიდელთავ მათ ტრედისათავ დაუმჯუა, მრ. 11, 15 DE;

ს ა ვ რ ძ ლ ე ბ ი იგი ტრედის მოფარდულთავ დაამჯუა, C.

სა-ვრძ-ელ-ი ქართველური *უარძ- ძირის შემცველი ლექსემაა. „სავარაუდოა, რომ ძველ ქართულში დადასტურებულ ფორმათაგან ამოსავალი უნდა იყოს სა-ვრძ-ელ- (სა-ელ ცირკუმფიქსის დართვამ ძირისეული ა-ს რედუქცია გამოიწვია). ქართულ სა-ვრძ-ელ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია ლაზური ო-რძუ „სკამი“ (65). **სავრძელი** პქვია „ხის სკამს“ (54); „ხის სკამი კეთილჭრელებული“ (92). მაშასადამე, **სავრძელი** იგივე „სკამია“, ოდონდ იგი ხის მასალისგან დამზადებულ დასაჯდომს წარმოადგენს.

2.3. მიმღეობით გადმოცემული ლექსიკური სინონიმები

მდიდარი და მრავალფეროვანია ოთხთავი სინონიმური მნიშვნელობის მიმღეობებით, რომლებიც წვეულებრივ წარმოქმნილია მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნური ან სახელური ძირებისაგან. მიმღეობური მაწარმოებლების სიუხვეს ა. შანიძე ქართული ენის მრავალსაუკუნოვანებით და ძველი ქართული ენის დიალექტების გავლენით ხსნიდა. „არსად არ არის არეული ერთმანეთში

სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმდეობების ფორმებში“ (81, 569).

ოთხთავის ტექსტში გამოვლენილი სინონიმური რიგების აგებაში ყველა გვარისა და დროის მიმდეობები იღებენ მონაწილეობას. სინონიმური მნიშვნელობის მიმღებები ძირითადად მიეკუთვნებიან სინონიმთა ლექსიკურ-სემანტიკურ ტიპს, რომლებიც აღსანიშნი ობიექტის სხვადასხვა აზრობრივ ნიუანსებზე მიუთითებენ, ან მნიშვნელობის სხვადასხვა დიფერენციალური კომპონენტებით განირჩევიან ერთმანეთისაგან. მაშასადამე, ისინი წარმოადგენენ ნაწილობრივ, რელატიურ სინონიმებს, რადგან მნიშვნელობათა სრული დაფარვა არც ერთი წევილის წევრთა შორის არ შეიმჩნევა (67, 292).

2.3.1. სინონიმური მნიშვნელობის მოქმედებითი გვარის მიმდეობები

მსგავსი სემანტიკის მქონე მოქმედებითი გვარის მიმდეობებში პროდუქტულია მ- მ-ალ, მ-ელ, მ-არ, მ-ულ მაწარმოებლები. აღნიშნული აფიქსებით წარმოქმნილი მიმღებები ურთიერთობნაცვლეობენ სხვადასხვა სახის ლექსიკურ ერთეულებთან, კერძოდ, აბსტრაქტულ სახელებთან, კომპოზიტურ ოდენობებთან, ნასესხებ სიტყვებთან და სხვ.

მტარვალი – მგუემელი – მტანჯველი:

განურისხნა მას უფალი და მისცა იგი ჭელთა მ ტ ა რ ვ ა ლ თ ა ს ა, მ. 18, 34 E;

მისცა იგი მ გ უ ე მ ე ლ თ ა, C;

მისცა იგი ჭელთა მ ტ ა ნ ჯ ვ ე ლ თ ა ს ა, D.

დასახელებულ სინონიმურ მწკრივში შემავალი მიმღებები: მტარვალი//მგუემელი//მტანჯველი, რომელთაც ბერძნულში ეფარდება ლექსემა βάσαλνιστής, ერთიანდებიან მეფის, ან ბატონის კარზე მოსამსახურე „დამსჯელის, ჯალათის“ (122) მნიშვნელობით. მწკრივში მთავარი სინონიმური ერთეულის გამოყოფა ჭირს, რადგან აღნიშნული ერთეულები ძირითად მნიშვნელობასთან ერთად შეიცავს განმასხვავებელ დიფერენციალურ კომპონენტსაც.

მტარვ-ალ-ი მიღებულია ტარვ- ძირითან მოქმედებითი გვარის მ-არ კონფიქსით და განიმარტება, როგორც „მრისხანე ბოქაული, მრისხანე იასაული“ (53); „ხელჯოხიანი, ბოქაული, იასაული“ (92); „მტანჯველი, მწვალებელი, ჯალათი“

(33). მტარვალი საბას მიხედვით, იგივე მანდატურია, რაც ნიშნავს მეფეთა კარზე მყოფ „ქელარგნოსან“ დამსჯელს. მაშასადამე, მტარვალი წარმოადგენს მეფის კარზე მოსამსახურე „ჯალათს“, რომელიც ადამიანებს უსწორდება ფიზიკურად, ჯოხის გამოყენებით. აღნიშნულ ლექსემაში იკვეთება ის კომპონენტი – ჯოხი, რითაც ხდება ადამიანის დასჯა.

მ-გუმ-ელ-ი იწარმოება ქართველური *გუმ- ზმნური ძირიდან, რომლის სემანტიკა „ცემას“ უკავშირდება. „ქართულ გუმ- ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული გამ- მეგრ. გამ-უ-ა – ცემა“ (65). მგუმელი განიმარტება, როგორც „მცემელი“ (53); „ხედამდგომელი, თავმდგომი, მოურავი“ (6). მგუმელი აღნიშნავს ისეთ „დამსჯელ“ სუბიექტს, რომელიც ხალხს „ცემით“ უსწორდება. მაშასადამე, აქ დიფერენციალური კომპონენტი ხელით ფიზიკური ძალის გამოყენებაა.

მ-ტანჯ-ვ-ელ-ი საშ. სპარსული *tani, tank „ვიწრო“ ფორმიდან მომდინარეობს (4, 377) და განიმარტება, როგორც „ტანჯვის მოქმედი“ (53); „მგვემელი, ანუ განმკითხველი“ (92). მაშასადამე, მტანჯველი იმგვარი სუბიექტია, რომელიც ადამიანს ყოველგვარი საშუალებით, ფიზიკურად და მორალურად ავიწროვებს.

ამდენად, განხილული მოქმედებითი გვარის სინონიმურ მიმღეობებში იკვეთება ის განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ერთვიან ძირითად მნიშვნელობას და თითოეული მათგანის ინდივიდუალურობას წარმოაჩენენ.

ხუცესი – მოხუცებული – მდდელი – ბერი:

ხუცესი – მოხუცებული:

ზრახვა-ყვეს... ხ უ ც ე ს თ ა ერისათა იესუსთვს, მ. 27, 1 C;

ზრახვა-ყვეს... მ თ ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა ერისათა იესუსთვს, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 27, 41; მრ. 11, 27; ი. 7, 45.

ხ-უ-ც-ეს-ი//მო-ხ-უ-ც-ებ-ულ-ი საერთოქართველური ძირის მქონე ლექსემებია, რომელთაც შეესატყვისება მეგრ. უ-ჩ-აშ და სვან. ხ-ო-შ-ა, რაც უფროსის შინაარსის მატარებელია (22, 187; 65). ხუცესი ბიბლიურ თარგმანებში გადმოიცემა სიტყვით πρεσβύτερος რომელიც შეიცავს შემდეგ მნიშვნელობებს 1. „ხალხის უხუცესი წევრი, რელიგიური ლიდერი“ (33); 2. „ბერი, მოხუცებული ან უფროსი პატივით“; 3. „მღვდელი“ (127; 54; 92). ხუცესი უფროობითი ხარისხის ფორმიდან მომდინარეობს,

ხოლო მოხუცებული კი მოქმედებითი გვარის მიმღეობაა. მოხმობილ მაგალითში (ჩ. 27, 1) ისინი „ხალხის უხუცეს წევრს, რელიგიურ ლიდერს“ აღნიშნავენ.

ხუცესი – მდდელი:

რაღათ მოწაფენი შენი არა ვლენან მოძღურებისაებრ ხ უ ც ე ს თ ა ვ ს ა, მრ. 7, 5 DE;

რაღათ მოწაფენი შენი არა ვლენან მსგავსად მოძღურებისა მის მ დ დ ე ლ თ ა ვ ს ა, C.

მ-დდ-ელ-ი დადადება ფუძეში დაცული დად- ძირისაგან მ-ელ კონფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობაა მ-დად-ელ-ი → მ-დდ-ელ-ი (77, 95; 34, 30). კ. დანელიას აზრით, შესაძლოა მდდელ ფუძეში ხადა ზმნური ძირი იყოს დაცული და დად და ხად ერთი ძირის ვარიანტებს წარმოადგენდეს, რადგან ხადა ზმნა „მოხმობას, მოწოდებას, დაძახებას“ აღნიშნავს (22, 186). მდდელი ეწოდება 1. „ქურუმს, რელიგიურ ლიდერს“; 2. „მდვდელს, სულიერ მწყემსს“ (92; 33). სახარების ტექსტში მდდელი მიემართება ხუცესს „ხალხის უხუცესი წევრის, რელიგიური ლიდერის“ მნიშვნელობით, რადგან „ხუცეს სიტყვა მდვდლის მნიშვნელობით ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში არა ჩანს“ (22, 186).

მოხუცებული – ბერი:

ვითარ ეგების კაცისა მ თ ხ უ ც ე ბ უ ლ ი ს ა ზეგარდამო შობავ, ი. 3, 4 C;

ვითარ ჭელ-ეწიფების შობად კაცსა ბ ე რ ს ა, DE.

ბერ სიტყვისათვის ამოსავალია საშ. სპარსული ფორმა pir „მოხუცი“ pirih „სიბერე“, pirak „მოხუცი ქალი, დედაბერი“ (4, 292). ბერი განიმარტება, როგორც „ხან-მრავალი კაცი“ (53); „მოხუცებული, ხანდაზმული, ბერი კაცი // მონაზონი, შავით მოსილი“ (92; 33). ბერს ბერძნულში შეესატყვისება უერი, უერი „მოხუცებული, ხნიერი“ (145; 127). მაშასადამე, დასახელებულ მაგალითში (ი. 3, 4) იგი სასულიერო პირს კი არ ნიშნავს, არამედ „ხნიერი კაცის“ მნიშვნელობით მიემართება მოხუცებულს.

2.3.2. სინონიმური მნიშვნელობის გნებითი გვარის მიმღეობები

გნებითი გვარის მიმღეობები წარმოების თვალსაზრისით აფიქსთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გვხვდება პრეფიქსით, სუფიქსით და პრეფიქ-

სუფიქსით წარმოქმნილი მსგავსი სემანტიკის მიმღეობური ლექსიკური ფორმები. წარმოების ეს დიდი შესაძლებლობა თავისთავად განაპირობებს ვნებითი გვარის ფორმების ფართო გამოყენებას ოთხთავის სინონიმურ სისტემაში.

სინონიმურ რიგებში გვხვდება -ოლ, -ელ, -ულ, სა-, სა-ო, სა-ელ, სა-უ, მე-ე, მო-ულ აფიქსებით წარმოქმნილი მსგავსი სემანტიკის მქონე ვნებითი გვარის მიმღეობები. ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნება მიმღეობებსა და სხვა სახის სიტყვებს შორის სინონიმური მიმართება.

შვილი – ნაშობი – ბე:

შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად შ ვ ი ლ ა დ
აბრაჟამისა, მ. 3, 9 DEC.

ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნ ა შ ო ბ ა დ აბრაჟამისა,
ლ. 3, 8 DEC.

იხ. აგრეთვე: ლ. 23, 28; მ. 23, 37; მ. 11, 19.

კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძ ე; და მოუკდა პირველსა მას და პრქუა:
შ ვ ი ლ ო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჭსა ჩემსა, მ. 21, 28 DEC;

ვერ ჯელ-ეწიფების ძ ე თ ა სიძისათა, ვიდრე სიძმ იგი მათ თანა არს,
მარხვად, მრ. 2, 19 DE;

შემძლებელ არიან-მე ნ ა შ ო ბ ნ ი ქორწილისანი, ვიდრე სიძე იგი მათ
თანა-და არს, C.

შ-ილ-ი//ნა-შ-ობ-ი საერთოქართველური *შევ-შვ ძირიდან მომდინარეობს (65) შვილს ბერძნულში ეფარდება τέκνιον „ჩვილი, ბავშვი; შვილი“ (145; 168); „ნაშობი კაცთა, ვაჟი ანუ ქალი“ (54; 92; 6). ორივე სინონიმური ერთეული მიმღეობაა, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ ნაშობ ფორმაში ზმნური შინაარსია შენარჩუნებული, ხოლო შვილი კი გასუბსტანტივებული სიტყვაა (22, 180).

შე ნიშნავს „ვაჟიშვილს“ (54; 6); „ზოგჯერ არს სახელი საზოგადო, ვითა შვილი“ (92). შეს ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა υῖός, რომლის მნიშვნელობა უფრო ფართოა. υῖός განიმარტება, როგორც 1. „შვილი, ნაშობი, ბე“; 2. „შთამომავალი, მემკვიდრე“ (145; 127; 78, 129) მოხმობილ მაგალითებში შე თავისუფლად მონაცემებს კონტექსტებში როგორც შვილთან, ისე ნაშობთან, მაგრამ ყველა შემთხვევაში შე „ვაჟიშვილის“ მნიშვნელობას შეიცავს.

საფლავი – სამარე – სამარობან

საფლავი – სამარე:

მიმსგავსებულ ხართ ს ა ფ ლ ა ვ თ ა განგოზილთა, მ. 23, 29 DE;

მიმსგავსებულ ხართ ს ა მ ა რ ე თ ა განგლორწნილთა, C.

მოვალს განთიად რიურაჟუ ოდენ ს ა მ ა რ ე ს ა მას და იხილა ლოდი
იგი ადღებული კარისაგან მის ს ა ფ ლ ა ვ ი ს ა ვ ს ა, ი. 20, 1 C.

დადგა იგი გამოკუეთილსა მას ს ა მ ა რ ე ს ა, ლ. 23, 53 C;

დადგა იგი ს ა ფ ლ ა ვ ს ა გამოკოდილსა, DE.

საფლავები – სამარობან:

რომელსა საყოფლად აქუნდავე ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი, მრ. 5, 3 DE;

რომელი მყოფ იყო ს ა მ ა რ თ ბ ა ნ ს ა, C.

სა-ფლ-ავ-ი საერთოქართველური *ფალ-/ფლ- ძირიდან **სა-** პრეფიქსით
ნაწარმო-ები მომავალი დროის მიმღეობაა. ქართულ ფალ- ძირის კანონზომიერად
შეესატყვისება მეგრ. ფულ- და ლაზ. ფულ-. აღნიშნული ძირები სემანტიკურადაც
მსგავსია. ფალ-/ფლ- ძირის ამოსავალი სემანტიკა უკავშირდება „დამალვას“,
ხოლო სხვა მნიშვნელობები მეორეულია (65). **საფლავი** განიმარტება, როგორც
„მკვდართ სამარხო“ (54); „ადგილი მკუდართ დასამარხავი და სამარე იგივე“ (92);
„სამარხი, საფლობი“ (6).

სა-მარ-ე//სა-მარ-ობან: **სამარე** უკავშირდება სამარად, სამარადისო ფორმებს,
რაც „სამუდამოს“, იგივე „საფლავს“ (54; 92) ნიშნავს. **სამარობან** კი მრავლობითის
შინაარსით გადმოსცემს „საფლავის“ მნიშვნელობას, რომელსაც (მრ. 5, 3)
მაგალითში მიემართება **საფლავები**, ხოლო ბერძნულში მათ ეფარდება ლექსემა
τάφιος „სასაფლაო“ (122). მხოლობითის ფორმით გადმოცემულ ვნებითი გვარის
მიმღეობებს **საფლავი//სამარე**, ბერძნულში ეფარდება μυημεῖον „საფლავი, აკლდამა;
საფლავის ქა; ძეგლი“ (145; 127).

საფლავი//სამარე//სამარობან სინონიმური მნიშვნელობის ვნებითი გვარის
მიმღეობებს შორის შემდეგი აზრობრივი განსხვავება ვლინდება: **საფლავის**
სემანტიკა „დაფლვას“, ანუ „დამალვას“ შეიცავს, რომელსაც შეძენილი აქვს
მიცვალებულის „სამარხის“ მნიშვნელობა; **სამარე** უკავშირდება **სამარადისო**
ფორმას, რაც „სამუდამოს“ ნიშნავს (54). მაშასადამე, **სამარე** შერბილებულად,

ევფემისტურად გადმოსცემს ადამიანთა სამუდამო სამყოფლის, ანუ საფლავის მნიშვნელობას; სამარობან კი მრავლობითის შინაარსის შემცველია და მრავალ საფლავს გულისხმობს, რაც „სასაფლაოს“ წარმოადგენს.

მოფარდული – მსყიდელი – მომსყიდელი – განმსყიდელი – ვაჭარი მოფარდული – მსყიდელი:

სავრძლები იგი ტრედის მ ო ფ ა რ დ უ ლ თ ა ვ დაამჯუა, მრ. 11, 15 C;

სასხედომელები იგი მ ს ე ი დ ე ლ თ ა ვ მათ ტრედისათა დაუმჯუა, DE.

მო-ფარდ-ული უკავშირდება საშ. სპარსულ pardač სიტყვას (4, 386). მასზე დართული ულ სუფიქსი კი საშ. გვარის მაწარმოებელია. მოფარდული განიმარტება, როგორც „მსყიდველი, მომსყიდელი“ (53); „ვაჭარი“ (92); „გამყიდველი“ (33). მაშასადამე, მოფარდული ნიშნავს, როგორც „გამყიდველს“, ასევე „მყიდველს“.

მოფარდული – მომსყიდელი – განმსყიდელი:

გამოასხა ყოველი მ ო ფ ა რ დ უ ლ ი და მ ო მ ს ე ი დ ე ლ ე ბ ი ტაძარსა მას შინა, მ. 21, 12 C;

გამოასხა ყოველი იგი გ ა ნ მ ს ე ი დ ე ლ ი, DE.

ქ-ს-ყიდ-ელი/გან-ქ-ს-ყიდ-ელი: „სყიდ(გ)ის მოქმედი“ (53); „ვაჭარი“ (6). მოხმობილ მაგალითში (მრ. 11, 15, C) მოფარდული და მომსყიდელი სინონიმური პარალელიზმის ფორმით არის ნახმარი, სადაც პირველი წევრი საშ. სპარსულიდან ნასესხები ლექსემაა და ნიშნავს, როგორც „გამყიდველს“, ასევე „მყიდველს“, ხოლო მეორე წევრი კონკრეტულად საქონლის „შემსყიდველს“ გულისხმობს. აღნიშნულ სინონიმურ მიმღეობებს ბერძნულში ეფარდება ზმნური სიტყვა πιλέω „გაყიდვა, ფულზე გადაცვლა“ (145; 127).

ვაჭარი:

მსგავს არს სასუფეველი ცათად კაცსა ვ ა ჭ ა რ ს ა, რომელი ემიებნ ქეთილსა მარგალიტსა, მ. 13, 45 DEC.

ვაჭარი მომდინარეობს საშ. სპარსული vāčār „ბაზარი“, vačārakān „ვაჭარი“ ფორმიდან (4, 320-321). ვაჭარი განიმარტება, როგორც „მსყიდველი, მსყიდველ-გამსყიდველი“ (53); „საქონელთ მოფარდული“ (92); „მომსყიდველი“ (6, 154). ვაჭრის მნიშვნელობა უკავშირდება აგრეთვე „შეცდენას, მოტყუებას“ (45, 106-108), თუმცა ამ

მნიშვნელობით გაჭარი სახარების ტექსტში არ დასახელებულ კონტექსტში (მ. 13, 45) იგი საქონლით მოვაჭრეს გულისხმობს.

განთესული – მიმოგანბნეული:

ნუჟუე გ ა ნ თ ე ს უ ლ თ ა მათ წარმართთა ეგულების მისლვად, ი. 7, 35 DE;

ნუჟუე მ ი მ ო გ ა ნ ბ ნ ე უ ლ თ ა მათ წარმართთა მივიდეს, C.

გან-თეს-ული ქართველური *თეს- ძირიდან არის ნაწარმოები. „ქართულ თეს-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული თას- და ლაზური თას-. სვანური ექვივალენტი ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის“. შესატყვისობები გვაქვს დასახელებული ძირების სემანტიკაშიც“ (65). ლექსიკონთა მიხედვით განთესვა ნიშნავს „განბნევას“ (53; 92); „გაფანტვას, დათესვას“ (6; 33), ხოლო წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობური ფორმა განთესული კი „გაფანტულს, გაბნეულს“ წარმოადგენს (33).

მიმო-გან-ბნ-ე-ული იწარმოება განბნევა ფორმიდან, რაც ნიშნავს „დაფანტვას“ (53); „გაფანტვას, მიმოდაბნევას“ (92); „გაშლას, გაგდებას, დათხევას“ (6); მიმოგანბნევა გამოხატავს „გაფანტვას აქეთ-იქით, рассеивать“ (92); მიმოგანბნეული კი „გაფანტულს“ აღნიშნავს (6; 33). მიმოგან- რთული ზმინისწინი სწორედ სხვადასხვა ადგილზე, სხვადასხვა მიმართულებით „გაფანტვის“ ნიუანსს ანიჭებს აღნიშნულ ლექსემას.

სინონიმური წყვილი განთესული/მიმოგანბნეული ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით διασπορά „განთესვა“ (145; 127).

შეწუხებული – მწუხარე – შეჭუვნებული – შეძრწუნებული – შეურვებული – საარებული – ტანჯული

დასახელებული სინონიმური მწკრივის მიმღეობები გადმოსცემენ ადამიანის ისეთ მდგომარეობას, რომელიც რაიმე ავადმყოფობისა და საზრუნავისაგან ძლიერ „ნაღვლიანი და შეჭირვებულია“. დომინანტ ერთეულად შეიძლება ჩავთვალოთ შეწუხებული, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს კონტექსტში სინონიმური მწკრივის ნებისმიერ წევრს.

შეწუხებული – მწუხარე – შეჭუვნებული – შეძრწუნებული:

შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ა რ ს ს უ ლ ი ჩ ე მ ი ვ ი დ რ ე ს ი კ უ დ ი ლ დ მ დ ე, მ. 26, 38 DE;

შ ე ჭ უ გ ნ ე ბ უ ლ არს სული ჩემი მისი უდიდმდე, C.

შ ე ბ რ წ უ ნ ე ბ უ ლ არს სული ჩემი სიკუდიდმდე, დაადგერით აქა და იდგმებდით, L.

მიმოიხილა მათა რისხვით და მ წ უ ხ ა რ ე დ სიბრმისათვს გულისა მათისა, მრ. 3, 5 DE;

მიხედა მათ მრისხანედ შ ე ჭ უ გ ნ ე ბ უ ლ ა დ სიბრმესა მას ზედა გულისა მათისასა, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 14, 34.

შ-წუხ-ებ-ულ-ი//მ-წუხ-არ-ე: შეწუხებული ვნებითი გვარის მიმღეობური ფორმაა, ხოლო მწუხარე საშ. გვარისა. წუხ- ქართულ ძირს შეესატყვისება სვანურში წხუ-, რომელთა სემანტიკაც „შეწუხებას; წუხილს“ უკავშირდება (65). წუხილი ნიშნავს „სენთაგან და საზრუნავთაგან დიდად შეჭირვებას“ (54). სინონიმური წყვილი შეწუხებული//მწუხარე კი აღნიშნავს „ურვილ, ნაღვლიან, დაღონებულ“ პიროვნებას (92).

შ-ჭუვნ-ებ-ულ-ი განიმარტება, როგორც „შეწუხებული, შევიწროებული, შეკუმშული“ (11, 48-49; 33), ანუ შინაგანად, სულიერად დანაღვლიანებული. შეჭუვნებული აღნიშნული მნიშვნელობით მიემართება შეწუხებულს პ. 26, 38 მაგალითში, ხოლო მრ. 3, 5 კონტექსტში შეჭუვნებულად გულისხმობს ადამიანის ისეთ გამომეტყველებას, როდესაც მწუხარებას იგი გარეანულად „წარბის ხრით“ გამოხატავს (54).

შ-ძრწუნ-ებ-ულ-ი: შეძრწუნება ნიშნავს „შიშით შეშფოთებას და კანკალს“ (92). შეძრწუნებული შიშისაგან გამოწვეულ შინაგან, სულიერ „შეშფოთებას, შეწუხებას“ გულისხმობს.

სინონიმურ მიმღეობებს შეწუხებული//მწუხარე//შეჭუვნებული//შეძრწუნებული ბერძნულში ეფარდება περίλυπος, συνλυπευμένος „ძლიერ ნაღვლიანი, მწუხარე; უკიდურესად შეწუხებული“ (127).

შეურვებული:

ნათლის-ღება მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შ ე უ რ გ ე ბ უ ლ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს, ლ. 12, 50 DEC.

შე-ურვ-ებ-ული-ი ნიშნავს „დამძიმებულს“, დიდი მწუხარებისაგან შეპყრობილ პიროვნებას (54). აღსანიშნავია, რომ **შეურვებული** მხოლოდ დასახელებულ მაგალითში (ლ. 12, 50) დასტურდება სახარების ტექსტის ორსავე (DE-C) რედაქციაში და მოხმობილი სინონიმური რიგის წევრად მოიაზრება.

მსხუერპლი – შესაწირავი – მრგულიად დასაწუკელ
მსხუერპლი – შესაწირავი:

შეწირე მ ს ხ უ ე რ პ ლ ი შენი, მ. 5, 24 C;

შეწირე შ ე ს ა წ ი რ ა ვ ი შენი, DE.

მსხუერპლი პოლისემიური ლექსემაა და განიმარტება, როგორც „შესაწირავი ღუთის ნივთი, ანუ საკლავი ცხოველი, რომელსაცა მსოფლიონი უხმობენ საღუთოთ, ანუ ზვარად. // კუალად ვედრება და ქება ღუთისა გულითა მხურვალითა, ვითარ დავით წინასწარმეტყუელი მსხვერპლად ღუთისად უწოდს სულსა შემუსრვილსა და აღპყრობასა ხელთასა შეწირავს მსხვერპლად სამწუხაროდ. // მსხვერპლი ეწოდების კერპთადმიცა საზორველსა საკლავსა. // მსხუერპლი არს, რადცა ვინ ხელადებით გამოიდოს ვისთუისმე (92). **მსხუერპლს** ბერძნულ ში გადმოსცემს სიტყვა მუსია „მსხვერპლი, შესაწირავი; მსხვერპლ შეწირვა“ (145; 127). **მსხუერპლი** ზემოაღნიშნულ სინონიმური რიგის სიტყვებს აერთიანებს „დმრთისადმი შესაწირავი ცხოველის“ მნიშვნელობით.

შე-ს-ა-წირ-ავ-ი წირ- ზმნური ძირისაგან არის წარმოქმნილი ვნებითი გვარის მომავალი დროის მაწარმოებელი სა- პრეფიქსით. **შესაწირავი** ნიშნავს: „საღვთო ძღვენს“ (92); „საჩუქარს, მისაცემელს; მსხვერპლს; საგანძურს“ (33). **შესაწირავი**, როგორც აღინიშნა, რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს. მოხმობილ სინონიმურ რიგში იგი აღნიშნავს „დმრთის საჩუქარს“, რასაც ბერძნულ ში ეფარდება ბართული „ძღვენი, საჩუქარი“ (145; 127).

მსხუერპლი – შესაწირავი – მრგულიად დასაწუკელი:

შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თუსი; უფროდს არს ესე ყოველთა მ ს ხ უ ე რ პ ლ თ ა დ ა შ ე ს ა წ ი რ ა ვ თ ა, მრ. 12, 33 DE;

შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თუსი; და უფროდს არს ყოელთა მ რ გ ჟ ლ ი ა დ დ ა ს ა წ უ ვ ე ლ თ ა დ ა მ ს ხ უ ე რ პ ლ თ ა, C.

მრგულიად-დასაწუკელ „ესე არს მსხვერპლსა რა მთლივ დაწვიდენ“ (53; 92); „მთლიანად დასაწველი მსხვერპლი“ (33). მრგულიად-დასაწუკელი კალკური კომპოზიტია, რომელიც ბერძნული მოდელის მიხედვით არის შედგენილი. იგი გადმოსცემს ტლოკაუტამა-ს (ტლო „მთლად“, კაუმატიც „ვწვავ“ ზმნის მიმღეობა) და ნიშნავს „მთლად შესაწვავ სამსხვერპლო ცხოველს“ (22, 88). მრგულიად-დასაწუკელი და მსხვერპლი სინონიმური პარალელიზმის სახით გვხვდება ოთხთავის ტექსტში (მრ. 12, 33), რასაც ბერძნულში შეესატყვისება ილოკაუტამა „ეოვლად შესაწვავი“ და თური „მსხვერპლი, მსხვერპლშეწირვა“ (145; 127).

მოხმობილი მასალით, ბუნებრივია, არ ამოიწურება ოთხთავში ქონების, დანიშნულების, ხელობის სახელებით თუ მიმღეობებით გადმოცემული სინონიმური ლექსიკა. სანიმუშოდ მოყვანილი მასალა მიუთითებს, რომ სინონიმურ მწკრივში შემავალ წევრებში ძირითად მნიშვნელობას ერთვის დამატებითი მნიშვნელობა, ცნების ერთ-ერთი ნიშანი, რომელზეც ხდება ყურადღების გამახვილება და რომლის გამოკვეთასაც ცდილობს სახარების მთარგმნელი თუ რედაქტორი. ზემოგანხილული სინონიმური ლექსემები რადგან უმეტესწილად აზრობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ისინი ძირითადად სინონიმთა **სემანტიკურ ჯგუფს** მიეკუთვნებიან.

2.4. სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტური ლექსიკა

ძველი ქართული ენის ლექსიკური ფონდი მდიდარია სიტყვათწარმოების ისეთი საშუალებით, როგორიცაა კომპოზიცია, ანუ თხზვა. კომპოზიციის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურა სადღეისოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართველური ენების – ქართულის (81, 147-162; 89, 224-227; 46, 165-186), სვანურის (28, 296-304), მეგრულ-ჭანურის (141, 70; 130, 0129-0132) მონაცემთა გათვალისწინებით. გარკვეულია აგრეთვე ძველი ქართული ენის კომპოზიტთა სტრუქტურა (83, 56-58) და ზოგიერთი მათგანის მიმართების საკითხი უცხოენოვან (ბერძნულ და სომხურ) ერთეულებთან (79, 59-90; 24, 82-102; 32).

კომპოზიცია, როგორც აღინიშნა, ძველ ქართულ ენაში სიტყვათწარმოების აქტიური საშუალებაა. ოთხთავის ტექსტში გვხვდება სინონიმური მნიშვნელობის მქონე კომპოზიტების სხვადასხვაგვარი წარმოება. თხზული სიტყვები ზოგადად

შეიძლება იყოს: ფუძვათრკაცებული (რედუპლიკაციური) და ფუძვანსხვავებული (ნაირფუძიანი).

კომპოზიციის წესები ყველა დასახელებულ ენას თავისი აქვს (79, 62), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ენა დიდ გავლენას ახდენდა არა მარტო ქართულზე, არამედ ყველა იმ ენაზე, რომლებზეც ბიბლიური წიგნები ითარგმნა ბერძნულიდან (22, 78).

ოთხთავის სინონიმურ რიგებში გვხვდება საკუთრივ ქართული წარმომავლობის კომპოზიტები, ბერძნული მოდელის მიხედვით კალკირებული კომპოზიტები ანუ მსგავსი სემანტიკის მქონე ბერძნულ-ქართული ერთეულები და ტიპოლოგიურად სომხური კომპოზიტების ფარდი თხზული ლექსემები.

2.4.1. ქართული წარმომავლობის კომპოზიტთა შემცველი სინონიმური რიგები
სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტთაგან საკუთრივ ქართული წარმომავლობისად მიჩნეულია იმგვარი ოდენობები, „რომელშიც რეალიზებულია მოდელი – საზღვრულად გამოყენებული არს. სახელი + ატრიბუტული მსაზღვრელი“ (22, 79-80). ამგვარი კომპოზიტების მკვიდრ ქართულობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ „ისინი მეტწილად ნახმარია მსგავსივე შედგენილობის უცხოენოვანი კომპოზიტების ფარდად, რომელთა კომპოზიციის მოდელია – მსაზღვრელი + საზღვრული (22, 80).

მსგავსი სემანტიკის მქონე თხზული სიტყვების ქართულ წარმომავლობას მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქართულ თარგმანში ისინი იხმარებიან უცხოენოვანი (ბერძნული, სომხური) არაკომპოზიტური, მარტივი სიტყვების ბადლად (77, 63-73; 24, 95-101).

გაორკაცებულ სახელებში გამოიყოფა არსებით, ზედსართავ და სხვა სახელებით თხზული ლექსიკური ფორმები, რომელთაც მიემართება სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტური ოდენობა, ან მსგავსივე შინაარსის მარტივი სიტყვა, რომელთაგან გაორკაცებული სახელები აძლიერებენ, ექსპრესიულ ძალას აძლევენ სიტყვის მნიშვნელობას (83, 56). მაშასადამე, სინონიმურ წყვილებში შემავალი კომპოზიტური ერთეულები უმეტესწილად სტილისტური სინონიმებია, რომელთაც ტექსტში მხატვრული დატვირთვა აქვთ.

ოთხთავში სინონიმური მიმართებები დასტურდება როგორც კომპოზიტურ ერთეულებს შორის, ისე კომპოზიტურ და მარტივ სიტყვებს შორის.

ნიავქარი – ბორბალი – არმური:

და იყო მეყსეულად ბ ო რ ბ ა ლ ი ქარისად დიდი, მრ. 4, 37 DE;

და იყო ნ ი ა გ ქ ა რ ი ქარისა დიდისად, C.

გარდამოკდა ა რ მ უ რ ი ქარისად ზღუასა მას ზედა, და აღიგხებოდა ნავი იგი, ლ. 8, 23 DEC.

ნიავ-ქარი განიმარტება, როგორც „ძლიერი და სასტიკი ქარიშხალი, ნურ“ (92); „გრიგალი“ (6; 33).

ბორ-ბალი საერთოქართველური *ბორ- ძირიდან მომდინარეობს. ქართ. ბორ-ბორბალი; ბორბალ-ა „ობობა“; მეგრ. ბორ- ბორ-ბოლ-ი-ა „ობობა“; ლაზ. ბო(რ)-ბომ-ბულ-ა „ობობა“. „ბორბალ- ფუძისათვის „ობობას“ მნიშვნელობის შეთავსება მოულოდნელი არ არის (ქსელის ქსოვისას ობობა ტრიალებს, ბრუნავს). ბორბალ-ა „ტრიალა“, „ობობა“ (65). მაშასადამე, ლექსემა ბორბალი მეტი ექსპრესიული შინაარსის შემცველია, რადგან მის მნიშვნელობაში იგულისხმება ქარის ინტენსიური წრიული მოძრაობა (შდრ. თანამედროვე ქარბორბალა), რაც „გრიგალს“ ნიშნავს.

არმური განიმარტება, როგორც „ღრუბელნისლი ძლიერი და ქარიანი“ (53); „ღრუბელნისლი ქარიანი და ელვიანი“ (92). „ბურუსი, ბინდი; გრიგალი“ (6). აღსანიშნავია, რომ **არმური** მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში დასტურდება (ლ. 8, 33) ოთხთავის ტექსტის ორსავე (DE-C) რედაქციაში და განმარტებათა მიხედვით „გრიგალს“ ნიშნავს, ოდონდ ისეთს, ღრუბლიან და ნისლიან ამინდში როდესაც ქარი ქრის და თან ელვა ანათებს. მოხმობილ სინონიმურ კომპოზიტებს **ნიავ-ქარი//ბორბალი//არმური** ბერძნულში გადმოსცემს არაკომპოზიტური ლექსემა λαῖλάψ „ქარიშხალი, შტურმი“ (145; 127).

განთიადი – ცისკარი – ხვალისაგან – დილითი

განთიადი – ცისკარი:

მსთუად გ ა ნ თ ი ა დ ს ა მას მივიდეს სამარესა მას, ლ. 24, 22 C;

მივიდეს იგინი ც ი ს კ ა რ ს ა საფლავსა მას, DE.

გან-თი-ადი საერთოქართველური *თენ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ თენ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული თან-, ლაზური თან- და სვანური თენ-(თნ-<თენ“ (65). **განთიადი** განიმარტება შემდეგნაირად: „დილა

მოახლ(ო)ებული“ (53); „დილის მოახლოება, გათენება, გარიურაჟი“ (92). განთიადს ბერძნულში შეეფარდება სიტყვები προῖει 〈ρθρῖνος, „ადრე დილით, გათენებამდე“ (145; 127). განთიადი სინონიმურ რიგში დომინანტური ლექსემაა, რომელსაც მიემართებიან ლექსიკური ერთეულები ცისკარი//ხვალისაგან//დილითი.

ცის-კარი საკუთრივ ქართული წარმომავლობის კომპოზიტური სიტყვაა, რომელიც შედგება კომპონენტებისაგან ცა+კარი. „ქართულ ცა- მირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ცა- და ლაზური ცა-... დაც („ცა“) სვანურში ქართულიდანაა ნასესხები“ (65). აგრეთვე, „კარ-კრ მირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ჭარ-კრ. სვან. ლი-კრ-ე „გაღება“ (65). მაშასადამე, **ცის-კარის** თავდაპირველი სემანტიკა სიტყვასიტყვით „ცის გახსნას, ცის გაღებას“ უკავშირდება.

განთიადი – ხვალისაგან:

გ ა ნ თ ი ა დ, ვითარ აღმოვიდ[ო]და ქალაქად, შეემშია, მ. 21, 18 C;

ხ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ მოვიდოდა იესუ ქალაქად და შეემშია, DE.

ხვალის-ა-გან შეიცავს შემდეგ მნიშვნელობებს: 1. „დღეის მეორე დღე“ (54); „დღეის შემდგომ, მეორეს ან მომავალს დღეს“ (92); 2. „ხვალინდელი დღე“ (33); 3. „დილას“ (6; 33). მოხმობილ კონტექსტში (მ. 21, 18). ხვალისაგან უკავშირდება ლექსემა **განთიადს** „დილის“ მნიშვნელობით, რომელთაც ბერძნულში ეფარდება προῖει „დილით გათენებამდე“ (145; 127).

განთიადი – დილითი:

თანა-წარპვიდოდეს გ ა ნ თ ი ა დ, მრ. 11, 20 DE;

თანა-წარპვიდოდეს დ ი ლ ი თ ი, C.

დილითი: დილას საბა გაცისკრების ბულეში განიხილავს, ხოლო გაცისკრებას შემდეგნაირად განმარტავს: „გაცისკრება არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწევნა ნათლებისა, რამე ნაწილი, ხოლო ალიონი, რა დამე და დღე გაირჩეოდეს, ამათ ყოველთა დილა, ვიდრე მზის მოსლვა(დ)მდე“ (53); „უამი გარიურაჟიდან ვიდრე მზის ამოსვლადმდე და ვიდრემე შუადღემდეცა“ (92); „ხვალე, მეორე დღე; განთიადი, ცისკარი“ (6).

მაშასადამე, დილა//დილითი ზოგადად მეორე დღესაც აღნიშნავს, გათენებიდან შუადღემდე და გარიურაჟიდან მზის ამოსვლამდე დროსაც. ჩვენს შემთხვევაში

დილითი მხოლოდ ერთგან იხმარება ადიშის რედაქციაში (მრ. 11, 20), რომელსაც სინონიმის სახით მიემართება ოთხთავის სხვა რედაქციებში განთიადი, რაც გარიურაჟიდან მზის ამოსვლამდე დროის მონაკვეთს აღნიშნავს.

მამა-დედა – დედა-მამა – მშობელნი:

ვიდრემდე მოუწოდეს მ ა მ ა - დ ე დ ა თ ა მისთა, ი. 9, 18 DE;

ვიდრემდე მოუწოდეს მ შ თ ბ ე ლ თ ა, C.

ადდგენ შვილნი დ ე დ ა - მ ა მ ა თ ა ზედა თვეთა, პ. 10, 21 C;

მ ა მ ა - დ ე დ ა თ ა, DE.

მამა-დედა//დედა-მამა საკუთრივ ქართული წარმომავლობის ფუძეგანსხვავებული კომპოზიტებია და ნიშნავს „დედ-მამას, მშობლებს“ (33). მას ბერძნულში უფარდება არაკომპოზიტური სიტყვა γενεῖς „მშობელნი“ (145; 127). აღნიშნულ კომპოზიტთაგან ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია ძირითადად მამა-დედა წევრთა თანმიმდევრობა, ხოლო იშვიათად შეინიშნება შებრუნებული – დედა-მამა თანმიმდევრობა.

მ-შობ-ელ-ნ-ი საერთოქართველური *შე-/შე- ზმნური ძირიდან მ-ელ კონფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობაა (65). მშობელს საბა განმარტავს, როგორც „დედას“ (53), ხოლო ამ სიტყვის მრავლობითის ფორმა გულისხმობს, როგორც დედას, ასევე მამას. მშობელი არის „მეშვი, დედა შვილთა // ხოლო ზოგად ეწოდების დედ-მამასა“ (92); „დამბადებელნი“ (6).

მამასახლისი – სახლის უფალი:

უწყოდა თუმცა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი [ს] მ ა ნ, პ. 24, 43 C;

უპუეთუმცა უწყოდა ს ა ხ ლ ი ს ა უ ფ ა ლ მ ა ნ, DE.

მამა-სახლისი: „სახლთ უფროსი“ (53); „საქართველოსა შინა მეფობის ხარისხის შემოღებადმდე ეწოდებოდა უხუცესსა ქართლოსის შთამომავლობათაგანსა, ვითარ უაღრესსა მმართებელსა და მოსამართლესა, მსგავსად ძველთა რომაელთა, Pater familias. // აწ სოფელთა შინა უხმობენ ქევხასა, ანუ ნაცვალსა. // მონასტერთ მამასახლისი“ (92); „წინამდღვარი მონასტრისა“ (6); „სახლის უფროსი“ (33). სალექსიკონო განმარტებების თანახმად მამა-სახლისის ძირითადი მნიშვნელობაა „სახლის უფროსი“. ამ სემანტიკას შეიცავს იგი ჩვენს მასალაშიც, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები შემდგომ არის განვითარებული.

სახლის-უფალი: უფალი ორი მნიშვნელობით იხმარება 1. „ღმერთი“; 2. „პატრონი გაუ, პატრონი კაცი“ (54). დასახელებულ შემთხვევაში მეორე მნიშვნელობა იგულისხმება და მთლიანად კომპოზიტი განიმარტება, როგორც „უფროსი პატრონი სახლისა“ (92); „სახლის, (ოჯახის) უფროსი“ (33).

დასახელებულ სინონიმურ წყვილთაგან საკუთრივ ქართული წარმოშობისაა მამა-სახლისი, რადგან ბერძნულში მას ეფარდება οίκοδεσποτής „სახლის უფროსი“ (145; 127), რის პირდაპირ თარგმანსაც წარმოადგენს **სახლის-უფალი**. მაშასადამე, **სახლის-უფალი** ბერძნულის მიხედვით კალკირებული კომპოზიტია.

შჯულის-მეცნიერი – შჯულის-მოძღვარი – შჯულის-მდებელი:

აჲა ესერა შ ჯ უ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ი ვინმე აღდგა, გამოჰსცდიდა მას, დ. 10, 25 DEC;

მიუგო იესუ და პრქუა შ ჯ უ ლ ი ს მ ო ბ ლ უ ა რ თ ა მათ და ფარისეველთა, დ. 14, 3 DEC.

ჰკითხა ერთმან მან მათგანმან შ ჯ უ ლ ი ს მ დ ე ბ ე ლ მ ა ნ გამოცდით, მ. 22, 35 C.

შჯულის-მეცნიერი: შჯული/რჩული სიტყვისათვის ამოსავალია საჭ. სპარსული ფუძე საძ- „იყო შესაფერისი, ვამსი, წესიერი, დირსი, საჭირო და სხვ“ (4, 272). შჯულის განმარტება ამგვარია: „შჯული ესე არს მოსეს მიერ შემოღებული, რომელი ღმერთმან ფიცართა ქვისათა დაუწერა ათნი იგი ტაეპნი, მოქალაქობა და შესმენა მათი“ (54); „რჩული, მცნება. // სარწმუნოება“ (92; 6; 33). **შჯულის-მეცნიერი** ნიშნავს „კანონის მცოდნეს, სარწმუნოების წიგნთა, კანონთა მცოდნეს და განმმარტებელს“ (6; 33);

შჯულის-მდებელი//რჩულის-მდებელი ასევე არის „კანონმდებელი, სარწმუნოების წიგნთა კომენტატორი“, ხოლო **შჯულის-მოძღვარი** „კანონის, ან სარწმუნოების მასწავლებელი“ (6; 33). ჩამოთვლილი სინონიმური რიგის კომპოზიტები საკუთრივ ქართული შედგენილობისა არიან, რადგან ბერძნულში მათ ყველგან ეფარდება სიტყვა νομικός „კანონმდებელი, კანონის მცოდნე, აღვოკატი“ (145; 127).

ძკრ-ძკრად – ბოროტად:

უფალო, შეიწყალე ძვ ჩემი, რამეთუ ახლის პიროვან არს და ძ ვ რ - ძ ვ რ ა დ იგუემების, მ. 17, 15 C;

უფალო, შეიწყალე მც ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბორობის, იგუემების, DE;

ძარ-ძკრად: ძარი შემდეგნაირად განიმარტება: „ბოროტი, ავი, გინა უბედურება“ (92), ხოლო **ძარ-ძკრად** კი – როგორც „უბოროტესი, უსასტიკესი“ (6); „ძალიან ძნელად“ (33). პ. დანელიას განმარტებით, ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი **ძარ-ძკრად** მეტი ექსპრესიულობით ხასიათდება და ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს სათანადო სომხურ ერთეულთან, რადგანაც ბერძნულ ში ესადაგება არაკომპოზიტური ოდენობა კაკას „ცუდად, საშინლად; დაუნდობლად“ (22, 82; 122). **ბოროტად** კი განიმარტება, როგორც „ძვირად“:

კაცად-კაცადი – კაცი – თითოეული:

კაცად-კაცადი – კაცი:

დაუტეოს პაციენტი - პაციენტის მამავი თბილი და დედავი თბილი და
შეკვეთის ცოლსა თბისსა, მრ. 10, 7 C;

დაუტეოს კაცი მამავ თვესი და დედავ თვესი და შეეყოს ცოლსა
თვესსა, DE.

კაცად-კაცადი – თითოეული:

განიბნინეთ პ ა ც ა ლ - პ ა ც ა ლ ი თვესა ადგილდ და მე მარტო
დამიტევოთ, ი. 16, 32 DE;

განიბნინეთ თ ი თ თ ე უ ლ ა დ ადგილდ თვესა, და მე მარტო დამიტეოთ,
C.

იბ. აგრეთვე: ბ. 25, 15; 26, 22; გვ. 16, 5; ი. 6, 7; 16, 32.

ქაცი//ქაცად-ქაცადი განიმარტება როგორც „თითოეული ქაცი; იგივე თითოეული“ (53; 92); „ქაცი, ყოველი ქაცი, ყოველი ერთი, ცალკეული“ (6); „თითოეული, ყოველი, მთლიანად“ (139; 33).

თითოეული განსაზღვრებითი ნაცვალსახელია და ნიშნავს „თუთო-თუთოს, ერთ-ერთს, ანუ ქაცად-ქაცადს“ (92; 6).

დასახელებულ სინონიმურ წყვილთაგან კაცად-კაცადი საკუთრივ ქართული წარმომავლობის ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, რადგან ბერძნულში აღნიშნულ ერთეულებს (კაცად-კაცადი//თითოეული) შეესატყვისება არაკომპოზიტური ლექსემა ჰასტის „ყოველი, თითოეული“ (145; 127).

როგორც ცნობილია, გრამატიკული სქესი საერთოდ არ გადმოიცემა მორფოლოგიური საშუალებით ქართულში. ყაცად-ყაცადი ამ შემთხვევაში სინონიმური ლექსიკით გამოხატულებას წარმოადგენს ჰიასტოს (თითოეული) სიტყვისა, რომელიც ნიშნავს ყველა მამაკაცს (22, 462).

2.4.2. ბერძნულ-ქართულ კომპოზიტთა შემცველი სინონიმური წყვილები

ფასის საცავი – ფასის შესაწირავი:

დადგა იესუ წინაშე ფასის საცავს მას, მრ. 12, 41 DE;

დადგა იესუ წინაშე ფასის შესაცავს, C.

ფასის-საცავი: ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფასი მომდინარეობს ძვ. ალანური *faes (ფას) ფორმიდან, რაც თავდაპირველად ნიშნავდა „ცხვარს, წვრილფერსა საქონელს (=1 ცხვარს); საშუალო ზომის ცხვარს, ვაჭრობის ერთეულს“ (4, 113). ძველ ქართულში ფასი რომელიც ნასესხები სიტყვაა, შემდეგ მნიშვნელობებს შეიცავს „სასყიდელი“ (54); „ღირებულება ნივთთა, ანუ ოეთრი სახმარი სასყიდლად მათსა“ (92); „სიმდიდრე, ქონება“ (33). სა-ცავი სა- პრეფიქსით ნაწარმოები ვნ. გვარის მომავალი დროის მიმღეობაა, რაც ნიშნავს „შესანახავს“ (54; 92). **ფასის-საცავი** კი განიმარტება, როგორც „ოეთრის შესაკრებელი, სალარო“ (54; 92); „ხაზინა, სალარო“ (6); „საგანძურო“ (32).

ფასის-შესაწირავი ლექსემის მეორე კომპონენტი შე-სა-წირ-ავ-ი, აგრეთვე სა-პრეფიქსით ნაწარმოები ვნ. გვარის მომავალი დროის მიმღეობური ფორმაა, რაც ნიშნავს „შეძღვნილს“ (54). მთლიანი კომპოზიტური ოდენობა **ფასის-შესაწირავი** კი ეწოდება „ხაზინას, სალაროს, საგანძუროს“ (6; 33).

კომპოზიტური სინონიმები **ფასის-საცავი//ფასის-შესაწირავი** ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ შესაბამის ბერძნულ ერთეულთან γαζοφυλაκίου „ტაძრის საგანძურო; ჭურჭელი შესაწირავისთვის“ (145; 127; 22, 83).

პურის უფალი – მთავარი ტაძრისად

მოუწოდა პურისაუფალ მან სიძესა მას, ი. 2, 9 DE;

მიუგო სიძესა მას მთავალ მან მის ტაძრისად მან მან მან მან მან მან, C.

პურის-უფალი: **პური** გარდა საკვებისა ნიშნავს აგრეთვე „ლხინს“ (54); „სადილს, წვეულებას“ (6). **პურის-უფალი** კი ეწოდება „მასპინძელს“ (92; 6); „სუფრის უფროსს, ლხინის მეთაურს“ (33).

მთავარი ტაძრისად: ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი მთავარი ნიშნავს „უფროსს; დიდებულს, ანუ მფლობელს“ (53; 92); „წინამდობლს, მეთაურს...“ (33). მეორე კომპონენტი ტაძარი კი პოლისემიური ლექსემაა, რაც აღნიშნულ შესიტყვებაში (მთავარი ტაძრისა) ითავსებს მნიშვნელობებს „ნადიმობა; პურობა, ლხინი, ნადიმი დდესასწაული“ (92); „წევულება“ (6); „სადილი, ლხინი, (გაწყობილი) მაგიდა“ (33). მოხმობილ სინონიმურ წევილთაგან ჰურის-უფალი ქართული შედგენილობის კომპოზიტია, ხოლო მთავარი ტაძრისად წარმოადგენს ბერძნული აρχιτρίκλινος „ლხინის, მაგიდის გამრიგებელი“ (145; 127) პირდაპირ თარგმანს.

ბოროტი – ბოროტის-მოქმედი – უკეთური – ძრი – ძრის-მოქმედი

ბოროტი – უკეთური:

„გუეთუ თქუას ბოროტი მან მონამან, მ. 24, 48 DE;

„გუეთუ თქუას უკეთუ მან მონამან, C.

იხ. აგრეთვე: მ. 12, 39; 18, 32; 20, 15; 21, 45.

ბოროტი – ძრი:

მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე ბოროტი, ლ. 16, 25 DE;

მიიღე კეთილი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე ძ კ რ ნ ი, C.

იხ. აგრეთვე: მ. 6, 39; მრ. 3, 4; მ. 15, 4; მ. 17, 15.

ბოროტის მოქმედი – ძრის მოქმედი:

გამოვიდოდიან... ბოროტის მოქმედი აღდგომასა სასჯელისასა, ი. 5, 29 DE;

გამოვიდოდიან... ძ კ რ ი ს ა მოქმედი აღდგომად სასჯელისად, C.

„გუეთუმცა არა იყო ბოროტის მოქმედი, არამცა მიგეცით შენ ეგე, ი. 18, 30 DE;

არა თუმცა ძ კ რ ი ს მოქმედი იყო კაცი იგი, არამცა მიგეცით იგი შენ, C.

იხ. აგრეთვე: ი. 18, 30.

ბორ-ოტ-ი/ბოროტის მოქმედი ძველ ქართულში სომხურის მეშვეობით ნასესხები სიტყვაა, რომელსაც „აჭარიანი უკავშირებს საშ. სპარსულ ხიტ“ ძირს (4, 82). ბორ- ძირზე დართული უტიტ არის სომხური მაწარმოებელი და ბოროტი

ნიშნავს „კეთროვანს“. ქართულში მას „უკეთურის“ მნიშვნელობა აქვს“ (59, 189). ბოროტი ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „ავის მოქმედი და ავი“ (53); „ავი, ძვირის შემამთხვეველი, ვნების მომცემი“ (92); „ცუდი, საძაგელი“ (6). ბოროტის-მოქმედი კი არის იგივე „ავის ჩამდენი“ (53); „ძრის მოქმედი“ (92).

უ-კეთ-ური ქართველური *კეთ- ზმნური ძირიდან არის მიღებული უარყოფითი მიმღების მაწარმოებელი **უ-ურ** კონფიქსით (65). **უკეთური** განიმარტება შემდეგნაირად: „ესე არს მჩემებელი კეთილისა და მოქმედი ბოროტებისა“ (54); „კეთილობის გარეგანი, ავი კაცი, ცუდი კაცი“ (92) ასე რომ, **უკეთური** ცბიერ, ვერაბ, ცუდის მკეთებელ პიროვნებას აღნიშნავს.

ძრი საშ. სპარსულიდან ნასესხები ერთეულია. „ქართ. **ძრ-/-ძურ-** < საშ. სპარს. **zuī-**იდან. (დაწერილობა „**ძურ**“-იც გვხვდება ხელნაწერებში. ა. შანიძის აზრით, უ-სა და ჟ-ს მონაცვლეობა კილოური მოვლენაა. შდრ. **წკმა** და **წუმა** და სხვა მისთანანი“ (80, 049; 4, 404-405). ძრი განიმარტება „ბოროტივით“ (54); „ბოროტი, ავი, გინა უბედურება“ (92); „შური, ავი, ცუდი“ (6); „ცუდი, ბოროტი“ (33).

ძრის-მოქმედი ნიშნავს იმავე „ბოროტის მოქმედს“ (92; 6; 33).

სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტები **ძრის-მოქმედი//ბოროტის-მოქმედი** თავისი შედგენილობით მიჩნეულია ხან მხოლოდ სომხურ ერთეულებთან ახლოს მდგომად, ხანაც ბერძნულ-სომხური ერთეულების ყალიბისად (შდრ. κακοῦργος, κακοποίος, κακός „ბოროტი“, „ძვირი“, ორგაზმული „გაკეთება“). კ-დანელიას დაკვირვებით, „როცა ბერძნულ ტექსტში ნახმარ რთულ სიტყვას ქართულსა და სომხურ თარგმანებში მსგავსივე შედგენილობის კომპოზიტი გამოხატავს, ქართული და სომხური კომპოზიტების არსებობას თარგმანში მეტილად აპირობებს **ბერძნული წყარო**“ (22, 77).

ამდენად, დასახელებული სინონიმური კომპოზიტები **ძრის-მოქმედი//ბოროტის-მოქმედი** ბერძნული მოდელის მიხედვით შედგენილად ითვლებიან.

2.4.3. სომხურ-ქართულ კომპოზიტთა შემცველი სინონიმური წყვილები

ადრე-ადრე – ადრე – მეყსეულად – მუნქუესვე

ადრე-ადრე – ადრე:

მიიღე წიგნი შენი და დაჯედ, დაწერე ა დ რ ე - ა დ რ ე ერგასისი, ლ. 16,

მიიღე გელით-წერილი შენი და დაჯედ ა დ რ ე და დაწერე ერგასისი, DE.

ადრე ქართველური *ადრ- ძირიდან მომდინარეობს. ქართ. ადრ- ადრ-ე „მალე, ხვალ“, შეესატყვისება მეგრ. ორდ-ორდ-ო „დილა“ და ლაზ. ოდრ-ორდ-ო/ორდ-ო „მალე, ჩქარა“; „განუწყვეტლივ“ (65). ადრე ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება: „მალესავით“ (53); „მსწრაფლ, ანუ უწინარეს უამისა“ (92); „მალე, მსწრაფლ, მაშინვე“ (6); „ჩქარა, მალე“ (33).

ადრე-ადრე კომპოზიტი კი ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს სათანადო სომხურ ერთეულთან (22, 84). ფუძის გაორკეცება კი მას უფრო მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. ადრე-ადრე ნიშნავს ძალიან „მალე, სწრაფად“ (6); „ჩქარა, მალე“ (33).

ადრე-ადრე – მეყსეულად:

გამოკდა ა დ რ ე - ა დ რ ე სისხლი და წყალი, ი. 19, 34 C;

მ ე ყ ს ე უ ლ ა დ გამოკდა სისხლი და წყალი, DE.

მეყსეულად: მეყდ ნიშნავს „წამს“, ხოლო მეყსეულად განიმარტება, როგორც „სწრაფად, ანაზდეულად, მუნქუესვე“ (92); „მაშინვე, უეცრად, საჩქაროდ“ (6); „იმწამსვე, მყის, სასწრაფოდ“ (33).

ადრე – მეყსეულად – მუნქუესვე:

ა დ რ ე მომიძღვანოს იგი აქა, მრ. 11, 3 C;

მ ე ყ ს ე უ ლ ა დ მოავლინოს აქა, DE.

მ ე ყ ს ე უ ლ ა დ მოავლინებს იგინი, მ. 21, 3 DE;

მ უ ნ ქ უ ე ს ე გ ა მოავლინებს იგინი, C.

იხ. აგრეთვე: მ. 21, 2.

მუნქუეს//მუნქუესვე: „მუნქვესვე“ (53); „მაშინვე ანაზდად, თქმასა თანავე“ (92); „მსწრაფლ, მაშინვე, მყის“ (6); „იმწამსვე, მყის, სასწრაფოდ“ (33). სინონიმური ერთეულები ადრე-ადრე//ადრე ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით τάχέως „ადრე, სწრაფად, საჩქაროდ“ (145; 127), ხოლო მეყსეულად, მუნქუესვე ფორმებს შეესატყვისება ჰუსტ „დაუყონებლივ, სასწრაფოდ, მაშინვე“ (145; 127).

დიდი – დიდ-ძალი – დიდ-დიდი – მრავალი – ფრიადი

დიდ-ძალი – დიდი – დიდ-დიდი

იყო მუნ კოლტი დორთად დ ი დ ბ ა ლ ი, მთასა გარე მძოვარი, მრ. 5, 11

DE;

იყო მუნ კოლტი ლორებისათ დ ი დ ი, მძოვარი მთასა თანა C.

რამეთუ ყო ჩემ თანა დ ი დ - ძ ა ლ ი ძლიერმან, ლ. 1, 49 DE;

რამეთუ ყო ჩემდამო დ ი დ - დ ი დ ხ ი ძლიერმან C.

დიდ-ი//დიდ-დიდი ქართველური *დიდ- ძირიდან მომდინარეობს (65), რაც ნიშნავს: „სხუასა ზედა უმეტესი შესახედავითა, ანუ საქმითა, კუალად ფასითა, სიმძიმითა და სხვ.“ (92); „არამცირედი“ (6). ფუძეგაორკეცებით მიღებული კომპოზიტი დიდ-დიდი „ძალიან დიდს“ ნიშნავს და შეიცავს დიფერენციალურ კომპონენტს, რომელიც თვისების ყველაზე მაღალ ხარისხზე მიუთითებს. **დიდ-დიდი** ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს სათანადო სომხურ ერთეულებთან, რადგან ბერძნულში მას არაკომპოზიტური ოდენობა მიესადაგება μεγάλη „დიდი, უზარმაზარი; მაღალი, ფართო, გრძელი“ (145; 127).

დიდ-ძალი: ამ კომპოზიტის მეორე კონპონენტი ძალი ნიშნავს „ძალას ღონეს, ძლიერებას, სიმტკიცეს...“ (92). **დიდ-ძალი** კი განიმარტება, როგორც „მრავალ რიცხვ; ფრიად მრავალი, საკმაო“ (92; 6).

დიდ-ძალი – მრავალი:

შეკრძა ერი დ ი დ ძ ა ლ ი მისა, მრ. 5, 21 DE;

შეკრძა ერი მ რ ა ვ ა ლ ი მისა, C.

მრავალი მ. ანდრონიკაშვილის მითითებით, მომდინარეობს ირანული māra ძირიდან (4, 254) და განიმარტება შემდეგნაირად: „მრავალი ესე არს ორიდამ ათასამდე“ (53); „ურიცხვი, უთვალავი“ (92); „ბევრი“ (6).

დიდ-ძალი – ფრიადი:

აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი ნარდიონი პატიოსანი, დ ი დ ძ ა ლ ი ს ა სასყიდლისათ, მრ. 14, 3 C;

აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოსა ფ რ ი ა დ ი ს ა სასყიდლისათ, DE.

ფრი-ად-ი ძველ ქართულში ნასესხებია ოსური fyr/fur ძირიდან, რაც განიმარტება, როგორც „ძალიან ბევრი“ (4, 71); „დიდად მრავალი, გინა მეტი“ (54); „დიდად, მრავლად, ძლიერ“ (92); „მრავალი“ (6).

განხილულ სინონიმურ მწკრივში შემავალი ზედსართავ სახელთა დომინანტა არის **დიდი**, რომელიც სტილისტური ნიშნით ნეიტრალური ლექსემაა, ხოლო

მწერივში შემავალი წევრები: დიდ-ქალი//დიდ-დიდი//მრავალი//ფრიადი ძირითად მნიშვნელო-ბასთან ერთად შეიცავენ ექსპრესიული თვალსაზრისით დიფერენციალურ კომპონენტს, რაც **თვისების ყველაზე მაღალ ხარისხს გამოხატავს.**

მაშასადამე, სინონიმურ მწერივებში შემავალი კომპოზიტები უფრო მეტი ინტენსიონურ, ექსპრესიულობით გამოირჩევიან, ვიდრე მათი მეწყვილე მარტივი სიტყვები და ოთხთავის ტექსტში მათი გამოყენება სტილისტური, ექსპრესიულობის მიზნით არის განპირობებული.

თავი III

ნასესხები ლექსიკა ოთხთავის სინონიმურ სისტემაში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროდ სიტყვათა სესხებას მიიჩნევენ (94, 689-695; 48, L – LV; 67, 35; 56, 91)... „ყოველი ენის ხვედრია ლექსიკური უკმარისობა, ყოველი ენა საჭიროებს უცხოური ლექსიკის მასალის გამოყენებას“ (94, 689). ქართულ სალიტერატურო ენაში უცხოური ლექსიკის სესხება ძირითადად განპირობებულია შემდგენ თავისებურებით: 1. როდესაც „ამა თუ იმ სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი შესაბამისი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა, არც ამჟამად მოგვეპოვება და არც ისტორიულადაა დადასტურებული ქართულ ში“ (74, 20); 2. შესაძლოა, მსესხებელ ენაში „სიტყვიერი გამოსახულება არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხეულობს უცხოურ სახელწოდებას“ (94, 689-690). უცხოური სიტყვების დანერგვას ქართული ექვივალენტების გვერდით შ. ძიძიგური „სინონიმურ პარალელიზმს“ უწოდებს (94, 692). უნდა აღინიშნოს, რომ „ყოველგვარი სიტყვათა სესხება ენის სინონიმიკას არ უკავშირდება“ (56, 93). მაგრამ, თუ ენაში შემოდის ახალი სიტყვა, როცა ამ ენაში არსებობს იმავე მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვა, ასეთ შემთხვევაში „უცხოური სიტყვისა და მისი „დამხვდური“ ეკვივალენტის ერთობლიობა ქმნის სინონიმებს“ (95, 51).

ოთხთავში უხვად გვხვდება ნასესხები ლექსიკა, რაც უმეტესწილად თარგმანის გავლენით აიხსნება, მაგრამ მათი არსებობა სახარების ტექსტში, აგრეთვე ენათა კონტაქტების შედეგია, ანუ ზეპირი სესხებითაც არის განპირობებული. სახარების ტექსტში გვხვდება ბერძნული, ირანული, ებრაული, სომხური ენებიდან ნასესხები ლექსემები, რომლებიც მსგავსი სემანტიკის მქონე ქართულ ან თვით ნასესხებ ენობრივ ერთეულებს მიემართებიან და სინონიმურ წყვილებსა თუ რიგებს ქმნიან.

ა) სინონიმური რიგის სიტყვათაგან ან სინონიმურ წყვილთაგან შესაძლოა ერთი ლექსემა ნასესხები იყოს, მეორე კი საკუთარი ლექსიკური ფონდიდან. ბ) ორივე ლექსემა შეიძლება ნასესხები იყოს და იხმარებოდეს ე. წ. „ბილინგვური სინონიმური წყვილების“ სახით.

3.1. ბერძნული ლექსიკის შემცველი სინონიმური მწარივები

ევანგელე – სახარება – ხარება – თხრობა – ქადაგება

ეგანგელე – სახარება:

სტოვასა მას აღსამაღლებელისასა ე ვ ა ნ გ ე ლ ტ მარკოზის თავისად, გვ. 168, 29 L.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მარკოზის თავისად, გვ. 110 DE;

დასაბამი ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა ვ იესუ ქრისტესი, ძისა დმრთისად, მრ. 1, 1 DEC.

ევანგელე ბერძნული εὐαγγέλιον ლექსემის ფარდია და ნიშნავს „სასიხარულო ამბის უწყებას, ცნობას, შეტყობინებას...“ (12, 151; 117, 265; 145; 127).

სა-ხარ-ებ-ა//ხარ-ებ-ა: სახარება იმავე ტიპის საწყისად მიიჩნევა, როგორიცაა საარება, აღსაარება, სამნობა (88, 227; 34, 259). საწყისური შინაარსით კი ოდენსუფიქსური ფორმა ხარებ-ა იხმარება, ხოლო პრეფიქს-სუფიქსურ სახარებას ტერმინის მნიშვნელობა აქვს მიღებული და გასუბსტანტივებულია სა-დერივაციული (დანიშნულების მარტოვებელი) პრეფიქსის მეშვეობით (22, 182).

სახარება განიმარტება შემდეგნაირად: „სახარება არის სიბრძნე, სიმართლე და ძლიერება, სამივე სწორე და ერთ“ (53); „მოძღვრება მაცხოვრისა ჩუქისა იესო ქრისტესი, მის მიერ მონიჭებულისათვის ჩვენდამო სასუფეველისა. // წიგნი, ოთხთა მახარებელთაგან აღწერილი, ჭუჭანასა ზედა ცხოვრებისა და საქმეთათვის ქრისტეთა. // ამის წიგნისაგან საკითხავი თუთოეულისა დღისა ეკლესიასა შინა“ (92); „სახარება ოთხთავი“ (6).

კ. დანელიას აღნიშვნით, „მართალია, ოთხთავის ძველ ქართულ რედაქციებში ბერძნული εὐαγγέλιον-ის ფარდად სახარება იხმარება, მაგრამ ეს ტერმინოლოგიური უნიფორმაციის მეორე შედეგს უნდა ასახავდეს. ადრე მას სხვა სიტყვებიც ენაცვლებოდა. ქრისტიანული ხარების მნიშვნელობით, რომლისაგანაც სახარება ტერმინია ნაწარმოები, ძველ ქართულში თხრობაც უხმარიათ და ქადაგებაც“ (22, 182).

ხარება – თხრობა:

მოვალს მარიამ მაგდალენელი და ა ხ ა რ ე ბ ს მოწაფეთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი, ი. 20, 18 C;

მოვიდა მარიამ მაგდალენელი ო ხ რ თ ბ ა დ მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი, DE.

ქადაგება:

წარვედით მახლობელად დაბნებსა და ქალაქებსა, რავთა მუნცა უ ქ ა დ ა-გ ო თ, მრ. 1, 38 DEC;

თხრ-ობ-ა: „თქმა ამბვისა, საქმისა, მოთხოვობა, ამბობა“ (92); „შეტყობინება, მოხსენება“ (6).

ქადაგ-ებ-ა განიმარტება, როგორც „მაღლის ჭმით სწავლება“ (54); „ხმამაღლად მოძღურება, სწავლა; განთქმა, ხმისდაგდება, თკო თქმული, ანუ სათქმელად დაწერილი მოძღურება“ (92); „მოხმობა, უწყება, დადადება“ (6).

მაშასადამე, **ხარება** ძირს გააჩნია ორი მნიშვნელობა: 1) „ცნობება, შეტყობინება“ (86, 193-224); 2) კარგი ამბის ცნობება – შეტყობინება. ამდენად, **სახარება** აღნიშნავს „არა მარტო ქრისტეს ცხოვრება – მოღვაწეობის შემცველ წიგნს, არამედ იმასაც რომ ეს წიგნი კარგს, საუკეთესოს, სასიხარულოს შეიცავს“ (22, 183).

ქვა – მარმარილო:

იყვნეს მუნ სარწყულნი ქ ვ ი ს ა ნ ი, ი. 2, 6 DE;

მუნ დგეს ტაკუკნი მ ა რ მ ა რ ი ლ თ ვ ს ა ნ ი, C.

ქვა საბას განმარტების მიხედვით აზოგადებს მის სხვადასხვა სახეობებს. ავტორს მოჰყავს ქვის ოცდაათამდე დასახელება: „სილა, ქვიშა, ლორდი, ხვინჭა, ლოდი, კბოდე„ (54). **ქვის** აღმნიშვნელი ლექსემა ბერძნულში უფრო პოლისემიურობით გამოირჩევა, რომელიც გადმოიცემა სიტყვით **λίθος** „ქვა, ქვის ლოდი; სასინჯი ქვა; მთის ბროლი; სათამაშო ქვა; ძვირფასი ქვა; საფლავის ქვა; ქვიანი მდებარეობა; შჯულის ფიცარი“ (145; 127).

მარმარილო ბერძნული **μάρμαρος** ფორმიდან მომდინარეობს (127), რაც აღნიშნავს ძვირფას ქვას, ანუ „დრუნგილს“ (53). 6. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას უფრო ამომწურავად განმარტავს: „დრუნგალი, კლდის ქვა ფერად-ფერადი და უფრორე თეთრი, გაითლების ფრიად თანასწორედ, აქუს ელგარება და ნათლის გარდაცემა სარკის მსგავსი. იხმარების განსაშვენებლად შენობათა“ (92). მაშასადამე, **მარმარილო** იგივე ქვაა, ოდონდ იგი ძვირფასი ქვის სემანტიკის შემცველია, რაც

მის დიფერენციალურ ნიშნად ითვლება. აღნიშნულ მაგალითში (ი. 2, 6) სინონიმურ წევილს ჭავა/მარმარილო ეფარდება λίθος ლექსემა. ამიტომ, მარმარილო, რომელიც C რედაქციაში იხმარება, არ უნდა წარმოადგენდეს ბერძნული λίθος სიტყვის თარგმანს, რადგან ბერძნულში მარმარილოს სპეციალური ლექსემა μάρμαρος გადმოსცემს (გამოცხ. 18, 12). მაშასადამე, შესაძლოა C რედაქციის მთარგმნელი იყენებდა ისეთ ნუსხას, სადაც სიტყვა μάρμαρος დასტურდებოდა, ხოლო DE რედაქციისა კი ისეთს, სადაც λίθος სიტყვა იხმარებოდა.

გოდორი – სფურიდი – კუელი

გოდორი – სფურიდი:

რავდენი გ ო დ ო რ ი აღიღეთ, მ. 16, 9 C;

რაოდენი ს ფ ჟ რ ი დ ო აღიღეთ, მ. 16, 10 EFGHIK.

იხ. აგრეთვე: მრ. 8, 20.

გოდორი – კუელი:

რაოდენი გ ო დ ო რ ი სავსც ნამუსრევი აღიღეთ, მრ. 8, 19 DEFGHIK;

რავდენი კ უ ე ლ ო სავსც ნატეხისავ აღიღეთ, C.

იხ. აგრეთვე: ი. 6, 13.

სფურიდი ბერძნული σπυρίς ლექსემიდან არის ნასესხები და განიმარტება, როგორც „მოწნული, წნული, კალათა“ (145; 127); „სფირიდი არს ჭურჭელი ნათხაზი ჭილთაგან და ბაიასა(გან) და ხის ქერქისაგან; ზამბილი, ზმილაკი და ყოველივე თხზული“ (54); „ჭილობის ტომარა, ნათხზი, ბაიათაგან, ჭილთა და ხრალთა“ (92); „გოდორი“ (33).

გოდორი: „წკეპლის ჭურჭელი“ (53); „წნული ჭურჭელი ნერგის წნელთაგან, კოშა, კოშница, კორიბ“ (92).

კუელი იგივე „გოდორია“ (33). ბერძნული სფურიდის სინონიმური მეწყვილეების გოდორისა და კუელის ძირთა წარმომავლობა გაურკვეველია.

ბისონი – ზეეზი:

კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა იგი ძოწეულითა და ბ ი ს ო ნ ო ა, ლ. 16, 19 DEFGHIK;

კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ და იმოსებოდა ძოწეულითა და ზ ე გ ზ ი თ ა, C.

ბისონი ნასესხებია ბერძნულიდან: βύσσος „ბისონი, თხელი ტილო“ (145; 127); „სამოსელი(ა) სამდღელო“ (53); „ბველებურად ქსოვილი რამე ელვარე, ვისინ. // სამღუდელთმთავრო შესამოსელი გარედამ“ (92); „სუფთა ტილო“ (6); „ბამბის წმინდა ქსოვილი, ხმარობდნენ შიგნით ჩასაცმელად; შდრ. ზეზი“ (33).

ზეზი: „ესე არს ორფერი ძაფი, და ძაფი და სირმა ერთად შესთული“ (53); „მკედი და სირმა ერთად შესთული ორფერად“ (92); „იგივეა, რაც ბისონი“ (33).

ამდენად, **ბისონი** „ელვარე სამოსელს“ ნიშნავს, ხოლო **ზეზი** ორფერი ძაფისგან დამზადებულ სამოსელს წარმოადგენს.

ქლამინდი – ძოწეული:

ქლამინდი მეწამული შეპმოსეს მას, პ. 27, 27; 31 DECFGHIK.

შეპმოსეს მას ძო წევ და ი, მრ. 15, 17 DECFGHIK.

ქლამინდი ბერძნული χλαμύδις სიტყვიდან მომდინარეობს და განიმარტება, როგორც „ქლამინდი, ლაბადა, მოსასხამი, მანტია“ (145; 127); „სამეფო წამოსასხმელია ფილონის მსგავსი, უსაკელო“ (54); „სამეფო მანტია“ (92). „წამოსასხმელი“ (6); „პორფირი, ძოწეული, წითელი ფერის ზემოთა მოსასხამი, რომელსაც მეფეები და მთავარსარდლები იცვამდნენ“ (33).

ძოწეული: „ძოწი არს მსგავსი რამე მდელოსი ჯენუას ზღვასა შინა, ვითარცა შვლისა რქანი, ბროწეულის ყვავილის ფერი...“ (54); „წითელი მარჯანი, ბროწეულის ყუავილის ფერი, კორალ, კონისტ. // ფერადი ზეზი“ (92).

როგორც აღინიშნა, **ქლამინდი** იგივე პორფირია. ეს უკანასკნელი ოთხთავში არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს ცალკე აღებული სიტყვა ძოწეული. რომელიც რამდენჯერმე გვხვდება და ყველა შემთხვევაში ეფარდება ბერძნულში სიტყვას პირფύრი. თუმცა ოთხთავის ტექსტში პორფირი/ძოწეული ლექსემებს შორის სინონიმური მიმართება არ დასტურდება, მაგრამ მოიპოვება ძველ აღთქმაში: „დასდგან მას ძოწეული სამოსელი, რიცხ. 4, 7 G; დაპბურონ მას ზედა სამოსელი ყოვლად პორფირი, pd“.

მაშასადამე, **ქლამინდი/ძოწეული/პორფირი** ერთსა და იმავე ძვირფას სამეფო მოსასხამს აღნიშნავენ და სინონიმებად მოიაზრებიან.

ეზო – სტოვა – კრეტსაბმელი – ბაგი

ეზო – სტოვა:

იყო იერუსალიმს ცხოვართ საბანელსა მას, რომელსა ერქუმის ჰებრაელებრ ბე-თესდა, ხუთ ე ზო დ იყო, ი. 5, 2 DE;

ხუთ ს ტო ვა იყო, CFGHIK.

ეზო ლექსიკონთა მიხედვით არის „გალავანი მოხრილი“ (53); „სასახლეთა შესახვედრი ადგილი, მოზღუდვილი უსართულოდ“ (92); „იალქანი, ფარდა, გალავანი, კარი, სადგომი, სახლი, სართული“ (6); „ეზო; კრეტსაბმელი, ფარდა; სტოა“ (33). მაშასადამე, ეზო პოლისემიური ლექსემაა, რომლის ამოსავალი სემანტიკა არის „მოზღუდვა, დაფარვა“. სწორედ ამ მნიშვნელობებს შეიცავს ეზოსთან სინონიმურ მიმართებაში მყოფი სიტყვები.

სტოა ბერძნული στοά სიტყვიდან არის ნასესხები და განიმარტება შემდეგნაირად: „სვეტებიანი მინაშენი, კარიბჭე“ (145; 127); „კამარა“ (54); „მიშენებული კამარა“ (92); „აივანი“ (6); „სვეტებიანი მინაშენი, განყოფილება“ (33).

ეზო – კრეტსაბმელი:

განიპო ე ზო ვ ტაძრისავ მის ორგან, ლ. 23, 45 C;

განიპო კ რ ე ტ ს ა ბ მ ე ლ ი მის ტაძრისავ მის შორის, DEFGHIK.

კრეტსაბმელი განიმარტება, როგორც „კარის ფარდაგი“ (53; 92); „ფარდა“ (6; 33). ბერძნულში κρητικός შეესატყვისება καταπέτασμα „ფარდა, საფარი“ (127).

ეზო – ბაკი:

სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ე ზო ვ ს ა ნ ი, ი. 10, 16 DE FGHIK;

სხუაცა ცხოვარ არიან ჩემნი, რომელ არა არიან ამის ბ ა კ ი ს ა ნ ი, C.

ბაკი: „მოზღუდვილი“ (53); „მრგულად მოვლებული ლობე ან ფიცრული ხვასტაგთ დასაყენებელი. // მზისა ანუ მთოვარის გარემო ზოგჯერმე ხილული ნათლის სარტყელი“ (92). ბერძნულში ბაკი გადმოიცემა სიტყვით ასლή „ეზო; ტაძრის გარეთა ეზო; სასახლე, მეფის კარი; ბაკი (ცხვრისათვის)“ (145; 127). ჩვენს შემთხვევაში ბაკი სწორედ პირუტყვისათვის (ცხვრისათვის) განკუთვნილ „მოზღუდვილ“ სადგომს აღნიშნავს.

სტრატიოტი – ერისაგანი – ერისაკაცი:

ს ტ რ ა ტ ი ო ტ თ ა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, მრ. 15, 16 ECFGHIK;

მაშინ ერთისაბანთა მათ მთავარისათა წარიყვანებს იესუ გაძრად, მ. 27, 27 DE FGHIK;

მაშინ ერთისაბანთა მათ ბჭისათა წარიყვანებს იესუ ურაკპარაკად, ც. იხ. აგრეთვე: ი. 19, 2; 23; 32.

სტრატიოლტი ბერძნული სიტყვაა: στρατιώτης განიმარტება როგორც „მებრძოლი, ჯარისკაცი“ (139; 122); „ბერძულ(ად) მწედარი“ (54); „ჯარისკაცი, მხედარი, მოლაშქრე, ვინ, სილა“ (92; 6; 33).

ერისა-გან-ი/ერისა კაცი ბერძნული στρατιώτης ქართული შესატყვისებია, რომლის მნიშვნელობებია „ჯარისკაცი, მხედარი, მოლაშქრე, ვინ“ (92); „ჯარისკაცი, ერისკაცი, კაცი, საერო პირი, მსოფლიო, მდაბიო“ (6; 33).

ცალკე უნდა ითქვას ბერძნულიდან ნასესხებ ლექსემათა შემცველ იმ სინონიმურ წყვილებზე, რომლებიც ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში არ გვხვდება და დასტურდება ოთხთავის ორ ბოლო რედაქციაში, ანუ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მიერ რედაქტირებულ ნუსხაში. ამგვარი მიმართებები დასტურდება შემდეგ სინონიმურ წყვილებს შორის:

ასარი – დანგი:

ანუ არა ორი სირი ასარი სიტყვა განისყიდების, მ. 10, 29 FGHIK;

ანუ არა ორი სირი ერთის დანგი სიტყვა განისყიდების DEC.

ასარი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან άσσάριον და განიმარტება, როგორც „ასარი, წვრილი მონეტა“ (127); „დანგი“ (53); „დინარის მეოცედი წონა ვეცხლისა, ანუ დანგი“ (92).

დანგი: „სამი(ხ) კერატის წონა“ (53); „წონა 3 კერატისა, ანუ 12 ქერის მარცვლისა, ხოლო 20 დანგი არს ერთი სატირი, ანუ ერთი დიდრაქმა; არამედ საზოგადოსა შინა ხმარებასა დანგი არს მისხლის მეექვსედი, ანუ ერთი ვერცხლის შაურიანის წონა“ (92); „ყველაზე წვრილი სპილენძის ფული“ (33). მაშასადამე, **ასარი//დანგი** წვრილი სპილენძის მონეტის სახელწოდებებს წარმოადგენენ.

კოდრატი – კოტორი:

ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკუანასკნელი კოდრატი, მ. 5, 26 HIK;

ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე დანგისა კოტორი DEC.

ჭოდრატი ბერძნული კიბრატეს ფარდი ლექსემაა, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად: „პვადრატი, გროში; წვრილი მონეტა“ (127); „მწვლილი“ (53); „მწული, ფოლის ნაოთხალი“ (92).

კოტორი: „პურის ნატეხი“ (53; 92); „ნაჭერი, ნატეხი, ნამცეცი“ (33). მოხმობილ კონტექსტში (გ. 5, 26) აღნიშნული სინონიმური წყვილი უფრო გულისხმობს უკანასკნელ „გროშს“, ვიდრე „პურის ნატეხს“, ან „ნამცეცს“.

სტატირი – სასწორი:

აღუდე პირი მისი და პპოო მის შორის ს ტ ა ტ ი რ ი, გ. 17, 27 DEC;

აღუდე პირი მისი და პპოო მას შინა ს ა ს წ თ რ ი HIK.

სტატირი ბერძნ. στατῆρα სიტყვის ფარდია, რაც განიმარტება შემდეგნაირად: „სტატერი, ოქროს სტატერი“ (145; 127); „ძველებური ოქროს ფული წონით ორის დიდრაქმისა, ანუ 4 დრაჟნის ოდენი და ფასით 20 დრაჟნის ვეცხლის ფასი“ (92).

სასწორი: „ერთი, ერთი სატირია“ (54); „ფულის ერთეული; ვეცხლის სასწორი 4 დრაქმეს უდრიდა, ოქროსი – 20-ს“ (33). მაშასადამე, ბერძნული στατῆρα და მისი ქართული შესატყვისი სასწორი ოქროსაგან დამზადებულ ფულის ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც 20 დრაჟმის ეკვივალენტური იყო.

3.2. ირანული ლექსიკის შემცველი სინონიმური მწკრივები

სიცხე – ხორშაკი – მჯურვალება

სიცხე – ხორშაკი:

რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, ჰსოქკო, ვითარმედ ს ი ც ხ ხ იყოს, ლ. 12, 55 DE;

რაჟამს სამხრით ქრინ, სოქკო, ვითარმედ ხ თ რ შ ა კ ი იყოს, C.

სიცხე-ე საერთოქართველური *ცხ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ცხ- ძირს შეესატყვისება მეგრ. ჩხ-/ნჩხ-, ლაზ. ჩხ-/ნჩხ- და სვან. შიხ-/შხ-. შესატყვისობები გვაქვს დასახელებული ძირების სემანტიკაშიც (65). ლექსიკონთა მიხედვით სიცხე „არს განძლიერებული სიმჯურვალე მზისა თუ ცეცხლისა, გინა ჰაერისა, გინა სწებითა განკურვებულისა“ (54); „ანთება, გახურვება სისხლისა სხეულებისგან, ჯარ (в крови), горячка (болезнь). // ცხელი ტაროსი, ხუარშაკი მზისაგან, ჯар, зной. სახენი ამისი: სიობო, ჰაპანება, ხვარშაკი, უნჯუფა, ჭრტიალი და სხვ.“ (92).

ხორშაკი ნასესხებია ფალაური xaršak სიტყვიდან და განიმარტება, როგორც „სიცხე, გვალვა, მომაკვდინებელი ქარი“ (4, 412); „ქარი შემწველი“ (54); „შემწველი სიცხე მზისა, ზნი“ (92); „სიცხე, პაპანაქება“ (33).

სიცხე – მჯურვალება:

დაუტევა იგი ს ი ც ხ ე მ ა ნ მან, მრ. 1, 31 C;

დაუტევა იგი მ კ უ რ გ ა ლ ე ბ ა მ ა ნ, DE.

მჯურვალება განიმარტება, როგორც „გაცხელება“ (53); „სიცხარე, სიმხურვალე, горячесть. // სენი სიცხისა, ხურვება, ცხელება, горячка“ (92); „ცხელება, ციებ-ცხელება“ (6; 33).

მაშასადამე, სიცხე ორგვარ მნიშვნელობას შეიცავს, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა ბუნებრივი ტემპერატურა მზისგან, ცეცხლისგან ან სხვა რაიმესგან გამოწვეული. ამ მნიშვნელობით სიცხეს მიემართება ფალაურიდან ნასესხები **ხორშაკი** და ბერძნულში მათი შესატყვისია καὶ σωτ. „სიცხე“ (145; 127), ხოლო მეორე მნიშვნელობა „ავალმყოფობას“ უკავშირდება და ამ მნიშვნელობით სიცხეს მიემართება **მჯურვალება**, რომელთა ფარდია ბერძნულში πυρέτος „სიცხიანი ყოფნა, ციებ-ცხელება“ (145; 127).

სპეტაკ – განსპეტაკება – განთეთრება:

იხილეთ ყანები, რამეთუ ს პ ე ტ ა კ არიან სამკალად აწვე, ი. 4, 35 DE;

იხილეთ ყანობირი ეგე, რამეთუ გ ა ნ თ ე თ რ ე ბ უ ლ არიან და ახან მკად, C.

ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა გ ა ნ ს პ ე ტ ა კ ე ბ ა დ, გინა დაშავებად, მ. 5, 36 DE;

ვერ შემძლებელ ხართ ერთისა თმისა გ ა ნ თ ე თ რ ე ბ ა დ, ანუ დაშავებად, C.

სპეტაკ-ი//გან-სპეტაკ-ება: სპეტაკი ფალაური spēt/spētak სიტყვიდან არის ნასესხები (4, 372-373), რომელიც ნიშნავს „თეთრს“ (53; 92; 6; 33). **განსპეტაკება**, შესაბამისად „გათეთრებას“ ეწოდება.

გან-თეთრ-ება/გან-თეთრ-ებ-ულ ქართველური *თეთრ- ფუძიდან მომდინარეობს. ზ. სარჯველაძის აზრით, თეთრ- ფუძე თეთრ- ძირის რედუქტიკაციით არის

მიღებული და მისი ამოსავალი სემანტიკა დაცულია სვანურ თერ- ძირში, რომელიც უკავშირდება „თვალს; ჩენას“. თე „თვალი“, თე-რ-ა „ჩანს“ (58, 172).

თეთრი განიმარტება შემდეგნაირად: „სპეტაკი, გინა ვეცხლი“ (53); „სპეტაკი, თოვლის ფერი. // თეთრი ფული, ვეცხლის ფული“ (92). **თეთრისგან** ნაწარმოები საწყისისა და მიმღეობის ფორმები განთეთრება//განთეთრებულ შესაბამისად „გასპეტაკებას, გასპეტაკებულს“ აღნიშნავს, რომელთა ფარდია ბერძნულში λευκός „თეთრი, ბრწყინვალე“ (145; 127).

ამდენად, ფალაურიდან ნასესხები სპეტაკის ქართული ექვივალენტია **თეთრი**, მაგრამ ე. დოჩანაშვილის განმარტებით, სპეტაკსა და **თეთრს** შორის ნიუანსობრივი განსხვავება იჩენს თავს: „სპეტაკს ხმარობენ ძალიან ნათელისათვის, ელგარისათვის“ (24, 188). მაშასადამე, სპეტაკში იკვეთება დიფერენციალური კომპონენტი, რაც თვისების გამოვლენის ყველაზე მაღალ **სარისხზე** მიუთითებს.

ასპარეზი – უტევანი:

იყო ბეთანია მახლობელ იერუსალიმსა ვითარ ათხუთმეტ ა ს პ ა რ ე ზ თდენ, ო. 11, 18 C;

იყო ბეთანია მახლობელ იერუსალიმსა ვითარ ათხუთმეტ თდენ უ ტ ე პ ა ნ, DE.

ასპარეზი: ამ სიტყვისათვის ამოსავალია საშ. სპარსული ფორმა **aspres//aspras**, „ცხენთ სარბიელი, სიგრძის საზომი“ (4, 283). ლექსიკონთა მიხედვით: „ასპარეზი სომხურად სტადიონს ჰქვიან, ხოლო ქართულად მინდორსა, რომელ არს მეიდანი“ (53); „სტადიონი, უტევანი, ან სარბიელი. // მეიდანი, სათამაშო ადგილი, ანუ მინდორი“ (92). ასპარეზს ეფარდება შესაბამის ბერძნულ ტექსტში στάδιον–„სტადიონი“, რომელიც საბას განმარტებით „143 ბიჯი იქნების“ (53). მაშასადამე, მოხმობილ მაგალითში (ო. 11, 18) ეს სიტყვა სწორედ „სიგრძის საზომის“ მნიშვნელობით არის ნახმარი. ოთხთავში ასპარეზი მხოლოდ მანძილის საზომის მნიშვნელობით გვხვდება, მაგრამ სხვა ტექსტებში დასტურდება „ცხენთსარბიელის“ მნიშვნელობითაც. კერძოდ:

„ვითარცა-იგი რომელნი ასპარეზსა ცხენთასა ერთი-ერთსა უსწრობენ და განსცხორებიედ, და სარბიელი ვერა პოიან...“ (82, 26, 18).

უტევანი კი არის იგივე „სტადიონი, ანუ სარბიელი“ (54) და მიჩნეულია სომხურიდან ნასესხებ ენობრივ ერთეულად (135, XXXVII; 158, 273-279).

ამდენად, მოხმობილ ერთეულებში ნასესხებ ლექსემათა შორის გვაქვს სინონიმური მიმართება.

3.3. ებრაული ლექსიფის შემცველი სინონიმური მწკრივები

სატანა – ეშმაკი:

წარვედ ჩემგან, ს ა ტ ა ნ ა, საცნაურ ჩემდა ხარ, მ. 16, 23 FGHIK;

წარვედ ჩემგან, ე შ მ ა კ ო, რამეთუ საცნაურ ჩემდა ხარ, DEC.

ვითარ ჭელ-ეწივების ე შ მ ა კ ს ა ე შ მ ა კ ი ს ა განსხმა , მრ. 3, 23 DEC.

სატანა: (ებრ. *sātān*, ბერძნ. *σατᾶν*, *σατανᾶς* სომხ. სატანა). ეს სიტყვა ებრაულიდან მომდინარეობს და აღნიშნავს „მტერს, მოწინააღმდეგებს, ბრალმდებელს, ცილისმწამებელს; ასევე აღნიშნავს – ეშმაკს, ღმერთის მტერს, მაშასადამე, ადამიანის მტერსაც; ძველ ქართულში კი მცდომს“ (12, 151; 117, 860; 22, 137; 55; 92); **სატანა** საზოგადოდ „მოწინააღმდეგის“ მნიშვნელობით უფრო ძვ. აღთქმაშია ნახმარი (რიცხ. 22-22-32; III მეფ. 5, 4), მაგრამ ოთხთავის ტექსტშიაც დასტურდება (მ. 6, 23) **სატანა//ეშმაკი** ლექსემათა სინონიმური მიმართება. ოუმცა ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში ეს ლექსემა არ გვხვდება. **სატანა** დასტურდება ოთხთავის ორ ბოლო რედაქციაში, სადაც ექვთიმე მთაწმიდელს იგი უთარგმნელი დაუტოვებია არა იმიტომ რომ მისი შესატყვისი არ იყო ქართულში, არამედ „უფრო მეტად იმის გამო, რომ ამ ტიპის სიტყვები გაგრცელებული იყო (მორწმუნეთა შორის) და ისედაც კარგად ესმოდათ მათი მნიშვნელობა“ (35, 85).

ეშმაკი ავესტური *aēšma* ფორმიდან მომდინარეობს. „**ეშმაკი** ქართული მწერლობის უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება, ვიდრე **ეშმაკი**. **ეშმაკი** საშუალო სპარსული ფორმაა, ხოლო **ეშმაკი** ახალი სპარსული (დაბოლოება *ak>ah>a-a-b*. სპარსულში)“ (4, 315). **ეშმაკი** განიმარტება შემდეგნაირად: „**ეშმაკი** დასაბამ კეთილისა არსებისაგან შექმნა ღმერთმან, არამედ აღზვავნა და ამპარტავ(ა)ნებისა მიერ დაეცა, გარ(დ)მოცვივნეს და ბნელ იქმნ(ნ)ეს. **ეშმაკი** გამოითარგმანების შემასმენელად, გინა საწუთროდ, გინა უამიერად, გინა ჭმუნვად“ (53); „**სატანა**, სული

ბოროტი, არაწმინდა“ (92); „სატანა, მაცდური, ბოროტი, ავი სული“ (6). მაშასადამე, სინონიმური სიტყვები სატანა//ეშმაკი ორივე ნასესხებია.

მამონა – ფასი:

ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მ ა მ თ ნ ა ვ ს ა მიმართ სიცრუვისა, ლ. 16, 9 DE FGHIK;

იყვენით თავებისა თქუენისა მეგობრებ ფ ა ს ი ს ა გ ა ნ სიცრუვისა, C.

მამონა: (ქალდეური ფუძეა *māmōn*, ებრ. *māmmōn*, სირ.-არაბ. *māmōnā*, ბერძ. μαμουᾶς). ამ ფუძის მნიშვნელობაა „სიმდიდრე, ქონება, ყოველგვარი შენაძენი, მათ შორის ოქროს, ვერცხლის ფული. მამონას ბიბლიაში გადატანითი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს ანგარებას“ (22, 158). ეს სიტყვა ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „სიმდიდრე, ანუ სიმდიდრის ღუთაება“ (92); „სიმდიდრე“ (127); „უსამართლო ვერცხლისმოყვარება; ქონება“ (6; 33). მამონა ოთხთავში ორივე მნიშვნელობით გვხვდება „სიმდიდრის და წარმართული ღვთაების სახელად“ (მ. 6, 24; ლ. 16, 9, 11, 13). ოუმცა პარალელურ რედაქციებში სინონიმების სახით (მამონა//ფასი) მხოლოდ ლ. 16, 9-ში დასტურდება, რომელიც „სიმდიდრეს“ აღნიშნავს.

ფასი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნასესხებია ძვ. ალან. **feas (fas)* ფორმიდან (4, 113) და განიმარტება შემდეგნაირად „სასყიდელი“ (54); „ღირებულება ნივთთა, ანუ თეთრი სახმარი სასყიდლად მათსა // ღირსება, ანუ პატივი“ (92); „სიმდიდრე, ქონება“ (33). აღნიშნულ შემთხვევაშიც (მამონა//ფასი) ნასესხებ ლექსემებს შორის გვაქვს სინონიმური მიმართება.

მესია – ქრისტე – ცხებული:

მესია – ქრისტე:

ვპოვეთ მ ე ს ი ა, რომელ არს თარგმანებით: ქ რ ი ს ტ ე, ი. 1, 41 DEC FGHIK.

ვიცი, უფალო, რამეთუ მ ე ს ი ა მოვალს, რომელსა პრქან ქ რ ი ს ტ ე, ი. 4, 25 DEC FGHIK.

ქრისტე – ცხებული:

მიუგო პეტრე და პრქანა: შენ ხარ ქ რ ი ს ტ ე, მე ღმრთისათ, ლ. 9, 20 DE;

მიუგო პეტრე და თქუა: ც ხ ბ უ ლ ი ღმრთისათ, CFGHIK.

მესია: (ებრ. māšîh, māšîah, სირ. māšîhā, ბერძ. μεσσία, სომხური մյեսօა). ეს ძველებრაული სიტყვა (მაშიპა) სახარების ტექსტში „ცხებულს“, „სამეფო ცხებულს“ (მეფედ კურთხეულს) ნიშნავს“ (117, 573; 12, 148). ებრ. მაშიპა ძველ აღთქმაშიც აგრეთვე აღნიშნავს: „ქურუმს, მღვდელს, უფალს, მთავარს“. მისი თარგმანია ბერძნ. ხრისτის, რომელიც იესოს მუდმივ ეპითეტად იქცა და შემდგომ საკუთარ სახელად იქნა გააზრებული. ლექსიკონთა მიხედვით მესია არის „ცხებული უფლისა“ (55); „მესია, ებრაული ცხებული, სახელი ესე ეპუთვნის იესუ ქრისტესა“ (92; 33). ადრე ეფრემ მცირეს სწორად პქონდა წარმოდგენილი ამ სიტყვის ისტორიული მნიშვნელობა, როცა წერდა: „ებრაელთა თჯსსა ენასა სხუა სახელი აქუს „ცხებულისა“, ესე იგი არს „ქრისტე“ (84, 92). „მესია ქართულში ბერძნულის საშუალებითაა შემოსული, მაგრამ ქართულში გვაქვს ამ სიტყვის აღმოსავლური ფორმაც მშია“ (57, 239). მშია ამჟღავნებს ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის კავშირს ასურულთან / სირიულთან. მართლაც სირ. მეფედ ცხებულს“ ნიშნავს (162, 133).

კ. დანელიას აღნიშვნით, „მწიგნობრულ ქართულს მესია დღემდე შემორჩა, ოდონდ „მხსნელის“ მნიშვნელობით და არა „ცხებულისა“. ასეთი გადააზრება მესიასთან ქრისტეს დაკავშირებით მოხდა, თორემ ძველადვე იცოდნენ, რომ ებრაული იესუს (ბერძნ. იესუს) თარგმანია მაცხოვარ“ (22, 142).

პასექი – პასქა – გნება – ზატიკი – უცომოება – ბალარჯობა

პასექი – გნება:

მოახლოებულ იყო პასქა იგი ჰემი, ი. 2, 13 DE;

იყო პასქა იგი, რომელ არს ვნება ებრ. 14, 1 DE.

სადა არს საყოფელი ჩემი, სადა პასქა იგი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო, მრ. 14, 14 DE;

სადა არს ვანი იგი ჩემი, სადა ვნება ებრ. 14, 14 DE;

ოდეს პასქა მას დაპლვიდეს, მრ. 14, 12 DE;

რაჟამს ვნება თას მას დაპლვიდეს, C.

პასექი/პასეკი/პასქა: (ებრ. pasah, სირ. pesah, ბერძნ. πάσχα, φασέα, სომხ. პასექ).

პასექი//პასქა ებრაელთა დღესასწაულის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც

გაზაფხულზე ბუნიობას იმართებოდა ნისანის (აპრილის) თვის 14-ს, როგორც მოსავლის დღესასწაული. შემდეგ დაუკავშირდა ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლას, მონობიდან დახსნის დღეს. „გვიან ებრაულიდან მომდინარე πάσχα ბერძნულში გააზრებული იქნა, როგორც πάσχω „გნება განცდილი“ ზმისაგან მომდინარედ ქრისტეს ვნებასთან დაკავშირებით და ქრისტეს აღდგომის დღესასწაულად გაშინაარსდა“. ამდენად, არასწორია როცა პასექი ვნების დღესასწაულად განიმარტება. (22, 135). ამ სიტყვის სინონიმებად ბიბლიის წიგნთა ქართულ თარგმანებში ზატიკი და ვნება არის ნახმარი. პასექი და პასქა დღესასწაულთან ერთად ამ დღესასწაულზე „შესაწირავ კრავსაც“, ან „თიკანსაც“ აღნიშნავდა.

ლექსიკონთა მიხედვით პასქა//პასექი განიმარტება, როგორც „ჩინებული დღესასწაულობა ურიათა მოსახსენებელად გამოსლგსა მათისა ეგპტით, პასხა, πάσχα, ხოლო ქრისტეანენი ვუწოდებოთ საუფლოსა დღესა ქრისტეს აღდგომისასა“ (92). „ებრაელთა დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლის სახსოვრად დაწესებული. მისი სინონიმებია „პასქა“, „ვნება“ ზოგჯერ, აგრეთვე „ზატიკი“, მაგრამ პასქის ფორმით ბერძნული სიტყვა გაუგიათ და ქართულად „ვნებად“ უთარგმნიათ; პასექი, „საპასექოდ დაკლული კრავი; საპასექო საჭმელი“ (33). ამდენად, პასექი ქართულში ორი მნიშვნელობით შევიდა. 1. „ებრაელთა დღესასწაული ეგვიპტელთა მონობიდან გამოხსნის აღმნიშვნელი“; 2. „ქრისტეს აღდგომის დღესასწაული“ (33).

ვნება: „პასექი, ზატიკი, უცომოების დღესასწაული; საპასექოდ დასაკლავი კრავი“ (33). **ვნება** ზემოდასახელებული ორივე მნიშვნელობით მიემართება პასქას. იყი „დღესასწაულის“ მნიშვნელობით გვხვდება მაგალითში მრ. 14, 1, ხოლო, „საპასექოდ დასაკლავი კრავის“ შინაარსით დასტურდება მრ. 14, 12 DE-ში, რომელთაც ბერძნულში ზემოდასახელებული πάσχα ეფარდება.

პასექი – ზატიკი:

იყო მახლობელ პასექი, დღესასწაული იგი ჰურიათად, ი. 11, 55 DE;

მახლობელ იყო ზატიკი იგი ჰურიათად, C.

რაოთა შეჭამონ პასექი იგი, ი. 18, 28 DE;

რაოთა შეჭამონ ზატიკი იგი, C.

ზატიკი განიმარტება, როგორც „გამოჯსნა, გინა განთავისუფლება“ (53); „სომხურად დღესასწაული. // ზოგგან დაუდვიათ პასექის მაგიერ, // წიგნი საგალობელთა პასექიდამ ვიდრე ყოველთა წმიდათა პარიაკედმდე“ (92); „პასექი, დღესასწაული პურიათა, მსხვერპლი“ (6); „საპასექოდ დასაკლავი კრავი“ (33).

პასექა – უცომოება:

მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისა, რომელსა პრქან პასექი, ლ. 22, 1 DE.

იხ. აგრეთვე: მრ. 14, 1; ი. 2, 13.

მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს დირდა პასექი იგი დაკლვად, ლ. 22, 7 DE.

უცომოება-ება: ცომი ბერძნული ლუმ „ცომი; დროჟი“ (145; 127) სიტყვიდან არის ნაწარმოები. ცომს ერთდროულად ერთვის უქონლობის უ-და აბსტრაქტულობის მაწარმოებელი -ება აფიქსები. **უცომოება** „ესე არს მარტის მთვარისა მეათოთხმეტე დღე, რომელსა შინა პურიანი შვიდ დღე უცომოსა ჭამდენ, რომელ არს პასექი, რომელსა შინა ივნო ქრისტემან; დღესასწაული ბალარჯობისა, რომელ არს უცომოება“ (53; 54; 6); „ებრაელთა ერთი დღესასწაული, როცა აუფუარი პური უნდა ეჭამათ“ (33).

უცომოება – ბალარჯობა:

პირველსა მას დღესა უცომოებისა მოუპდეს მოწაფენი იესუს, ბ. 26, 17 DE;

პირველსა მას ბალარჯობა მოუპდეს მოწაფენი იესუს, C.

ბალარჯობა: ლექსიკონთა მიხედვით „უცომოობის კვირა“ (53; 92); „ებრაელთა დღესასწაული, როცა ისინი სჯულისამებრ ბალარჯს ჭამენ“ (6); „დღესასწაული, როცა აფუებული ცომის ჭამა არ შეიძლებოდა“ (33).

სინონიმური წყვილი **უცომოება//ბალარჯობა** ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით ასუმა „უცომოება, უცომოების დღესასწაული“ (145; 127).

3.4. სომხური ლექსიკის შემცველი სინონიმური მწკრივები

ჩოროროდი – ოთხთა სამთავროთა მთავარი:

მას ჟამსა შინა ესმა პეროდეს ჩოროდეს რომ როდესა პამბავი იესუსი, ბ. 14, 1 C;

მას ჟამსა შინა ესმა პეროდეს, ოთხთა სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუსი, DE.

ოთხთა სამთავროთა მთავარს შესატყვისება ბერძნულში τετράρχης ხოლო სომხურში ამ სიტყვის გადმოსაცემად გამოიყენება ჩოროროდი, რაც მეოთხედს ნიშნავს (22, 86). მაშასადამე, ოთხთავის ტექსტში დადასტურებული ბერძნული τετράρχης „ტეტრარქი“ (145; 127) შესატყვისი ჩოროროდი „ქვეყნის ოთხ ნაწილს, ან მეოთხედს“ ნიშნავს.

რეზი – სახუეველი:

გამოვიდა მკუდარი იგი, კრული ფერჭით, ჭელით რ ე ზ ი თ ა, და პირი მისი დახუეულ იყო სუდრითა, ი. 11, 44 C;

გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული ჭელითა და ფერჭითა და ს ა ხ უ ე ვ ე ლ ი თ ა, DE.

რეზი განიმარტება, როგორც „გრძელი ტილო სახვევად“ (6); „საბურველი, სახვევი“ (33). ბერძნულში **რეზი** გადმოიცემა სიტყვით κειρία „თასმა, ღვედი; სამგლოვიარო ლენტი, ბაფთი, ან საბურველი ზეწარი, სუდარი“ (145; 127). ე-დოჩანაშვილი გვაძლევს ცხრილს, სადაც ადიშის ნუსხაში წარმოდგენილი სიტყვები ბალარჯობა, დანგი, ვარშამაგი, პარი, **რეზი**, სტავი, ტაკუმი, შიში, ჩოროროდი უპირისპირდება წინარეათონურისა და გიორგისეული რედაქციების ნუსხათა ლექსიკას. სომხური თარგმანის შესატყვის ადგილას ადიშის ოთხთავში დადასტურებულ სიტყვას (რეზი) ვხვდებით“ (25, 206). „ზემოთ ჩამოთვლილ ლექსემათაგან შიში, ჩოროროდი და **რეზი** ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში არ დასტურდება“ (63, 59).

სა-ხ-ევ-ელ-ი ქართველური *ხ-ე- ძირის მქონე ლექსემაა, რაც ნიშნავს „ზონარს ან ბაწარს, რისამე მოსაჭიდებელს“ (92). აღნიშნულ მაგალითში (ი. 11, 14) სახუეველი მიცვალებულის „შესახვევს“ ნიშნავს.

ჯურლუმული – გნარცუ – მთხრებლი – დანახეთქი

ჯურლუმული – გნარცუ:

შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯ უ რ დ უ მ უ ლ ს ა, პ. 12, 11 DE;

შთავარდეს იგი შაფათსა შინა ვ ნ ა რ ც უ ს ა, C.

მთხრებლი – დანახეთქი:

ზედა ამას ყოველსა მ თ ხ ე ბ ლ დიდ არს შორის ჩუენსა და თქუენსა,
ლ. 16, 26 C;

ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთ ქი დიდი
დამტკიცებულ არს, DE.

მ-თხრ-ებ-ლ-ი საერთოქართველური ***თხარ-** ზმნური ძირის შემცველი
ლექსემაა. ქართულ **თხარ-/თხრ-** ძირს კანონზომიერად შესატყვისება მეგრ. **თხორ-**
ლაზ. **თხორ-/ნთხორ-** და სვან. **შთხარ-/შთხრ-**. შესატყვისობები ვლინდება
დასახელებულ ძირთა სემანტიკაშიც (65). **მთხრებლი** განიმარტება შემდეგნაირად:
„ხელოვნებით ამოთხრილი, ანუ ბუნებით ორმო“ (92); „თხრილი“ (6); „თხრილი,
ორმო, უფსკრული“ (33).

ჯურდუმული: ეს ლექსემა სომხურიდან არის შემოსული ქართულში (25, 18).
ჯურდუმული წარმოადგენს **მთხრებლის** ნაირსახეობას, კერძოდ, იგი არის „ჭა,
წყალთ სავსებელი“ (92); „ჭა, ორმო (წყლიანი), თხრილი, არხი, წყალსადინელი“ (6;
33).

ჭნარცუ „არს მთხრებლი მიწისა მსგავსად მღვიმისა“ (54; 92); „ხრამი,
თხრილი, ორმო“ (6; 33). სინონიმური რიგის სიტყვები **მთხრებლი//ჯურდუმული//**
ჭნარცუ ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით **βάθυνος „ორმო“** (145; 127).

დანა-ხეთქი: ლექსიკონთა მიხედვით „ნაპრალი გაუსვლელი“ (53); „ნაპრალი
წიაღსავალად შეუძლებელი, დიდი ფლატე მომზღვდელეული“ (92); „თხრილი,
უფსკრული“ (6; 33). **დანახეთქს** ბერძნულში შესატყვისება ლექსემა **χάσμα „ორმო,**
ნაპრალი, უფსკრული“ (145; 127).

მაშასადამე, **მთხრებლი** და მისი შესატყვისი სომხური ლექსემა **ჯურდუმული**
ბუნებრივად ამოთხრილ წყლიან, ან უწყლო „ორმოს“ ნიშნავს. **ჭნარცუ** იგივე
„ორმოა“, ოღონდ დიდი ზომის, „მღვიმის მსგავსი“. **დანახეთქი** კი გადაულახავ
ნაპრალს, ანუ „უფსკრულს“ წარმოადგენს.

განბოკლება – კეთროვნება – განბოკლებული – კეთროვანი
განბოკლება – კეთროვნება:

მუნქუესვე განეშორა მას განბოკლებული კეთროვნება – განბოკლებული – კეთროვანი
მექსეულად განეყარა მისგან კეთროვნება – განბოკლებული – კეთროვანი

განბოკლებული – კეთროვანი:

წარდგა მის წინაშე განბოკლებული, მ. 8, 2 C;

კეთროვანი გინმე მოუკიდა, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 11, 5; 26, 6; ლ. 17, 12.

გან-ბოკლება//გან-ბოკლებული მიჩნეულია სომხურიდან ნასესხებ სიტყვად და ნიშნავს „კეთრს, კეთრით დაავადებულს“ (59, 189; 33, 82); „კეთრის სნულებას“ (53).

კეთრ-ი//კეთრ-ოვან-ება განიმარტება, როგორც „ტორცთა განთეთრება და ქრტლი“ (53); „სენი ფრიად საძაგელი და კნინდა უკურნებელი, რომელ გამოესხმის სრულიადს ტანზედ თეთრი მუწუკები ქრტლივით და დასქდება სიმპალით; კეთრით სნეული“ (92); „კეთრიანი, ავადმყოფი“ (33).

ზემოდასახელებული სინონიმური ლექსემები ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით λέπρα „კეთრი“.

ცხადია, განხილული სიტყვებით არ ამოიწურება ოთხთავის სინონიმურ სისტემაში ნასესხები ლექსიკის შემცველი სინონიმური რიგები. ზემოგანხილულ მასალას შეიძლება დაემატოს:

ბერძნულ ლექსემათა შემცველი სინონიმური რიგები: კონქი//ემბაზი//საბანელი (ი. 7, 9; 13, 5); ლაგვნი//სარწყული//ტაჭუკი (მრ. 14, 13; ი. 2, 6); ალოე//ნელსაცხებელი; ლეგვონი//გუნდი; კეისარი//მაფა; (მრ. 12, 14); ფსალმუნი//გალობა (ლ. 24, 44; მ. 26, 30); კალესია//კრებული „ახალ აღთქმაში ეკლესია ყოველთვის ადამიანებს მიემართება და არა შენობებს“ (12, 145) (მ. 16, 18; 18, 17); ბერძული//პრომავბრი...

გვხვდება იმგვარი ბერძნული სიტყვებიც, რომელთაც ოთხთავის ტექსტის მიხედვით სინონიმური მეწყვილეები არ მოეპოვებათ, მაგრამ თუ ძველი ქართული ენის ტექსტებს საერთოდ განვიხილავთ, შესაძლოა ზოგიერთ მათგანს სინონიმური ეკვივალენტები გამოუჩნდეს. ასეთებია მაგალითად: ლიტრა (ბერძნ. λίτρα, ი. 12, 3; 19, 39); მარგალიტი (ბერძნ. μαργαρίτης, მ. 7, 6; 13, 45; 46); მილიონი (ბერძნ. μίλιον, მ. 5, 41); ნავი (ბერძნ. ναῦς, მ. 4, 21; 22; 8, 23; 24; 9, 1; 13, 2...); სტამანი (ბერძნ. στάμνος, ξέστη, მრ. 7, 4); ტეგანი (ბერძნ. πήγανον ლ. 11, 22); სანდალი (ბერძნ. σανδάλιον, მრ. 6, 9...).

ოთხთავის სინონიმურ რიგებში შედარებით მეტი რაოდენობით დასტურდება ირანული ენებიდან ნასესხები სიტყვები; ასეთებია: ჰამი (ფალ. zamān, zamānak) //დღენი (ლ. 1, 57...); ტაქარი (ძვ. სპ. tačara) //სახლი//სამდელო//ვანი (ირან. vahana) // სავანე//სადგური//საყოფელი (გ. 11, 1; გრ. 8, 3; 14, 14; ი. 14, 2...); დრაქმე//დრაქანი (ახ. სპ. dahgān) // სატირი (გ. 10, 13; 20, 2; 9; ლ. 15, 9); ამბოხი (სპ. ambōh) //ერი//შვოთი (გ. 9, 23; 25; 26, 47; 55; 27, 24; გრ. 3, 9; 5, 27; 30; 31; 14, 43; 22, 27...); კნინ//კნინაჭ (ძვ. ირ. *kunin) //მცირე//მცირედი (გ. 18, 10; 14; გრ. 14, 35; ი. 16, 16; 17...); სტევი (ოს. teva) //თმა (გ. 1, 6; 3, 4); ჭეშმარიტება//ჭეშმარიტი (საშ. სპ. čašmdit) //სიმართლე//ნანდჟლე (გ. 6, 33; ლ. 23, 47; ი. 3, 21); დანგი (ფალ. dānk) //ასარი (გ. 10, 29); ურაკარაჭ (ფალ. frapadak) //სავაჭრო//უბანი (გ. 11, 16; გრ. 7, 4); ალაგი (საშ. სპ. arak, alāk) //ადგილი//მოადგილი (ი. 5, 13)...

სემიტურ ლექსემათა შემცველ სინონიმურ რიგებს განვითვნება აგრეთვე: ამენ// ამცნ (ებრ. āmēn) //მართლიად (ი. 1, 51...); ბასრობა (სირ. bāsir) //კოცხევა (გრ. 15, 20...); მანგალი (სირ. maggala) //მღული; მეტმლე//მეხარბე...

ამდენად, ოთხთავში საკმაო რაოდენობით გვხვდება ნასესხები ლექსიკის შემცველი სინონიმური რიგები. უცხოური სიტყვები ძირითადად დასტურდება ადიშის (C) ტექსტში, ხოლო მათი შესატყვისი ლექსიკური ექვივალენტები ოთხთავის სხვა რედაქციებში. აღნიშნული ნასესხები ლექსემები სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ. ესენია: ბერძნული, ირანული, ებრაული (სემიტური), სომხური. ცხადია ბერძნულ-ირანულ-სემიტური მომდინარეობის სიტყვები უშუალოდ პირველწყაროდან როდი იქნება შეთვისებული, არამედ ისინი ქართულში მოხვდნენ სხვადასხვა ენის მეშვეობითაც. ლექსემათა უდიდესი ნაწილი ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული.

ბერძნულიდან ნასესხები ლექსემები, რომლებიც ძირითადად, როგორც ითქვა, ადიშის (C) რედაქციაში დასტურდება „გულისხმობს იმას, რომ ოთხთავის ადიშური რედაქციის ავტორს ხელთ ჰქონია ბერძნული დედანი“ (77, 114). რაც იმას მოწმობს, რომ უმეტესი წილი ოთხთავში დადასტურებული ბერძნული ლექსემებისა უშუალოდ თარგმანის გავლენით აიხსნება (25, 203).

აგრეთვე, ოთხთავში, კურძოდ ადიშის (C) რედაქციაში დაცული ირანულიდან ნასესხები ერთეულები როგორიცაა „ამბოხი, ამპარტავანი, ასპარეზი, ბევრი,

ბოროტი, ჭამი, ურაკპარაკი ქართულს სომხურის გზით უნდა ჰქონდეს ნასესხები, რაკი ბგერითი შედგენილობის მხრივ ქართული ფორმები მხარს უჭერს უფრო ამ სიტყვების სომხურ სახეს, ვიდრე პირველწეროს“ (25, 203). მაგრამ გვაქვს ირანული ლექსიკიდან ნასესხები სახეუცვლელი სინონიმურ წყვილთა ცალები, როგორიცაა: გრივი, გუნდი, დანგი, ვაჭარი, მარი, როჭიკი, სპეტაკი, ტაგარი, ტანჯვა... ასეთი შემთხვევებში სავსებით შესაძლებელია, რომ ფალაურიდან ქართულის მიერ უშუალო სესხებასთან გვითხოვთ საქმე (7, 099; 25, 203).

სინონიმურ რიგებში დადასტურებული სირიულ-სემიტური წარმოშობის სიტყვები ქართულში ბერძნულის ან ბერძნულის გავლენის გზითაც არის შეთვისებული. ასე მაგალითად: ამინ, გვჰენია, მამონა, მური, პასქა. ბერძნულსაც და სომხურსაც სირიულის გზით აქვს მიღებული (25, 204).

ზოგიერთი ნასესხები ლექსემა, როგორიცაა: ბალარჯობა, დანგი, ვარშამაგი, პარი, რეზი, სტუვი, ტაკუკი, შიში, ჩოროროდი საერთოა ადიშის (C) რედაქციასა და ოთხთავის შესაბამის სომხურ ტექსტში, მაგრამ ამ სიტყვების არსებობაც არაფერს მეტყველებს ქართული ტექსტის სომხურზე დამოკიდებულების შესახებ. ამ ტიპის სიტყვათა უდიდესი ნაკადი ქართულ ენას არა მწიგნობრული, არამედ ზეპირი გზით უნდა ჰქონდეს შეთვისებული (25, 204).

თავი IV

ზმნური სინონიმური რიგები ოთხთავში

ოთხთავის სინონიმურ სისტემაში სხვა ლექსიკურ ერთეულებთან შედარებით ყველაზე ვრცლად ზმნური სინონიმები არის წარმოდგენილი. სინონიმურ ზმნათა სიუხვეს უპირველესად განაპირობებს ზმნის სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც უფრო ტევადი და მოქნილია, ვიდრე დანარჩენი მეტყველების ნაწილებისა. სხვადასხვა მექანიზმები დაყრდნობით ზმნებს შეუძლიათ წარმოქმნან ახალი ლექსიკური ერთეულები, რითაც მრავალფეროვანი ხდება ზმნის სემანტიკა. „ქართველური ენების გარდა არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეუძლია სახელის ფუძისაგან ისეთი ნაირ-ნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს“ (71, 033). პროდუქტიულობის მხრივ განსაკუთრებით მდიდარია სახელის ფუძისაგან ზმნათა წარმოება (70, 94-113). ზმნურ სინონიმურ რიგებს ამდიდრებს სახელზმნური, საწყისისა და მიმღეობების ფორმები, რომლებიც თავისუფლად ენაცვლებიან მათი მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნურ ლექსების.

სინონიმურ ზმნებში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ზმნისწინებს, რომელთაც შეუძლიათ მსგავსი ძირებიდან ახალი ლექსიკური მნიშვნელობების მქონე ლექსემათა წარმოქმნა. აგრეთვე, მათ აქვთ უნარი ზმნის სემანტიკაში დამატებითი ნიუანსის შეტანისა, რომელიც ზმნას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს. გარდა ამისა, ზოგჯერ ზმნისწინიან ფორმებს მეტი ექსპრესიულობა ახასიათებთ (13, 33-34).

ოთხთავში გამოიყოფა სინონიმურ ზმნათა სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფი, თითოეულ სემანტიკურ რიგში იკვეთება დომინანტური, მაინტენანტური ლექსემა, რომელიც თავისუფლად ენაცვლება სტრუქტურაში შემავალ ნებისმიერ წევრს. მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, დომინანტური სტატუსის მქონე ზმნა ტექსტში გამოირჩევა ყველაზე მაღალი სიხშირით, ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით (ე. ი. უფრო დიდი ექსტენსიონალით) (15, 366). იგი სემანტიკურად და სტილისტურად ნეიტრალურია. დომინანტა ლექსემისათვის დამახასიათებელია მაკრონიშანი, ანუ ძირითადი სემანტიკური ნიშანი, რომელიც დევს სინონიმური რიგის ყველა ლექსემაში – ეს არის მათი იდენტიფიკაციის საფუძველი, ხოლო დიფერენციაციას ახდენს ის ნიუანსობრივი დატვირთვის მქონე სემანტიკური

ნიშნები, ანუ სინონიმთა დიფერენციალური კომპონენტები, რომელიც ერთვის ძირითად მნიშვნელობას და განასხვავებს მათ დომინანტური ლექსემისაგან (13, 32).

4.1. მოძრაობის სემანტიკის მქონე სინონიმურ ზმნათა რიგები

ოთხთავის ზმნურ სინონიმურ სისტემაში ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ფალ--შედ--შიდ-- ძირის მქონე ზმნურ ლექსემებს, რომლებიც სუბიექტის ან ობიექტის გადაადგილების პროცესში გამოხატავენ მოძრაობას (26, 39). აღნიშნულ ძირს ერთვის სხვადასხვა ზმნისწინი და მიიღება მოსლვა, მისლვა, ადსლვა, წარსლვა, თანაწარსლვა, გარეწარსლვა და სხვ. ზმნური ფორმები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი ცალ-ცალკე სინონიმურ რიგს ქმნის

ფალ--შედ--შიდ-- ძირისაგან მიღებულ ზმნისწინიან ფორმებს სინონიმურ რიგში დომინანტ ლექსემათა სტატუსი გააჩნიათ, ხოლო ცალკეული წევრები სხვადასხვა სემანტიკური თუ სტილისტური ნიშნებით ემიჯნება მათ.

**მოსლვა – მოწევნა – მიწევნა – მოახლება – მოხება – მოგდომა –
შემთხუევა – მოგებება – მოყვანება**

დასახელებული სინონიმური რიგის ზმნათა ძირითადი სემანტიკური ნიშანია სუბიექტის „მოძრაობა, სვლა, გადაადგილება“ სააქეთო მიმართულებით. მწკრივის დომინანტურ ლექსემას წარმოადგენს მოსლვა ზმნა, რომელიც აღნიშნავს სწორედ სუბიექტის გადაადგილებას სააქეთო მიმართულებით. იგი სემანტიკური და სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალური ლექსემაა, რომელიც თავისუფლად ენაცვლება სინონიმურ მწკრივში შემავალ ყველა ერთეულს. ცალკეულ წევრებში კი ნიუანსური დატვირთვის მქონე დიფერენციალურ ნიშანთა მატება შეინიშნება, რითაც ისინი განირჩევიან დომინანტური ზმნისაგან.

მოსლვა – მოწევნა – მიწევნა:

შეოდენ-რიეუნებოდა, და არდა მოსრულ იყო მათა იქსუ, ი. 6, 17 DE;

აპა დაბნელდა, და ვიდრე არდა მოწევნა იყლ იყო მათა იქსუ, C;

მოვიდა იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტოაგანი, მრ. 14, 43 DE;

მოიწევნა იუდა, ერთი ათორმეტოაგანი, C.

იხ. აგრეთვე: მ. 23, 35; ი. 4, 27; 12, 28; 16, 4; 16, 32.

მოვიდა პირველად საფლავად, ი. 20, 4 DE;

მისამარენ სამარენა მას, C.

მო-სლე-ა ქართველური *კალ-/ტედ-/ტიდ- ძირიდან მომდინარეობს, რომლის ძირითადი სემანტიკაა „მოძრაობა, სვლა“ (65). სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ მო- ზმნისწინი სააქეთო ორიენტაციას აღნიშნავს (91, 73; 138, 133, §, 111; 81, § 62; 42, § 302, 306, 307, 308, 312, 313; 42, 82).

მო-სლე-ა განიმარტება, როგორც „მოვიდეს ვინმე“ (53); „იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მისლვა, приходитъ“ (92). მოსლეა ზმნას ბერძნულში ეფარდება ჟრომა „მოსვლა“ (145; 127).

მო-წ-ევ-ა//მი-წ-ევ-ნ-ა ორ მნიშვნელობას შეიცავს: 1. „მოწევნა იგივე 1 და 2 პირისადმი, რაიც მიწევნა 3-დმი, მოღწევა, მოსვლა“; 2. „დროის მოსვლა“ (92; 6; 33). მაშასადამე, მოწევა ზმნა გარდა „მოსვლისა“ ნიშნავს აგრეთვე დროის მოახლოვებას. იგი, ერთი მხრივ, შედის მოსლეა ზმნის სინონიმურ ჯგუფში რიგით წევრად, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ცალკე სინონიმურ ქვეჯუფს მოახლება//მოხება//შემთხუევა ლექსემების სახით.

მოსლვა – მოჭდომა – მიჭდომა:

მ ო ვ ო დ ო ს მისა მდდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, მრ. 11, 27 C;

მ ო უ კ დ ო ს მას მდდელთ მოძღუარნი და მწიგნობარნი, DE.

მ ო ვ ო დ ო პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუსი, მ. 27, 58 DE;

მ ო უ კ დ ო პილატეს და მოჰსონები გორცნი იგი იესუსი, C.

კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; და მ ო უ კ დ ო პირველსა მას და პრქუა, მ. 21, 28 C;

კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; და მ ო უ კ დ ო პირველსა მას და პრქუა, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 26, 50; 26, 69; 28, 9; მრ. 6, 33; ლ. 20, 1.

მო-ჭ-ომ-ა//მი-ჭ-ომ-ა საერთოქართველური *ჭად-/ჭედ-/ჭდ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ ჭდ- ძირს შეესატყვისება მეგრული რთ-, ლაზური ხო- და სვანური ჭედ-/ჭდ-“. შესატყვისობები დასტურდება დასახელებულ ძირთა სემანტიკიც, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „სვლა, მოსვლა“ (65).

მოჭდომა ლექსიკონთა მიხედვით არის „თავ-აუზიდრად მოსლვა“ (53); „ახლოს მისლვა, приступать, подходить“ (92); „მოახლოება, შეხვედრა; მოხდომა, მოწევნა“ (6); „მოსვლა (ვისმესთან)“ (33).

მოხმობილ განმარტებათაგან მოჯდომა „ახლოს მოსვლას“ ანუ საბას ოქმით, „თავ-აუზიდრად“ მოსვლის დიფერენციალურ ნიშანს შეიცავს, რომელსაც ეფარდება ბერძნულში ზმნები πρόστηλθε, προσέρχομαι „მოსვლა, მოახლოება; მოვარდნა, თავდასხმა“ (145; 127).

მოწევა/მიწევნა, მოჯდომა/მიჯდომა ერთეულები თავისუფლად ენაცვლებიან მოსლვა ზმნას კონტექსტებში, რადგან დასახელებულ ზმნურ სინონიმთა მო- და მი- ზმნისწინიან ფორმებში მოუბარი პირი ზმნას პირიანობით არ უკავშირდება. მო- ზმნისწინის ხმარებისას იგი (მოუბარი პირი) ზმნით გამოხატულ მოქმედებას მისი სასრული პოზიციიდან უყურებს და ორიენტაცია სააქეთოა, ხოლო მი- ზმნისწინს მაშინ ხმარობს, როცა მოქმედებას საწყისი პოზიციიდან უყურებს და შესაბამისად ორიენტაციაც საიქეთოა (26, 61).

მოწევა – მოახლება – მოხება:

აპა ესერა მ ო ი წ ი ა ჟამი, და ძე კაცისავ მიეცემის ჭელთა ცოდვილთასა, მ. 26, 45 C;

აპა ესერა მ ო ა ხ ლ ე ბ ჟ ლ არს ჟამი, და ძმ კაცისავ მიეცეს ჭელთა კაცთა ცოდვილთასა, DE.

რაჟამს მ ო ი წ ი ა ჟამი ნაყოფისავ, მ. 21, 34 DE;

რაჟამს მ ო ე ხ ო ჟამი ნაყოფისავ, C.

მო-ახლება განიმარტება, როგორც „მოახლოება“ (6; 33); „იგივე 1 და 2 პირისაღმი, რავცა 3-ღმი მიახლება, კრიტიკული“ (92).

მოწევა/მოახლება სინონიმური ზმნები მ. 26, 45; 21, 34 მაგალითებში დროის მოსვლას აღნიშნავენ და არა ფიზიკურად გადაადგილებას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ ზმნებს შეძენილი აქვთ დამატებითი სემანტიკური ნიუანსი (119, 20). აქ დროის „ცვლილებაზე“ საუბარი და არა მოძრაობაზე, რადგან დროის ფიზიკურად გადაადგილება შეუძლებელია (110, 243).

მოწევა/მოახლება ბერძნულში გადმოიცემა ἐγγίζω ზმნით, რაც ნიშნავს „მოახლოებას, დაახლოებას; ახლოს ყოფნას, გვერდით ყოფნას“ (145; 127).

მო-ხ-ებ-ა: ლექსიკონთა მიხედვით „მიახლება, შეერთება“ (6); „შეხება, მოახლოება“ (33); მოხება ზმნა მოხმობილ კონტექსტში (მ. 21, 34) დროის მოახლოებას გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც მსჯელობაა არა ფიზიკურად

გადაადგილებაზე, არამედ დროის ცვლილებაზე. მოხებას ბერძნულში შეესატყვისება ზმნა პაτ „შეხება; ხელის ხლება“ (145; 127).

მოწევა – შემთხუევა:

რაჟამს მ ო ი წ ი ი ს ჭირი გინა დევნულებავ სიტყვსა მისთვს, მეყსეულად დაბრკოლდიან, მრ. 4, 17 DE;

რაჟამს შ ე ე მ ო ხ უ ი ი ს ჭირი ანუ დევნულებავ სიტყვსა მისთვს, მუნქუესვე ცოიან, C.

შემთხუევა ქართველური *მთხუ- ძირის მქონე ლექსემაა, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „დარტყმა, თავდასხმა“, ხოლო „შეხვედრა“ მეორულია. ლექსიკონთა მიხედვით შემთხუევა განიმარტება როგორც „შემოყრა“ (54); „ქმნა, მოწევა, მიცემა მიზეზისა სავნებელად. // შეხვედრა მომავალთა ურთიერთისად...“ (92); „შეხვედრა, შეყრა, შეგებება“ (6; 33). შემთხუევა ზმნა აღნიშნულ კონტექსტში (ლ. 17, 12), მოულოდნელად შეხვედრის ნიუანსს შეიცავს. მას ბერძნულში შეესატყვისება γενόμενος, γίνομαι „მოსვლა; შეხვედრა...“ (145; 127).

შემთხუევა – მოგებება:

შ ე ე მ ო ხ კ ნ ე ს მას ათნი კაცნი განბოკლებული, ლ. 17, 12 C;

მ ი ე გ ე ბ გ ო დ ე ს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, DE.

მოგებება: ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს „მიგებებას, წინ შეხვედრას, встречать“ (92; 6). მოგებება ზმნას ბერძნულში ეფარდება აპერხიმა „სვლა, წასვლა, გამგზავრება; შეხვედრა, მოსვლა“ (145; 127).

ამდენად, განხილული სინონიმური რიგის ზმნათა ძირითად სემანტიკურ ნიშანს წარმოადგენს ფიზიკურად გადაადგილება სააქეთო ორიენტაციის მიხედვით. ამ მნიშვნელობას შეიცავს მწერივის დომინანტური ერთეული მოსლევა ზმნა, რომელსაც სხვადასხვა აზრობრივად დიფერენციალური ნიშნებით ემიჯნება ცალკეული წევრები.

მისლევა – მოსლევა – მიახლება – წიაღ-სლევა – მიტონტმანება –

მიგუალ – შეხება – მიხება

მისლევა – მოსლევა – მიახლება:

მ ი ვ ი დ ა სიმონ-პეტრესა და ერთისა მის მოწვისა, ი. 20, 2 C;

მ ო ვ ი დ ა სიმონ-პეტრესა და სხვსა მის მოწაფისა, DE.

თავადი იქსუ მ ო ე ო ხ ლ ო დ ო მ ო გ ო დ ო დ ო მათ თანა, ლ. 24, 15 C;

თავადი იქსუ მ ო ე ო ხ ლ ო მათ თანა და თანა-უგიდოდა, DE.

მოსლება – მოახლება – მიახლება:

მ ო გ ო დ ო ს ადგილსა მას, რომელსა პრქან თხემისა ადგილი, ლ. 23, 33 DE;

მ ო ე ო ხ ლ ხ ს ადგილსა მას, რომელსა ერქუმის თხემ, C.

ვითარცა მ ო გ ო დ ო დ ო მ ო ე ო ხ ლ ო სახლსა მას, ლ. 15, 25 DE;

ვითარ მ ო გ ო დ ო დ ო დ ო მ ო ე ო ხ ლ ო სახლსა მას, C.

მი-სლე-ა: ლექსიკონთა მიხედვით „სიარულით მიწევნა საცნაურად ადგილადმდე, идти, приходить“ (92). მისლება ზმნა საიქეთო მიმართულების მოძრაობას გამოხატავს, რასაც მიუთითებს ზმნისწინი მი-. მისლება ზმნას, რომელიც მწკრივის დომინანტური ერთეულია, ბერძნულში შეესატყვისება έρχόμαι „მისვლა, მოსვლა; წასვლა, გადევნება; დაახლოება, უკან მიდევნება; გამგზავრება...“ (145; 127).

მი-ახლ-ებ-ა ქართველური *ხალ-/ხლ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ხალ- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ხოლ- და ლაზ. ხოლ- ისმის საკითხი ხალ-/ხლ- ფორმის სვანური მ-ა-ხ-ე (<<ახალი>>) ფორმასთან მიმართების შესახებ (161, 94), მით უმეტეს, რომ ხ ქართულშიც იჩენს თავს – შემო-მ-ე-ხ-ო <<მომიახლოვდა>>; ე-ხ-ო-ს <<ახლოს იყოს>>“ (65). მიახლება იქეთ, III პირთან „მიახლოვებას, ახლოს მისვლას“ ნიშნავს (92; 33), რასაც ბერძნულში გადმოსცემს ზმნა έγγιξω „მიახლოება, მიყვანა; დაახლოება“ (145; 127).

მოსლება//მიახლება//მოახლება ზმნები სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება ლ. 15, 25 მაგალითში. სადაც წყვილთაგან მეორე წევრი მიახლება//მოახლება მეტი კონკრეტულობით გამოირჩევა, რადგან იგი გულისხმობს სუბიექტის გარკვეულ პუნქტთან „ახლოს მისვლას, მიახლოებას“.

მისლება – წიაღსლება:

შევიდეს ნავსა და მ ო გ ო დ ო დ ო ს წიაღ ზღუასა მას კაფარნაუმდ, ი. 6, 17 DE;

შესხდეს ნავსა, წ ო ა ღ გ ო დ ო დ ო ს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო, C.

წიაღ-სლვა: ზმნისწინი წიაღ- იხმარება წყალზე გადასვლის ადსანიშნავად. წყალი შეიძლება იყოს მდინარე, ტბა, ზღვა. ა. შანიძემ ამ ზმნისწინის გენეზისი წარმოადგინა შემდეგნაირად: წიაღ~~წიაღ~~-^{წიაღ} ის-აღ (ისევე, როგორც წისქვილი~~წყლის~~ ფქვილი (81, 237).

წიაღსლვა ზმნა განიმარტება, როგორც „გადასლვა, переходитъ“ (92); „განვლა, გადალახვა“ (6); „წყალზე გადასვლა“ (33). მაშასადამე, წიაღ- ზმნისწინის დართვით სლვა ზმნის მნიშვნელობაში დამატებითი სემანტიკა შემოდის, რომელიც, როგორც აღინიშნა, „წყლის გადალახვას“ უკავშირდება. წიაღსლვას ბერძნულში ეფარდება ზმნა მრავ „გადასვლა; გადაყვანა...“ (145; 127).

მისლვა – მიტონტმანება:

ვიდრე მე მი ვი დო დო, სხუანი უწინარცს ჩემსა შთაჭდიან და განიკურნიან, ი. 5, 7 DE;

ვიდრე მე მი ვი ტო ნი მა ნე ე ბ დ დ ი, სხუად ჩემსა უადრეს შდაჭდის, C.

მი-ტონტმან-ება ნიშნავს „ძნელად სიარულს, ტორტმანს“ (6); „მიტორტმანებას, ბარბაცით მისვლას“ (33). ივ. იმნაიშვილის განმარტებით, მივტონტმანებდო ზმნით „უფრო კონკრეტულად არის გადმოცემული მოვლენის არსი: მართლაც იმ კაცის სიარულს, რომელიც 38 წლის განმავლობაში იყო ავად, „მივტონტმანებდი“ (დღევანდელი მივტორტმანდები) უფრო შეეფერება, ვიდრე „მივიდოდი“ (30, 192). მიტონტმანებას ბერძნულში მიემართება ზემოდასახელებული ზმნა ერχόμას.

მისლვა – მიგუალ:

მი ვე დ და უჩუენე თავი შენი მდდელსა, მრ. 1, 44 DE;

მი გუ ა ლე და უჩუენე თავი შენი მდდელსა, C.

მი-გუალ: „მისვლა“ (6); „მიდი“ (33). გუალე ზმნა მხოლოდ ბრძანებითი კილოს ფორმით იხმარება, რაც აღნიშნულ მაგალითში (მრ. 1, 44) II პირისადმი მიმართვას გამოხატავს.

მიახლება – შეხება – მიხება:

არასადა მი ე ა ხ ლ ნ ი ა ნ ჰურიანი სამარიტელთა, ი. 4, 9 C;

არა შე ე ხ ნ ი ა ნ ჰურიანი სამარიტელთა, DE.

სადა-იგი მპარავი არა მი ე ხ ე ბ ი ს, ლ. 12, 33 DEC.

მი-ხ-ებ-ა//შე-ხ-ებ-ა ფორმები ბერძნულში გადმოიცემა ზმნით სუჯავესუ „მიახლოება, მისვლა, შეერთება...“ (122); „ახლოს მისვლა, ანუ მიტანა ხელისა, კინასთავს, კინასთავს“ (92); „შეხება, ხელის მიყოფა“ (6; 33). **მიხება//შეხება** ზმნური ფორმები იმდენად ახლოს მისვლას აღნიშნავს, რომ უშუალოდ ობიექტთან ფიზიკურ შეხებას გულისხმობს.

მაშასადამე, მოხმობილი სინონიმური რიგის დომინანტური ერთეული **მისლვა** ზმნა სემანტიკური და სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალური ლექსემაა, რომელიც არ შეიცავს რაიმე დამატებით სემანტიკურ ნიშანს, გარდა საიქეთო ორიენტაციისა, ხოლო მისი მეწყვილე ზმნები შემდეგი დიფერენციალური კომპონენტებით ემიჯნებიან მას: **მიახლება//მოახლება** ერთეულები აღნიშნავენ გარკვეულ პუნქტთან ფიზიკურად „ახლოს მისვლას, მიახლოვებას“; **წიაღსლვა** ზმნა „წყალზე გადასვლას“ ნიშნავს, სადაც **წიაღ-** ზმნისწინი დამატებით სემანტიკას სძენს **სლვა** ზმნის მნიშვნელობას; **მიტონგმანება** გარკვეულ პუნქტამდე ძლივ-ძლიობით, „ბარბაცით, ტორტმანით“ მისვლას წარმოადგენს; **მიგუალვა** ზმნა ბრძანებითი კილოს ფორმაა, რაც სუბიექტის გარკვეულ ადგილამდე მისვლის მოთხოვნას გულისხმობს; **მიხება//შეხება** ზმნები კი სუბიექტის ობიექტთან მისვლას და იმავდროულად ფიზიკურად შეხებას აღნიშნავენ.

**აღმოსლვა – აღსლვა – აღმოჭდომა – აღმოცენება – აღმოვლინება –
აღმობრწყინება – აღგუალე**

მოხმობილი სინონიმური ზმნების ძირითადი სემანტიკური ნიშანია **სუბიექტის ფიზიკურად გადაადგილება** „ქვევიდან ზევით“. მწკრივის დომინანტა **წევრია აღმოსლვა** ზმნა, რომელიც თავისუფლად ენაცვლება კონტექსტებში სინონიმური რიგის ნებისმიერ წევრს, ხოლო მისი მეწყვილე ერთეულები სხვადასხვა დიფერენციალური ნიშნებით ემიჯნებიან მას.

აღმოსლვა – აღსლვა:

ა ღ მ ო გ ო დ ო ა ნ მამავ და დედავ მისი, ლ. 2, 41 DE;

ა ღ გ ო დ ო ა ნ მშობელნი მისნი, C.

განთიად, ვითარ ა ღ მ ო გ ო დ [ო] დ ო ქალაქად, შ[ე]მშია შ. 21, 18 C.

აღმო-სლვ-ა//აღ-სლვ-ა ფორმები ორ მნიშვნელობას შეიცავენ: 1. „ქვევიდამ ზევით კერძო ძრვა, ამოსლვა, ვისცი, ვისცი“ (92); 2. „აღმოცენება“ (6). **აღ-**

//აღმო- ზმნისწინები მიუთითებენ მოძრაობას, გადაადგილებას ქვევიდან ზეპიო (92; 138, § 102; 81, 248; 71). აღნიშნული ზმნისწინები სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს, თლონდ აღ-ის გამოყენების შემთხვევაში მოუბარი პირი იმ მხარეს არის, საიდანაც მოქმედება იწყება, აღმო-ს გამოყენების შემთხვევაში კი იმ მხარეს, საითკენაც მოქმედება მიემართება (26, 181). აღმოსლვა//აღსლვა ლექსემებს ბერძნულში შეესატყვისება აτაბაίνω „ამოსვლა; აღმოცენება...“ (145; 127).

აღმოსლვა – აღმოჭდომა – აღმოცენება:

რაუამს ა დ მ თ ვ ი დ თ დ ა წყლისა მისგან, მ. 3, 16 DE;

ა დ მ თ ვ დ ა მიერ წყლით, C.

სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოჟსცემდა ნაყოფსა, ა დ მ თ ვ ი-
დ თ დ ა და აღორძნდებოდა, მრ. 4, 8 DE;

სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და გამოსცის ნაყოფი ა დ მ თ ვ ე ნ გ-
ბ უ ლ ი და აღორძინებული, C.

ოდეს დაეთესის, ა დ მ თ ვ დ ი ს და იქმნის იგი უფროს ყოველთა
მხალთა, მრ. 4, 32 DE;

რაუამს დაეთესის, ა დ მ თ ს ც ე ნ დ ი ს და იქმნის იგი უფროს
ყოველთა მხალთა, C.

თესლი კეთილი დავსთესეთ აგარაკსა შენსა? ვინად ა დ მ თ ს ც ე ნ დ ა
ღუარძლი, მ. 13, 27 DE.

აღმო-ჭდ-ომ-ა ლექსემაც ორ მნიშვნელობას შეიცავს: 1. „ამოსვლა, ამოხდომა“;
2. „აღმოცენება“ (92; 6; 33). აღმოჭდომა ორივე მნიშვნელობით გვხვდება ოთხთავში.
იხმარება, როგორც ზემოთ მიმართული მოძრაობის აღსანიშნავად, კერძოდ,
„წყლიდან ამოსვლის“ (მ. 3, 16) მნიშვნელობით, ისე მცენარის „აღმოცენების“ (მრ. 4,
32) მნიშვნელობითაც, რომელთა ფარდია ბერძნულში ზმნა კათაბაίνω „ამოსვლა;
აღმოცენება...“ (145; 127).

აღმო-ცენ-ებ-ა საერთოქართველური *ცენ- ძირის მქონე ლექსემაა. ქართულ
ცენ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ჩან- ლაზ. ჩან- და სვან. შენ-.
შესატყვისობები ვლინდება აღნიშნულ ძირთა სემანტიკაშიც, რომლის
მნიშვნელობაც „გაზრდას; ნაყოფის გამოღებას“ უკავშირდება (65). აღმოცენება
განიმარტება, როგორც „ამოსვლა“ (53); „მიწით აღორძინება მცენარეთა,

произрастать, прозябать“ (92); „аморбид, аморфоген, аморфогенетик“ (6). Аморбид – бородатый, мускулистый, сильный, здоровый, спортивный, физически развитый; аморбидность – способность к занятию спортом, физической культурой, здоровому образу жизни (145; 127).

ალმოგდომა – ალმობრწყინება:

კითარცა მზც ა ღ მ ო ჰ წ დ ა და დაპირება, მრ. 4, 6 DE;

ა ღ მ ო ბ ო წ ყ ი ნ ე ბ ა ს ა მზისასა დასცხა მას, C.

ალმობრწყინება ქართველური *ბერწყ/ბრწყ- სახელური ძირიდან მომდინარეობს. იგი უკავშირდება „ნაპერწყალ“ ფორმას (65). ალმობრწყინება საწყისის ფორმით ენაცვლება ალფდომა ზმნას, რაც დასახელებულ მაგალითში (მრ. 4, 6) „მზის ამოსვლას“ აღნიშნავს, რომლის ფარდია ბერძნულში ზემოაღნიშნული ლექსემა ალატელა.

ალგუალე:

მეგობარო, ა ღ - რ ე - გ უ ა ლ ე ზემო კერძო, ლ. 14, 10 DEC.

ალგუალე: გუალე განიმარტება, როგორც „იარე, ჩქარა სვლა“ (53); „მდაბიურად გოლე (ზმნა ესე იხმარების მხოლოდ ბრძანებითად), იარე, წამოდი, წარვედ...“ (92). ალგუალე ბრძანებითი კილოს ფორმა კი მიემართება მეორე პირს, რაც მისამართი პირის ზემოთ ასვლის შესრულებას მოითხოვს (33). მას შეესატყვისება ბერძნულში პრისანავას „ზემოთ ამოსვლა“ (145; 127).

ზემოგანხილულ სინონიმურ ზმნათა ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობაა „ქვევიდან ზევით გადაადგილება“, რომელსაც შეიცავს რიგის დომინანტური ერთეული ალმოსლვა, ხოლო მწერივში შემაგალი ცალკეული წევრები შემდეგი აზრობრივი ნიუანსებით განირჩევიან ძირითადი ზმნისაგან: ალმოგდომა იხმარება, როგორც ზემოთ მიმართული მოძრაობის აღსანიშნავად, კერძოდ „წყლიდან ამოსვლის“ მნიშვნელობით, ისე მცენარის „ალმოცენების“ მნიშვნელობითაც; ალმოცენება ზმნის სემანტიკა მხოლოდ მცენარის მიწიდან „ამოზრდას, ამოსვლას“ უკავშირდება; ალმობრწყინება მზის ამოსვლას აღნიშნავს; ალგუალე ზმნა კი ბრძანებითი კილოს ფორმაა, რაც სუბიექტური პირის „ზემოთ ასვლის“ აუცილებელ შესრულებას გულისხმობს.

გამოსლვა – გამოგდომა – გამობუტკოვა – გამოქუან

გამოსლვა – გამოგდომა:

გ ა მ ო ვ ო დ ე ს იგინი ნავით, მრ. 5, 2 DE;

გ ა მ ო ჭ დ ა იგი მიერ ნავით, C.

გამო-სლვა ზმნა სინონიმური რიგის მთავარი წევრია, რაც შიგნიდან გარეთ მიმართულ მოძრაობას აღნიშნავს. ლექსიკონთა მიხედვით კი იგი განიმარტება, როგორც „ქვეყნით, გინა სახლით გამოცლა დატევებით“ (53); „შიგნიდამ გარეთ განსლვა“ (92). **გამო-** ზმნისწინი სწორედ შიგნიდან გარეთ, 1 პირისაკენ მოძრაობის მიმართულებას გამოხატავს (26, 215-242).

გამო-ჭდ-ომ-ა ზმნა მოხმობილ მაგალითში (მრ. 5, 2) ნავიდან „გადმოსვლის“ მნიშვნელობას გადმოსცემს.

გამოსლვა – გამობუტკოვა:

რაჟამს რტონი მისნი დაჩჩან, და ფურცელი გ ა მ ო ვ ო დ 6, მ. 24, 32 DE;

რაჟამს რტონი მისნი დაჩჩან, და ფურცელი გ ა მ ო ბ უ ტ კ ო ი ნ, ს. 24, 32

გამო-ბუტკოვა ქართველური *ბუტკ- ძირის შემცველი ლექსემაა. „ლაზური ბუტკ- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ბუტკ- ძირს“, რომელთა სემანტიკა უკავშირდება „ფოთოლს; ფუტკარს“ (65). ბუტკ- სახელური ძირიდან მიღებული გამობუტკოვა ზმნა განიმარტება შემდეგნაირად: „ესე იგი არს დაიყვავილოს რა, ხილი გამოჩინებულ იქმნას“ (53); „გამოკვირტვა, კვირტის გაშლა“ (6); „ჩირთის, კვირტის გამოღება“ (33).

გამოსლვა – გამოქუან:

რაჟამს რტონი მისნი დაჩჩან, და გ ა მ ო ვ ო დ 6 ფურცელი, მრ. 13, 28 DE;

რაჟამს რტონი მისნი მოლბიან, და გ ა მ ო ა ქ უ ნ ფურცელი, С.

გამო-ქუან: „გამოტანა, გამოღება“ (6); „გამოაქვს ხოლმე“ (33). **გამოაქუნ** ზმნა მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავს, რაც მოხმობილ კონტექსტში (მრ. 13, 28) მრავალი „ფურცლის“ ანუ ფოთლის გამოსვლას აღნიშნავს. სინონიმური ზმნები გამოსლვა//გამობუტკოვა//გამოჭუანა ბერძნულ ში გადმოიცემა ლექსემით ტკფუ „აღმო-ცენება; გაზრდა, გამოზრდა (ფოთლისა)“ (145; 127).

მაშასადამე, სინონიმური რიგის ზმნათა დომინანტი წევრი გამოსლვა შიგნიდან გარეთ მიმართულ მოძრაობას აღნიშნავს. ამ სემანტიკას შეიცავს

მწკრივის ყველა ერთეული. ძირითადი ნიშნის გვერდით ცალკეულ წევრთა მნიშვნელობაში იკვეთება აგრეთვე დამატებითი დიფერენციალური ნიშნებიც: გამოჭრომა ნავიდან „გადმოსვლას“ აღნიშნავს; გამობუზრუნველობა ზმნის მნიშვნელობა მცენარის გამოსვლას, „კვირტის გამოდებას“ უკავშირდება; გამოჭურან კი მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავს და მცენარის მრავალგზის გამოფოთვლას გულისხმობს.

**მოყვანება – წარმოდგინება – მოგურა – მორთუმა – მოპურობა –
მოდება – მობმა**

მოხმობილ სინონიმურ ზმნათა ძირითად სემანტიკურ ნიშანს წარმოადგენს ობიექტის ფიზიკურად გადაადგილება გარკვეული სუბიექტის მიმართულებით. ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანი ან ცხოველი, რომლის მოძრაობა სააქეთო ორიენტაციისაა და შესაბამისად მო- ზმნისწინი მიუთითებს აღნიშნულ მიმართულებას. სინონიმური რიგის დომინანტური ერთეულია მოყვანება ზმნა, რომელიც თავისუფლად ენაცვლება კონტექსტებში მწკრივის ნებისმიერ წევრს.

მოყვანება – წარმოდგინება – მოგურა:

მ ო ი ყ ვ ა ნ ე თ, წ ა რ მ ო ა დ გ ი ნ ე თ ჩემ წინაშე კაცი ესე
ვითარცა განმდრეველი ერისაა მაგის, ლ. 23, 14 C;

მ ო მ გ უ ა რ ე თ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაა, DE.

მოყვანება ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „ცხო(ვ)ელთ მორთმა, თან მოიდევნოს“ (53); „მოყვანა, მოტანა“ (6). მოყვანება ზმნა მოხმობილ სინონიმურ რიგში ძირითადად სულიერი ობიექტის, ადამიანის „მოყვანას“ აღნიშნავს, რომლის ფარდია ბერძნულში ლექსემები ένεγκαῖν, φέρω „მოყვანა; მოგვრა...“ (127).

წარმო-დგ-ინ-ებ-ა: წარმო- ზმნისწინი გადმოსცემს დახრილ სიბრტყეზე ძირიდან ზევით, „ჩვენს სიმაღლემდე“ მოძრაობას (26, 121). წარმოდგინება ზმნა განიმარტება, როგორც „წინაშე დადგინება, представлять...“ (92). მოყვანა// წარმოდგინება ლ. 23, 14-ში სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება, სადაც მოყვანა ზოგადად სულიერი ობიექტის, კერძოდ, ადამიანის „მოყვანას“ აღნიშნავს, ხოლო წარმოდგინება კაუზატიური ფორმაა, სადაც სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სხვისი დავალებით. ალ. ონიანი კაუზატივს

აიგივებს შუალობით კონტაქტთან. მკვლევარი მიუთითებს, რომ „მნიშვნელობა არ აქვს -ინ და -ევინ სუფიქსებით გამოხატულ კატეგორიას კონტაქტს ვუწოდებთ, კაუზატივს, თუ ორივე მათგანს მივანიჭებთ სინონიმურ ტერმინთა სტატუსს“ (50, 142). მოხმობილ მაგალითში (ლ. 23, 14) წარმოადგინეთ ზმნით უფრო კონკრეტულად არის გადმოცემული მოქმედება. იგი ნიშნავს ობიექტის მოყვანას, და იმავდროულად „წინ დაყენებას“. სინონიმური წყვილი მოყვანება//წარმოდგინება ბერძნულში გადმოიცემა ერთი ზმნით ფრთხოება.

მო-გურ-ა საერთოქართველური ***გურ-** ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ გურ-/გურ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. გორ- და სვან. გურ-“ (65). ***გურ-** ძირის ამოსავალი სემანტიკური ვითარება დაცულია სვანურში. მოგურა ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „მოყვანა“ (53); „მოყუანა ერთისა, ანუ მრავალთა, და 3 პირისადმი ითქმის მიგურა, არამედ მრავალთათურის საკუთრად არს მოსხმა, პრივოდით, პრინოსი“ (92). მოგურა, როგორც აღინიშნა, ერთის „მოყვანასაც“ გულისხმობს და მრავლისაც. ჩვენი მასალის მიხედვით მოგურა ზმნა ორივე მნიშვნელობით დასტურდება.

მოყვანება – მორთუმა:

მ ო ჰ ე ვ ა ნ დ ე ს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი, მრ. 1, 32 DE;

მ ო ა რ თ უ მ ი დ ე ს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 9, 19; 9, 20.

მო-რთუ-მ-ა: „უადრესთა მოსცემდეს“ (53); „მიღება, მოტანა მე-3 პირისადმი, პრინოსი“ (92; 6). მორთუმა ზმნას ბერძნულში ეფარდება προφέρω „გამოყვანა (გარეთ); მორთმევა...“ (145; 127). მორთუმა ზმნა დასახელებულ მაგალითებში სხვისი დახმარებით მრავალი ავადმყოფის მე-3 პირთან მოყვანას გულისხმობს.

მოყვანება – მოღება:

მ ო ი ყ ვ ა ნ ე ს იგი გოლგოთისა ადგილსა, მრ. 15, 22 DE;

მ ო ი ღ ე ს იგი გოლგოთასა, ადგილსა, C.

მო-ღ-ებ-ა რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: 1. „აღება, მიღება“; 2. „მიღება, გამორთმევა“; 3. „მოტანა, მოყვანა (ობ. მხ.-ში)“; 4. „მიხმა, მიხდა, წარმევა“ (92; 33). მოღება ზმნა მოხმობილ კონტაქტში მე-3 მნიშვნელობით დასტურდება, რაც ერთი

პიროვნების – ქრისტეს გოლგოთაზე მოყვანას აღნიშნავს. მორთუმა/მოდება სინონიმურ წყვილს ბერძნულში ეფარდება ზმნა ჰება „მოტანა, მოყვანა“ (127).

მორთუმა – მოგურა – მოღება:

მ ო ა რ თ უ მ ო დ ე ს მას ყრმებსა, მრ. 10, 13 C;

მ ო პ გ უ რ ი დ ე ს მას ყრმებსა, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 9, 32; 12, 22; 17, 16; 19, 13; მრ. 8, 22; მრ. 10, 13.

მ ო ა რ თ უ ა თავი მისი ლანკლასა ზედა, მრ. 6, 28 C;

მ ო ი დ ო თავი მისი ფეშეუენითა, DE.

იხ. აგრეთვე: ი. 21, 10.

მო-რთუ-მ-ა: „უაღრესთა მოსცემდეს“ (53); „მიღება, მოტანა მე-3 პირისადმი, მორთმევა; მსხვერპლის მოყვანა“ (145; 127). მორთუმა ზმნაში ხაზგასმულია ამ სინონიმის დადებითი სტილისტური ფუნქცია, რადგან იგი პატივსაცემ პიროვნებასთან რაიმეს „მოკრძალებით“ მოტანას ან მოყვანას გულისხმობს.

მობმა:

მ ო ი ბ თ ზუარაკი იგი მსუქანი, ლ. 15, 23 DEC;

მობმა: „მობმაა ჭბო ანუ ზუარაკი დაკოდილი მოიყვანოს“ (53); „მოყვანა (თოქმობმულისა)“ (33). მობმა ზმნაში გამახვილებულია ყურადღება იმ „ინსტრუმენტზე“, საგანზე ანუ თოკზე, რაც განკუთვნილია მოქმედების შესასრულებლად. სწორედ ეს ნიუანსი ანიჭებს მობმა ზმნის მნიშვნელობას განსხვავებულ ელფერს (119, 408; 108, 242).

აღსლვა – შესლვა – აღწდომა – აღმაღლება – შეყვანება აღ-სლვ-ა – შე-სლ-ვ-ა:

მუნქუესვე აღმულა მოწაფეთა თჯსთა ა ღ ს ლ ვ ა დ ნავსა, მრ. 6, 45 C;

მეყსეულად აწუევდა მოწაფეთა შ ე ს ლ ვ ა დ ნავსა, DE.

აღ-სლვ-ა/შე-სლვ-ა: აღ- და შე- ზმნისწინები ქართველური ენებისათვის საერთოა. ქერძოდ, ქართულ აღ-/ა ზმნისწინს შეესატყვისება მეგრული ო- და ლაზური ო-. ქართულ შე- ზმნისწინის კანონზომიერი შესატყვისი კი არის ლაზურში შეს- (შე/შეა-<შეს-) (54). ზმნისწინი აღ- „აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით“ (143, 81; 71; 26), ხოლო შე- ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება (92, 81). შე- თავისუფლად მონაცემებს

აგრეთვე ად- ზმნისწინთან. აღსლვად//შესლვად სინონიმური საწყისები მოხმობილ კონტექსტში (მრ. 6, 45) აღნიშნავენ ნავში ჩასხდომის პროცესს. ი. ვეშაპიძის აღნიშვნით, „ჩანს, ნავში ჩასხდომა მიჩნეული იყო, როგორც ქვევიდან ზევით მიმართული მოძრაობა“ (26). აღსლვა//შესლვა ფორმებს ბერძნულში ეფარდება ლექსემა აνაβაίνω „ასვლა, შესვლა“ (145; 127).

აღ-სლვ-ა – აღ-ჭდ-ომ-ა:

ვითარ ა ღ ვ ი დ თ დ ა იგი ნავსა, ევედრებოდა მას, მრ. 5, 18 C;

ვითარცა ა ღ ჭ დ ა იესუ ნავსა, ევედრებოდა მას, DE.

აღ-ჭდ-ომ-ა: ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს „მაღლა შესვლა, მაღლა შევლა“ (54); „მაღლა ასლვა“ (6; 33). აღსლვა//აღჭდომა სინონიმური წყვილი მოხმობილ კონტექსტში (მრ. 5, 18) ნავზე ასვლის შინაარსს გადმოსცემენ, რასაც აკონკრეტებს მათი ბერძნული შესატყვისი ზმნა έμβαίνω „შესვლა; გემზე შესვლა“ (145; 127).

აღ-სლვ-ა – აღ-მაღლ-ებ-ა:

ვითარცა ა ღ ვ ი დ ე ს ანგელოზნი იგი ზეცად, ლ. 2, 15 DE;

ვითარ ა ღ ი მ ა ღ ლ ე ს მათგან ანგელოზთა მათ ცად, C.

აღ-მაღლ-ებ-ა განიმარტება, როგორც „მაღლა ასვლა“ (53); „მაღლა აწევა, ანუ ასლვა // დღესასწაული შემდგომად პასექისა მეორმოცესა დღესა მოსახსენებელად ხორცითა ზეცად აღსლვსა ქრისტესისა“ (92); „მაღლად ქცევა; აღდგენა; აღება, არფხვრა; გაამაყება; ცად ასვლა (ქრისტესი)“ (6). აღმაღლება მოხმობილ კონტექსტში ანგელოზთა ზეცაში ასვლას ნიშნავს, რასაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა ἀπέρχομαι. „ამაღლება; შესვლა“ (145; 127).

აღ-სლვ-ა – შე-ყვან-ებ-ა:

უნდა ა ღ ს ლ ვ ა ღ მისი ნავსა მას, ი. 6, 21 C;

უნდა მათ, რაოთამცა შ ე ი ყ ვ ა ნ ე ს იგი ნავსა მას, DE.

შე-ყვან-ებ-ა ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს: „მიშვება შესლვად სადმე სულდგმულთა“ (92; „შეყვანა, შეტანა“ (6; 33). შეყვანება მოხმობილ მაგალითში (ი. 6, 21) სხვისი დახმარებით ნავზე შესვლას და მასში ჩასხდომას აღნიშნავს, რომელიც ბერძნულში გადმოიცემა ზმნით βάλλω „შეტანა, შეყვანა“ (145; 127).

განსლვა – წარსლვა – მისლვა – გამოსლვა – განტდ-ა – გამოტდა –
გამოტდომა – განვლა – დატევება – ცვალება
გან-სლვ-ა – წარ-სლვ-ა:

აშ გ ა ნ გ ე დ ი თ განსავალთა ზედა გზათასა, პ. 22, 9 C;

წ ა რ გ ე დ ი თ მებოძირებსა გზათასა, DE.

იხ. აგრეთვე: პ. 20, 1; 6; 21, 75; მრ. 2, 12; 13; 11, 19; ლ. 4, 41; 10, 35; 17, 29.

გან-სლვ-ა – მი-სლვ-ა:

გ ა ნ გ ი დ ე თ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე, პ. 2, 15 DE;

მ ი ვ ი დ ე თ ბეთლემადმდე, C.

გან-სლვ-ა ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს: „გარ წასლვა“ (53); „გარეთ გამოსლვა, ანუ გაღმა განსლვა“ (92). **განსლვას** ბერძნულში ეფარდება ზმნა πορεύω „წასვლა, გამგზავრება, გადაადგილება; გადასვლა...“ (145; 127).

წარ-სლვ-ა//მი-სლვ-ა ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც **განსლვა**. ოდონდ მცირე განსხვავებას მაინც ავლენენ წარ- და მი- ზმნისწინები. **წარსლვა** გულისხმობს „წასვლას, განშორებას საიდამე“ (92; 6), რომლის ფარდია ბერძნულში ზმნა περιπατέω „სიარული, წასვლა...“ (145; 127). **მისლვა** კი დანიშნულების ადგილამდე მისვლას, ანუ ნ. ჩუბინაშვილის განმარტების მიხედვით, „სიარულით მიწევნას საცნაურად ადგილადმდე“ (92), რომელსაც მიემართება ბერძნულში ზმნა ჟური „მისვლა“ (145; 127).

გან-სლვ-ა – გამო-სლვ-ა:

გ ა ნ გ ი დ ე ნ ანგელოზნი და განარჩინენ უკეთურნი მართალთაგან, პ. 13, 49 C;

გ ა მ ო გ ი დ ე ნ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი, DE.

გამო-სლვ-ა: **გან-/გამო-** ზმნისწინები **შიგნიდან გარეთ** მიმართულებას აღნიშნავენ, მაგრამ თავიანთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მათ ზოგი სხვა ფუნქციაც ჩამოუყალიბდა (167, 215-242). **გამოსლვა** განიმარტება, როგორც „ქვეყნით, გინა სახლით გამოცლა დატევებით (53); „შიგნიდამ გარეთ განსლვა“ (92); „გამოსვლა, ამოსვლა“ (6). მაშასადამე, სინონიმური ერთეულები **განსლვა//გამოსლვა** „გარეთ წასლვა, გარეთ გამოსვლას“ აღნიშნავენ, მხოლოდ **გამოსლვა** „გარეთ გასვლას“ ნიშნავს იმ ადგილის საერთოდ დატოვებით, საიდანაც

ხდება გადააღილება. გამოსლვა ბერძნულში გადმოიცემა ზემოდასახელებული ზმით πορεύω.

გან-სლვა - გან-ტდ-ა:

სული ეგე არაწმიდავ, გ ა ნ ვ ე დ კაცისა მაგისგან, მრ. 5, 8 DE;

გ ა ნ ტ ე დ, სულო არაწმიდაო, მაგის კაცისაგან, C.

გან-სლვა - გამო-ტდ-ა:

გ ა ნ ს რ უ ლ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა, მრ. 7, 29 DE;

გ ა მ ო ტ დ ა ეშმაკი იგი ასულისაგან შენისა, C.

გ ა ნ ვ ი დ ა სულები იგი არაწმიდავ კაცისა მისგან, მრ. 5, 13 DE;

გ ა მ ო ტ დ ა სულები იგი არაწმიდები, C.

გან-ტდ-ა/გამოტდ-ა ნიშნავს, როგორც „წასვლას, გამოსვლას“, აგრეთვე „გაძევებას, გაგდება“ (53; 92; 6; 33). განტდას ბერძნულში მიემართება ზმია ტეტა „გაძევება, გაგდება; მისვლა...“ (139; 122). გამოტდას კი შეესატყვისება ლექსემები, ἐξηλθον, ἐξερχώμαι „გამოსვლა, წასვლა; გამგზავრება; გადასვლა...“ (145).

6. მარი გამოთქამდა მოსაზრებას, რომ „ტდ-ტდ- ფუძის მქონე ფორმები გაცილებით უფრო არქაულია, ვიდრე გალ//გად//გიდ-ისა, რომელიც თითქმის თანამედროვე ქართულის ფორმებს გვაგონებსო (143, 173) ივ. იმნაიშვილის მითითებით კი, „ერთსა და იმავე ძეგლში თანაბრად არის წარმოდგენილი ორიგენაირი ფორმები“ (29, 202).

გან-სლვა - და-ტევ-ებ-ა:

ცოლი თუ გ ა ნ ვ ი დ ე ს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მრ. 10, 12 DE;

მამაკაცმან თუ დ ა უ ტ ე ო ს ცოლი თვის და ცოლ-ეყოს სხუა, DE.

და-ტევ-ებ-ა ზმის მნიშვნელობებია „გაშვება“ (53); „გაგდება, გაშვება, ხელის აღება, თავის დანებება, განშორება“ (92). დატევება მოხმობილ მაგალითში (მრ. 10, 22) ცოლის გაშვებას ნიშნავს, რომელსაც ბერძნულში მიესადაგება ლექსემა ἀπολύ „გაშვება“ (145; 127).

გან-სლვა - ცვალ-ებ-ა:

გ ა ნ ვ ი დ ე ს იგი ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, ი. 13, 1 DE;

ი ც ვ ა ლ ო ს ამიერ სოფლით მამისა, C.

ცვალება განიმარტება, როგორც: „გამოცვლა“ (53); „გამოცულა სხვარიგად, ანუ სხვა ფრად“ (92); „შეცვლა, გადანაცვლება“ (6). **ცვალება** მოხმობილ კონტექსტში (ი. 13, 1) ნიშნავს ამ სოფლიდან იმიერ სოფელში „გადანაცვლებას“, ანუ „სიკვდილს“¹². იგი ბერძნულში გადმოიცემა მιέλθων, მιερχάμαι, „მეორე მხარეს გასვლა, გადასვლა; გადასახლება...“ (145; 127) ლექსემებით.

გან-სლვა - გან-ვლა:

თუთ შენსაცა სულსა გ ა ნ გ ი ღ ე ს მახვლი, ლ. 2, 35 DE;

შენსა თავსა გ ა ნ გ ღ თ ს მახვლმან, C.

გან-ვლა: „წარვლა, თანა წარსლვა, თანაწარხდომა“ (92). **განვლა** დასახელებულ მაგალითში (ლ. 2, 25) „გულისხმობს ჯერ გარედან შიგნით მოძრაობას, შემდეგ კი მაშინვე შიგნიდან გარეთ გასვლას, გაცილებას“ (26, 12). ამ შემთხვევაში სინონიმური წყვილი **განსლვა//განვლა** რომელთაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსიკური ერთეულები მιελεύსომა, მιერხომა „გამსჭოლად გასვლა“ (145; 127), რაიმეში გავლის, კერძოდ, სხეულში მახვილის გავლის შინაარსს გადმოსცემს.

მიქცევა - მოქცევა - წარსლვა - უკუნცემა - გარეუგუნქცევა - უგუნქცევა - უკუნმოქცევა - უკუნდგომა - უკუმომართ სლვა - მართლუგუნ სლვა

მი-ქც-ევ-ა - მო-ქც-ევ-ა - წარ-სლვ-ა:

მ ი ი ქ ც ა მუნვე და ადიდებდა ღმერთსა, ლ. 17, 15 C;

მ თ ი ქ ც ა და წმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა, DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 2, 39; 45; 9, 10; 24, 23; 52.

მ ი ი ქ ც ა სახიდ თვსა, ლ. 1, 56, C;

წ ა რ გ ი დ ა სახიდ თვსა, DE.

მი-ქც-ევ-ა - უკუნ-ცემა:

მ ი ა ქ ც ი ა ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ მოძღუართა მათ, მ. 27, 3
DE;

უ კ უ ნ ს ც ა ვეცხლი იგი მღდელთ მოძღუართა C.

¹² **ცვალება** ზმნას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ქვემოთ „სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის“ მქონე ზმნურ სინონიმთა განხილვისას.

მო-ქც-ება ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „მიბრუნ(ვ)ება“ (54); „მიბრუნება, უკან მიცემა“ (92); „მიბრუნება, მიხრა, მიმხრობა“ (6); „მიბრუნება, დაბრუნება“ (33). **მიქცევა** ზმნა ორი მნიშვნელობით იხმარება ოთხთავის ტექსტში:

1. სუბიექტის ფიზიკურად გადაადგილებას, სახლში „მიბრუნებას“ გამოხატავს, რასაც ადასტურებს **ჭარსლვა** ზმნა (ლ. 1. 56) ხოლო მე-2 შემთხვევაში იგი ნიშნავს „დაბრუნებას“, ანუ ფულის „უკან მიცემას“ (26), რასაც **უკუნცვემა** ზმნა გამოხატავს.

მო-ქც-ება განიმარტება, როგორც „გამობრუნება“ (54); „მოქცევა, მობრუნება; შეერთება სარწმუნოებისადმი“ (33; 6); „მობრუნება“ (92). **მიაქცია/მოაქცია** ფორმებში მოუბარი პირი ზმნას პირიანობით არ უკავშირდება, ამიტომ **მიაქცია** ზმნის ხმარებისას იგი საწყისი პიზიციიდან უყურებს მოძრაობის დინამიკას, ხოლო **მოაქცია** ზმნის ხმარებისას სასრული, ანუ იმ პოზიციიდან, სადაც თვითონ იმყოფება.

უკუმო-ქც-ება – მო-ქც-ება:

რომელი იყოს... ველსა გარე, ნუ უ კ უ მ თ ი ქ ც ე ვ ი ნ კუალად, ლ. 17, 31 DE;

რომელი იყოს ველსა გარე, ნუ მ თ ი ქ ც ე ვ ი ნ კუალად, C.

უკუმო-ქც-ება – უკუნ-ქც-ება:

რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უ კ უ მ თ ი ქ ც ე ვ ი ნ ბ, ბ. 24, 18 C;

რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უ კ უ ნ ი ქ ც ე ვ ი ნ ბ, DE.

უკუნ-ქც-ება/უკუმო-ქც-ება: ზმნისწინები **უკუნ-//უკუმო-** ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარებიან. 1. აღნიშნავენ უკანა არეში მოქმედებას, 2. გადმოსცემენ უკან დაბრუნების შინაარსს (81, § 311). **უკუნქცვა//უკუმოქცვა** მოხმობილ კონტექსტებში ნიშნავს „გამობრუნებას“ (54); „უკან გაბრუნებას, უკან მიბრუნებას“ (92; 6; 33).

უკუნ-ქც-ება – უკუნ-დგ-ომა:

მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უ კ უ ნ ი ქ ც ე ს, ი. 6, 66 DE;

მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უ კ უ ნ დ გ ე ს, C.

უკუნ-დგ-ომა: „განდგომა, განშორება, ანუ დალატი“ (92); „დახევა უკან, გაბრუნება“ (6); „განდგომა, გაცილება, უკან გაბრუნება“ (33). **უკუნდგომა** ზმნა

დასახელებულ კონტექსტში (ი. 6, 66) „განდგომას, დალატს“ აღნიშნავს, რასაც ბერძნულში ეფარდება ზემოდასახელებული ოპელთაუ, ჟრიუმას ლექსემები.

უკუნ-ქც-ევ-ა – უკუმომართ სლვა:

უ კ უ ნ ი ქ ც ე ს გარე და დაეცნეს ქუეყანასა, ი. 18, 6 DE;

უ კ უ მ ო მ ა რ თ ვ ი დ ო დ ე ს და დაეცნეს ქუეყანასა, C.

უკუნ-ქცე-ევ-ა – მართლ უკუნ სლვა:

უ კ უ ნ ი ქ ე ც ჩემგან, ეშმაკო, მრ. 8, 33 C;

წ ა რ ვ ე დ მ ა რ თ ლ უ კ უ ნ ჩემგან, ეშმაკო, DE.

უკუმომართ სლვა//მართლუკუნ სლვა: უკუმომართ//მართლუკუნ ფორმები შეიცავენ მნიშვნელობებს „უკან, უკნით“ (6); „უკან, ჩემ მომართ“ (33). მაშასადამე, სინონიმური შესიტყვებები უკუმომართ სლვა//მართლუკუნ სლვა გამოხატავენ უკან გადაადგილებით მოძრაობას მოუბარი პირის პოზიციისაკენ. ბერძნულში კი მათ შეესატყვისებათ ზმნა უპაგა „მობრუნება...“ (145; 127).

შედგომა – მიღევნება – მოღევნება – თანა-სლვა – შეყოფა

შე-დგ-ომ-ა – მი-ღევნ-ებ-ა – მო-ღევნ-ებ-ა:

შ ე უ დ გ ე ს სიმონ-პეტრე და სხუავ იგი მოწაფე, ი. 18, 15 C;

მ ი პ ს დ ე ვ დ ა იესუს სიმონ-პეტრე და სხუავ იგი მოწაფე, DE.

იხ. აგრეთვე: გ. 20, 29; 20, 34; 27, 55; მრ. 1, 18; 2, 14; 10, 34; ი. 1, 37; 1, 38;
1, 40; 6, 2; 10, 4; 10, 5.

რომელი შ ე მ თ მ ი დ გ ე ს მე, არა ვიდოდის ბნელსა, ი. 8, 12 DE;

რომელი მ თ მ დ ე ვ დ ე ს მე, ბნელსა არა ვიდოდის, C.

შე-დგ-ომ-ა//შემო-დგ-ომ-ა განიმარტება შემდეგნაირად: „მიღევნება“ (54); „თან-მიღევნება“ (92); „გაყოლა, მიყოლა“ (6); „მიყოლა, მიღევნება“ (33). **შედგომა//შემოდგომა** სინონიმურ ზმნებს ბერძნულში მიემართება ლექსიკური ერთეული შესახებ „უკან, შემდეგ სვლა“ (127).

მი-ღევნ-ებ-ა//მო-ღევნ-ებ-ა არის იგივე „შედგომა“ (92); „გაყოლა“ (6); „მიყოლა, წაყოლა“ (33). ეს ზმნები „ჩქარა“ სიარულის, მოძრაობის ნიუანსს შეიცავენ.

შე-დგ-ომ-ა – თანა სლვა:

სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შ ე გ პ დ გ ე ს, მრ. 9, 38 DE;

სახელითა შენითა ეშმაკთა განკვდიდა, რომელ ჩუენ თ ა ნ ა არა ვ ა ლ ს,
C.

თანა სლება ნიშნავს „ერთად სვლას“ (6). ბერძნულში **ჟან სლებას** მიემართება
ლექსემა აკოლოუმზე „გაყოლა, მიღევნება“ (145; 127).

შე-დგ-ომ-ა – შე-ყ-ოფ-ა:

შ ე უ დ გ ა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ლ. 15, 15 DE;

შ ე ე ყ თ ერთსა მოქალაქეთაგანსა, C.

შე-ყ-ოფ-ა განიმარტება, როგორც: „შეერთება, მიღგმა, შეზიარება, შეწყობა“ (6;
33). ამ ზმნით გადმოცემულია ჯერ შეერთების და შემდეგ მოძრაობის, გადაადგილე-
ბის მნიშვნელობა, რასაც აკონკრეტებს კიდევ მისი ბერძნული შესატყვისი კოლა
„შეერთება, მჭიდროდ თანასვლა“ (127).

განკვდა – განგდება – გამოგდება – განძება – განსხმა – განვლინება –

განყენება – განბნევა – განთხევა – განდება

გან-კვ-და – გან-სხ-მ-ა:

მე ბელზებულითა გ ა ნ ვ ჰ ვ დ ი ეშმაკთა, მ. 12, 27 C;

მე ბელზებულითა გ ა ნ ვ ა ს ხ ა მ ეშმაკთა, DE.

სულითა ღმრთისავთა გ ა ნ ვ ჰ ვ დ ი მე ეშმაკთა, მ. 12, 28 C;

სულითა ღმრთისავთა გ ა ნ ვ ა ს ხ ა მ ეშმაკთა, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 12, 24; 12, 26; მრ. 1, 34; 1, 39; 3, 22; 3, 23; 6, 13; ი. 16, 2.

განკვდა: ლექსიკონთა მიხედვით „ესე არს განძება გარე, გინა მდინარეთა და
პევთა განვლა, გინა ჰამბავთა და სიტყვათა განსმენა, გინა სამოსელთა განძრცვა
და ესევითარნი“ (53); „გარე განძება, განგდება“ (92); „გაძევება, გახდა“ (6);
„გაგდება, გაძევება; განსვლა, განთქმა, გავრცელება (ამბისა)“ (33). მაშასადამე,
განკვდა ლექსემა პოლისემიურია, მისი ძირითადი მნიშვნელობაა „გაძევება,
გაგდება“. სწორედ „გაძევების“ მნიშვნელობით აერთიანებს იგი მისი სინონიმური
რიგის ყველა ზმნას. დასახელებული სინონიმური რიგის ზმნებში **განკვდას**
ბერძნულში ეფარდება ერთობელი „გაგდება, გაძევება, გაშვება“ (145; 127).

გან-სხ-მ-ა რიცხვში მონაცელე ზმნაა და მრავლის „განდევნას, გაძევებას“ (6);
„გაყრას“ (33) ნიშნავს.

გან-ჭდ-ა – გან-გდ-ებ-ა – გამო-გდ-ებ-ა:

შეუკრენით მაგისი ფერგნი და ჭელნი და გ ა ნ ჭ ა დ ე თ ეგე ბნელსა, მ.
22, 13 C;

შეუკრენით მაგას ჭელნი და ფერგნი და გ ა ნ ა გ დ ე თ ეგე ბნელსა, DE.
გ ა ნ ა გ დ ე ს იგი გარე საყურძენსა მას, მრ, 12, 8 C;
გ ა მ თ ა გ დ ე ს იგი მიერ სავენავით, DE.

გან-ჭდ-ა – გან-ძ-ებ-ა:

ესმა იესუს, ვითარმედ გ ა ნ ჭ ა დ ე ს იგი გარე, ი. 9, 35 C;
ესმა რავ იესუს, რამეთუ გ ა ნ ა ძ ე ს იგი გარე, DE.

რად ჩუენ ვერ უძლეთ მას გ ა ნ ჭ დ ა დ, მრ. 9, 28 C;
რაისათჯს ჩუენ ვერ შეუძლეთ მას გ ა ნ ძ ე ბ ა დ, DE.

გან-გდ-ებ-ა: „განგდება არს რა უსულო განიშორო, ხოლო განძება, რა სულიერი განიშორო“ (53); „განძება, განხვება“ (92); „მიტოვება, გაცლა, გაძვება“ (33).

გან-ძ-ებ-ა: „განძება ცხოველთათვის ითქმის, რაითა განიდევნოს, ხოლო უსულოთათვის განგდება“ (53); „განდევნა, განხვება, გაგდება“ (92); „გაძევება, გაგდება“ (6; 33).

განძება//განგდება ზმებს შორის იმგვარი განსხვავება არ დასტურდება ჩვენს მასალაში, როგორც საბა განმარტავს, რადგან ორივე შემთვევაში სულიერი არსების გაგდება იგულისხმება. განსხვავება მათ შორის, მხოლოდ ისაა, რომ გაგდება ფიზიკური ზემოქმედების შედეგად „მოშორება, გაგდებას“ აღნიშნავს, ხოლო განძება იძულების გზით ობიექტის „მოცილებას, გაძევების“ ნიუანსს შეიცავს.

გან-ჭდ-ა – გან-ყენ-ებ-ა:

ვითარცა გ ა ნ ჭ ა დ ა ეშმაკი იგი, იტყოდა მართლ ყრუ, მ. 9, 33; DE;
ვითარ გ ა ნ ე ყ ე ნ ა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუ იგი, C.

გან-ყენ-ებ-ა პოლისემიური ლექსემაა, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად: „გადგინება კაცთა, გინა წყალში რაც გაჰქნა არევით, გინა თოვლმა(ნ) და ხორგმან შეიყენოს რა(ვ)მე“ (53); „განყრა, გაყრა“ (92); „გაცლა; განდგომა;

განდევნა“ (6). განტდა//განყენება სინონიმური წევილი დასახელებულ მაგალითში (გ. 9, 33) „ეშმაკის განდევნას, განმორებას“ აღნიშნავს.

გან-გლ-ინ-ებ-ა – გან-ბნ-ეგ-ა:

მდიდარნი გ ა ნ ა ვ ლ ი ნ ნ ა ცუდნი, ლ. 1, 53 C;

მდიდარნი გ ა ნ ა ბ ნ ი ნ ა ცუდნი, DE.

გან-ვლ-ინ-ებ-ა: „დათხოვნა, გამოყვანა სახლიდამ“ (92); „გაშვება, გაგზავნა“ (6; 33). განვლინება ზმნით აღინიშნება სუბიექტის მიერ ობიექტის იძულებით გადაადგილება გაურკვეველი მიმართულებით.

გან-ბნ-ეგ-ა: ამ ზმნის სემანტიკაც „დათხოვნას, გაშვებას“ აღნიშნავს, მხოლოდ იგი სხვადასხვა მიმართულებით „გაფანტვას“ გულისხმობს (6; 33)

გან-ბნ-ეგ-ა – გან-თხ-ევ-ა:

ჯერკუალი იგი გარე გ ა ნ ა ბ ნ ი ნ ა ნ, პ. 13, 48 C;

ჯერკუალი იგი გარე გ ა ნ ს თ ხ ი ნ ა ნ, DE.

გან-თხ-ევ-ა განიმარტება როგორც: „განგდება, განძება, გალალვა“ (92); „გაყრა“ (33). აღნიშნულ მაგალითშიც განთხევა ზმნა, ისევე, როგორც განსხმა მრავლის „გაგდებას“ აღნიშნავს.

გან-დ-ებ-ა:

არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე გ ა ნ დ ვ ა ნ იგი, ლ. 14, 35 DEC.

გან-დ-ებ-ა ნიშნავს „გაგდებას“ (6; 33). განდება ზმნა შეიცავს უსულო საგნის, ობიექტის გაგდების, მოშორების სემანტიკას.

დასახელებული ზმნური სინონიმური ერთეულები განტდა//განვლინება//განსხმა// განძება//განგდება//განყენება//განბნება//განდება ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით ჰერბალი.

გარე-წარტდომა – თანა-წარტდომა – თანაწარსლება – გარე-წარცოდება –

თანა-წარცოდუნება – წარცოდუნება

გარე-წარტდომა – თანა-წარტდომა:

უპუეთუ ჯერ-არს, რაოთამცა გ ა რ ე – წ ა რ ჰ კ დ ა მას უამი იგი, მრ. 14, 35 C;

უპუეთუ შესაძლებლ არს, რაოთა თ ა ნ ა – წ ა რ მ კ დ ე ს უამი ესე, DE.

გარე-წარტყმა – თანა-წარსლვა – წარცოუნება:

აბბა მამაო, ყოველი შესაძლებელ არს შენდა, გ ა რ ე – წ ა რ მ ჯ ა დ ე
მ ე სასუმელი ესე, მრ. 14, 36 C;

აბბა მამაო ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თ ა ნ ა – წ ა რ-
ს ლ კ ა დ სასუმელი ესე ჩემგან, DE.

წ ა რ მ ა ც თ უ ნ ე მე სასუმელი ესე ჩემგან, L.

თანა-წარცოდუნება:

თ ა ნ ა – წ ა რ ი ც თ უ ნ ე უკეთურებად ჭორცოაგან შენთა, ეპლეს, 11,
10. O.

გარე-წარ-ცოდ-ებ-ა//თანა-წარ-ცოდ-ებ-ა: ლექსიკონთა მიხედვით „აცოენას, აშორებას, აცილებას“ (6; 33) ნიშნავს. ადგილობითი ზმნისწინი გარე შეიცავს „საგნისაგან დაშორების“ მნიშვნელობას (143, § 49, 102; 26, 286). წარ- ზმნისწინი მიუთითებს მოქმედების საწყის პუნქტზე და აღნიშნავს, რომ მოძრავი საგანი ამ პუნქტს შორდება. „წარ- ზმნისწინის ამ შინაარსს კიდევ უფრო აძლიერებს გარე-ზმნისწინის მიმატება“ (26, 286). კ. დანელიას თვალსაზრისით, საქმის ვითარება სხვაგვარია, ამ ფუძეებთან თანა-ს არ უნდა ჰქონდეს გაცლის, გვერდის ავლის მნიშვნელობა და ზედმეტად უნდა იყოს დართული ბერძნული παρα და συν ზმნისწინთა გადმოსაცემად. ამას ამტკიცებს შემდეგი: სვლის, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთანაც კი „თანა“ გვერდის ავლას კი არ გამოხატავს, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ თანაობას. თანა-წარვალ, თანა-წარვიდ, თანა-წარტყმა ფუძეებში კი თანა-ს არ აქვს პირველადი (თანაობის, ერთიანობის) მნიშვნელობა და ამიტომ რთულ ფუძეებად მიაჩნიათ ასეთი ზმნები. აღნიშნულ ზმნებში თითქოს გავლის ნაცვლად გვერდის აქცევის ნიუანსი თანა-ს შექმნდეს. მაგრამ გაუთვალისწინებელი რჩება ის, რომ ბერძნულში ზმნას (παρέρχομαι) ერთი παრა ზმნისწინი აქვს, ხოლო ქართულში მის ფარდ ფუძეს ორი (თანა-წარ), რომელთაგან წარ- წარმოადგენს ბუნებრივ შესატყვისს, ხოლო თანა ზედმეტად ნახმარს. ამიტომ, აღნიშნავს მკვლევარი, მას მცდარად მიეწერება იმ მნიშვნელობის (გვერდით ჩავლის) გადმოცემა, რასაც უამისოდ παρა-ს ფარდად ხმარებული წარ- ახერხებს (22, 145).

გარეწარ-კდ-ომ-ა ნიშნავს აგრეთვე „გვერდის ავლას, აცთენას, აშორებას, აცილებას“ (6; 33).

თანა-წარ-სლვ-ა ზმნაც „გავლას, გვერდის ავლას, აცთენას“ (6; 33) აღნიშნავს.

წარ-ცთ-უნ-ებ-ა „აცდენა, აშორება“ (33). ეს ზმნა მოთავსებულია იოანეს სახარების ბოლოს და შეიცავს მარკოზის სახარების (14, 33-37) საკითხავს. შანიძის გამოცემაში ეს ფრაგმენტი L სიმბოლოთია აღნიშნული.

გარეწარ-მ-ცოდ-ე ზმნური ფორმა ა. შანიძემ შეცდომად მიიჩნია, იგი სქოლიოში ჩაიტანა და ძირითად ტექსტში გარეწარჯადე ფორმა შეიტანა (ეს ფორმა არის წარმოდგენილი წინაათონურ ვერსიებში, ხოლო გიორგისეულ რედაქციებში თანაწარსლვად გვაქვს). ბ. სარჯველაძის მითითებით „ადიშის ხელნაწერის ჩვენების ჩასწორება საჭირო არ იყო, რადგანაც გარეწარცოდება“ ზმნა აშორების, აცდენის, დაშორების მნიშვნელობით სხვაგანაც დასტურდება: ტპრთისა ჩუენისა აღკიდებად არა გარეწარიცოდეთ, აგ. ძეგლ. I, 179, 9). ტექსტებშივე აგრეთვე გვხვდება ცოდ ზმნური ძირისაგან წამოქმნილი სხვა ფორმებიც“ (62, 74).

მაშასადამე, გარეწარცოდება//თანაწარცოდება//გარეწარკდა//თანაწარსლვა/წარ-ცთუნება სინონიმური მნიშვნელობის ზმნებია, რომელთაც ბერძნულში შეესატყვისებათ ἐπέρχομαι, παρέρχομαι „გვერდის ავლა, აცდენა, აშორება; გასვლა, გადასვლა“ (145; 127). ადგილობითი ზმნისწინები თანა და გარე აძლიერებენ, ექსპრესიულ ძალას მატებენ დასახელებულ სინონიმურ ზმნებს.

ამდენად, მოძრაობის შინაარსის შემცველ სინონიმურ ზმნებს აერთიანებს სუბიექტის ფიზიკურად „გადაადგილების, სვლის“ ძირითადი სემანტიკური ნიშანი, რაც მათი იდენტიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს. ცალკეულ მწკრივთა დომინანტური ლექსემები მოსლვა, მისლვა, აღმოსლვა, გამოსლვა, მოყვანება... აღნიშნავენ მხოლოდ სუბიექტის გარკვეული მიმართულებით გადაადგილებას, ხოლო სემანტიკური და სტილისტური თვალსაზრისით ისინი ნეიტრალური ლექსემებია, არ არიან შეფერილნი რაიმე დამატებითი ნიშნით. ცალკეულ მწკრივში შემავალი ზმნები კი დომინანტ ლექსემას უმეტესწილად სემანტიკური, აზრობრივი ნიშნებით ემიჯნებიან, ანუ ისინი ძირითად მნიშვნელობასთან ერთად შეიცავენ დამატებითი ნიუანსური დატვირთვის მქონე დიფერენციალურ ნიშნებს, რაც მათ

ინდივიდუალურ ხასიათს ავლენს და განარჩევს რიგში შემავალი სხვა ლექსემებისაგან.

მოძრაობის სემანტიკის შემცველი სინონიმური ზმნები წარმოადგენენ რელატიურ ანუ ნაწილობრივ სინონიმებს, რადგან მნიშვნელობათა მთელი მოცულობით ერთმანეთს ვერ ფარავენ. განხილულ ზმნებში უმეტესწილად სემანტიკური სახის სხვაობა შეინიშნება, ამიტომ ისინი სინონიმთა სემანტიკურ ჯგუფს უფრო მიეკუთვნებიან, ვიდრე სტილისტურს.

4.2. მდგომარეობის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

დადგომა – დადგრომა – დადგინება – დამტკიცება – დაყოვნება –
დაყოფა – ლოდნა – დამკუდრება – დაშთომა – დაბუდება – ადგილ-
პყრობა – ფერწის დაპყრობა

მდგომარეობის შინაარსის შემცველ ზმნათა ძირითად სემანტიკურ ნიშანს წარმოადგენს სუბიექტის ერთ ადგილზე გაჩერების, „დადგომის“ მნიშვნელობა. მწკრივის დომინანტური ერთეულია დადგომა//დადგრომა ზმნა, რომელიც თავისუფლად ენაცვლება სინონიმური რიგის ნებისმიერ წევრს, ხოლო ცალკეული ერთეულები სხვადასხვა დიფერენციალური ნიშნებით განირჩევიან ძირითადი ლექსემისაგან.

დადგრომა – დადგომა:

დ ა ა დ გ რ ა მარიამ მის თანა სამ თთუე, ლ. 1, 56 DE;

დ ა დ გ ა მარიამი მის თანა სამ თთუე, C.

იხ. აგრეთვე: ლ. 2, 9; ი. 7, 9.

და-დგრ-ომ-ა//და-დგ-ომ-ა ქართველური *დეგ-/დეგ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ დეგ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. დეგ- და ლაზ. დეგ-“ შესატყვისობები ვლინდება დასახელებულ ძირთა სემანტიკაშიც, რომელთა ძირითადი მნიშვნელობაა „დადგომა, გაჩერება“ (65). ამავე ძირს უკავშირდება ძველსა და ახალ ქართულ ში გავრცელებული ფორმები, რომლებიც „დაბრმავებას“ გამოხატავენ (61, 89). თუმცა „დაბრმავების“ მნიშვნელობით დადგომა ზმნა ოთხთავის ტექსტში არ დასტურდება. და- ზმნისწინი მიუთითებს მოძრაობის მიმართულებას ზევიდან ქვევით. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული

მოსაზრებით და-ს მნიშვნელობა მომდინარეობს მიწის აღმნიშვნელი დაბ- ძირისაგან (81, 268).

და-დგრ-ომ-ა//და-დგ-ომ-ა ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „რა(ი)ცა ცხოველი სლვისაგან დავარდეს, გინა საგანესა და ფუნდუქსა კაცმან დაისადგუროს, გინა ნადირი სლვისაგან დაეცადოს; ზე დგომა“ (53); „გება, დაშთომა; ფეხით შედგომა რომელსამე ადგილსა ზედა, სტა. // თუალის დადგომა, დაბრმავება, ხედვის მოკლება“ (92); „შედგომა, გაჩერება“ (6); „დარჩენა, დადგომა“ (33).

დადგრომა//დადგომა ლექსიკურ ფორმებს ბერძნულში შესატყვისება ლექსები ემესა, მენა „ადგილზე გაჩერება, დარჩენა; დალოდება...“ (145; 127).

დადგომა – დამტკიცება:

ყოველი ქალაქი ანუ სახლი, განყოფილი თავსა ზედა თვისსა, ვერ და და გ ე ს, მ. 12, 25 C;

ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თვისსა, ვერ და გ მ - ტ კ ი ც ი ს, DE.

იხ. აგრეთვე: მრ. 3, 24; 3, 25; 3, 26.

და-მ-ტკიც-ებ-ა განიმარტება, როგორც „დამაგრება“ (53); „მტკიცედ დადგინება, უтверждатель...“ (92); „დამყარება, გამაგრება“ (6); დამტკიცება ლექსემას ეფარდება ბერძნულში ზენური ერთეულები στάθείς, ἴστημιστίνω „დადგომა, მყარად ყოფნა; მტკიცედ დადგომა“ (145; 127).

დადგრომა – დაყოვნება:

მის თანა და ა დ გ რ ე ს მას დღეთა შინა, ი. 1, 39 DE;

მის თანა და ი ყ თ ვ ნ ე ს მას დღესა, C.

იხ. აგრეთვე: მ. 10, 11.

და-ყოვ-ნ-ებ-ა ქართველური *ყოვ- ძირის შემცველი ლექსემაა, რომლის მნიშვნელობაა „დაცდა, დაყოვნება“ (65); „დაგვიანება“ (53); „შეჩერება, დაწყნარება“ (6). დაყოვნება მოხმობილ კონტექსტში მცირე დროით „შეჩერების, დაცდის“ ნიუანსს შეიცავს.

დადგრომა – დაყოფა:

შევიდა და დ გ რ თ მ ა დ მათ თანა, ლ. 24, 29 DE;

შევიდა და ეთ ფად მათ თანა, C.

და-ყოფა: „მყოფობის ქმნა; ხანთ დაზმა“ (54); „დადგრომა სადმე, მოცდა ან დაგვიანება“ (92); „ყოფნა, რჩომა, დგომა“ (6); „(დროის) გატარება“ (33). **დაყოფა** ზმნა გაურკვეველი ხნით ერთ ადგილზე დროის გატარებას აღნიშნავს, რომლის ფარდია ბერძნულში კეკლიკა, კლიკა „დაყოფა, დროის გატარება...“ (127).

დადგრომა – ლოდნა:

და ა დ გ ე რ ი თ აქა და იღვძებდით მრ. 14, 34 DE;

ე ლ თ დ ე თ აქა და იღვძებდით, C.

ლოდნა: „მოცდა რამე მომავ(ა)ლისა“ (53); „მოცდა, მოლოდება, ჩაять, ჯдать“ (92); „ლოდინი“ (6). მაშასადამე, **ლოდნა** ზმნა რაიმეს მოლოდინში ერთ ადგილზე გაჩერების მნიშვნელობას გადმოსცემს.

დადგრომა – დამკვდრება:

მონავ არასადა და ა დ გ რ ე ს სახლსა შინა უპუნისადმდე, ი. 8, 35 DE;

მონამან არა და ი მ კ ჟ დ რ ი ს უპუნისადმდე სახლსა შინა, C.

იხ. აგრეთვე: ი. 8, 35; 14, 16; 5, 38; 6, 56.

და-მკვდრება: „სანიადაგოდ დაპურობა, სანიადაგოდ დასახლება“ (53; 92); „დასახლება, დაპატრონება“ (6). **დამკვდრება** ზმნაში გამოკვეთილია ერთ ადგილზე სამუდამოდ დადგომის, „დასახლების“ სემანტიკური ნიუანსი.

დადგრომა – დაშთომა:

ყოველსა რომელსა პრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა და ა დ გ რ ე ს, ი. 12, 46 DE;

ყოველსა რომელსა ვპრწმენე, ბნელსა შინა არა და ა შ თ ე ს, C.

და-შთომა: „დარჩომა“ (53); „იგივე თუთვნებითად, ისტავას“ (92); „დარჩომა, დარჩენა“ (6; 33). მაშასადამე, **დაშთომა** საკუთარი ნებით დარჩენას აღნიშნავს.

დადგრომა – დამკვდრება – დაბუდება:

და დ გ რ თ მ ა დ რტოთა მისთა, მ. 13, 32 C.

და ი ბ უ დ ი ა ნ რტოთა მისთა, DE;

მფრინველთა ცისათა და ი მ კ ჟ დ რ ე ს რტოთა მისთა, ლ. 13, 19 C;

მფრინველთა ცისათა და ი ბ უ დ ე ს რტოთა მისთა, DE.

დაბუდება ზმნა ნასახელარია, რომელიც მიღებულია ბუდ- ძირისაგან. ამ ძირის სემანტიკა „ბუდის, სათავსის, კალაპოტის“ მნიშვნელობებს უკავშირდება (65). **დაბუდება** ზმნა მოხმობილ კონტექსტებში ფრინველთა მიერ თავიანთი სათავსის, ბუდის ხის ტოტზე გაკეთებას და მასში დაბინავებას, „დამკვიდრებას“ აღნიშნავს (6). დაბუდება ლექსემის ფარდია ბერძნულში κατασκευή „დაბუდება“ (145; 127).

დადგრომა – ადგილ-პყრობა:

დ ა - დ ა - ა დ გ რ ა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე, ი. 11, 6 DE;

ა დ გ ი ლ - ი პ ყ რ ა მუნ, სადა იყო, ორ დღე, C.

ადგილ-პყრობა შედგენილობით რთული ზმნაა. მისი პირველი კომპონენტი ადგილი ნიშნავს, „სადგურს, სამყოფს, დასადგომელს“ (53). მთლიანი ზმნა **ადგილ-პყრობა** კი გულისხმობს რაიმე სადგურში, სამყოფში „შედგომას, შეჩერებას“ (6), დროის რამდენიმე ხნით გატარებას.

ამდენად, განხილული სინონიმური რიგის ზმნათა დომინანტურ ლექსემას წარმოადგენს **დადგომა//დადგრომა**. მისი ძირითადი მნიშვნელობა არის ერთ ადგილზე „დადგომა, გაჩერება“. ამ სემანტიკას შეიცავს **დადგრომა** ზმნის მეწყვილე ყველა ლექსემა, რომელთაც ძირითად მნიშვნელობასთან ერთად ერთვის დამატებითი დიფერენციალური კომპონენტები. **დამტკიცება** „მყარად, მტკიცედ“ დადგომას აღნიშნავს; **დაყოვნება** მცირე დროით „შეჩერებას, დაცდას“ წარმოადგენს; **დაყოფა** გაურკვეველი ხნით ერთ ადგილზე „დროის გატარებას“ გულისხმობს; **ლოდნა** რაიმეს მოლოდინში დაცდის მნიშვნელობას შეიცავს; **დამკვდრება** ერთ ადგილზე „სანიადაგოდ“ ანუ სამუდამოდ დასახლებას აღნიშნავს; **დაშთომა** „თვითვნებითად“, ანუ საკუთარი ნებით დარჩენას უსვამს ხაზს; **დაბუდება** ფრინველთა მიერ თავიანთი სათავსის, ბუდის ხის ტოტზე გაკეთებას და მასში დაბინავებას გულისხმობს; **ადგილ-პყრობა** კი რაიმე სამყოფში მცირე ხნით „შეჩერებას“ აღნიშნავს.

4.3. სიტყვის ტაბუ და სინონიმია. სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები.

სინონიმთა წარმოქმნის მექანიზმს სხვა წყაროებთან ერთად სიტყვის ტაბუ და მისი ევფემიურად მონაცვლე ლექსიკა წარმოადგენს (49, X III- ; 90, 174; 105, 74-87). სინონიმის წარმოქმნა ფრაზეოლოგიური ჩანაცვლებითაც ხდება (129, 21-38),

რადგან ენის ლექსიკურ სისტემას ქმნიან სიტყვები და ფრაზეოლოგიური ერთეულები. ფრაზეოლოგიზმები, როგორც მყარი შესიტყვებები შეიძლება დაუკავშირდეს რომელიმე სიტყვას, ან სიტყვათა ერთობლიობას და სინონიმური რიგის წევრი გახდეს (13, 75; 129, 29-30). სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის მქონე სინონიმურ სიტყვებში ტაბუირებულია სიტყვა სიკუდილი, ხოლო მისი ფარდი სინონიმური ოდენობები უმეტესწილად ამ ლექსემის ევფემიურად მონაცელე ერთეულები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებია, რომლებიც შერბილებულად გადმოსცემენ იმ გრძნობას, რაც ადამიანის სულისა და ხორცის გაყრის შინაარსს უკავშირდება.

მოკლვა – მოკუდინება – მოკუდომა – სიკუდილი – მოწყუედა – მოსრვა – წარწყმედა – აღსრულება – გარდაცვალება – შესუენება – სულის აღმობერა – სულის განტევება – სულის აღმოტევება – ამიერ სოფლით ცვალება – ამიერ სოფლით განსლვა – სულის წარწყმედა – სულის განტუება – სულის წარწედა

მოკლვა – მოკუდინება:

ყოველი კრებული ერისათვის ეძიებდეს ცრუ მოწამეთა იესუსთვეს, რადთამცა მოკლვა – მოკუდინება:

ეძიებდეს ცრუს წამებასა იესუსთვეს, რადთამცა მოკლვა – მოკუდინება:

სიკუდილი//მოკლვა-ა//მოკუდინება-ა ქართველური *კუდ-/კლ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ კუდ-/კლ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. კუდ- „წაყვანა, დაკარგვა სიკვდილის გამო“, კლ- „დანაკლისი“; ეს-კუდის „შემცირდეს“ (65). სიკუდილის ამოსავალი სემანტიკა სწორედ სვანურში დაცულ „დაკლებას, შემცირებას“ უკავშირდება.

სიკუდილი განიმარტება შემდეგნაირად: „მდგომარეობა, რომელიც იწყება მიწიერი ცხოვრების დასასრულს“ (114, 915); „სულისა და ჭორცის გაყრა“ (54); „დასრულება სიცოცხლისა, განშორება სულისა ხორცობან, სმერტ“ (92). სიკუდილი//მოკუდინება ბერძნულში გადმოიცემა სიტყვებით θανάτος, θανάτω „სიკვდილი, მოკლვა, მოკუდინება, მიცვალება“ (145; 127).

მოკლვა – მოწყუედა – მოსრვა:

სულსა ვერ გელ-ეწიფების მოკლვა – მოკუდინება:

სულთა თქუენთა ვერ შემძლებელ იყვნენ მო წ ყ უ ე დ ა დ, C.

იხ. აგრეთვე: მ. 21, 35.

სხუათა მათ შეიპრეს მონანი იგი და მო ს რ ნ ე ს, მ. 22, 6 C;

სხუათა შეიპრნეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მო წ ყ პ დ ნ ე ს, DE.

მო-სრ-ვ-ა//მო-წყუედ-ა რიცხვში მონაცვლე ზმნებია, რომლებიც ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მრავლის მოკვლას, ანუ „ამოწყვეტას, დახოცვას“ აღნიშნავენ (53; 92; 6; 33). სინონიმური წყვილი მოსრვა//მოწყუედა ბერძნულში გადმოიცემა ზმნით აποκτείνω „მოკვლა, განადგურება“ (145; 127).

მოკუდომა – აღსრულება:

ასული ჩემი აწ-და ესერა მო კ უ დ ა, მ. 9, 18 C;

ასული ჩემი აწ-და ა დ ე ს რ უ ლ ა, DE.

იხ. აგრეთვე: მრ. 5, 35.

აღ-სრულ-ებ-ა განიმარტება როგორც „ბოლოს გათავება“ (53); „გათავება, исполнять. // ახდენა, сбываться. // გარდაცვალება, умереть“ (92); „გარდაცვალება, მოსპობა“ (6); „შესრულება, დასრულება; გათავება, სიკადილი“ (33). მაშასადამე, აღსრულება ლექსემის ძირითადი მნიშვნელობაა „გათავება, შესრულება, დასრულება“, ხოლო „გარდაცვალება“ მეორეულია. ამდენად, იგი სიკადილის ევფემიური მონაცვლეა. ბერძნულში აღსრულება გადმოცემულია ასევე ევფემიური სიტყვით τελευτά „სიკადილი; დამთავრება, დასრულება“ (145; 127).

სიკადილი – გარდაცვალება:

გ ა რ დ ა ი ც გ ა ლ თ ს იგი ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა გ ა ნ ცხორებად, ი. 5, 24 DEC.

უმჯობეს არს კაცისა ერთისა ს ი კ უ დ ი ლ ი ერისათუს, ი. 18, 14 DEC.

გარდა-ცვალ-ებ-ა განიმარტება, როგორც „შეცვლა, ადგილმონაცვლეობა“ (6). დასახელებულ მაგალითში (ი. 5, 24) გარდაცვალება სიკადილის გამო ადგილის გადანაცვლებას ნიშნავს. ბერძნულში გარდაცვალებას გადმოსცემს ლექსემა μεταβαίνω „წასვლა, დატოვება; გადასვლა, გადაადგილება; მოკვდომა“ (145; 127).

შესუენება:

მრავალნი გუამნი (ვორცნი, C) ჟ ე ს უ ე ნ ე ბ უ ლ თ ა წმიდათანი აღდგეს, მ. 27, 52 DE.

შე-სუენ-ებ-ა საერთოქართველური *სუ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ სუ- ებ- ფორმას შეესატყვისება მეგრ. **შვ-ანდ-**, ლაზ. **შვ-ან-/შვ-აჯ-** და სვანური **შვ-ემ-** ფუძეები. შესატყვისობები ვლინდება მათ სემანტიკაშიც, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა „უკავშირდება „მოსვენებას, დასვენებას“ (65). **შესუენება** განიმარტება, როგორც „დროის მიცემა მოსასვენებლად დადალულისა, დასვენებას, დასვენებას, მნიშვნელობა „უკავშირდება „მოსვენებას, დასვენებას“ (65). **შესუენება** განიმარტება, როგორც „დარდაცუალება, უმирა, პირზე“ (92); „გარდაცვალება, აღსრულება“ (6; 33).

მოსრვა – წარწყმედა:

მოვიდეს და მ ო ს ო ნ ე ს ქუეყანის მოქმედნი, მრ. 12, 9 DE;

მოვიდეს და წ ო რ წ ყ მ ო დ ნ ე ს მოქმედნი იგი მის ვენაჭისანი, C.

წარ-წყმედ-ა განიმარტება, როგორც „დაკარგვა“ (54); „აღსპობა, ანუ გამოხვება ნეტარებისაგან“ (92); „დაკარგვა, გამოლევა, ცოორმა“ (6); „დაკარგვა, დაღუპვა“ (33). ლექსიკონთა მიხედვით, **წარწყმედის** ძირითადი მნიშვნელობაა „დაკარგვა“, ხოლო „დაღუპვა“ ანუ იგივე „სიკვდილი“ მეორეულია. **წარწყმედას** ეფარდება ბერძნულ ში აπολείπო „დატოვება, დარჩენა; დაკარგვა...“ (145; 127).

სულის აღმობერა – სულის განტევება – სულის აღმოტევება:

იესუ აღუტევა წმავ და ა ღ მ ო ბ ე რ ა ს უ ლ ი, მრ. 15, 37 C;

იესუ წმა-ყო წმითა დიდითა და გ ა ნ უ ტ ე ვ ა ს უ ლ ი, DE.

იესუ კუალად დაღად-ყო წმითა დიდითა და გ ა ნ უ ტ ე ვ ა ს უ ლ ი, გ. 27, 50 DE;

იესუ წმა-ყო წმითა დიდითა და ა ღ მ ო უ ტ ე ვ ა ს უ ლ ი, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 15, 39; ლ. 23, 46; ი. 19, 30.

სულის აღმობერა//სულის განტევება//სულის აღმოტევება ევფემიურად მონაცელები ფრაზეოლოგიზმებია **სიკუდილისა**¹³. ანიმალისტური წარმოდგენის

¹³ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ სად უნდა იქნეს განხილული ამ სახის მიმართებანი: ლექსიკურ სინონიმიაში თუ ფრაზეოლოგიურ სინონიმიაში. ც. კიკვიძეს აღ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ ნაკლად მიაჩნია სიტყვა სინონიმების გვერდით ფრაზეოლოგიზმების წარმოდგენა, ხოლო ნ. დუგაროვი ამას

მიხედვით, ყოველ სხეულში ჩასახლებულია სული, რომელიც მას სიცოცხლეს ანიჭებს. ადამიანი მანამ არის ცოცხალი, სანამ სული უდგას. სული, სხეულისაგან განსხვავებით, არამატერიალური, თავისთავადი, უკვდავი რამ არის და სიკვდილის, სხეულთან გაყრის შემდეგაც განაგრძობს არსებობას იმქვეყნიურ სამყაროში (72, 600; 3, 80) ეს შეხედულება ასახულია სიკვდილის ეფუძნებული მონაცელე შესიტყვებებში: სული აღმობერა//სული განუტევა// სული აღმოუტევა. აღმობერა ნიშნავს „ამოშვებას“ (6), ხოლო განტევება „გაშვებას“ (53; 92; 6). დასახელებულ სინონიმურ ოდენობებს აღმობერა სული//განუტევა სული ბერძნულში ტეტელის ტეტელი (ტეტელი, ტეტელი) ერთეულები გადმოსცემენ, რომელთა მნიშვნელობაა „სიკვდილი, გარდაცვალება...“ (145; 127). მაშასადამე, აღნიშნული სინონიმური შესიტყვებები საკუთრივ ქართული შედგენილობის არიან, რადგან მათ ბერძნულში ერთი ლექსიკური ერთეული მიემართება.

სულის აღმოტევება: ამოტევება ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს „ამოშვებას“. სულის ამოშვება კი სიკვდილთან არის გაიგივებული (33). სინონიმური წყვილი აღმოუტევა სული//განუტევა სული მ. 27, 50-ში ბერძნულ ტექსტშიც შესაბამისი ტეტელი τό πνεύμα შესიტყვებით არის გადმოცემული, რაც ნიშნავს „სულის ამოშვებას – სიკვდილს“ (145; 127).

ამიერ სოფლით ცვალება – ამიერ სოფლით განსლვა:

უწყოდა იესუ, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი მისი, რათა ი ც პ ა ლ ო ს ა მ ი ე რ ს თ ფ ლ ი თ მამისა, ი. 13, 1 C;

იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რათა გ ა ნ გ ი დ ე ს იგი ა მ ი ე რ ს თ ფ ლ ი თ და მივიდეს მამისა, DE.

ამიერ სოფლით ცვალება//ამიერ სოფლით განსლვა: ეს ფრაზეოლოგიზმები გულისხმობენ ამ სოფლიდან, ამ ქვეყნიდან იმ სოფელში ანუ საიქიოში „გადანაცვლებას, მისლვას“, რაც სიკვდილთან გაიგივდება.

სულის წარწყმედა – სულის განჯუება:

შრავ სარგებელ არს კაცისა უკუეთუ შეიძინოს სოფელი ყოველი და ს უ ლ ი თვსი წ ა რ ი წ ყ მ ი დ ო ს, მრ. 8, 36 DE;

სავსებით კანონზომიერად მიიჩნევს და ფრაზეოლოგიზმების ჩანაცვლებით წარმოდგენილ სინონიმებს ლექსიკურ სინონიმიაში განიხილავს (129, 29-30).

რაღმე სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და
განა ე კ უ ა ს ს უ ლ ი თვხი, C.

სულის წარწყმედა//სულის განტუება: სინონიმური ზმნები წარწყმედა და
განტუება აღნიშნავენ „დაკარგვას, დაღუპვას, დაკლებას, წალებას“ (53; 92; 6; 33),
ხოლო ევფემიური შესიტყვებები **სულის წარწყმედა//სულის განტუება** **სიკუდილის**
შესატყვის ფრაზეოლოგიზმებად მოიაზრებიან.

სულის წარგდა:

მოადგეს მას პურიანი და ეტყოდეს: ვიდრემდე ს უ ლ თ ა ჩუენთა
წ ა რ გ უ კ დ ი ? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, გპთხარ ჩუენ განცხადებულად, ი.
10, 24 DEC.

სულის წარკდომა განიმარტება, როგორც „სულის ამოსვლა, სულის
ამოხდომა“ (92; 33). ამ შესიტყვებას შესაბამის ბერძნულ თარგმანშიც ესადაგება
ფრაზეოლოგიზმი ψύχην ასრულებს (ასრულებს „მოკვდა, განგმირვა“ (145; 127).

მთელს ბიბლიაში გატარებულია ის აზრი, რომ ცოდვა და სიკვდილი
ერთმანეთთან არიან კავშირში. „სიკვდილი არის ნაწილი იმ სასჯელისა, რაც
ადამს ეწია ღვთისადმი დაუმორჩილებლობის გამო. როცა ქრისტე ჯვარზე მოკვდა,
მან თავის თავზე იტვირთა ადამიანურ ცოდვათა ყველა შედეგი, თავისი აღდგომით
კი სიკვდილი სძლია“ (12, 151). თავად **სიკუდილის** მონაცვლე დასახელებული
ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა კომპონენტების მთლიანობას კი არ უდრის,
არამედ მისი შემადგენელი ნაწილების პირდაპირ მნიშვნელობათა ჯამის მთლიანი
მეტაფორული გადააზრებით მიიღება (13, 74). მაშასადამე, ზემოაღნიშნული
სინონიმური ფრაზეოლოგიზმები **სემანტიკურად დაუშლელი** კომპონენტებია,
რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან გაგებას და ლექსემა „სიკუდილის“ ექვივალენტებს
წარმოადგენენ.

4.4. შიშის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

შიშის სემანტიკის შემცველ ზმნათა დომინანტურ ერთეულებს წარმოადგენენ
შინ- ძირისაგან მიღებული **შეშინება//შინება** ფორმები, რომლებიც სემანტიკური და
სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალური ლექსემებია. ისინი თავისუფლად
ენაცვლებიან რიგში შემავალ ნებისმიერ წევრს, ხოლო მათ მეწყვილე ზმნებში
ექსპრესიული ნიშნის მატება შეინიშნება.

შეშინება – შეძრწუნება – ძრწოლა – დამედგრება – აღტყდომა

შეშინება – შეძრწუნება:

ხოლო მათ შე ე ში ნა, ი. 6, 19 DE;

შე ძრწუნ დე ს დიდად, C.

ხოლო დედაკაცსა მას შე ე ში ნა და ძრწოლ და, მრ. 5, 33 DE;

ხოლო დედაკაცი იგი შე ში ნა და ძრწოლ და, C.

ხოლო იგინი შე ძრწუნ დე ს და შე ში ნა გბულ იყვნეს, ლ.

24, 37 DE.

იხ. აგრეთვე: ლ. 1, 12.

შე-შინ-ებ-ა//შინ-ებ-ა: შიში განიმარტება, როგორც „მწუხარება მომავლისაგან, ანუ მოახლებულისა ძვირის შემთხვევისა, ცორა. // მორჩილება, რიდის ქონება“ (92). **შინება//შეშინება** კი ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს „შიშის მიცემას, აშინებდეს“ (54); „შიშისაგან განკროომას“ (92), რომელთაც მიემართება ბერძნულში ზმნა ფიზიკა „შეშინება; შიშისაგან გაქცევა“ (145; 127).

შე-ძრწუნ-ებ-ა//ძრწოლ-ა: „შიშით ათრთოლება“ (54); „შიშით შეშფოთება, კანკალი, თრთოლა, потрясать, устрашать“ (92); „აცახცახება; შეკროომა“ (6); „შეშინება; შეწუხება“ (33). **შეძრწუნება//ძრწუნება** ლექსიკურ ერთგულებს ბერძნულში შეესატყვისება ზმნები πτοεόματ „შეშინება, შიში; გაკვირვება, გაოცება, აღელვება“ და τρέμω „ცახცახი, კანკალი; შიშისაგან აკანკალება“ (145; 127). **შინება//ძრწოლა** სინონიმური პარალელიზმის სახით გვხვდება მრ. 5, 33-სა და ლ. 24, 37-ში, სადაც **შეძრწუნება** მეტი ექსპრესიულობით, „ცახცახით“ გამოხატავს შიშის განცდას.

შეძრწუნება – შიში – დამედგრება:

ნუ შე ძრწუნ დე ბი ნ გული თქუენი, ნუცა ე ში ნი ნ, ი. 14, 27 DE;

ნუ შე ძრწუნ დე ე ბი ე დ გული თქუენი, და ნუცა დ ა ჰ მ ე დ-გ რ დ ე ბ ი თ, C.

და-მე-დგრ-ებ-ა ზმნა ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით δειλιάω „შეშინება“ (145; 127). მოხმობილ კონტექსტებში სახარების მთარგმნელი იყენებს სინონიმთა სუბსტიტუციურ მონაცემეობას, რითაც თავიდან იცილებს ერთი და იმავე სიტყვის

უხერხულ გამეორებას. შეძრწუნება//დამედგრება ექსპრესიული შინაარსის შემცველი ზმნებია. შეძრწუნება, როგორც აღინიშნა, „ცახცახით“ გამოხატავს შიშის განცდას, ხოლო დამედგრება შიშისაგან უძრავად გაჩერებას, გაქვავებას გულისხმობს.

შეძრწუნება – აღტყდომა:

რაჟამს გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავი ბრძოლათანი ნუ შეკს ძრწუნდებით, მრ. 13, 7 DE;

რაჟამს გესმოდის თქუენ ბრძოლამ და კმავ წყობისამ, ნუ აღტყდებით, C.

აღ-ტყდომა შიშისაგან „ანთებას, შეშფოთებას“ გულისხმობს, რომლის შესატყვი-სია ბერძნულში ზმნა ტრიეტის.

დაკრება – განკრება – კრება – შეცბუნება – დასულება –

განკრომა – შინება

დაკრება – კრება – შეცბუნება:

ყოველმან ერმან იხილეს იგი და და უკარდა და და მირბიოდეს მისა, მრ. 9, 15 DE;

ყოველმან მან ერმან იხილა, შეკცდუნდეს და და მირბიოდეს, C.

და უკარდა დებოდა სიტყუათა მათ მისთა ზედა მადლისათა, ლ. 4, 22 DE;

უკარდა და სიტყუათა მათ მისთა ზედა მადლისათა, C.

და-კრება//გან-კრება//კრება საერთოქართველური *კურ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ კურ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული კურ-, ლაზური კურ- და სვანური კურ-“, რომელთა სემანტიკაც „გაკვირვებას; უკრადლების მიქცევას; დაკვირვებას“ უკავშირდება (65).

და-კრება განიმარტება, როგორც „დიდხან დამზერა“ (53); „დიდად განცვლება, უდивляться. // დასტერება, გრძლად სინჯვა, ვსматриваюсь“ (92); „გაოცება, გონის დაკარგვა, გაშტერება, გასულელება, შეშინება“ (6); „გაკვირვება“ (33). დაკრებას მიემართება ბერძნულში ზმნა თაუმაჯა „გაკვირვება, გაოცება, განცვილება, გაშტერება...“ (145; 127).

შე-ცბ-უნ-ებ-ა: „გაშტერებასავით“ (54); „გაპვირვება“ (33). მაშასადამე, შეცბუნება ზმნა შიშისაგან გაშტერებას ნიშნავს.

დაპრება – განკრება – დასულება:

მოწაფეთა და უკარდებოდა სიტყუასა ამას ზედა, მრ. 10, 24 DE;

მოწაფენი იგი მისნი და სულება ული იყვნეს სიტყუასა მას, C.

იხილეს იგი და განუკარგოდა, ლ. 2, 48 DE;

ხედვედ მას და დასულებიან ნ, C

და-სულ-ებ-ა//შე-სულ-ებ-ულ: ლექსიკონთა განმარტებით „დაჩუმება“ (53); „გაოცება, გაშტერება, გონის დაკარგვა“ (6); „შეშფოთება, დაბნედა“ (33). ამდენად, დასულება//შესულებულ ლექსიკური ფორმები შიშისაგან „გონის დაკარგვას“, ხმის ჩავარდნას, ანუ „დადუმებას“ აღნიშნავენ.

გან-კრ-ებ-ა//კრ-ებ-ა: ლექსიკონთა მიხედვით არის „შიში დიდი(სა)ოცნებისაგან“ (53); „აღტაცებითი გრძნობა უჩვეულოსა რისმე ხილუსა, ანუ საოცრებისაგან, უდивлять, изумлять, дивиться“ (92); „გაოცება, გაშტერება, გაშეშება“ (6). **განკრება//კრება** ლექსიკურ ერთეულებს ეფარდება ზმნა თამატებით „გაპვირვება, გაოცება, განცვიფრება“ (145; 127).

დაპრება – განკრომა – შინება:

იხილეს ჭაბუკი ერთი, მჯდომარე მარჯუენით კერძო, რომელ მოსილ იყო სამოსლითა სპეტაკითა, და და უკარდებოდა, მრ. 16, 5, C;

იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა და განუკარგოდა, მრ. 16, 6 DE.

ხოლო მან პრქუა მათ: ნუ განკარგოდოთ ებით, მრ. 16, 6 DE;

მან პრქუა მათ: ნუ გეშინინ, C.

გან-კრთ-ომ-ა ქართველური *კერთ-/კრთ- ძირის მქონე ლექსიკური ერთეულია. „ქართულ კრთ- ძირის კანონზომიერი შესატყვისებია მეგრული კუთ- და ლაზური კუთ-“ (65). **განკრთომა** ნიშნავს „შეშინებას; ანაზღი მცირე შიშს“ (53); „ანაზღად გაკრვებას და შიშს“ (92). მაშასადამე, **განკრთომა** მოულოდნელი გაპვირვებით გამოწვეულ შიშს ნიშნავს, რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა ერთამატებით „შიშისგან გაშეშება“ (145; 127).

ამდენად, შეშინება//შინება ერთეულებს სინონიმური რიგის წევრები ძირითადად ექსპრესიული ნიშნით ემიჯნებიან. ამიტომ, შიშის სემანტიკის ჯგუფში შემავალი ლექსემები სინონიმთა სტილისტურ ტიპს უფრო მიეკუთვნებიან, ვიდრე სემანტიკურს.

4.5. ცემის სემანტიკის აღმნიშვნელი სინონიმური ზმნები

ცემა – ტანჯვა – გუემა – რეპა – გურთით ცემა – შოლტით ცემა –

ქვით ცემა – ქვით დატბნვა

ცემა – ტანჯვა – გუემა:

ხოლო მოქმედთა მათ ჰასცეს და ტანჯვა და გუემა იგი, ი. 19, 1 C. ცალიერი, ლ. 20, 10 DEC.

მას ჟამსა მიიყვანა იესუ პილატე და გუემა იგი, ი. 19, 1 C;

მაშინ მიიყვანა პილატე იესუ და ტანჯვა იგი, DE.

იხ. აგრეთვე; მ. 8, 29; 10, 17; 20, 19; 23, 34; მრ. 12, 5; 13, 9.

ც-ემ-ა ქართველური *ც- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ ც- ძირს შეესატყვისება მეგრული წ- და ლაზური წ-“, რომელთა სემანტიკა „დარტყმის; მიცემის; კბენის; დაჯახების“ მნიშვნელობებს შეიცავს (65). ცემა ზმნა ლექსიკონთა მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: „არგნით ცემა; საბოძვრის ბოძება“ (54); „(ვცემ) ოდესცა ნიშნავს გვემასა, მაშინა არა რომელთამე დროთა შინა მიიღებს ზედდართულთა, ბить, უдарять“ (92). ცემა ზემოდასახელებულ სინონიმურ რიგში მხოლოდ „დარტყმის“ სემანტიკას შეიცავს, რომელსაც ეფარდება ბერძნულში ზმნა ბერძნულში „რტყმება, ცემა“ (145; 127).

ტანჯ-ვ-ა ნასესხებია სკრ. ფორმიდან tanč (4, 377), რომელიც განიმარტება, როგორც „უწყალო(დ) გვემა“ (54); „გუემა, წგალება, წამება, მუჩить, ბить“ (92); „გვემა, ცემა; დასჯა“ (6; 33). როგორც აღინიშნა, **ტანჯვა** ცემის მნიშვნელობას შეიცავს, ოდონდ ძლიერი ანუ „უწყალოდ“ ცემის ნიუანსს გადმოსცემს. **ტანჯვას** მიემართება ბერძნულში ზმნა μαστίζω „მაგრად ცემა, გამათრახება, გაშოლტვა“ (145; 127).

ზმნური ერთეულები ცემა//ტანჯვა სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება ლ. 20, 10-ში. აღნიშნულ შემთხვევაში პარალელიზმის ისეთ სახესთან გვაქვს საქმე, როგორც სინონიმური წყვილის პირველი წევრი საკუთრივ ქართული

წარმოშობის მქონე ერთეულია, ხოლო მეორე კი ნასესხები, უცხო ენის კუთვნილება (97, 692- 695). საგულისხმოა, აგრეთვე დასახელებულ წყვილთა შორის სემანტიკური განსხვავება. ტაჯგა მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევა, იგი შეუბრალებლად ფიზიკურ ზემოქმედებას გულისხმობს, ხოლო ცემა ნეიტრალური სტილისტური ნიშნით ხასიათდება.

გუემა- ქართველური *გუემ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ **გუემას**, შეესატყვისება მეგრული გამ- გამუ- „ცემა“ (65). **გუემა** ზმნას ბერძნულში ეფარდება ლექსემები βάσαλίζω „ტანჯგა, წამება...“ და δαρεσόμαι, δέρω „ცემა, კანის გადაყველფა, გადატყავება, გადაძრობა“ (145; 127). მაშასადამე, **გუემა** კანის გადაძრობამდე ცემას გულისხმობს.

გუემა – შოლტით ცემა:

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იქსუ გ უ ე მ ა და მისცა მათ რათა ჯუარს-აცუან, გ. 27, 26 C;

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იქსუს შოლტით ა ჟ ს ც ა და მისცა მათ, რათა ჯუარს-ეცუას, DE.

შოლტით ცემა: ეს შესიტყვება იხმარება აგრეთვე დარტყმის აღსანიშნავად (გ. 27, 26) სადაც ყურადღება გამახვილებულია მოქმედების ინსტრუმენტები, შოლტები ანუ რითაც სრულდება მოქმედება. **შოლტით ცემა** შესიტყვებას ბერძნულში ეფარდება ზმნა φραγελλόω „გამათრახება, გაშოლტვა“ (145; 127).

ჭკრთით ცემა – რეგა:

იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა და კ ჟ რ თ ი თ ა ც ე მ ა დ მისა, გრ. 14, 65 DE;

დაპტურიან პირსა მისსა, კ რ ე კ ე დ მას და ეტყვედ, C.

ჭკრთით ცემა//რეგა: რეგა არის „დაკაპუნება; მორეკა ნადირთა; სარეკლის კრვა“ (54; 92); „კაპუნი“ (6). მაშასადამე, რეგა ზმნა იმგვარ მოქმედებას აღნიშნავს, როცა ფიზიკური ზემოქმედების ანუ ცემის შედეგად გამოიცემა „რახუნის, კაპუნის“ ხმა. **ჭკრთით ცემა** კი ნიშნავს მჯიდით ანუ მუშტით ცემას. (54) რეგა ზმნაში აქცენტი გაკეთებულია მოქმედების ინსტრუმენტის დარტყმით გამოცემულ თანმხლებ ხმაზე. **ჭკრთით ცემა//რეგა** ლექსემების ფარდია ბერძნულში ზმნა κολάπτω, κολαφίζω „ჯოხის ცემა; მუშტით ცემა...“ (127).

ქვით ცემა – ქვით დატკნვა:

დაღადებნ და ქ ვ ი თ ა ი ც ე მ ნ თავსა თვისსა, მრ. 5, 5 DE;

დაღადებნ და ქ ვ ი თ ა დ ა ი ტ პ ნ ვ ი ნ, C.

ქვით ცემა//ქვით დატკნვა: „თავის გაჭყლება“ (6); „ქვის თავში ცემა, ქვით თავის გატეხა“ (33). სინონიმური შესიტყვებები **ქვით ცემა//ქვით დატკნვა** ბერძნულში გადმოიცემა ერთი ლექსემით κατακόπτω „დარტყმა, ცემა, დარტყმის მიყენება“ (145; 127). დასახელებულ სინონიმურ წყვილშიც იკვეთება ის ინსრტუმენტი, რითაც სრულდება მოქმედება როგორც ამას ბუდაგოვი მიუთითებს (129, 408).

4.6. დაბახების, ხმობის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

წოდება – მოწოდება – მიწოდება – მოწესა – ჩინება – რქუმა – ხადა –

მოხადა – შეხადა – წმობა – წმის-ყოფა – დაღადება – დაღად-ყოფა –

ყივილი

წოდ-ებ-ა – ჩინ-ებ-ა:

არა მოვედ წ ო დ ე ბ ა დ მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად, გ. 2, 17 DE;

არა მოსრულ ვარ ჩ ი ნ ე ბ ა დ მართალთა, არამედ ცოდვილთა, C.

წოდ-ებ-ა – რქუ-მ-ა:

ამისათვის ე წ ო დ ა აგარაქსა მას, აგარაქი სისხლისაღ, გ. 27, 8 DE;

ამისათვის ე რ ქ უ ა აგარაქსა მას აგარაკ სისხლის, C.

სახლსა ჩემსა სახლ თავყანის-საცემებლ ე წ ო დ ო ს, მრ. 11, 17 C;

სახლსა ჩემსა სახლ სალოცვებლ ე რ ქ უ ა ს, DE.

იხ. აგრეთვე: ი. 15, 15;

მო-წოდ-ებ-ა – მო-ხად-ა:

წარვედით მებოძირებსა გზათასა და რაოდენიცა პპოვნეთ, მ ო უ წ ო დ ე თ ქორწილსა ამას, გ. 22, 9 DE;

აწ განვედით განსავალთა ზედა გზათასა და რავდენიცა პპოოთ, მ ო ხ ა-დ ე თ ქორწილსა ამას, C.

იხ. აგრეთვე: გ. 11, 16; ი. 4. 16; 9, 24; 11, 8.

მი-წოდ-ებ-ა – შე-ხად-ა – მი-ხად-ა:

შევიდა მეორედ ტაძართა მათ პილატე, მ ი უ წ ო დ ა იქსუს, ი. 18, 33 C;

შევიდა პილატე კუალად ტაძრად და შ ე პ ხ ა დ ა მუნ იქსუს, DE.

მ ი პ ხ ა დ ე ს იქსუს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას, ი. 2, 2 DEC.

მო-წოდ-ებ-ა – ჯმ-ობ-ა:

ვიდრე ფილიპეს გ მ ო წ ო დ ე ბ ა დ მ დ ე შენდა, რამეთუ იყავ ლელუსა მას ქუეშე, გიხილე შენ, ი. 1, 48 C;

ვიდრე ფილიპესა მ ო ბ ა დ მ დ ე შენდა, იყავ რავ ლელუსა ქუეშე, გიხილე შენ, DE.

მო-წეს-ა:

რომელნი მ ო უ წ ე ს ე დ მოყუასთა მათთა, ლ. 7, 39 CD;

რომელნი მ ო უ წ ე ნ დ მოყუასთა მათთა, E.

ჯმ-ობ-ა – ღაღად-ებ-ა:

რომელ გ მ ო ბ დ ა ტაძარსა მას შინა, მ. 21, 15 C;

რომელ ღ ა ღ ა დ ე ბ დ ა ტაძარსა მას შინა, DE.

ჯმ-ობ-ა – ღაღად-ყოფა:

გ მ ო ბ დ ე ს ვმითა დიდითა: შემიწყალენ ჩუენ, იქსუ, მ. 20, 30 DE;

ღ ა ღ ა ტ – ყ ვ ე ს და ოქუეს: შემიწყალენ ჩუენ, იქსუ C.

მეყსეულად გ მ ა – ყ ო მამამან მის ყრმისამან, მრ. 9, 24 DE;

მუნქუესვე ღ ა ღ ა ტ – ყ ო მამამან მის ყრმისამან, C.

ჯმ-ობ-ა – ხად-ა:

რომელთამე თანა მდგომარეთა ვითარ ესმა, იტყოდეს, აკა ელიას უ გ მ ო ბ ს, მრ. 15, 35 C;

რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა და იტყოდეს: აკა ელიას ჰ გ ა დ ი ს, DE;

ქათმის ჯმ-ობ-ა – ყიზ-ილ-ი:

ვიდრე ქათმისა გ მ ო ბ ა დ მ დ ე, სამ გზის უგარ-მყო მე, მ. 22, 36 DE;

ვიდრე ქათმის ყ ი ვ ი დ მ დ ე, სამ გზის უგარ-მყო მ[ე], C;

იხ. აგრეთვე: მრ. 13, 35; 14, 30;

წოდება//მოწოდება//მიწოდება ლექსიკური ერთეულები ქართველური *წოდ- ძირიდან მომდინარეობენ. „ქართულ წოდ- „უწოდს, წოდება“ შეესატყვისება სგანური ჭუდ-, ლი-ჭუდ-ი „კითხვა“, ხე-ჭუდ-ი-ელ „ეკითხება“ (65).

წოდება ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „დაძახილი, ძახება“ (54); „დაძახება, ხმობა// დარქმევა, სახელის მიცემა“ (92); „დაძახება“ (6); „(სახელის) დარქმევა; მოწოდება, მოხმობა“ (33). წოდებას ბერძნულში ეფარდება ზმნა κάλεω „დაძახება, მოწოდება; სახელის დარქმევა“ (145; 127).

რქუმა საერთოქართველური *რექ-/რქუ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ რქუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული რაჭუ- და სგანური რექ-/რაჭუ“, რომელთა სემანტიკა „თქმას, ლაპარაკს“ უკავშირდება (65). რქუმა განიმარტება, როგორც „პრქვა, უთხრა“ (54); „ხმარებული სრულთა შინა დროთა, ხოლო აწინდელსა შინა თქმა“ (92).

მოწოდება ზმნა კი აღინიშნავს შემდეგს: „მოწოდება არს მოყვასთა მოჯმობა, ხოლო მოხადე – უაღრესისა და დაუძახე უდარესთათვის“ (53); „მოხმობა, მოწვევა“ (92); „დაძახება, შეკრება“ (6).

მიწოდება ნიშნავს აგრეთვე „დაძახებას, მიწვევას“ (6). მი- ზმნისწინი შესაბამისად საიქეთო მიმართებას აღნიშნავს. მოწოდება/მიწოდება ფორმებს ბერძნულში მიემართება ზემოდასახელებული ზმნა κάλεω.

მოწესა ზმნაც ასევე „მოწოდებას, მოხმობას, დაძახებას“ ნიშნავს, რომლის ფარდია ბერძნულში προσφωνέω „დაძახება, მოხმობა, სახელის დარქმევა“ (145; 127).

წინება განიმარტება, როგორც „გამორჩევა, მოწოდება, ანუ დანიშვნა რომელსამე საქმესა ზედა“ (92); „წვევა“ (6); „მოწვევა, მოწოდება“ (33).

ხადა: ლექსიკონთა განმარტებით „დმერთს მოუწოდა, გინა უაღრესსა“ (54; 92); „მიპატიუება, მიწვევა, მოწოდება, მოხმობა, დაძახება“ (33).

მოხადე: მოხადე „უაღრესს მოუწოდე“ (53); „დაძახება, მოწოდება, მოხმობა, მოწვევა“ (33). მაშასადამე, მოხადე „მოწოდებას“ აღნიშნავს, ოღონდ „უაღრესის მოწოდებას“. მიხადე/მოხადე ერთეულებს ბერძნულში გადმოსცემს ზმნა ფიνέω „ხმამაღლა დაძახება, მიწვევა, მიპატიუება“ (127).

შეხადე ზმნაც „მოწოდებას, მოწვევას, დაძახებას“ ნიშნავს (6; 33), ოღონდ მოხმობილ კონტექსტში (ი. 18, 33) შეხადა ფორმა გარედან შიგნით „შეპატიუებას, შეხმობას“ გულისხმობს, რომლის ფარდია ბერძნულში კვლავ ფინέω ზმნა.

ჭმობა//ჭმის-ყოფა: „ხმის გამოღება// მოწოდება, მოხმობა“ (92); „დაძახება, უღერა, ყვირილი; მოწოდება“ (6); „ყვირილი, ხმამაღლა დაძახება, დაყვირება“ (33). **ჭმობა//ჭმის-ყოფა** ერთეულები ბერძნულში გადმოიცემა ზმნით კრაცა „დაყვირება, ღრიალი, ყვირილი...“ (145; 127).

დაღად-ყოფა მომდინარეობს ქართველური დად- ძირიდან. „ქართულ დად- ძირს შეესატყვისება ლაზური დოდ- (ლაზურში დოდ- ძირს უკავშირდება, როგორც „თქმის“, ასევე „ქმნის“ მნიშვნელობები) და სვანური დდ- (*დად)“ (65). **დაღად-ყოფა** ლექსიკონთა მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: „ესე ითქმის ყოველივე წმამაღლობით ჭმის-ყოფა...“ (54); „ხმამაღლა ზახილი“ (92); „დაძახება“ (6); „ყვირილი, ხმამაღლა ძახილი“ (33). **დაღად-ყოფა** გადმოიცემა ბერძნულში ზმნით კრაცა.

ყივ-ილ-ი: „მაღალი ჭმიანობა“ (54); „მამლის ხმიანობა, კივილი, ღაღადება კაცთა“ (92); „ძახილი“ (6). მოხმობილ მაგალითშებში (მ. 22, 36...) ყივილი „მამლის ხმიანობას“, ანუ დაყივლებას აღნიშნავს.

4.7. მოტაცების, მოპარვის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

გამოღება – გამორთუმა – მოქუმა – იავარის-ყოფა – გამოტყუენვა

გამო-ღ-ებ-ა:

ვის გელ-ეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლვად და ჭურჭელი მისი გა ა მ ო დ ე ბ ა დ, მ. 12, 29 DE;

გამო-ღ-ებ-ა საერთოქართველური *ღ- ძირიდან მომდინარეობს, რომლის სემანტიკა „წაღებას; წართმევას“ უკავშირდება (65). **გამოღება** განიმარტება, როგორც „შიგნიდამ გამოტანა“ (53); „გამოტანა, ანუ გამოზიდვა, წარმოება, აღმოცენება“ (92); „მოცემა, მოტანა, გამოცილება, ჩამორთმევა“ (6).

გამო-ღ-ებ-ა გამო-რთუ-მ-ა:

გ ა მ ო ი ღ ე თ სამოსელი იგი პირველი და შეპმოსეთ მას, ლ. 15, 22 DE;

გ ა მ ო ა რ თ უ თ მაგას კუართი იგი წინავ და შთააცუთ მაგას, C.

გამო-რთუ-მ-ა ნიშნავს „ნაქონები თვისი მოუდოს“ (53); „მიღებას, ჩამორთმევას“ (92); „გამორთმევას, მორთმევას“ (6). **გამორთუმა** აღნიშნულ კონტექსტში სამოსლის გამოტანას აღნიშნავს, რომელსაც ბერძნულში ეფარდება ზმნა ჰერება, „გამორთმევა, ნაპირზე გამოტანა...“ (127).

გამო-ღება – მო-ქუმა:

გ ა მ თ ი ღ ი ს ერთმან ოც და ათი და სამმეოცი და ასი, მრ. 4, 8 C;

მ თ ა ქ უ ნ დ ა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული, DE.

მო-ქუნა ლექსემას ბერძნულში მიემართება ზემოდასახელებული ზმნა ფერა, რომელიც დასახელებულ კონტექსტში (მრ. 4, 8) მრავალი ნაყოფის „გამოტანას“ აღნიშნავს.

იავარის-ყოფა:

ვერ უძლის შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭრისა მისისა ი ა ვ ა რ ი ს – ყ რ ფ ა ვ, მ. 12, 29 C.

იავარ-ყოფა განიმარტება, როგორც „მიტაცება; ნადავლად ჩაგდება“ (6); „გაძარცვა, აკლება, დატაცება“ (33).

იავარის-ყოფა – გამო-ტყუნ-ვა:

არცა უძლის ვინ შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი იავარ-ყვის, მრ. 3, 27 C;

არცა ველ-ვის-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭერი მისი გ ა მ თ ტ ყ უ ე ნ ვ ა დ, DE.

გამო-ტყუნ-ვა ნიშნავს „გაძარცვას, ალაფობას, ტყველ წაყვანას“ (6; 33). **იავარის-ყოფა//გამოტყუნვა** სინონიმურ ერთეულებს ბერძნულში შეესატყვისება ზმნა ტრაპაზა „შეპყრობა; მითვისება; გაძარცვა“ (127).

4.8. ხილვის, გამოცხადების სემანტიკის გამომხატველი სინონიმური ზმნები

გამოცხადება – განცხადება – გამოჩინება – გამოჩენა – ჩუენება –

საცნაურ-ყოფა – გრძნობა

გამო-ცხად-ება – გან-ცხად-ება:

სამ გზის გ ა მ თ უ ც ხ ა დ ა იესუ თავი თჯის მოწაფეთა თჯსთა, ი. 21, 14 DE;

სამ გზის გ ა ნ ე ც ხ ა დ ა იუსუ მოწაფეთა მათ, C.

გამო-ცხად-ება: ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება, როგორც „გამოჩენასა-ვით“ (53); „გამოჩენა // აპოკალიპსი, წიგნი იოანე მახარებლისა“ (92); „განმარტება, გაშიშვლება, გაცნობა; გამოჩენა, ნათლისდება; სახე, აზრი“ (6).

გან-ცხად-ებ-ა: „საცხადოდ შექმნა“ (53); „ცხადად გამოჩენა, გამოცხადება“ (92); ჩვენება, გამოჩენა, ზმანება, გამოაშკარავება“ (6). გამოცხადება// განცხადება სინონიმურ ერთეულებს ბერძნულში ეფარდება ზმნა ფაνερόა „გამოჩენა, გამოცხადება, გამოაშკარავება“ (145; 127).

გან-ცხად-ებ-ა – გამო-ცხად-ებ-ა – გამო-ჩინ-ებ-ა:

არავინ ფარულად რასმე იქმნ და პნებავნ, ვითარმცა გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ უ ლ
იყო, ი. 7, 4 DE;

რამეთუ არა არს, რომელი დაფარულად რას ვინ იქმნ და გ ა მ თ ა ჩ ი-
ნ ე ბ ნ თავსა თვისსა კადნიერ ყოფად, C.

არა არს საიდუმლო, რომელიმცა არა გ ა ნ ც ხ ა დ ნ ა, და არცა
დაფარული რავ არს, რომელი არა გ ა მ თ ჩ ნ დ ე ს, მრ. 4, 22 C;

არა არს დაფარული, რომელი არა გ ა მ თ ც ხ ა დ ნ ე ს, არცა
საიდუმლო, რომელი არა განცხადებულად მოვიდეს, DE.

გან-ცხად-ებ-ა – გამო-ცხად-ებ-ა – გამო-ჩენ-ა:

ეგრე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისა გ ა მ თ ც ხ ა დ ნ ე ს, ლ. 17, 30 C;

ეგრევე იყოს დღე იგი, ოდეს ძვე კაცისავ გ ა მ თ ჩ ნ დ ე ს, DE.

არა არს დაფარული, რომელი არა გ ა მ თ ჩ ნ დ ე ს, არცა საიდუმლო
რომელი არა გამოცხადნეს, მ. 10, 26 DE;

არა არს დაფარულ, რომელ არა გ ა ნ ც ხ ა დ ნ ე ს, არცა საიდუმლო,
რომელი არა გ ა მ თ ჩ ნ დ ე ს, C.

გამო-ჩინ-ებ-ა//გამო-ჩენ-ა განიმარტება როგორც, „საცხადოდ ქმნა“ (53);
„დანახვება, გამოტანა სანახავად // გამოცხადება // აღმოჩინება, წარმოჩინება“ (92);
„გამოცხადება, ჩვენება, გაშიშვლება“ (6). გამოჩინება//გამოჩენა ლექსიკურ ფორმებს
მიემართება ბერძნულში ზემოდასახელებული ზმნა ფანეროა, ხოლო
გამოცხადება//გამოჩენა სინონიმურ წყვილს გადმოსცემს აποკალύπτω „გახსნა,
გამოაშკარავება“ (145; 127).

გამო-ცხად-ებ-ა – ჩუენ-ებ-ა:

გ ა მ თ ე ც ხ ა დ ა მას ანგელოზი უფლისავ, ლ. 1, 11 C;

ე ჩ უ ე ნ ა მას ანგელოზი უფლისავ, DE.

შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გ ა მ ო კ ც ხ ა დ ნ ე ს მრავალთა, მ. 27, 53 DE;

შევიდეს წმიდასა ქალაქსა და ე ჩ უ ე ნ ნ ე ს მრავალთა, C.

ჩუენ-ებ-ა: „განკვირებით ხილვა“ (54); „დანახვება, გამოცხადება // მოჩვენება, ანუ სიზმარი“ (92); „ჩვენება, მოჩვენება, ხილვა, ზმანება, სიზმარი“ (6; 33). **ჩვენება** ლექსემას „დასიზმრების, მოჩვენების მნიშვნელონით ბერძნულში ეფარდება ზმა აშფარ, ტრავ „ჩვენება, დანახვა; ხილვა, ხოლო „გამოცხადების, დანახვების“ მნიშვნელობით მას გადმოსცემს ზემოდასახელებული ფასერი ლექსიკური ფორმა.

გამო-ცხად-ებ-ა – გამო-ჩინ-ებ-ა – საცნაურ-ყოფა:

რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გ ა მ ო კ ც ხ ა დ ნ ე ს, არცა საიდუმლო, რომელი არა ს ა ც ხ ა უ რ ი ყ თ ს, ლ. 8, 17 DEC.

რამეთუ სიტყუაცა შენი გ ა მ ო გ ა ჩ ი ნ ე ბ ს შენ, მ. 26, 73 DE;

რამეთუ სიტყუაცა შენი ს ა ც ხ ა უ რ გ ყ თ ფ ს შენ, C.

საცნაურ-ყოფა ნიშნავს იმავე „გამოჩინებას“ (6). **გამოჩინება/საცნაურ-ყოფა** ერთი წინადაღების ფარგლებში დასტურდება სინონიმური პარალელიზმის სახით (ლ. 8, 17) და ორივე ფორმას ფასერი ლექსემა მიესადაგება.

გამო-ჩინ-ებ-ა – ხილ-გ-ა:

მოვიდეს და თქუეს, ვითარმედ გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ა ვ ა ც ა ანგელოზთავ ი ხ ი ლ ე ს, ლ. 24, 23 DE;

მოვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ხ ი ლ ვ ა ვ ა ნგელოზთავ ვ ი ხ ი ლ ე თ, C.

გამო-ცხად-ებ-ა – ჩუენ-ებ-ა – ხილ-გ-ა:

ჩ უ ე ნ ე ბ ა ვ რამე ი ხ ი ლ ა ტაძარსა მას შინა, ლ. 1, 22 DE;

ხ ი ლ ვ ა ვ ი ხ ი ლ ა ტაძარსა მას, C.

ანგელოზი უფლისა გ ა მ ო ე ც ხ ა დ ა ჩ უ ე ნ ე ბ ი თ იოსეფს ეგვაზე, მ. 2, 19 C;

ანგელოზი უფლისა გ ა მ ო უ ჩ ხ დ ა ხ ი ლ ვ ი თ იოსებს, DE.

ხილ-გ-ა: განიმარტება, როგორც „ნახვა“ (54); „ნახვა, განცდა, გასინჯვა, ანუ ჩვენება“ (92); „ნახვა, შენიშვნა, გასინჯვა, ჩვენება, სიზმარი, შესახედაობა, სანახაობა, ჩენა, გახელა“ (6); „ხედვა, ნახვა; მოჩვენება; სიზმარი; სახე, შესახედაო-

ბა“ (33). ხილვას, რომელსაც „მოჩვენების, გამოცხადების“ მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ კონტექსტებში ბერძნულში გადმოსცემს ლექსიკური ერთეული ოპთანომა „ჩვენება, გამოცხადება“ (145; 127).

ხილვა – შეხილვა – ხედვა – განცდა

ხილვა – შეხილვა:

ო ხ ი ლ ვ ი დ ე ს ურთიერთას მოწაფენი და ვერ იცნეს ვისთვს იტყოდა, ი. 13, 22 DE;

შ ე ხ ი ლ ხ ე ს ურთიერთას მოწაფეთა მისთა და შეზრუნდეს, C.

ხილვა – ხედვა:

ო ხ ი ლ ე თ და მღვდარე იყვენით და ილოცვევდით, მრ. 13, 33 DE;

ხ ე დ ე გ დ ი თ და იღვდებდით და თაყუანის-სცემდით, C.

ხედვა – განცდა:

თუალსა შინა შენსა დირესა არა ი ხ ე დ ა ვ, მ. 7, 3 C;

დირესა თუალსა შინა შენსა არა გ ა ხ ი ც დ ი, DE.

შეხილვა ნიშნავს „ერთმანეთის შეხედვას“ (33). **შე** ზმინიშვინს სწორედ დამატებითი სემანტიკა შემოაქვს ხილვა ზმინს მნიშვნელობაში.

ხედვა „არს თვალის ჩენა, გინა საქმე საცნაური, გინა მეცნიერება“ (54); „თვალით გარჩევა“ (92); „მზერა, შენიშვნა, კრძალვა“ (6); ხილვა//შეხილვა//ხედვა სინონიმურ ერთეულებს ბერძნულში შეესატყვისება ზმინა βλέπω „დანახვა, შეხედვა, ცერა...“ (154; 127).

განცდა: „დანახვა, მონახ(ვ)ება, გამოცდა“ (53); „გამოცდა, გასინჯვა // დანახვა, განხილვა, გასინჯვა“ (92); „დანახვა, შეხედვა, ცერა; გასინჯვა, გამოძიება; ცნობა“ (6). მაშასადამე, **განცდა** პოლისემიური ლექსემაა, რომელიც მოხმობილ მაგალითში (მ. 7. 3) „შეხედვას, დანახვას“ ნიშნავს, რასაც ბერძნულში ეფარდება ზმინა κατανοέω „შენიშვნა, დანახვა“ (145; 127).

4.9. დაცინვის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

კიცხვა – განკიცხვა – ბასრობა – მღერა – გმობა – შეურაცხება –

შეურაცხე-ყოფა

კიცხვა – ბასრობა:

იგინი ე პ ი ც ხ ე ვ დ ე ს მას, მრ. 5. 40 C;

იგინი ჰ ბ ა ს რ თ ბ დ ე ს მას, DE.

კიცხ-ევ-ა ლექსიკონთა მიხედვით არის „ქირდად აგდება, აგდება“ (54); „აგდება, დაცინება“ (92); „გმობა, დაცინვა, საცინლად აგდება“ (6; 33).

ბასრ-ობ-ა განიმარტება, როგორც „გარდამეტებული განკიცხვა“ (53; 92); „დაცინვა, გმობა“ (6; 33). ასე რომ, **ბასრობაც დაცინვაა, მხოლოდ იგი მეტისმეტად, გადამეტებულად დაცინვას ნიშნავს, რომელსაც შეესატყვისება ბერძნულში წლასფერია, რაც მას განკიცხვა, გამოცხვა, გაჭორვა“ (145; 127).**

კიცხ-ევ-ა – ბასრ-ობ-ა – გმ-ობ-ა:

რომელნი თანა-წარპვიდოდეს, ე კ ო ც ხ ე ვ დ ე ს მას, მრ. 15, 29 C;

თანა-წარმავალნი იგი ჰ გ მ თ ბ დ ე ს მას, DE.

თანა-წარმავალნი იგი ჰ ბ ა ს რ თ ბ დ ე ს მას, მ. 27, 39 C.

თანა-წარმავალნი იგი ჰ გ მ თ ბ დ ე ს მას, DE.

იხ. აგრეთვე: მ. 26, 65; მრ. 14, 64.

გმ-ობ-ა განიმარტება, როგორც „სიტყვა დმრთის უარის-ყოფისა და შჯულის დამჯსნელი“ (53); „გინება, შეურაცხ-ყოფა, ლანძღვა, ძრახვა“ (92; 6). მაშასადამე გმობა შეურაცხმყოფელ დაცინვას, ლანძღვას გულისხმობს, რომელსაც ეფარდება ბერძნულში ზემოდასახელებული ზმნა წლასფერია.

კიცხ-ევ-ა – მდერ-ა:

ე კ ო ც ხ ე ვ დ ე ს მას და ეტყვედ: გიხაროდენ, მეუფეო პურიათაო, მ. 27, 29 C;

ე მ დ ე რ დ ე ს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო პურიათაო, DE.

მდერ-ა ლექსიკონთა მიხედვით: „მდერა არს ესენიცა ჭადრაკთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა, და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც(ა) მდერად(ვე) იტყვიან...“ (53); „მსოფლიური გალობა, სიმდერა. // თამაშობა. // კიცხევა, დაცინვა“ (92); „ძვრა, თამაშობა, ხტომა, ცეკვა; დაცინვა (6; 33). მაშასადამე, **მდერა** პოლისემიური ლექსემაა. დასახელებულ სინონიმურ რიგში კი იგი „დაცინვას“ ნიშნავს, რომლის ფარდია ბერძნულში ეμπაίζო, „აბუჩად აგდება, მასხრად აგდება“ (145; 127).

კიცხ-ევ-ა – შეურაცხ-ყოფა – შეურაცხ-ებ-ა:

ე პ ო ც ხ ე ვ დ ე ს მთავარნი იგი მათ, ლ. 23, 35 C;

შ ე უ რ ა ც ხ – ჰ ყ ო ფ დ ე ს მთავარნიცა იგი მათ, DE;

ჯერ-არს ძისა კაცისად ვნება ფრიად და შ ე უ რ ა ც ხ – ყ ო ფ ა დ
მოხუცებულთაგან, მრ. 8, 31 DE;

ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებად და შ ე უ რ ა ც ხ ე ბ ა დ, C.

შეურაცხ-ყოფა//შეურაცხ-ებ-ა განიმარტება, როგორც: „მიუჩნევლობა და
ანგარიშში არ ჩააგდოს“ (54); „დაწუნება, უკადრისად მიჩნევა; არაფრად მიჩნევა“
(92); „უპატიოება, არაფრად მიჩნევა; არაფრად ჩაგდება, გინება, ძაგება; შერცხვენა“
(6); „არად ჩაგდება, უკადრება, უარყოფა, პატივის არცემა“ (33). შეურაცხ-ყოფას
ბერძნულში მიესადაგება ჸალ „შეურაცყოფა...“ (145; 127).

ბასრ-ობ-ა – გან-კიცხ-გ-ა – შეურაცხ-ყოფა:

რაჟამს დაასრულეს ბასრობა იგი მის ზედა, განპარცუეს ძოწეული
იგი, მრ. 15, 20 C;

ოდეს განკიცხება იგი, განპარცუეს მას ძოწეული იგი, DE.

რამეთუ ვეცხლის მოყუარე იყვნეს და შ ე უ რ ა ც ხ – ჰ ყ ო ფ დ ე ს
მას, ლ. 16, 14 DE;

რამეთუ ვეცხლის მოყუარე იყვნეს, განკიცხება იგი, C.

გან-კიცხ-გ-ა: სასაცილოდ აგდება“ (53); „გაქირდვა, აგდება“ (92) „დაცინვა“ (6;
33). **განკიცხვა** ბერძნულში გადმოიცემა ზმით καταγελάω „დაცინვა, საცინდლად
აგდება“ (145; 127).

4.10. გატეხის, დამტვრევის სემანტიკის მქონე სინონიმური ზმნები

განხეთქა – განთქდომა – განტეხა – დამუსრვა – შემუსრვა – განპება –

განხევა – გამობდლება

გან-ხეთქ-ა – შე-მუსრ-გ-ა:

ჯაჭვთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქა ეთი ქის და
შემუსრვა იგი, მრ. 5, 4 DEC.

გან-ხეთქ-ა – გან-სთქდ-ომ-ა:

არცა შთაასხიან ღუნოვ ახალი თხიერთა ძუელთა, რავთა არა განხეთქდა
ეთხეს თხიერნი, მ. 7, 19 DE;

არცა შთაასხიან ღვნოვ ახალი თხიერთა ძუელთა, უკუეთუ არა
გ ა ნ ს თ ქ დ ი ა ნ თხიერნი, C.

იხ. აგრეთვე: ლ. 5, 37.

გან-ხეთქ-ა – გან-პ-ებ-ა:

უძრეს გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ იქმნის, მრ. 2, 21 C;
უფროისად გ ა ნ ი პ ი ს, DE.

გან-პ-ებ-ა – გან-ხ-ევ-ა:

არა გ ა ნ ვ ა პ ო თ ეგე, არამედ წილ-ვიგდოთ მაგას ზედა, ი. 19, 24 C;
არა გ ა ნ ვ ხ ი ო თ ესე, არამედ წილს-ვიგდოთ ამას ზედა, DE.

მო-პ-ებ-ა – გამო-ღლებ-ა:

უკუეთუ არა, მ ო ა პ ი ს ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისად,
მრ. 2, 21, DE;

უკუეთუ არა, გ ა მ ო ი ლ ი ძ ი ს სწორად თჯსა ახალმან მან
ძუელისად,
C.

გან-ტებ-ა – და-მუსრ-ვ-ა:

გ ა ნ ტ ე ხ ნ ა პურნი იგი და მისცემდა მოწაფეთა თჯსთა, მრ. 6, 41 C;
დ ა მ უ ს რ ა პური იგი და მიპსცემდა მოწაფეთა თჯსთა, DE.
მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისა მის გ ა ნ უ ტ ე ხ ნ ე ს წვენი, ი.
19, 32 DE;

მოვიდეს ერისა კაცნი და პირველსა მას დ ა უ მ უ ს რ ნ ე ს წვენი, C.

გან-ტებ-ა – შე-მუსრ-ვ-ა – და-სხერ-ა:

ლერწამი შ ე მ უ ს რ ვ ი ლ ი არა გ ა ნ ტ ე ხ თ ს, პ. 12, 20 DE;
ლერწამი დ ა ს ხ ე რ ი ლ (ი) არა შ ე მ უ ს რ თ ს, C.

გან-ხეთქ-ა/გან-სოქ-დ-ომ-ა ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება შემდეგნაირად:
„მიწათა და კლდეთ(ა) განპება, გინა წერილთა და ნაქსოვთა დახევა“ (53);
„გაგლეჯა, გახეჩა, დახევა // განხეთქა ქშეყანისა“ (92); „გახევა, გაწყვეტა;
გასკდომა, გახეთქა“ (6); „გაგლეჯა“ (33). **განხეთქა** ლექსემას ბერძნულში ეფარდება
διεσπασμένως „გახეთქვა, შუაგულში გაწყვეტა“ (145; 127).

გან-ტეხ-ა საერთოქართველური ტეხ- მირიდან მომდინარეობს. „ქართულ ტეხ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ტახ- ლაზური ტახ- და სვანურ ტხ- (*ტეხ). შემონახულია ლა-ტხ-ი (<<სატეხი; წერაქვი>>) ფუძეში“ (შესატყვისობები ვლინდება აღნიშნულ ძირთა სემანტიკაშიც (65). **განტეხა** განიმარტება, როგორც „შემუსრვა“ (53); „ორად გაჩეხა, ანუ წურილად დამუსრვა); „მტვრევა“ (6). **განტეხა** ზმნას ბერძნულში შეესატყვისება ჰკლასა, რკა „გატეხა, მოტეხა“ (145).

შე-მუსრ-გ-ა განიმარტება, როგორც „დამტვრევა“ (54); „დამტურევა, დალეწა“ (92); „დაფშვნა, დამსხვრევა“ (6); „გატეხა“ (33).

და-მუსრ-გ-ა: „დაამტვრია“ (53); „დალეწა, დამსხვრევა“ (92); „დამტვრევა, დაწვრილმანება, დაფშვნა“ (6); „დამტვრევა, დამსხვრევა“ (33). მაშასადამე, დამუსრვა//შემუსრვა ზმნური სინონიმები წვრილ ნაწილებად დაფშვნას, დამტვრევას აღნიშნავენ, რომელთაც ბერძნულში გადმოსცემს ზმნა კათაკლას „დამტვრევა, დამსხვრევა...“ (145; 127).

გან-პ-ებ-ა ქართველური *პუ- მირიდან მომდინარეობს. ქართულ პ- გან-პ-ებ-ა <<გაპობა; გაპვეთა; გახეთქვა>>, მიემართება სვანური პუ- ნა-პუ <<ნაჭერი; ლუკმა>> (65). **განპება** „ესე არს ფრინველნი რა ფრთითა პაერთა განაპობს, გინა ნავი, ანუ თევზი, ანუ კაცი და ცხო(ვ)ელი შესლვითა წყალთა განაპობს. სამოსლის გახევაც განპებად ითქმის“ (53); „შუაზე გაჭრა, განკვეთა, გაჩეხა, გახეთქა, ან გაგლეჯა. //მფრინველთაგან პაერის გაკვეთა ფრენითა, ანუ ნავთა და კაცთაგან წყლისა – ცურვითა“ (92); „გაპობა, განხეთქილება“ (6); „გაგლეჯა, გახევა“ (33). მაშასადამე, განპება პოლისემიური ერთეულია. დასახელებულ მნიშვნელობათაგან ჩვენს მაგალითში (მრ. 2, 21) იგი სამოსლის „გახევას“ აღნიშნავს, რომელიც ბერძნულში გადმოიცემა ლექსემით არევ „გაპობა, გახევა...“ (145;).

გან-ხ-ებ-ა: „ტყავის განკვეთა“ (53); „ნაქსოვთ, ანუ ქარტის გაგლეჯა, გაფრეწა“ (92); „გახევა“ (6). **განხევა//განპება//განხეთქა** სინონიმური ერთეულები ბერძნულში გადმოიცემა სიტყვით სხიცა „გახევა, გაგლეჯა, გარდვევა, გახეთქა“ (145; 127).

გამო-ღლებ-ა ზმნის სემანტიკა „გამოგლეჯას“ (6; 33) უკავშირდება. **განპება//განხეთქა//გამობღლება** ერთი წინადაღების ფარგლებში დასტურდება სინონიმური პარალელიზმის სახით, სადაც განპება//განხეთქა მხოლოდ „გახევას“ ნიშნავს, ხოლო **გამოღლება** მთლიანად სამოსლის ნაწილის „გამოგლეჯას“, მოცილებას წარმოადგენს.

4.11. შეპყრობის, ციხეში ჩასმის სემანტიკის შემცველი სინონიმური ზმნები
შეგდება – შთაგდება – შეყენება – შესუმა – შევრდომა
შე-გდ-ებ-ა – შე-ყენ-ებ-ა:

შფოთისაჟს და კაცის-კლვისა შეგდება იყო საპყრობილესა, და.
23, 25 DE;

ადძრვისათვეს და კაცის-კლვისათვეს შეგდება იყო საპყრობილესა, C.

კაცის-კლვისათვეს შეგდება იყო საპყრობილესა, და. 23, 19 DE;

კაცის-კლვისათვეს შეგდება იყო საპყრობილესა შინა, C.

შე-გდ-ებ-ა – შთა-გდ-ებ-ა – შე-სუ-მ-ა:

შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები იგი, მ.
18, 30 E;

შთაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანა-ნადები, D;

შესუმა იგი საპყრობილესა, ვიდრემდის მოსცეს თანა-ნადები იგი, C.

შე-გდ-ებ-ა – შევრდ-ომ-ა:

არღა შეგდო იოპანე საპყრობილესა, ი. 3, 24 C;

არღა შევრდო მის იყო იოპანე საპყრობილესა, DE.

შე-გდ-ებ-ა//შთა-გდ-ებ-ა: ეს სინონიმური ზმნები ნიშნავს „ჩაგდებას“ (6; 33). **შე-ზმნისწინი** აჩვენებს „ლია სფეროდან დახურულ სფეროში, ანუ გარედან შიგნით“ მიმართულ მოძრაობას. „შიგნით“ ტერმინი გულისხმობს „საგნის ყოველმხრივ დახურულ შიგა არეს“. მაგრამ, **შე-ზმნისწინის** ამავე შინაარსით ენაცვლება **შთა-ზმნისწინი**, რაც აღნიშნავს „გარედან შიგნით მიმართულებას ზევიდან ქვევით მოძრაობის პირობებში“ (26, 204-205). სწორედ აღნიშნული შინაარსია გადმოცემული სინონიმური რიგის ზმნებში **შეგდება// შთაგდება//შეყენება//შესუმა//შევრდომა**.

შე-ყენ-ებ-ა: ლექსიკონთა მიხედვით „დილეგთა რა კაცი დააპყრა, გინა აღმართოა მავალ ყოს, გინა მოწესედ შეასაკუთროს, გინა შეცდომილი მასვე გზასა ზედა დააყენოს“ (54); „შეჩერება, მოცვა, ჩაგდება“ (6); „ჩასმა, ჩაგდება“ (33). **ყენება** ზმნა ზმნისწინის გარეშე „აღდგომას“ (54), ანუ ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერებას ნიშნავს. **შეყენება** ზმნური ფორმა კი გულისხმობს საპყრობილეში „ჩასმას“ და იმავდროულად ხაზს უსვამს იქ დროის გატარებას **ფეხზე დგომით**.

შეგდება//შთაგდება//შეყენება სინონიმურ ზმნებს ბერძნულში ეფარდება კატაკლეია, კატაკლაცა „ჩაკეტვა, გამოკეტვა; დაპატიმრება“ (154; 127).

შე-სუ-მა: „შიგნით დაჯდინება, შეწყუდევა“ (92); „ჩაგდება, ჩასმა“ (6); „შესმა, დალევა; შეგდება, ჩასმა“ (33). მაშასადამე, შესუმა ზმნა გარედან შიგნით „შეგდების, შემწყვდევის“ მნიშვნელობას გადმოსცემს და თან მიუთითებს დახურულ სივრცეში, კერძოდ, ციხეში ჯდომით მდგომარეობაში ყოფნაზე.

შე-კრდ-ომ-ა: „ორის(ავ) მუკლით დაჩოქება“ (54); „მუხლდადგმით შევედრება“ (92); „ჩავარდნა“ (6; 33). აღნიშნულ ზმნაში ხაზგასმულია ციხეში შეგდება და იმავდროულად საპყრობილები ხანის დაყოფა მუხლზე მოყრილ ვითარებაში. სინონიმური რიგის ერთეულები შეკრდომა//შესუმა ბერძნულში გადმოიცემა ზმნით ვალლა „შეგდება, ჩასმა“ (145; 127).

4.12. დაბნევის სემანტიკის გამომხატველი სინონიმური ზმნები

განბნევა – მიმოგანბნევა – განქრევა – განთესვა

გან-ბნ-ევ-ა – გან-ქრ-ევ-ა:

რომელსა ზედა დაეცეს, გ ა ნ ა ბ ნ ი თ ს იგი, მ. 21, 44 C;

რომელსა ზედა დაეცეს, გ ა ნ ა ქ რ ი თ ს იგი, DE.

მიმო-გან-ბნ-ევ-ა – გან-თეს-ვ-ა:

ნუუკუ მ ი მ თ გ ა ნ ბ ნ ე უ ლ თ ა მათ წარმართთა მივიდეს, ი. 7, 35 C;

ნუუკუ გ ა ნ თ ე ს უ ლ თ ა მათ წარმართთა ეგულების მისლვად, DE.

გან-ბნ-ევ-ა: გან- ზმნისწინი, როგორც წესი, აღნიშნავს შიგნიდან გარეთ მოძრაობას (26, 215-242), მაგრამ იგი აგრეთვე ზოგჯერ აღნიშნავს მოძრაობას სხვადასხვა მიმართულებით (იქვე, 233-234). სწორედ ამ უკანასკნელ მნიშვნელობას შეიცავს იგი განბნევა//მიმოგანბნევა//განთესვა//განქრევა სინონიმურ ზმნებში. განბნევა განიმარტება, როგორც „გაფანტვა“ (53); „გაფანტვა, მიმოდაბნევა; „გაფანტვა, გაშლა, აშლილობა“ (92; 6).

მიმო-გან-ბნ-ევ-ა: მიმო- რთული ზმნისწინია, რომელიც აქეთ-იქით, წრიულ მოძრაობას გამოხატავს (26, 45). მიმოგანბნევა ნიშნავს „გაფანტვას აქა იქით, მიდამო“ (92).

გან-თეს-ვ-ა ქართველური *თეს- ძირის მქონე ლექსიკური ერთეულია. „ქართულ თეს- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული თას- და ლაზური

თას-. შესატყვისობები ვლინდება მათ სემანტიკაშიც, რომელიც „თესვას“ უკავშირდება (65). განთესვა ნიშნავს „განბნევას“ (53; 92); „გაფანტვა, დათესვა“ (6; 33).

გან-ქრ-ევ-ა: ქართველური *ქარ-/ქრ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ქარ-/ქრ- „განქარვება“-ს, მეგრულში შეესატყვისება ნქორ- გონ-ქირ-აფ-ა „გაქრობა“, სვანურში ქარ-ქრ- ად-ქარ-უ-ე „დაკარგვა“ (65). განქარვება განიმარტება, როგორც „წურილად დალეწა, ან განიავება“ (92); „გაფანტვა; გაქრობა“ (6; 33).

განბნევა//განქრევა ფორმებს ბერძნულში ეფარდება ზმნა λικμάω „განიავება, განთესვა, განბნევა“ (145; 127). განთესვა//მიმოგანბნევა სინონიმურ წყვილს კი მიემართება σκορπίζω „განბნევა, განთესვა“ (145; 127).

ამრიგად, ოთხთავის ტექსტში გამოყოფილი მოძრაობის, მდგომარეობის, სიცოცხლის შეწყვეტის, შიშის, ცემის, მოტაცების, დაცინვის, განბნევის... შინაარსის შემცველი სინონიმური რიგის ზმნების ანალიზმა აჩვენა, რომ თითოეულ რიგში შემავალი ლექსემები საერთო სემანტიკური სიახლოვით ხასიათდებიან. ყველა ჯგუფში იკვეთება დომინანტური სტატუსის მქონე ლექსემა, რომელიც საერთოა მწკრივის ყველა წევრისათვის, ხოლო ცალკეულ წევრთა იდენტიფიკაცია ერთ კონკრეტულ სემანტიკურ ნიშანს ემყარება.

მოძრაობის შინაარსის შემცველ სინონიმთა რიგებისათვის განმსაზღვრელია ვალ-/უედ-/უიდ- ძირი, რომლის სემანტიკა უკავშირდება „სვლას, გადაადგილებას“. იგი სტილისტური და სემანტიკური ნიშნით ნეიტრალურია, ხოლო აღნიშნული ძირიდან მიღებული ზმნისწინიანი ფორმები მოსლვა, მისლვა, აღმოსლვა, გამოსლვა, მოყვანება... თავიანთი რიგებისათვის წარმოადგენენ საყრდენ ლექსემებს, რომლებიც არ შეიცავენ რაიმე დამატებით დიფერენციალურ ნიშნებს, აღნიშნავენ მხოლოდ სუბიექტის გარკვეული მიმართულებით გადაადგილებას. თითოეულ მწკრივში შემავალი ზმნები დომინანტ ერთეულს სხვადასხვა სემანტიკურ-დიფერენციალური ნიშნებით ემიჯნებიან, რაც მათ ინდივიდუალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

მდგომარეობის შინაარსის შემცველი სინონიმური რიგისათვის საერთოა „დადგომის, გაჩერების“ სემანტიკა. მწკრივის საყრდენი წევრია დადგრომა ზმნა, რომელიც არ არის შეფერილი სტილისტური და სემანტიკური ნიშნით. იგი თავისუფლად ენაცვლება მწკრივში შემავალ ყველა ერთეულს, ხოლო ცალკეული

ზმნები სხვადასხვა ნიუანსებით განირჩევიან დომინანტი სიტყვისაგან. დამტკიცება „მყარად, მტკიცედ“ დადგომას აღნიშნავს; დაყოვნება მცირე დროით „შეჩერებას, დაცდას“ წარმოადგენს; დაყოფა გაურკვეველი ხნით ერთ ადგილზე „დროის გატარებას“ გულისხმობს; ლოდნა რაიმეს მოლოდინში დაცდის მნიშვნელობას შეიცავს; დამკუდრება ერთ ადგილზე „სანიადაგოდ“ ანუ სამუდამოდ დასახლებას აღნიშნავს; დაშთომა თავისი ნებით დარჩენას წარმოადგენს; დაბუდება ფრინველთა მიერ თავიანთი სათავსის, ბუდის ხის ტოტზე გაკეთებას და მასში დაბინავებას გულისხმობს; ადგილ-პყრობა კი რაიმე სამყოფში მცირე ხნით „შეჩერებას“ აღნიშნავს.

სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის მქონე ზმნებში უურადღება გამახვილებულია სინონიმთა წარმოქმნის ისეთ წყაროზე, როგორიცაა სიტყვის ტაბუ და ევფემიზმი. მწერივის დომინანტი წევრია სიკუდილი//მოკლვა, რომელიც სტილისტურ-სემანტიკური ნიშნით ნეიტრალური ლექსემაა, ხოლო მისი ფარდი სინონიმური ოდენობები წარწყმედა//აღსრულება//გარდაცვალება//შესუენება//სულის აღმობერა//სულის განტევება// სულის აღმოტევება//ამიერ სოფლით ცვალება//ამიერ სოფლით განსლვა//სულის წარწყმედა// სულის განჭუება//სულის წარწდა... უმეტესწილად სიკუდილის ევფემისტურად მონაცემლე ერთეულები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებია, რომლებიც შერბილებულად გადმოსცემენ იმ გრძნობას, რაც ადამიანის სულისა და ხორცის გაყრის შინაარსს უკავშირდება.

შიშის სემანტიკის შემცველი ზმნების საყრდენ ლექსემას წარმოადგენს შეშინება. იგი სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალურია, არ შეიცავს დამატებით სემანტიკურ ნიუანსებს. რიგში შემავალ ცალკეულ წევრებში კი ექსპრესიული ნიშნის მატება შეინიშნება. შეძრწუნება გამოხატავს „ცახცახით“ შიშის განცდას; დამედგრება შიშისაგან „დაფრთხობას“ გულისხმობს; აღტყდომა შიშისაგან „ანთებას, შეშფოთებას“ აღნიშნავს; დასულება//შესულება ლექსიკური ფორმები შიშისაგან „გონის დაკარგვას“, ხმის ჩავარდნას ანუ „დადუმებას“ აღნიშნავენ; განკრთომა მოულოდნელი გაპვირვებით გამოწვეულ შიშს ნიშნავს; განცთომა შიშისაგან „ჭკუაზე შეშლას, სიგიჟეს, შეშლილობას“ გულისხმობს და ა. შ. მაშასადამე, ცალკეული წევრები ექსპრესიული ნიშნის მიხედვით განირჩევიან დომინანტი ლექსემისაგან, რაც ტექსტის მხატვრულად გაფორმებას ემსახურება.

ცემის, გალახვის სემანტიკის მქონე სინონიმური რიგის დომინანტური წევრია ცემა ზმნა. იგი ნეიტრალურია ექსპრესიული თვალსაზრისით, არამარკირებულია სტილისტურად, ხოლო მწკრივის ცალკეული წევრები ექსპრესიული ნიშნებით განირჩევიან მისგან. გუემა კანის გადაძრობამდე ცემას ნიშნავს; ტაჯვა „უმოწყალოდ“, შეუბრალებლად ფიზიკურ ზემოქმედებას გულისხმობს; ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში ჭკრთით ცემა// შოლტით ცემა// ქვით ცემა// ქვით დატვნვა იკვეთება მოქმედების დროს გამოყენებული ინსტრუმენტი რითაც სრულდება ობიექტზე ფიზიკური ზემოქმედება. ჭკრთით ცემა გულისხმობს მჯიდით ანუ მუშტით ცემას; შოლტით ცემა მიუთითებს, რომ ობიექტზე ფიზიკური ზემოქმედება სრულდება შოლტით, ანუ მათრახით; ქვით ცემა// ქვით დატვნვა აღნიშნავენ ქვის საშუალებით ადამიანისათვის ფიზიკური ზიანის მიუენებას.

მსგავსი ვითარებაა სხვა სემანტიკურ ჯგუფებში გაერთიანებული სინონიმური რიგის ზმნებშიც, რომლებიც დომინანტურ ლექსემას ემიჯნებიან ძირითად მნიშვნელობაზე სხვადასხვა სემანტიკური ნიშნების მატებით.

იდენტური სემანტიკური მოცულობის თრი სინონიმური ზმნა სახარების ტექსტში ჩვენი მასალის მიხედვით არ დასტურდება, რაც ოთხთავში აბსოლუტური სინონიმის არსებობის საკითხს ზმნებში კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს. ამიტომ წარმოდგენილი სინონიმური ზმნები რელატიურ, ნაწილობრივ ანუ კვაზისინონიმებს მიეკუთვნებიან.

4.13. სინონიმური პარალელიზმი ოთხთავის ტექსტში

ოთხთავის ცალკეულ რედაქციაში ზოგჯერ ერთი წინადაღების ფარგლებში დასტურდება სინონიმური წყვილები, რაც ლინგვისტურ ლიტერატურაში „სინონიმური პარალელიზმის“ სახელით მოიხსენიება (94, 57). ერთ გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთის გვერდიგვერდ ნახმარი სინონიმურ წყვილთა ცალები ხშირ შემთხვევაში დამაზუსტებელ როლს ასრულებენ და მრავალმხრივ ახასიათებენ ცნებას (22, 472; 15, 367). ამიტომ, მათი გამოყენება ტექსტში უმეტესწილად მხატვრული მიზნით არის განპირობებული, რაც გადმოსაცემი შინაარსის გაძლიერებას და ემოციურ გამოხატვას ემსახურება (22, 473).

სახარების ტექსტში სინონიმურ წყვილებში უმეტესწილად ნასესხები ლექსემები შეინიშნება და მათი ფარდი ქართული ექვივალენტები ერთგვარი

განმარტებლის როლში გამოდიან, რაც უცხოური სიტყვის დანერგვის ერთგვარ საშუალებად მიიჩნევა (94, 57).

ყურადღებას გავამახვილებთ სინონიმური პარალელიზმის რამდენიმე შემთხვევაზე. ა) სინონიმურ წყვილთაგან ერთი წევრი უცხოური წარმომავლობისაა, ხოლო მეორე საკუთარი ენის ფონდის კუთვნილებას წარმოადგენს; ბ) სინონიმური წყვილის ორივე წევრი საკუთრივ ქართული წარმოშობისაა; გ) სინონიმური წყვილის ორივე წევრი ნასესხებია.

ა) სინონიმურ წყვილთა შორის ერთი წევრი ნასესხებია, მეორე კი საკუთარი ენის ლექსიკური ფონდიდან არის.

სანთელი – ლამპარი:

მოვიდა მუნ ს ა ნ თ ლ ე ბ ი თ ა, ლ ა მ პ რ ე ბ ი თ ა და საჭურველითა, ლ. 8, 16 DECFGHIK.

იხ. აგრეთვე: ი. 18, 3.

სა-ნთ-ელ-ი ქართველური *ნათ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ნათ- ძირს შეესატყვისება მეგრ. ნოთ- და ლაზ. ნოთ-. შესატყვისობები ვლინდება აღნიშნული ძირების სემანტიკაშიც (65). სანთელი განიმარტება, როგორც „აღსანთებელი“ (54); „პატრუქზედ ჩამოსხმული ცვილი ან ქონი ასანთებად, სветильник, свеча“ (91); „ლამპარი, კანდელი“ (6).

ლამპარი ბერძნული λαμπάς, λαμπάδος-იდან არის ნასესხები, რომელიც განიმარტება, როგორც „ჩირალდანი, სანთელი; მანათობელი...“ (127); „სანათი, გინა ფანარი“ (53); „ასანთებელი კანდელი, სветильник“ (91); „სანთელი, ან კანდელი“ (6). ლამპარი ბერძნულში პოლისემიური ლექსემაა, ხოლო ოთხთავში იგი მხოლოდ „სანთლის“ მნიშვნელობით არის შემოსული.

ლამპარი//სანთელი ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში მხოლოდ აღნიშნულ მაგალითებში გვაქვს (ლ. 8, 16; ი. 18, 3) სინონიმური პარალელიზმის სახით, რომელსაც ბერძნულში ერთი ლექსემა λάμπας გადმოსცემს.

ბრწყინვალე – სპეტაკი:

სამოსელი მისი იქმნა მ ბ რ წ ყ ი ნ გ ა ლ ე და ს პ ე ტ ა პ ვითარცა თოვლი, მრ. 9, 3 DE;

სამოსელი მისი იქმნა ბ რ წ ყ ი ნ გ ა ლ ე, ს პ ე ტ ა პ ფრიად, C.

ბრწყინვალე ქართველური *ბერწყ-/ბრწყ- ძირიდან მომდინარეობს და განიმარტება, როგორც „საჩინო, გინა თეთრი ელვარე, გინა თეთრი საჩინო“ (53); „ელშარე, ბზინშარე, ანუ ნათლის ფერი, ცვერი, ცვერი“ (91); „ნათელი“ (6).

სპეტაკი ფალაური spēt/spētak სიტყვიდან არის ნასესხები (4, 372-373) და ნიშნავს „თეთრს“ (53; 91; 6; 33). ბერძნულში სპეტაკს გადმოსცემს ლექსემა λευκή, λευκαι „თეთრი“ (127; 145). ე. დოჩანაშვილის განმარტებით, მოხმარების თვალსაზრისით **სპეტაკსა** და **თეთრს** შორის ნიუანსობრივი განსხვავება იჩენს თავს „სპეტაკს ხმარობენ ძალიან ნათელისათვის, ელვარისათვის“ (24, 188).

ბრწყინვალე და **სპეტაკი** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება მრ. 9, 3-ში, რომლებსაც ბერძნულში ერთი ლექსემა λευκή „თეთრი,“ (127; 145). გადმოსცემს. **ბრწყინვალე**, როგორც აღინიშნა, „ნათლის ფერს, ნათელს“ ეწოდება, ხოლო მისი მომდევნო ლექსემა **სპეტაკი** ასევე „ძალიან ნათელს“ გულისხმობს, რაც თვისების ყველაზე მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

რაბი – მოძღვარი:

ჰრქუეს მას: რ ა ბ ი, რომელ ითარგმანების: მ ო ძ ლ უ ა რ, სადა იყოფი, ი. 1, 38 DECFGHIK.

რაბი//რაბბუნი: (ებრ. rab, სირ. rabī, ბერძნ. ῥαββ, სომხ. ռաბბո). ეს სიტყვა ბერძნულის გზით არის შემოსული ქართულში „დიდის ბატონის და შემდგომ მოძღვარ-მასწავლებლის მნიშვნელობით“ (22, 140). კ. დანელია აღნიშნავს, რომ **რაბი** ფორმაში „ო ქართული სახელობითის ნიშანი კი არ არის, არამედ ებრაული, სირიული კუთხილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ ე. ი. **რაბი** = „მოძღვარი ჩემი“. ადრე მას საპატიო მწიგნობართ ეძახდნენ, შემდგომ ახალ აღთქმაში იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს მიმართ იხმარება“ (22, 140). მაშასადამე, **რაბი** „ებრაული სიტყვაა, = მასწავლებელს“ (33).

მოძღვარი საერთოქართველური *ძელშ-/ძღუ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ძელუ-/ძღუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ჯლ-/ნჯლვ-, ლაზ. ნჯლ- და სვან. ჭლუ-/ჭოდუ-, რომელთა სემანტიკა არის „გაგზავნა; გაძღვოლა; გასწრება“ (65). **მოძღვარის** ამოსავალი მნიშვნელობაც „გასწრებას“ უკავშირდება (65). **მოძღვარი** განიმარტება, როგორც „ოსტატი“ (53); „მასწავლებელი, დამრიგებელი, მწუართნელი, უчитель, наставник. //აღსარებისა ან განდობის მამა,

духовник, отец духовный“ (92; 33). მოძღვარი მოხმობილ მაგალითში (ი. 1, 38), როგორც მისი ებრაული ექვივალენტი (რაბი), „მასწავლებელს, დამრიგებელს“ ნიშნავს.

აბბა/აბა – მამა:

ა ბ ა, (აბბა, C) მ ა მ ა თ ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ, მრ. 14, 36 DE.

აბბა/აბა: (ებრ. ăb, სირ. abā, ბერძნ. ἀββά). ეს სიტყვა სემიტური ძირის მქონეა, რომლის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. საზოგადოდ აღნიშნავს მამას, წმინდა და სულიერ მამას; ტომის, ხალხის მამამთავარს (6; 33; 139). მოგვიანებით კი პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა. ებრაულიდან ბერძნულში შემოსული აბბა ახალი აღთქმის წიგნებში სინონიმადაა ნახმარი πατήρ-ისა და ორივე გვერდი-გვერდ გამოიყენება, როგორც სინონიმური წყვილი (22, 144).

მამა საერთოქართველური *მამ- ძირიდან მომდინარეობს (65) და პოლისემიური ლექსემაა. „მამა არს ღმერთი დამბადებლობითა, მამა არს შემქმნელი; მამად ითქმნიან მოძღვარი, მღ(ვრ)დელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი“ (53; 91). დასახელებულ მაგალითში (მრ. 14, 36) მამა „მოძღვარს, მასწავლებელს“ გულისხმობს.

ბრძენი – მეცნიერი:

დაჰფარე ესე ბ რ ძ ე ნ თ ა გ ა ნ და მ ე ც ნ ი ე რ თ ა და გამოუცხადე ესე ჩჩლოთა, მ. 11, 25 DEC.

იხ. აგრეთვე: ლ. 10, 21.

ბრძენი მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან frazānak „ბრძენი, მეცნიერი“ (4, 296). ბრძენი განიმარტება, როგორც „დიდად ჭკვიანი“ (53); „ფრიად გონიერი, ანუ მეცნიერი, მуд्रიй, პრემუდრიй“ (92; 6). ბრძენს ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა ფრიული „გონიერი, ბრძენი, ჭკვიანი“ (145; 127).

მეცნიერი ქართველური *ცან-/ცნ- ძირის შემცველია (65), რაც ნიშნავს „მცნობელს“ (53). „სწავლულს, გამოცდილს სწავლათა შინა, უცნები // ნაცნობს, знакомый“ (92). ჩვენი მასალის მიხედვით მეცნიერი „მცოდნეს, სწავლულს“ ნიშნავს მ. 11, 25 მაგალითში სინონიმური პარალელიზმის ფორმით წარმოდგენილი

წევილი ბრძენი//მეცნიერი ბერძნულში გადმოიცემა ერთი ლექსემით ფრონის „გონიერი, ბრძენი, ჭკვიანი“ (127; 145).

ბ) სინონიმურ წევილთა წევრები საკუთრივ ქართული წარმომავლობისაა

მცნება – სწავლა – მოძღვრება – ქადაგება

მცნება – მოძღვრება – სწავლა:

დაგიტევებიეს მცნება და დმრთისა და გიპერიეს მოძღვრება კაცთავ, მრ. 7, 8 DE;

დაგიტევებიეს მცნება და დმრთისა და გიპერიეს სწავლა კაცთავ, C.

იხ აგრეთვე: მრ. 7, 9;

მცნება ქართველური ***მცენ-/მცნ-** ძირის შემცველი ლექსემაა, რომლის ამოსავალი სემანტიკა არის „დაბარება; შეტყობინება“ (65). **მცნება** რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: 1. „მცნება, საკუთრად: ათნი საუფლონი მცნებანი, დუთისა მიერ მიცემულნი მოსესადმი, დესა ვა მცნებას“; 2. „ბრძანება, აკრძალვა“; 3. „ნიშანი“... **მცნება** დასახელებულ კონტექსტებში (მრ. 7, 8; 7, 9) უფლის მიერ დანაბარებ „ათ მცნებას“ აღნიშნავს, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა ენთოლები, „მცნება, ათი მცნება, ბრძანება; შეტყობინება“ (145; 168; 127).

სწავლა ქართველური ***წაუ-** ძირიდან მომდინარეობს (65) და რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: **სწავლა** 1. „არს რა (ც) არა იცოდეს, უთხრას და სწვართოს“; 2. „სწავლა არს ქადაგება“; 3. „ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება, ვითარცა წერილ არს 2, 12 ფსალმ., 23, 16-22 ლუკა: „ვსწავლო ეგე და განუტეო“ (64; 92; 6; 33). **სწავლას** ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა ბიბაზუ, „სწავლა; დარიგება, ჭკუის სწავლება; ქადაგება“ (122; 139).

მოძღვრება, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთოქართველური ***ძელუ-/ძღუ-** ძირიდან მომდინარეობს (65). მოძღვარი ნიშნავს „დამრიგებელს, მასწავლებელს“, ხოლო აბსტრაქტული სახელი **მოძღვრება** კი განიმარტება, როგორც „სწავლება, დარიგება, учение, наставление, предание (92), რომელსაც ბერძნულში ეფარდება ბიბასკა, ბიბაზუ „სწავლა, დარიგება, ქადაგება, მოძღვრება; სწავლება, რჩევა-დარიგება“ (145; 168; 127). **მცნება//მოძღვრება//სწავლა** მოხმობილ კონტექსტებში ერთი წინადადების ფარგლებში იხმარებიან, რომლებიც განირჩევიან შემდეგი

მნიშვნელობათა ნიუანსებით. თუ მცნება დვოის მიერ დანაბარებ ათ მცნებას აღნიშნავს, მოძღვრება და სწავლა ადამიანის – მოძღვრის, მასწავლებლის „დარიგებას, სწავლებას“ გულისხმობს.

სწავლა – ქადაგება:

რაჟამს დაასრულნა იქსუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თჯსთა, წარვიდა მიერ ქადაგება და სწავლა ქალაქებსა მისსა, ქ. 11, 1 DEC.

ქადაგება: 1. „მაღლის ხმით სწავლება“; 2. „განთქმა, ხმის დაგდება“ (54; 92). **ქადაგება** მოხმობილ კონტექსტში პირველ მნიშვნელობას „სწავლას“ შეიცავს. ქ. 11, 1 მაგალითში ლექსემები **ქადაგება//სწავლა** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება, სადაც **ქადაგება** მეტი ექსპრესიული შინაარსის შემცველია ანუ იგი **მაღლი** ხმით „სწავლებას, მოძღვრებას“ გულისხმობს.

ბორკილი – საკრებული – ჯაჭუ:

მრავალ გზის ჯაჭური და ბორკილი შეკრულ იყო იგი, მრ. 5, 4 DE;

შებორკილიან იგი ჯაჭური და საკრებული იყო იგი, C.

იხ. აგრეთვე: ლ. 8, 29.

ჯაჭუ ქართული *ჯაჭუ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართული **ჯაჭუ-** ძირის მეგრული ექვივალენტია **ქეწკვ- (*ქოწკვ-** უმლაუტის შედეგად)“ (65). ზოგიერთი მკვლევარი ამ სიტყვას მეგრულ-ჭანურიდან ნახესხებად მიიჩნევდა (145, 29; 88, 129-130; 52, 96-97; 136, 237), მაგრამ ბ. გიგინეიშვილის მტკიცებით, ამ სიტყვის ზანიზმად მიჩნევა გამართლებული არ არის და იგი ქართული წარმომავლობისაა (17, 741).

ჯაჭუ რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს. იგი არის „რკინისა და სხვათა მეტალლოგან შექმნილი თვალი ან რგოლი ერთიმეორებული გაყრილი აბჯართა და ჯავშანთანი, бронია. // შესაბორკილებელი ამგვარადვე შექმნილი, ცეპა, ვერიგა. // ცანდა, ქვაბთ საკიდარი. // ქეწკვი, ანუ შიბა თვალმარგალიტით ასხმული გულზედ და მხარზედ ჩამოსავლები, რომელსა ეწოდების მანიაკი და ფარდული, ცეპა, ცეპოჩა“ (91). მოხმობილ კონტექსტში **ჯაჭუ** ნიშნავს „ბორკილს“ (6).

ბორკილი ქართველური ***ბარკ-** ძირიდან მომდინარეობს „მეგრული ***ბორკ-** ჭანონზომიერად შეესატყვისება **ბარკ-** ფორმას. მეგრული **ბორკილი** „ფეხი“...

ბორკილ ფუძე, რომელიც უძველეს წერილობით ძეგლებშია დადასტურებული, მეგრულიდან და ლაზურიდან არის ნასესხები (18, 594). ძველ ქართულში ბარკალი-ფუძე „ფეხსაც“ აღნიშნავდა: იგი კელობდა ბარკლითა, შესაქ. 32, 33 . მისი ძირითადი მნიშვნელობა ბარკალი ძველსა და ახალ ქართულში მეორეული ჩანს. აღსანიშნავია, რომ „ძველ ქართულში ბორკილ- სიტყვის სინონიმია საკრველი“ (65). ბორკილი განიმარტება შემდეგნაირად: „ფერხთ შესაკრავი“ (53); „ფეხთ შესაკრავი ჯაჭვი რკინისა“ (91).

საკრველი იწარმოება „საერთოქართველური *კარ-/კრ- ზმნური ძირიდან“, რომლის სემანტიკაც „შეგვრას“ უკავშირდება. „შეგვრის“ მნიშვნელობით ეფარდება მას ქართველურ ენათა ძირები მეგრ. კორ-, ლაზ. კორ-/კირ- (65). საკრველი განიმარტება, როგორც „შესაკრავი“ (54); „რაიც რამ შესაკრავია, უзы, օковы“ (91); „ბორკილი“ (6).

მაშასადამე, სინონიმური მიმართებები საკუთრივ ქართული წარმომავლობის ლექსემებს შორის გვაქვს. ჩვენი მასალის მიხედვით წყვილის პირველი წევრი ჯაჭვა აღნიშნავს რკინის რგოლებისაგან დამზადებულ ადამიანის ფიზიკური მოძრაობის შემზღვდავ საგანს, ხოლო მომდევნო ლექსემები ბორკილი//საკრველი აკონკრეტებენ, რომ ეს საგანი გამოიყენება ფეხების შესაკრავად. დასახელებულ წყვილებს ბერძნულში ეფარდება მხოლოდ ერთი ლექსემა ალსიო „ჯაჭვი“ (127; 145).

გ) სინონიმურ წყვილთაგან ორივე წევრი ნასესხებია

პარაფსიდი – პინაკი:

განსწმედ გარეშესა სასუმელისა და პ ა რ ა ფ ს ი დ ი ს ა და პ ი ნ ა - პ ი ს ა ს ა, მ. 23, 25 K.

პარაფსიდი//პარაფსიტი ნასესხებია ბერძნული παροψίς ფორმიდან და განიმარტება, როგორც „ლანგარი, სინი ან თასი, ფიალა, ჯამი“ (127; 145); „საკმევლის ჭურჭელი“ (53); „პინაკი, ბადია ან სინი, ბლიდი“ (91); „თევზი, ჭურჭელი“ (33).

პინაკი ფარდია ბერძნული სიტყვისა πῖνάξ, რაც განიმარტება შემდეგნაირად: „დაფა, ფიცარი, ფოდნოსი, ან ლანგარი“ (127; 145); „დიდი ჯამი ან თევზი ხისა, ბლიდი“ (91); „თევზი“ (6).

ბერძნულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთულები ჰარაფსიდი და პინაკი სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქციის K ნუსხაში, რომელთაც ბერძნულში ეფარდება მხოლოდ ერთი ლექსემა παροψίς. ისინი ორივე „ლანგარს, ჯამს აღნიშნავენ“, ოდონდ პინაკი ხისგან დამზადებულ „დიდ ჯამს“ აღნიშნავს. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, ოთხთავის ამ ადგილას ჯერ ერთ-ერთი ამათგანი იყო, შემდეგ მოუნდომებიათ მისი შეცვლა მეორე სინონიმური ცალით, იგი მიუწერიათ გვერდით, მაგრამ პირველის წაშლა და ამოღება დავიწყებიათ და გადამწერს ორივე ფორმა გადაუწერია უპრეტენზიოდ (35, 359).

კინსონი – ხარკი:

მიჩურეთ მე კინ სონისა ხარ კინსავ, ბ. 22 19 FG;

კინსონი ლათინური censos ფორმიდან მომდინარეობს (139). ბერძნულში მისი შესატყვისია κῆνσος „ხარკი“ (145; 127) ფორმა. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, „ეფთვიმეს, როგორც ჩანს, თავის რედაქციაში ჯერ კინსონი შეუტანია უთარგმნელად, შემდეგ იქვე მიუწერია მისი თარგმანი – ხარკისა, ხოლო ბერძნული კინსონისად-ს ამოშლა დავიწყებია, ან κῆνσος უბრალოდ მიუწერია გვერდით იმის საჩვენებლად, რომ ამის თარგმანია „ხარკისა“-ო და დარჩა მერმე წაუშლელი“ (35; 87).

შესაძლოა, ლექსემა კინსონი ლათინურში თავდაპირველად ფულის, მონეტის სახეობას წარმოადგენდა, როგორც ასარი, კოდრატი და სხვ. შავარაუდოა, რომ ხარკის გადახდა ამგვარი მონეტის (censos) სახით ხდებოდა, ხოლო შემდგომ მას უნდა შესძენოდა ზოგადად ხარკის, „გადასახადის“ მნიშვნელობა.

ხარკი განიმარტება, როგორც „სამუფო ხარჯი, დებულება, ასაღები (54; 91); „გადასახადი, გადასახდელი“ (33). ხარკი არაქართული წარმოშობის მქონე სიტყვაა. მაშასადამე, იგი რომელიმე უცხო ენიდან უნდა იყოს შეთვისებული ქართულში.

ზმნური სინონიმების პარალელურად ხმარებისას წყვილის ერთ-ერთი წევრი, უმეტესწილად მეორე, უფრო მეტი გამომხატველობითი და ესპრესიული შინაარსის შემცველია. ტირილის სემანტიკის შემცველ სინონიმურ ზმნებში დომინანტი წევრია

ტირილი, ხოლო მწვრივის მომდევნო წევრები ექსპრესიული ნიშნის მატებით ემიჯნებიან მას.

ტირილი – გოდება – ტყება – გლოვა

ტირილი – გოდება – ტყება:

მისდევდა მას სიმრავლე ერისად მის და დედებისად რომელნი ტიროდება და ეტყება და გლოვა მას, ლ. 23, 27 C;

შეუდგა მას სიმრავლე ერისად და დედათად, რომელნი ეტყება და გლოვა და გლოვა მას, DE.

რამეთუ ჰსტეროდება და გლოვა და გლოვა და გლოვა თქუება, ხოლო სოფელსა უხაროდის, ი. 16, 20 DEC.

სტეროდება მას ყოველნი და ეტყება და გლოვა, ლ. 8, 52 DEC.

ტირილი – გლოვა:

ვავ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვა და გლოვა და გლოვა ტეროდება, ლ. 6, 25 DEC.

იხ. აგრეთვე: მრ. 16, 10.

ტირილი: „ტირილიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ ცრემლი არს უკმო თდენ ცრემლის დენა; ვაება არს ავაჯითა და კეთილის სიტყვითა სატირალს რასმე იტყოდეს და ცრემლეოდეს; გოდება არს გმაკეთილობით ზრუნ-შეწყობით გულის სატკივართა სიტყვათა მგოსნობა...“ (54); „მწუხარება, გამოჩენილი ცრემლის დენითა..., მთავარ“ (91); „ცრემლვა, მოთქმა“ (6). **ტირილს** ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა კლასი „ტირილი“ (127; 145).

გოდება განიმარტება, როგორც „შეკმობით ტირილი“ (53); „მოთქმით ტირილი“ (91). **გოდებას** ეფარდება ბერძნულში ზმნა θρένεω „სამგლოვიარო სიმღერა; მოთქმით ტირილი“ (127; 145).

ტყება არის „მოთქმა თავში ცემით; გლოვა“ (6); „ტირილი პირის ხოკითა და თავში ხელის შემოკვრით“ (33). **ტყებას** ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა κόπτω „დარტყმა, ცემა; მწარედ ატირება“ (127; 145).

გლოვა ქართველური *გლ- ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ გლ- ძირს შეესატყვისება მეგრ. ლგ-“ შესატყვისობები ვლინდება აღნიშნული ძირების სემანტიკაშიც (65). **გლოვა** „ესე არს სამწუხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით

და „შეწუხებით ყოფ(ნ)ა“ (54); „ვაება, ტირილი, плакать, сетовать“ (91); „დატირება, მგლოვარება“ (6). გლოვას ეფარდება ბერძნულში ლექსემა πενθέω „დატირება, სევდიანობა, დარდი“ (127; 145).

ამდენად, სინონიმური რიგის მთავარი წევრია ტირილი, ხოლო მისი მეწყვილე ზმნები გლდება//ტყება//გლოვა ერთი კონტექსტის ფარგლებში მიემართებიან მას სინონიმური პარალელიზმის სახით. რომელთაგან ტირილი ექსპრესიული და ემოციური ნიშით ნეიტრალური ლექსემაა, რომელსაც წინადაღებაში პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მისი სინონიმური მეწყვილეები მოსდევენ მას და უფრო აძლიერებენ, ექსპრესიული ძალით წარმოაჩენენ „მწუხარების“ მნიშვნელობას. გლდება „მოთქმით“, მაღალი ხმით ტირილს აღნიშნავს; ტყება „პირის ხოკითა და თავში ხელის შემოკვრით“ ტირილს გამოხატავს; გლოვა რაიმე სამწუხარო ამბის გამო „ვაებით“ ტირილს გულისხმობს.

ექსპრესიული ნიშის მატება შეინიშნება აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შიშის და ცემის სემანტიკურ ჯგუფში შემავალ ზმნებში. პარალელურ ფორმათაგან შეშინება სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალურია, ხოლო ძრტოლა//შეძრწუნება//დამედგრება მოსდევენ მას და აძლიერებენ ექსპრესიულად შიშის მნიშვნელობას. ძრტოლა//შეძრწუნება გამოხატავს „კახცახით“ შიშის განცდას; დამედგრება შიშისაგან „დაფრთხობას“ გულისხმობს.

ცემის სემანტიკის შემცველ ზმნებში ცემა//ტანჯვა სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება ლ. 20, 10 მაგალითში, სადაც ცემა ნეიტრალურია ექსპრესიული თვალსაზრისით, ხოლო მისი მომდევნო ლექსემა ტანჯვა მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევა, რომელიც შეუბრალებლად ფიზიკურ ზემოქმედებას „გამათრახებას“ აღნიშნავს.

სინონიმების პარალელურად ხმარების შემთხვევები დასტურდება, აგრეთვე ზემოთ განხილულ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში შემავალ ლექსემებში. ასეთი წყვილებია: სნეულება//უძლურება (პ. 10, 1); სნეულება//არაძლება (პ. 4, 23); სნეულება// სალმობა (ლ. 7, 21); სიხარული//მხიარულება (ლ. 1, 14; 1, 28); სიხარული//შეება (ლ. 15, 32); სიხარული//განცხომა (ლ. 15, 25); სახობა//პარით მდერა (ლ. 15, 25); მოფარდული//მსყიდველი (პ. 21, 12); მსხუერპლი//შესაწირავი (პ. 12, 39); მსხუერპლი//მრგვლიად დასაწუკელი (პ. 12, 39); პასქა//ვნება//უცომოება (ლ. 22, 7; ლ. 22, 1). ბრძენი//მეცნიერი//მწიგნობარი (პ. 11, 25; ლ. 10, 21; პ. 23, 34);

კეთილი//სახიერი (ლ. 8, 15; 19, 17); ტილო//არდაგი (ლ. 24, 12; ი. 19, 40; 20, 6; 7);
მისლვა//მიახლება (ლ. 24, 15); მოსლვა//მოახლება (ლ. 15, 25);
მოყვანება//წარმოდგინება...

ცხადია, წარმოდგენილი მასალით არ ამოიწურება ოთხთავის ტექსტში არსებული ლექსიკური სინონიმები. ზემოგანხილული ერთეულები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილს იმ სინონიმური ლექსიკისა, რომელიც სახარებაში დასტურდება. როგორც აღინიშნა, ტექსტში ყველაზე მეტი რაოდენობით სინონიმური ზმნები მოიპოვება, რომლებიც სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებში ერთიანდებიან.

4.14. სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებული სინონიმური რიგის ზმნები (მასალა მხოლოდ ადგილის მითითებით).

უწყება//რქუმა//ცნობება//თხრობა//მითხრობა//რწმუნება//მოსწავება:
უწყება//რქუმა, ი. 15, 15; უწყება//ცნობება, ლ. 2, 15; უწყება//თხრობა, ი. 11, 57;
მითხრობა//თხრობა, მ. 28, 11; უწყება//რწმუნება, ლ. 16, 28; უწყება//მოსწავება, ი. 12, 33.

მიხედვა//მიმოხედვა//მიმოხილვა//მიმოდახილვა//მიმოდასტუანვა//განცდა:
მიხედვა// მიმოხილვა, მრ. 3, 5; მიხედვა//მიმოდახილვა, მრ. 3, 34; მიხედვა//განცდა, მ. 6, 28; მიმოხედვა//მიმოდასტუანვა, მრ. 5, 32; მიმოხილვა//მიმოდახილვა, მრ. 9, 8.

დატევება//მიტევება//განტევება//დაშორმა//დაგდება//დაბნევა//დაგება//წინადაგება//
დაფენა: დატევება//მიტევება, მრ. 14, 52; დატევება//განტევება, მ. 19, 9; დატევება//
დაშორმა, მრ. 12, 20; 12, 21; 12, 22; დატევება//დაგდება, მ. 27, 46; მრ. 15, 34;
დატევება//მიშუება, ი. 11, 48; დაგდება//დაბნევა, მ. 27, 5; მრ. 10, 50; დაგდება//დადება,
მ. 15, 26; წინადაგება, ლ. 10, 8; დაფენა, მრ. 11, 8.

მიღება//მოღება//გამოღება//მოგება//შეწყნარება//გემოს ხილვა//ქონება//აღჭოცა
//თანამიღება//მოხუმა//აღნოება//აღტევება//მოგება//მოკუეთა//აღღება:

მიღება//მოღება, მ. 19, 29; მრ. 10, 30; ლ. 18, 30; მიღება//გამოღება, მ. 17, 25;
მიღება//მოგება, მ. 10, 9; მიღება//შეწყნარება, მ. 10, 41; 13, 20; მრ. 4, 16; ი. 3, 32; 3, 33;
მიღება//გემოს ხილვა, მ. 27, 34; მიღება//ქონება, ლ. 3, 15; 23, 26; ი. 3, 16; 3, 36; 5, 24;
6, 40; 8, 12; მიღება//აღჭოცა, ი. 11, 48; მიღება//თანამიღება, მრ. 8, 14;
მოღება//მოხუმა, მ. 27, 59; მრ. 8, 6; ი. 6, 11; მოღება//მოკუეთა, მრ. 6, 27;
მოკუეთა//აღღება, ი. 15, 2; მოხუმა//აღნოება, მ. 25, 1; მოხუმა//აღტევება, მრ. 4, 32.

დგომა//დადგომა//დადგრომა//მოდგომა//წარდგომა//თანა-დგომა//ყოფნა//გება:
დგომა //დადგომა, მ. 3, 31; ი. 7, 37; 21, 4; დგომა//დადგრომა, ლ. 1, 22; დგომა//
მოდგომა, ი. 11, 42; დგომა//წარდგომა, მ. 27, 11; დგომა//თანადგომა, მრ. 15, 39;
დგომა//ყოფნა, ი. 2, 6; დგომა//გება, მრ. 12, 34.

ცხოვნება//ცხორება//განცოცხლება//განრინება//ჯსნა: ცხოვნება//განცოცხლება,
ლ. 15, 24; ცხოვნება//განრინება, მრ. 13, 20; ლ. 23, 35; ცხორება//განრინება, მ. 16, 25;
მრ. 8, 35; ცხორება//ჯსნა, ი. 3, 17; 4, 22; 12, 47; განრინება//ჯსნა, მ. 27, 40; მრ. 15, 30;
ი. 12, 27.

ტევება//ცაღება//უფლება//მიტევება//განტევება//დატევება: ტევება//მიტევება, ი.
12, 7; ტევება//ცაღება, მ. 8, 22; ტევება//უფლება, 24, 43; მრ. 1, 34; 5, 19; 11, 16;
მიტევება//განტევება, ლ. 23, 25; მიტევება//დატევება, მრ. 10, 2;
განტევება//აღმოტევება, ლ. 23, 46; ი. 9, 30.

განშორება//განყენება//განყრა//განვთომა//განრჩევა: განშორება//განყენება, მ. 9,
24; 10, 9; 19, 6; მრ. 6, 7; განშორება//განყრა, მრ. 1, 42; ლ. 24, 51;
განშორება//განვთომა, ლ. 12, 43; განშორება//განრჩევა, მ. 13, 49.

ინაჭით-ჯდომა//ინაჭით-დგომა//ინაჭით-მჯდომარე//მეინაჭე//თანა-მეინაჭე// და-
სხდომა//დაჯდომა//მჯნისთაობა//ზემოჯდომა: ინაჭით-ჯდომა//ინაჭით დასხდომა, მრ.
6, 39; 8, 6; ინაჭით-ჯდომა//ინაჭით-დგომა, მ. 9, 19; 26, 7; 20; მრ. 14, 3; ლ. 24, 30;
ინაჭით-ჯდომა//მჯნისთაობა, მრ. 12, 38; ინაჭით-მჯდომარე//მეინაჭე, ი. 13, 28;
ინაჭით-დგომა//დაჯდომა, ლ. 17, 7; ინაჭით-დგომა//დასხდომა, მრ. 6, 40; 14, 18
ინაჭით-დასხდომა//დასხდომა, მრ. 6, 38; 8, 6; მეინაჭე//თანამეინაჭე, მ. 14, 9; მრ. 6,
22.

შერაცხა//ყოფა//პყრობა//ქონება//გონება//განზრახვა: შერაცხა//ყოფა, ლ. 15, 19;
შერაცხა//პყრობა, მ. 14, 5; შერაცხა//ქონება, მ. 21, 46; შერაცხა//გონება, ი. 16, 2;
შერაცხა//განზრახვა, ი. 11, 50.

განკითხვა//განსჯა//დასჯა//სასჯელი: განკითხვა//განსჯა, მ. 19, 28; განკითხვა//
დასჯა, ლ. 16, 37; ი. 18, 31; განკითხვა//სასჯელი, ი. 8, 26.

დარღუევა//განრღუევა//დაწსნა//დაწსნილი//განქარვება: დარღუევა//დაწსნა, ი. 2,
19; მ. 27, 40; განრღუეული//დაწსნილი, მ. 9, 2; 9, 6; დაწსნა//განქარვება, ი. 7, 23.

ცნობა//გულისქმის-ყოფა//გამოცდა//უწყება//გონება//შეწყნარება//ცოდნა//
გრძნობა//მოჭენება//მოგონება//სწავება//სიბრძნე//გულისქმა//გულის დადება:

ცნობა//გულისჯმის-ყოფა, მ. 9, 4; მრ. 5, 30; 6, 33; 8, 17; 12, 12; ლ. 1, 22; 2, 50; ი. 7, 17; 7, 51; 8, 27; 28; 32; 10, 6; მრ. 2, 8; 6, 33; 13, 14; ი. 10, 33; 13, 28; 16, 18; 16, 9; 11; ცნობა//გამოცდა, მ. 16, 3; ცნობა//გონება, მრ. 5, 29; ცნობა//ჟეწყნარება, ი. 17, 8; ცნობა//ცოდნა, ი. 13, 17; უწყება//ცოდნა, მ. 6, 8; 6, 32; 24, 36; 13, 32; 22, 16; 20, 22; 24, 42; 25, 13; 24, 43; მრ. 6, 20; 9, 6; 12, 15; 11, 33; 12, 14; 13, 35; 13, 33; 14, 40; ი. 2, 9; 2, 24; 3, 2; 7, 28; 5, 13; 6, 64; 9, 30; 11, 57; 9, 20; 9, 29; 14, 4; 12, 35; 13, 1; 13, 3; 13, 11; 14, 5; 15, 15; 16, 18; 18, 21; 21, 12; 21, 24; 19, 10; 19, 35; 24, 25; ლ. 16, 15; უწყება//ცნობა, მ. 24, 29; ლ. 1, 18; ი. 8, 52; 13, 7; 13, 35; 14, 20; 17, 7; 17, 23; 21, 4; 21, 17; ცნობა//ცოდნა//უწყება, ი. 14, 7; ცნობა//გრძნობა, მრ. 9, 30; უწყება//გრძნობა, მ. 9, 30; გულისჯმის-ყოფა//გრძნობა, მ. 26, 10; გულისჯმის-ყოფა//უწყება, მრ. 13, 29; ი. 5, 6; 10, 38; გულისჯმის-ყოფა//მოგონება, ლ. 2, 17; გულისჯმის-ყოფა//სწავება, მრ. 13, 28; ლ. 1, 4; გულისჯმის-ყოფა//სიბრძნე, ლ. 2, 47; გულისჯმის-ყოფა//გულისჯმა, მრ. 12, 33; გულისჯმის-ყოფა//გულის დაღება, ლ. 2, 19.

კელ-წიფება//ძლება//შეძლება//ძალ-დება//შესაძლებელ-ყოფა//ჯერ-ყოფა// გება// ადგილ-გება//შეუგვანებელ-ყოფა//ღირება//ცალ//ქმნა: კელ-წიფება//ძლება, მ. 12, 34; ი. 5, 44; კელ-წიფება//შეძლება, მ. 12, 29; 19, 25; მრ. 2, 7; 2, 19; 3, 23; 3, 24; 3, 25; 3, 26; 3, 27; 5, 3; 9, 3; 10, 26; ლ. 16, 13; ი. 3, 27; 6, 52; 6, 60; 9, 16; 10, 21; კელ-წიფება//გება, მ. 9, 15; ი. 10, 35; კელ-წიფება//ფლობა, მრ. 3, 15; 6, 7; ი. 19, 10; კელ-წიფება//ჯერ-ყოფა, მ. 20, 15; კელ-წიფება//შესაძლებელ-ყოფა, მ. 10, 28; კელ-წიფება//ქმნა, მრ. 6, 5; ი. 9, 4; კელ-წიფება//ცალ, მრ. 3, 20; შეძლება//ძლება, მ. 17, 19; ლ. 13, 24; ი. 11, 37; 14, 30; შეძლება//ძალ-დება, მ. 9, 28; 26, 53; 26, 61; მრ. 8, 4; ლ. 3, 8; ი. 8, 43; 15, 5; შეძლება//ღირება, მ. 26, 9; ძალ-დება//ძლება, მ. 20, 22; მრ. 9, 22; 9, 23; 10, 38; 10, 39; გება//ადგილ-გება, მ. 17, 11; გება//შეუგვანებელ-ყოფა, ლ. 17, 1; გება//შესაძლებელ-ყოფა, ი. 3, 9; შესაძლებელ-ყოფა//ჯერ-ყოფა, მრ. 15, 5; ჯერ-ყოფა//ღირება, მ. 18, 33; ი. 4, 20; 4, 24; 23, 23; 27, 6.

ყოფა//ქმნა//საქმე//შექმნა//გონება//გამოჩინება//სწორება//ცემა//სასყიდელ-ყოფა// მო-ყიდა//შერაცხა//წრფელ-ყოფა//ჯმის-ყოფა//სასწაულ- ყოფა//წარმართება//თქმა//მოწოდება// ჯერ-ყოფა//სასწაულის ხილვა: ყოფა//ქმნა, მ. 20, 12; 21, 21; 21, 43; 23, 5; მრ. 1, 17; 5, 33; 6, 5; 7, 13; 7, 37; 9, 39; 14, 9; ლ. 2, 48; 1, 25; ი. 2, 11; 4, 54; ი. 6, 30; 7, 4; 11, 47; 8, 29; 10, 41; 11, 47; 13, 27; 14, 31; 20, 20; ყოფა//საქმე, ი. 3, 2; 8, 44; 9, 16; 9, 33; ყოფა//ქექმნა, ი. 2, 16; ყოფა//გონება, ი. 8, 53;

ყოფა//ცემა, მ. 24, 24; მრ. 13, 22; ყოფა//შერისხვა, ლ. 15, 19; ყოფა//თქმა, ი. 11, 42; ყოფა//დადგრომა, ი. 10, 40; ყოფა// გამოჩინება, ი. 11, 33; ქმნა//საქმე, ი. 5, 19; ქმნა//შექმნა, მ. 10, 16, ი. 1, 10; 9, 11; ქმნა//შეთხვა, ი. 12, 2; ჯმის-ყოფა//მოწოდება, მ. 20, 32; სასწაულის ყოფა//სასწაულის ხილვა, ლ. 23, 8.

1. მწუხარება//ზრუნვა//ჭირი//იწროება//გნება//ტანჯვა//გუემა//საარება// ურვა// უძლურება//დაწუხება//შეწუხება//შეჭუვნება//შეჭირვება//შეურვება//შეზრუნება:

2. ზრუნვა//ურვა//შეწუხება//ჭირვება//მწუხარება//გულის სიტყუა//დასულება //გულის თქუმა//წადილი//ნდომა:

3. ზრახვა//თქუმა//რქუმა//განზრახვა//ზრახვის ყოფა//გულის ზრახვა//გულის სიტყუა// ზრუნვა: მწუხარება//ზრუნვა, მრ. 14, 19; მწუხარება//ზრუნვა//ურვა, მ. 26, 37; ზრუნვა//ჭირი, მ. 22, 16; მრ. 4, 38; 12, 4; ჭირი//გნება, მ. 27, 19; ჭირი//იწროება, ი. 16, 33; ურვა//საარება, მრ. 6, 48;

საარება//ტანჯვა, ლ. 16, 24; 16, 25; ურვა//გუემა, მრ. 7, 25; ურვილი//უძლური, ლ. 6, 18; ზრუნვა//ზრახვა, მრ. 13, 11; ზრახვა//ზრახვის-ყოფა, მრ. 3, 6; ზრახვა//რქუმა, მრ. 9, 4; ზრახვა//განზრახვა, მრ. 2, 6; 8, 17; 8, 18; ლ. 6, 11; ზრახვის-ყოფა//რქუმა, მ. 21, 38; ზრახვა//გულის-სიტყუა, ლ. 24, 38;

გულის სიტყუა//ზრახვა, მრ. 7, 21; გულის სიტყუა//გულის თქუმა, მ. 13, 17; გულის სიტყუა//წადილი, ლ. 15, 16; გულის სიტყუა//დასულება, მრ. 14, 33; გულის თქუმა//წადილი, ლ. 17, 22; წადილი//ნდომა, ლ. 23, 8.

4. განზრახვა//განრაცხა//შერაცხა//დაკპრება//გონებას მოდგომა: განზრახვა// განრაცხა, ლ. 14, 31; განზრახვა//შერაცხა, ი. 11, 50; განზრახვა// გონებას მოდგომა, ლ. 11, 17; განზრახვა//დაკპრება, ლ. 24, 4.

მოგება//მიგება//გება//ადგილ-გება//მიღება//მომართება//სიტყუა// სიტყვს-გება// სიტყვს მიგება//სიტყვს მირთუმა//მითხობა//განცოცხლება//განცხოველება// ცხონება//განკურ-ნება: მოგება//მიღება, მრ. 12, 34; 14, 60; მოგება//გება//ადგილ გება, მ. 17, 11; მრ. 9, 12; მოგება//მიღება, მ. 10, 9; მოგება//მომართება, ლ. 15, 17; მოგება//სიტყუა, მოგება// განცოცხლება, მ. 12, 13; განცოცხლება//განცხოველება, ი. 7, 23; განცოცხლება// ცხომება, ლ. 15, 24; განცოცხლება//განკურნება, ი. 5, 9; მიგება//სიტყვს-გება, მ. 22, 46; 26, 62; მრ. 14, 40; ი. 19, 9; სიტყვს-გება//სიტყვს მიგება, ლ. 20, 26; სიტყვს-გება//წდომა ი. 2, 24; 19, 12; სიტყვს მირთუმა//მითხობა, ი. 1, 22.

მოძღვრება//სწავება//სწავლა//განსწავლა//მცნება//სიტყუა//ჩუენება//მოღება:
მოძღვ- რება//სწავება, ი. 9, 34; მრ. 1, 22; 7, 7; 7, 13; მოძღვრება//სწავლა, მ. 15, 2;
მრ. 7, 8; 1, 27; სწავლა//განსწავლა, ლ. 23, 16; ი. 6, 45; სწავება//მცნება, მრ. 7, 7;
სწავება//სიტყუა, ი. 18, 21; სწავება//ჩუენება, ლ. 3, 7; სწავება//მოღება, მრ. 7, 4.

რისხვა//განრისხება//შერისხვა//გულის=წყრომა//გულის განწყრომა//ყენება:
რისხვა //განრისხება, ი. 11, 38; რისხვა//შერისხვა, მ. 19, 13; რისხვა//გულის-წყრომა,
მრ. 4, 41; 14, 4; რისხვა//ყენება, მრ. 10, 13; განრისხება//გულის განწყრობა, მ. 20, 24;
21, 16; განრისხება//გულის განწყრომა, მ. 26, 8.

შეიწრება//შეჭირვება//შეჭუვნება//შეურვება//შეწუხება//შეზრუნება: შეიწრება//
შეჭირვება, მრ. 5, 31; შეიწრება//შეურვება, ლ. 5, 24; შეჭუვნება// შეწუხება, მ. 26, 38;
შეწუხება//შეზრუნება, მ. 17, 23; შეწუხება//დაწუხება, მრ. 10, 22.

დუმება//დადუმება//პირის დაყოფა//პირის დაკრგა//უტყუად დადგრომა: დუმება//
დადუმება, ლ. 19, 39; 19, 40; 20, 26; დუმება//პირის დაკრა, მ. 22, 12; დადუმება//პირის
დაყოფა, მრ. 4, 39; დადუმება//უტყუად დადგომა, ლ. 1, 22...

დასკვნითი დებულებები

სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ყველა ენაში არსებობს და ენობრივ უნივერსალიას წარმოადგენს. იგი ნებისმიერი ფორმით სინქრონიულ ასპექტში განიხილება.

სინონიმთა განხილვისას ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს სიტყვათა საერთო (იდეოგრაფიული) მნიშვნელობები. ასეთი სიტყვები აუცილებლად ერთ ცნებასთან უნდა იყვნენ თავსებადი.

1. ჩვენ ვაანალიზებთ ლექსემებს შორის სინონიმურ მიმართებას ძირითადად ქართული ოთხთავის ორ ძეგლ და ორ ბოლო რედაქციებში და ამდენად, მისი განხილვა ძეგლი ქართული ენის ლექსიკურ მასალაზე ხორციელდება.

2. ოთხთავის ტექსტში გამოვლენილ ლექსიკურ სინონიმთა უმრავლესობას შეადგენს ზმები. თუმცა მასალის სიუხვე მათი სრული განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა. აგრეთვე, დიდი რაოდენობით დასტურდება სიტყვათწარმოებით მიღებულ სინონიმთა ჯგუფები. შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვება არსებითის, ზედსართავის და მეტყველების სხვა ნაწილთა სინონიმური მწკრივები.

3. ოთხთავში გამოყოფილი ლექსიკური სინონიმები ჯგუფდება სინონიმურ მწკრივებში. ყოველი სინონიმური მწკრივის წევრები იდენტიფიცირდებიან დომინანტასთან – სემანტიკურად უფრო მარტივ, სტილისტურად შედარებით ნეიტრალურ და სინტაქსურად ნაკლებად „მდგრად“ წევრთან.

სინონიმთა შორის განსხვავებანი ორ ძირითად სახეობამდე დაიყვანება. ეს გვაძლევს სინონიმების კლასიფიცირების საშუალებას სემანტიკურ (იდეოგრაფიულ), სტილისტურ და სემანტიკურ-სტილისტურ სინონიმებად.

4. ჩვენი მასალის მიხედვით დადასტურებული ლექსიკური ერთეულები ნაწილობრივი, რელატიური სინონიმებია, რომლებსაც საერთო მნიშვნელობა აქვთ და განსხვავდებიან ნიუანსებით. ნიუანსად მოიაზრება სინონიმთა დიფერენციალური კომპონენტი. სინონიმთა დიფერენციალური კომპონენტები – ეს არის მინიმალური ელემენტები, რომლებიც ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს ქმნიან. ეს ის ნიშნებია, რომელთა გამოკვეთასაც ცდილობს სიტყვაში ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში კი

სახარების მთარგმნელი. ამიტომ, ცნებათა სრული დამთხვევა არ გვაქვს არც ერთი მეტყველების ნაწილის დონეზე, რაც ოთხთავის ტექსტში ე.წ. „აბსოლუტური სინონიმის“ არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს.

5. პოლისემია და სინონიმია: სინონიმია, როგორც ზოგადენობრივი უნივერსალია, მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ზოგადენობრივ უნივერსალიასთან, როგორიცაა პოლისემია. ეს კავშირი განპირობებულია იმით, რომ პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა გამიჯვნა ხდება სინონიმთა შეპირისპირებისას, ხოლო სინონიმური მწერივის განსაზღვრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაემიჯნება ერთმანეთს პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები.

სიტყვის პოლისემიური სტრუქტურიდან გამომდინარე, სინონიმების შეპირისპირებისას მხედველობაში მიიღება სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის მინიმალური ელემენტები – ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები (ლეგები). პოლისემიური სიტყვები სინონიმური ხდებიან თავიანთი ერთ-ერთი მნიშვნელობით, სხვა მნიშვნელობებით კი შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

სინონიმთა წარმოქმნა სხვადასხვა საშუალებით ხდება. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სინონიმთა წარმოშობის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა: სიტყვათწარმოება, სიტყვის სესხება, ტაბუ და უვფემიზმი.

6. სიტყვათწარმოება ოთხთავის ლექსიკური სინონიმებით გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სინონიმური მნიშვნელობის დერივაციული აფიქსები ერთვიან მსგავსი სემანტიკის მქონე ფუძეებს, რომლებსაც უკავშირდება ამოსავალი ლექსემის საგნობრივი მნიშვნელობა და ვიღებთ ისეთ სემანტიკურ ჯგუფებს, როგორიცაა: სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხელობის... სახელები.

სინონიმური რიგების გამდიდრება ხდება აგრეთვე მიმღეობური ლექსიკითაც, სადაც გამოიყოფა ყველა დროის და გვარის მიმღეობანი.

6.1. კომპოზიცია: მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახარების სინონიმურ სისტემაში კომპოზიტურ ლექსიკას. სინონიმურ წყვილებში ვხვდებით, როგორც ქართული წარმომავლობის, ისე ბერძნულ-ქართული და სომხურ-ქართული შედგენილობის თხზულ სიტყვებს. კომპოზიციით წარმოქმნილი სინონიმური ლექსემები უფრო მეტი ინტენსიობით, ექსპრესიულობით გამოირჩევიან, ვიდრე მათი მეწყვილე მარტივი სიტყვები.

7. სესხება: სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ოთხთავის ტექსტის ნასესხები ლექსიკა. სესხება უპირველესად განპირობებულია თარგმანის უშუალო გავლენით და ასევე ზეპირი გზითაც. სინონიმებს სხვადასხვა ენიდან ნასესხები ლექსიკა მაშინ წარმოქმნის, როცა მიმღებ ენაში უკვე არსებობს იმავე ცნების აღმნიშვნელი ერთეულები. მაგრამ სახარების ტექსტში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ნასესხებ სიტყვებს ქართული ექვივალენტები არ ეძებნება.

ოთხთავში გვხვდება ბერძნული, ებრაული, ირანული ენებიდან ნასესხები ენობრივი ერთეულები, რომლებიც მიემართებიან ქართულ ეკვივალენტებს და სინონიმურ წყვილებსა თუ რიგებს ქმნიან. ცნებათა სრული დამთხვევა ნასესხები ლექსიკის შემცველ სინონიმურ წყვილებშიც არ დასტურდება, რადგან ზოგი უცხოური სიტყვა პოლისემიურია და რომელიმე კონკრეტული მნიშვნელობით, ანუ ერთ-ერთი ლსვ-ით არის შემოსული ქართულში. ზოგ მათგანში სემანტიკური ნიუანსები იკვეთება, ზოგიც კი სტილისტური თვალსაზრისით იხმარება და ტექსტის მხატვრულ გაფორმებას ემსახურება.

8. ტაბუ და კვლემიზმი: სინონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროს სიტყვის ტაბუ და მისი ევფემიურად მონაცვლე ლექსიკა წარმოადგენს. სახარებაში ამგვარი შემთხვევები დასტურდება „სიცოცხლის შეწყვეტის“ სემანტიკის შემცველ ზმნურ სინონიმებში. ტექსტის მთარგნელი თუ გადამწერი თავს არიდებს სიკუდილი//მოკლვა// მოკუდინება ლექსემების ხმარებას და კონტექსტში მათ ისეთ ევფემიურ ერთეულებს უნაცვლებს, როგორიცაა: აღსრულება//გარდაცვალება// შესუენება//დაძინება//სულის აღმობერა//სულის განტევება და სხვ. ამგვარი სიტყვებით შერბილებულად არის გადმოცემული ის გრძნობა, რაც სიტყვა სიკუდილის ხმარებას თან ახლავს.

9. სინონიმური პარალელიზმი: ოთხთავში გვხვდება ცალკეული რედაქციის ფარგლებში ერთმანეთის გვერდით სინონიმთა პარალელური ხმარების შემთხვევები. ამგვარი მოვლენა ლიტერატურაში „სინონიმურ პარალელიზმად“ მოიხსენიება. ერთ გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთის გვერდიგვერდ ნახმარი სინონიმურ წყვილთა ცალები ხშირ შემთხვევაში დამაზუსტებელ როლს ასრულებენ და მრავალმხრივ ახასიათებენ ცნებას. განხილულია სინონიმთა პარალელურად ხმარების შემდეგი შემთხვევები: а) სინონიმურ წყვილთაგან ერთი წევრი უცხოური წარმომავლობისაა, ხოლო მეორე საკუთარი ენის ფონის კუთვნილებას წარმოადგენს; ბ) სინონიმური

წევილის ორივე წევრი საქუთრივ ქართული წარმოშობისაა; გ) სინონიმური წევილის ორივე წევრი ნასესხებია. სინონიმთა პარალელური ფორმით ხმარება ტექსტში უმეტესწილად მხატვრული მიზნით არის განპირობებული, რაც გადმოსაცემი შინაარსის გაძლიერებას და ემოციურ გამოხატვას ემსახურება.

10. მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა ოთხთავის ტექსტის სინონიმური ლექსიკის განხილვა **ბერძნულ ტექსტთან** მიმართებაში. ხშირად სინონიმური მნიშვნელობის ლექსემები ერთი კონკრეტული რედაქციის ფარგლებში იხმარება. ბერძნულ ტექსტში ნახმარი ერთი და იგივე სიტყვა შესაბამის ქართულ თარგმანში მგავსი შინაარსის მქონე რამდენიმე ლექსიკური საშუალებით გადმოიცემა, რაც აადგილებს მათ შორის სინონიმურობის დადგენას.

უფრო ზედმიწევნილობითა და სიზუსტით ბერძნულ ლექსემებს ადიშის რედაქციის ლექსიკა გადმოსცემს, რადგან აღნიშნული რედაქციის ავტორი უფრო კარგად იცნობს ბერძნული სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობებს.

11. ოთხთავში ყველაზე კრცლად **ზმნური სინონიმები** არიან წარმოდგენილი, რადგან ზმნის სემანტიკა სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით უფრო ტევადი და მოქნილია.

ზმნური სინონიმური რიგების აგება კონკრეტული ლექსემების ლექსიკურ კომპონენტებად დაშლას ეფუძნება. ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული ამგვარ კომპონენტთა მატებით მიიღება. დომინანტური საყრდენი ლექსემა სემანტიკურ-სტილისტური ნეიტრალურობით და არაექსპრესიულობით ხასიათდება, ხოლო მასთან სინონიმურ რიგში შემავალი წევრები სემანტიკურ-დიფერენციალური ნიშნებით განირჩევიან ძირითადი ლექსემისაგან.

ოთხთავის სინონიმურ სისტემაში წარმოდგენილი ზმნები ერთიანდებიან სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებში და ამის მიხედვით არის განხილული. სენია: მოძრაობის, მდგომარეობის, სიცოცხლის შეწყვეტის, შიშის, ცემის, ხილვის, მოტაცების, დაცინვის, გატეხის, დაბნევის... სემანტიკურ ჯგუფში შემავალი ლექსემები. ყველაზე კრცლად მოძრაობა-გადაადგილების შემცველი სინონიმური ზმნებია წარმოდგენილი. ამ ჯგუფის ძირითადი საყრდენი ძირია ვალ-/ჟედ-/ჟიდ. მასზე სხვადასხვა ზმნისწინების დართვით ვიდებთ მოსლვა, მისლვა, განსლვა, გამოსლვა, ადსლვა, და სხვ. ფორმებს, რომლებიც თავ-თავისი სინონიმური რიგისათვის ძირითად, დომინანტურ ლექსემებს წარმოადგენენ, ხოლო სინონიმურ

მწვრივში შემავალი თითოეული წევრი სხვადასხვა აზრობრივი ნიუანსებით თუ ექსპრესიული ნიშნებით ემიჯნება მათ. მსგავსი ვითარებაა სხვა სემანტიკურ ჯგუფებში გაერთიანებულ სინონიმურ ზმნებშიც.

12. ოთხთავის რედაქციებში გამოვლენილი სინონიმური მნიშვნელობის ლექსიკის წარმოჩინება და განხილვა შეძლებისდაგვარი სისრულით პირველად ხორციელდება აღნიშნულ ნაშრომში. სახარების ტექსტში და საერთოდ ძველი ქართული ენის ძეგლებში ლექსიკური სინონიმის პრობლემის კვლევა ვრცელ მასალაზე დაყრდნობით შემდგომში უფრო ფართო შეწავლას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბალაძი გ.**, სინონიმური რიგის სემანტიკური უწყვეტობა, საენათმეცნიერო ძიებანი, №5, თბ., 1996, გვ. 54-60.
2. **აბალაძი გ.**, საგნობრივ-ცნებითი ფაქტორი, როგორც სინონიმის განსაზღვრის კრიტერიუმი: საენათმეცნიერო ძიებანი, №9, თბ., 1999, გვ. 16-20.
3. **ამირგვიძი რ.**, „სიკვდილის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები №1, თბ., 1999.
4. **ანდრონიკაშვილი გ.**, ნარკვეგები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თსუ-ს გამოც., თბ., 1966.
5. **აფრიდონიძე გ.**, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმის“ შესახებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 8, „მეცნიერება“, თბ., 1988, გვ. 279-293.
6. **აბულაძე ილ.**, ბველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ., 1973.
7. **აბულაძე ილ.**, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944.
8. **აბულაძე ილ.**, ბველი ქართული ენის ლექსიკიდან, იკვ. ტ. XII, თბ., 1960.
9. **ბაბუნაშვილი გ.**, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში: თსუ შრ., ტ. 71, თბ., 1959, გვ. 19-29.
10. **ბაბუნაშვილი გ.**, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
11. **ბარამიძე ლ.**, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ბველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 19, 1976.
12. **ბიბლიის ენციკლოპედია**, ერთომეული, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა, თბ., 1998.
13. **ბოლქვაძე თ.**, პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1997.
14. **ბულახოვსკი ლ.**, ენათმეცნიერების შესავალი, ნაწ. II, თბ., 1955.
15. **გამყრელიძე თ.**, კიქნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
16. **გერსამია რ.**, ლექსიკური სინონიმია მეგრულში, თბ., 2003.

17. *გიგინებიშვილი ბ.*, ჯაჭვისა და ქეწვის ურთიერთ-მიმართებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXXVIII, №3, ობ., 1967.
18. *გონიაშვილი თ.*, ლექსიკური შეხვედრები ჩატიურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, V-VI, ობ., 1940.
19. *გორდეზიანი რ.*, წინარებერძნული და ქართველური, ობ., 1985.
20. *დანელია კ.*, სინონიმურ წყვილთა ხმარება ვეფხისტყაოსანში, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული. ობ., 1966.
21. *დანელია კ.*, ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, „მაცნე“ (გ/ლ), №1, ობ., 1981.
22. *დანელია კ.*, ნარპევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, ობ., 1998.
23. *დარასელია ნ.*, ტაბუ და სინკრეტული ცნობიერება: საენათმეცნიერო მიებანი, XI, „ქართული ენა“, ობ., 2001, გვ. 20-21.
24. *დოჩანაშვილი გ.*, ადიშის ოთხთავის კომპოზიტები: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29 ობ., 1951, გვ. 82-102.
25. *დოჩანაშვილი გ.*, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხოსათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, ობ., 1955.
26. *გემაპიძე ირ.*, ზმნისწინი ძველ ქართულში, ობ., 1967.
27. *თაფაიშვილი ა.*, ქართული ფრაზეოლოგის საკითხები, ობ. 1961.
28. *თოფურია გ.*, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, ობ., 1959, გვ. 296-304.
29. *იმნაიშვილი ივ.*, ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თსუ შრომები, ტ. 28, ობ., 1946.
30. *იმნაიშვილი ივ.*, ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თსუ შრომები, ტ. 30, ობ., 1947.
31. *იმნაიშვილი ივ.*, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ობ., 1957.
32. *იმნაიშვილი ივ.*, კომპოზიტები ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), ობ., 1970.
33. *იმნაიშვილი ივ.*, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ობ., 1986.

34. *იმნაიშვილი ივ.*, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია: ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.
35. *იმნაიშვილი ივ.*, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 22, თბ., 1979.
36. *კვიცარიძე პ.*, ქართული სწორმეტყველება, სასინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიცარიძის მიერ, გამოცემელი ზ. ჭიჭინაძისაგან, ქუთ., 1888.
37. *კიბგიძე ც.*, ალ. ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი – მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961; „მაცნე“ №2, თბ. 1963, გვ. 206-209).
38. *კიბგიძე ც.* პვლავ სინონიმთა ლექსიკონის შესახებ: „მაცნე“ №1, თბ., 1964, გვ. 195-197.
39. *კიბგიძე ც.*, მასალები ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“ (ელ), №3, თბ., 1967, გვ. 262-275.
40. *კოდუხოვი გ.*, ზოგადი ენათმეცნიერება, „განათლება“, თბ., 1982.
41. *მამისევიშვილი ნ.*, *გერსამია რ.*, ფონოსემანტიკური კავშირებისათვის ქართველურ ლექსიკაში: XXI რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესიის მასალები, „ქართული ენა“, თბ., 2001.
42. *მარტიროსოვი ა.*, ზმინსტინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.
43. *მარტიროსოვი ა.*, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე, ტ. IX-X, თბ., 1958.
44. *მაჭავარიანი გ.*, სალიტერატურო ენის ნორმის ზოგი საკითხი: „ცისკარი“, №12, თბ., 1968, გვ. 126-130.
45. *მეტრეველი თ.*, ვაჭარ ლექსემის ზოგი მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ-ში, ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 29, თბ., 2001.
46. *მრევლიშვილი მზ.*, კომპოზიტები ქართულ ენაში: თსუ-ს შრომები, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 165-186.
47. *ნებიული გ.*, ენათმეცნიერების შესავალი, „განათლება“, თბ., 1991.
48. *ნეიმანი ალ.*, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.

49. **ნეიმანი ალ.**, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (მე-2 შევსებული და შესწორებული გამოცემა), „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.
50. **ონიანი ალ.**, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
51. **რამიშვილი გ.**, სიტყვის კონა და საგანთსამყარო, ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №3, თბ., 1979.
52. **როგავა გ.**, ჯაჭვ ფუძის შედგენილობისთვის: აფხაზეთის ენ. ლიტ. და ინსტ. შრომები, XXIV. სოხუმი, 1951.
53. **ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. I, „მერანი“, თბ., 1991.
54. **ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. II, „მერანი“, თბ., 1993.
55. **ორბელიანი სულხან-საბა**, თხზულებანი, ტ. IV, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1965.
56. **სილაგაძე ჯ.**, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები, თსუ-ს გამოც., თბ., 1981.
57. **სინური მრავალთაგი 864 წლისა**, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.
58. **სარჯველაძე ზ.**, თეორ ფუძის შედგენილობისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1961.
59. **სარჯველაძე ზ.**, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, „განათლება“, თბ., 1984.
60. **სარჯველაძე ზ.**, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
61. **სარჯველაძე ზ.**, ქართველური ეტიმოლოგიები, ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 1999.
62. **სარჯველაძე ზ.**, ეტიმოლოგიური შენიშვნები, ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბ., 2002.

63. **სარჯველაძე ზ.,** ადიშის ოთხთავი – 897 წლისა, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003.

64. **ფენრიხი პ., სარჯველაძე ზ.,** ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თსუ-ს გამოც., თბ., 1990.

65. **ფენრიხი პ., სარჯველაძე ზ.,** ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი; მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ-ს გამოც., თბ., 2000.

66. **ფოჩხუა ბ.,** პოლისემის საკითხისათვის: იქნ, XII, საქ. მეცნ. აკად. გამოც., თბ., 1960, გვ. 99-133.

67. **ფოჩხუა ბ.,** ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ-ს გამოც., თბ., 1974.

68. **ფოჩხუა ბ.,** ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იქნ, XXII, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ. 292-300.

69. **ფოჩხუა ბ.,** პარადიგმატული ჯაჭვი ლექსიკაში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., 1981, გვ. 16-19.

70. **ქავთარაძე ივ.,** ზმის მირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

71. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რგატომეული,** I-VIII, თბ., 1950-1964.

72. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,** ტ. 9.

73. **ღამბაშიძე რ.,** ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში: კრებ., „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. I, 1972.

74. **ღამბაშიძე რ.,** ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედეგების პრინციპები, „მეცნიერება“, თბ., 1986.

75. **ღლონტი ალ.,** ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბ., 1984.

76. **ღლონტი ალ.,** ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, „განათლება“, თბ., 1988.

77. **ყაჟხიშვილი ს.,** ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, IV, თბ., 1944.

78. *ეაუბჩიშვილი თ.*, ყიოს არენ – ბე წული, ენიმკის მოამბე, IV, თბ., 1944, გვ. 127-132.
79. *ეაუბჩიშვილი თ.*, კომპოზიტები ძველ ქართულში: თსუ-ს შრ., ტ. 47, თბ., 1952.
80. *შანიძე ა.*, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
81. *შანიძე ა.*, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
82. *შანიძე ა.*, მამათა სწავლანი, X და XI სს. ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ი. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1955.
83. *შანიძე ა.*, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
84. *შანიძე მზ.*, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979.
85. *შარაძენიძე თ.*, ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია, თბ., 1978.
86. *შატბერაშვილი ივ.*, ჭაშნიკი, თბ., 1966.
87. *ჩიქობავა არნ.*, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბ., 1935.
88. *ჩიქობავა არნ.*, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
89. *ჩიქობავა არნ.*, ენათმეცნიერების შესავალი, თსუ-ს გამოც., თბ., 1952.
90. *ჩიქობავა არნ.*, ზოგადი ენათმეცნიერება ტ. II, მირითადი პრობლემები, თსუ-ს გამოც., თბ., 1983.
91. *ჩიქობავა არნ.*, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერების დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950.
92. *ჩუბინაშვილი ნ.*, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, „საბჭოთა საქართველო, თბ., 1961.
93. *ჩხეიძე გ.*, ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა, თბ., 1993.
94. *ძიძიგური შ.*, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: სმამ., ტ. II, №7, თბ., 1941.

95. *ძიძური შ.*, სიტყვის სესხება: „მნათობი“ №7, თბ., 1947.
96. *ძიძური შ.*, საენათმეცნიერო საუბრები, „ნაკადული“, თბ., 1975.
97. *ძიძური შ.*, მთლიანობა – ოდონდ ნაირგვაროვანი, ქედს, №4, თბ., 1978.
98. *ჭირაქაძე გ.*, დაბასთან დაკავშირებული ერთი ტერმინის წარმომავლობისათვის (დაბა), საენათმეცნიერო მიებანი, №5, თბ., 1996, გვ. 298-306.
99. *ჭუმბურიძე ზ.*, დედაენა ქართული (ხელახლი გამოცემა), „ნაკადული“, თბ., 1987.
100. *ჭუმბურიძე ნ.*, ლექსიკური სინონიმები ძველ ქართულ მრავალთავებში, საენათმეცნიერო მიებანი №5, თბ., 1996.
101. *ჭრელა შვილი კ.*, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, თსუ-ს გამოც., თბ., 2001.
102. *ხუნდაძე ს.*, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.
103. *ჯავახი შვილი ივ.*, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, V, თბ., 1986.
104. *ჯორბენაძე ბ.*, სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმების სემანტიკური დაპირისპირებისათვის ქართულში: ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თსუ-ს გამოც., თბ., 1985, გვ. 200-218.
105. *ჯორჯანელი კ.*, ენობრივ აკრძალვათა გადმონაშთები: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №1, თბ. 1972, გვ. 74-87.
106. *ჯორჯანელი კ.*, სინონიმთა საკითხისათვის, თსუ-ს შრ., 9-9, 155-176, თბ., 1974.
107. *ჯორჯანელი კ.*, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, გამომცემლობა მერანი, თბ., 2003.
108. *Алекторова Л. П.*, Об оттенках значений лексических синонимов, Синонимы русского языка и их особенности, Ленинград, 1972.
109. *Античные теории языка и стиля*, М.-Л., 1930.
110. *Апресян Ю. Д.*, Проблема синонима: ВЯ, № 6, 1957, стр. 84-88.
111. *Апресян Ю. Д.*, Лексическая синонимика (синонимические средства языка) «Наука», М., 1974.

112. *Апресян Ю. Д.*, Новый объяснительный словарь синонимов русского языка (под общим руководством акад. Ю. Д., Апресяна), изд. Школа «Языки русской культуры»; М., 1997.
113. *Балли Ш.*, французская стилистика, М., 1961.
114. *Бенвенист Э.*, Общая лингвистика, М., 1974.
115. *Бережан С. Г.*, К семантической интерпретации явления синонимии: Лексическая синонимия, «Наука», М., 1967.
116. *Бережан С. Г.*, Теория семантических полей и синонимия. – В кн. «Проблемы языкознания», М., 1967.
117. *Библейская Энциклопедия Брокгауза*, Ф. Пинекер, Г. Майер; Русского издания, М., 1999.
118. *Богуславский В. М.*, Семантико-стилистическая группа слов, соотносимых с одним понятием, Синонимы русского языка и их особенности, Ленинград, 1972.
119. *Будагов Р. А.*, Введение в науку о языке, «Просвещение», М., 1965.
120. *Бодуен де Куртене И. А.*, Избранные труды по общему языкознанию, т. т. I-II, М., 1963.
121. *Вакуров В. Н.*, К вопросу о лексико-фразеологической синонимике. – Вопросы стилистики, М., 1966.
122. *Васильев Л. М.*, Проблема лексического значения и вопросы синонимов: Лексическая синонимия, «Наука», М., 1967, стр. 16-20.
123. *Виноградов В. В.*, О некоторых вопросах русской исторической лексикологии. В. журн. – Изв. ОЛЯ АН СССР, т. XII, вып. 3, М., 1953.
124. *Виноградов В. В.*, Избранные труды, Исследования по русской грамматике, М., 1975.
125. *Гамкрелидзе Т. В., Иванов В. Вс.*, Индоевропейцы и индоевропейский язык. т. т. I-II, Тб. 1984.
126. *Григорян В. М.*, Материалы к словарю синонимов, Ереван, 1957.
127. *Дворецкий И. Х.*, Древнегреческо-русский словарь, тт. I-II, М., 1958.
128. *Дворецкий И. Х.*, Латинско-русский словарь, М., 1986.

129. *Дугаров Н. Б.*, Лексические синонимы в современном бурятском литературном языке, «Наука», М., 1978.
130. *Евгениева А. П.*, Проект словаря синонимов, «Советская энциклопедия», М., 1964, Введение.
131. *Звегинцев В. А.*, Семасиология. Изд. Московского университета, М., 1957.
132. *Звегинцев В. А.*, Замечания о лексической синонимии, Вопросы теории и истории языка, Л., 1963.
133. *Иваникова Е. А.*, К вопросу о взаимоотношении понятия варианта с понятием синонима, Синонимы русского языка и их особенности, Ленинград, 1972.
134. *Караулов Ю. Н.*, Общая и русская идеография, М., 1976;
135. *Кипшидзе И.*, Грамматика мингрельского (иверского) языка, С-Пб., 1914.
136. *Климов Г. А.*, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
137. *Клюева Л.*, Краткий словарь синонимов русского языка, Учпедгиз, М., 1967.
138. *Лагутина А. В.*, Абсолютные синонимы в синонимической системе языка: Лексическая синонимия, «Наука», М., 1967.
139. *Лингвистический энциклопедический словарь*, «Советская энциклопедия», М., 1990.
140. *Mapp H.*, Физиолог, ТР, Книга VI, Санктпетербург, 1904.
141. *Mapp H.*, Грамматика чанского (лазского) языка, С-Пб., 1910.
142. *Mapp H.*, К вопросу о положении абхазкого языка среди яфетических, Материалы по яфетическому языкознанию, V, С-Пб., 1912.
143. *Mapp H.*, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925.
144. *Новиков Л. А.*, Семантика русского языка, М., 1982.
145. *Ньюман М.*, Грекско-русский словарь Нового Завета, перевод краткого греческо-английского словаря Нового Завета Баркли М. Ньюмана, Российское Библейское Общество, М., 1997.
146. *Очерки по синонимике современного русского литературного языка*, М.-Л., 1966.

147. *Павлов – Шишкин В. Д. и Степановский П. А.*, Учебный словарь синонимов русск. лит. языка, изд. второе, испр. и дополн. Предисловие Павлова-Шишкина, М., 1931.
148. *Палевская М. Ф.*, Проблема синонимического ряда, его границ и возможности выделение доминанта: Лексическая синонимия, «Наука», М., 1967, стр. 94-104.
149. *Реформатский А. А.*, Введение в языкознание, М.. 1955.
150. *Рогожников Р. П.*, Соотношение вариантов слов, однокоренных слов и синонимов, Лексическая синонимия, <<Наука>>, М., 1967.
151. *Руденко Б. Г.*, Грамматика грузинского языка, 1940.
152. *Сиротина В.А.*, Лексическая синонимика в русском языке, Львов, 1960.
153. *Соленино М. А.*, Английская лексикология, М., 1934.
154. *Синонимы русского языка и их особенности*, Л., 1972.
155. *Смолина К. П.*, Типы синонимических отношений в русском литературном языке (второй половины XVIII в), М., 1977.
156. *Солнцев В. М.*, Язык как системноструктурное образование, М., 1982.
157. *Соссюр Ф. Де.*, Труды по языкознанию, «Прогресс», М., 1977.
158. *Ульман Ст.*, Семантические универсалии, Новое в лингвистике, вип. V, М., 1970.
159. *Уфимцева А. А.*, Некоторые вопросы синонимии, Лексическая синонимия, «Наука», М., 1967, стр. 27-38.
160. *Черняк В. Д.*, Лексические синонимы в русском языке (глагольные синонимические ряды), лекции по курсу «Лексикология современного русского языка» (Ленинградский пед. инст. им. А.И. Герцена), Ленинград, 1973.
161. *Чикобава А.*, Реальность синонимов и возможность синонимических словарей: Лексическая синонимия, «Наука», М., 1967.
162. *Чубинов Д.*, Краткая грузинская грамматика, 1855.
163. *Шанский Н. М.*, Лексикология современного русского языка, М., 1972.
164. *Шендельс Е. И.*, Многозначимость и синонимия в грамматике, М., 1970.

165. **Шмелев Д. Н.**, Очерки семасиологии русского языка, М., 1964.
166. **Щерба Л. В.**, Опыт общей теории лексикографии, Изв. ОЛЯ АН ССР, № 3, М., 1940.
167. **Щерба Л. В.**, Современный русский язык: Избранные работы по русскому языку, М., 1957.
168. **Bauer W.**, Griechisch-Deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen Testaments und der übrigen urchristlichen Literatur von D. Walter Bauer, Berlin, 1937.
169. **Gippert I.**, Iranika-Armeniko-Iberica, Österreichische Akademie der Wissenschaften, Wien, 1993.
170. **Molitor J.**, Eigenart und Bedeutung des altgeorgischen Hadischi-Tetraevangelius, Bedi Karthlisa, Revue de kartvelologie, No, 30-31, Paris, 1958.
171. **Trier Y.**, Der deutsche Wortschatz im Sinnbezik des Verstandes, Die Geschichte eines sprachlichen Felders, Bd, 1, Heidelberg, 1931.
172. **Schmidt K. H.**, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
173. **Jennings W.**, Lexicon to the Syriac New Testament, Oxford, 1926.
174. **Η ΚΑΙΝΗ ΔΙΑΘΗΚΗ**, Second edition, The British and Foreign Bible society, London, 1958 .

